

კახაბერ სურგულაძე
ირაკლი ბარამიძე
ხათუნა დიასამიძე
ტატინა კოპალეიშვილი

KAKHABER SURGULADZE
IRAKLI BARAMIDZE
KHATUNA DIASAMIDZE
TATIANA KOPALEISHVILI



კათოლიკობა და
კათოლიკეები
საქართველოში

**CATHOLICISM AND
THE CATHOLICS
IN GEORGIA**

კახაბერ სურგულაძე
ირაკლი ბარამიძე

ხათუნა დიასამიძე
ტატიანა კოკალეიშვილი

კათოლიკობა და კათოლიკეები საქართველოში XIX-XXI სს. (ისტორია, კულტურა, თანამედროვეობა)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

წინამდებარე მონოგრაფიაში შესწავლილია კათოლიკობის ისტორია საქართველოში შუა საუკუნეებიდან დღემდე, ყურადღება გამახვილებულია XIX-XX საუკუნეების ქართველ კათოლიკე მოღვაწეებსა და მათ დამსახურებაზე ქვეყნისა და რელიგიის წინაშე. აქვე წარმოდგენილია სტამბოლის კათოლიკური სავანის, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის ისტორია და სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები.

წიგნი განკუთვნილია სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის.

რედაქტორი:

პროფ. მურმან პაპაშვილი

რეცენზენტები:

პროფ. ოთარ გოგოლიშვილი

ასოც. პროფ. ოლეგ ჯიბაშვილი



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

*მონოგრაფია მომზადდა შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ამავე სა-
ხელწოდების პროექტის [FR17_416] ფარგლებში.*


პროექტის ხელმძღვანელი – პროფ. კახაბერ სურგულაძე

© ჯ. სურგულაძე, ბ. დიასამიძე,
ი. ბარამიძე, ტ. ჯოჰალეიშვილი, 2022

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიძის ქ. №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-264-7



ედვინება ქველმოქმედ პავლე ზაზადის (1900-1989) ხსოვნას

სარჩევი:

შესავლის ნაცვლად	5
კათოლიკეების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ საისტორიო მწერლობაში	7
კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობის სათავეებთან	14
კათოლიკობა გიორგი ბრწყინვალეს ეპოქის საქართველოში	25
კათოლიკობა საქართველოში XV-XVIII საუკუნეებში	30
კათოლიკობა საქართველოში XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში	51
ქართველი კათოლიკეების როლი ქართულ ეკონომიკასა და კულტურაში	77
შალვა ვარდიძე – დავიწყებული გმირი	95
ბათუმის ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის ისტორიიდან	109
კონსტანტინოპოლის (სტამბოლი) ქართული კათოლიკური სავანე ...	122
კათოლიკობა საბჭოთა საქართველოში (რელიგიური პოლიტიკა, რეპრესიები, ტერორი)	179
რომის კათოლიკური ეკლესიისა და საქართველოს ურთიერთობა XX-XXI ს-ის მიჯნაზე	215
Instead of an introduction	235
Terminology Denoting Catholics in Georgian Historical Literature	237
From the History of Relations between Georgia and the Catholic World ...	243
Catholicism in the Epoch of Giorgi Brtskinvales' Georgia	249
Catholicism in Georgia in the XV-XVIII Centuries	253
Catholicism in Georgia in the XIX Century and early XX Century	269
The Role of Georgian Catholics in the Georgian Economy and Culture	286
Shalva Vardidze – a Forgotten Hero	297
From the History of the Immaculate Conception Church in Batumi	306
The Georgian Catholic Cloister in Istanbul	314
Catholicism in Soviet Georgia (Religious Politics, Repression, Terror)	354
Relations Between the Roman Catholic Church and Georgia at the Turn of the XX-XXI Centuries	378
ბიბლიოგრაფია	392

ევროპული თანამეგობრობისკენ საქართველოს სწრაფვა დღის წესრიგში აყენებს კათოლიკურ სამყაროსთან წარსული ურთიერთობების ისტორიის ახლებურ გააზრებას, მის გათავისუფლებას საბჭოური მითებისგან და რეალური სურათის სახით საზოგადოებისთვის მიწოდებას. საკითხის შესწავლის აუცილებლობამ მწვავედ იჩინა თავი საქართველოში პაპი ფრანცისკე I-ის (დ. 1936) 2016 წლის ვიზიტისას, როდესაც ამ მოვლენის მიმართ მაშინდელი ქართული საზოგადოების (საერო და სასულიერო) გაორებული პოზიცია შესაძლოა ყოფილიყო დიპლომატიური ურთიერთობების ხელშემშლელი ფაქტორი. არადა, რვა საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე კათოლიკობას და კათოლიკეებს ქართულ კონფესიურ მოზაიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ. კათოლიკე მამებმა საქართველოში ჩამოიტანეს ევროპული ფასეულობები, რომლებიც აისახა ადგილობრივ კულტურაში.

ე.წ. „საბჭოთა პერიოდში“ კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს წარსული ურთიერთობების შესწავლა ხდებოდა ცალმხრივად და ტენდენციურად. აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ ფეოდალური ხანის ქართულ-კათოლიკურ ურთიერთობებზე, სამხრეთ საქართველოში კათოლიკობის ისტორიის და ევროპული ორიენტაციის საკითხების შესწავლაზე. პრობლემის სიღრმისეული გაცნობით ირკვევა, რომ არის საკითხების სპექტრი, რომლებიც ახლებურ შესწავლა-გააზრებას საჭიროებს. მაგალითისათვის, მიგვაჩნია, რომ სახელწოდება „კათოლიკე“-ს კონფესიურ შინაარსს ქართულ საისტორიო მწერლობაში განმარტება საჭიროებს; ნაკლებია არის შესწავლილი კათოლიკური ორდენების მისიონერთა საქმიანობები. ნაკლებად არის გამოკვლეული ქართულ მენტალობაში კათოლიკური ტრადიციების ასახვის რეალური სურათი; უყურადღებოდაა დაჩენილი ქართველ კათოლიკეთა როლი ქართული სახელმწიფოებრიობის მშენებლობის საქმეში; შესწავლას საჭიროებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში კათოლიკობის ე.წ. „ფეხის მოკიდების“ გარემოებები; ასახსნელია და ისტორიულ კონტექსტშია წარმოსადგენი ჩვენში კათოლიციზმის რომაულ-კათოლიკური და სომხურ-კათოლიკური ეკლესიებით წარმოდგენის ფაქტი და ა.შ. აღნიშნული საკითხების შესწავლა მნიშვნელოვანია თვით დასავლური ისტორიოგრაფიისთვისაც. იდეოლოგიური და კონფესიური გარემოებების გამო ევროპელი სწავლულებისთვის (თეოლოგები და ისტორიკოსები) ხელმისაწვდომი არ იყო საქართველოში არსებული პირველწყაროები, რის გამოც მათი წარმოდგენები ქართულ-კათოლიკური

ურთიერთობების შესახებ ხარვეზებს შეიცავს. მამასადამე, კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობების ისტორიის ხელახალი შესწავლა-გააზრებით სამეცნიერო საზოგადოებას მიეწოდება ქართულ-კათოლიკურ ურთიერთობების შესახებ რეალური სურათი.

წინამდებარე მონოგრაფია შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფის მრავალწლიანი მუშაობის შედეგად, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. რა თქმა უნდა, ერთი მონოგრაფიის ფარგლებში ვერ მოხდებოდა ქართულ-კათოლიკური ურთიერთობების ყველა ასპექტის შესწავლა და თავმოყრა, რაზეც არც გვქონია პრეტენზია, თუმცა, შევეცადეთ წარმოგვეჩინა საქართველოში კათოლიკობის ისტორია უძველესი პერიოდიდან დღემდე, გამოგვეყო გარკვეული ეტაპები და წარმოგვეჩინა ჩვენში კათოლიციზმის გავრცელების ხასიათი, ყურადღება გაგვემახვილებინა ქართველ კათოლიკე მოღვაწეთა ღვაწლზე როგორც რელიგიური, ისე ეროვნული კუთხით, შეგვესწავლა სტამბოლის კათოლიკური სავანის, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის ისტორია და სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხები.

ჩვენ არ შევუდგებით ნაშრომში არსებულ სიახლეებზე საუბარს. დაე, ეს მკითხველმა განსაჯოს. წიგნზე მუშაობისას შევეცადეთ გაგვეთვალისწინებინა საისტორიო მეცნიერებაში არსებული ტრადიცია, რომელიც შევსებულია რიგი საკითხების ახლებური ინტერპრეტაციით. მონოგრაფიაში საკითხები დალაგებულია ქრონოლოგიური და თემატური კუთხით. თითოეული თავი წარმოადგენს ცალკე დასრულებულ კვლევას, თუმცა, ერთიანობაში ქმნის იმ მოზაიკას, რომელიც, ვფიქრობთ, პასუხობს ჩვენს მიერ საკვლევად დასმულ და სათაურში გამოტანილ პრობლემატიკას. მკითხველი ნახავს, რომ პუბლიკაციას ერთვის სრული ინგლისური ვერსია, რაც უცხოენოვან სამეცნიერო წრეებს საშუალებას მისცემს ვრცელი ინფორმაცია მიიღონ წმ. საყდართან საქართველოს ურთიერთობების ისტორიიდან. დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ავტორები მადლიერებით მიიღებენ მკითხველების მხრიდან გამოთქმულ საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს.



კათოლიკეების აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ქართულ
საისტორიო მწერლობაში

ვინაიდან კათოლიკეები საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ, ამიტომაც ინტერესს იწვევს ამ კონფესიის მიმართ ქართულ საისტორიო მწერლობაში დამკვიდრებული სახელწოდებების წარმოჩენა. ამ კუთხით სიცხადის შეტანას ის გარემოებაც განაპირობებს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები, რომ ტერმინი „კათოლიკე“ განავრცონ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ [ბრაგანტინი, 2018:23-24].

„კათოლიკეს“ განმარტებისას მხედველობაში მიიღება მისი ეტიმოლოგიური, თეოლოგიური და კონფესიური მნიშვნელობები. კვლევისას გასათვალისწინებელი არის ის გარემოება, რომ „კათოლიკე-კათოლიკურის“ დღევანდელ და თავდაპირველ გაგებას შორის დიდი განსხვავებაა.

„კათოლიკე-კათოლიკური“ (ბერძ. Καθολικός) „საერთო“, „საყოველთაო“, „მსოფლიო“, „ყოვლისმომცველი“ მნიშვნელობისაა. თეოლოგების განმარტებით, „სადაც ქრისტე იესოა, იქ კათოლიკე ეკლესიაც არის“ [კატეხიზმო, 1997:830]. ამ პოსტულატის გაგრძელებაა – „არსებობს მთლიანი და ერთიანი კათოლიკური ეკლესია [კატეხიზმო, 997:833]. მიჩნეულია, რომ ეკლესიის მიმართ ტერმინი – „ἡ καθολικὴ Εκκλησία“ პირველად დაახლ. 110



იესო – მწყემსი
კეთილი

წელს ეგნატე ანტიოქელმა (35-110) გამოიყენა. პირველ (325) და მეორე (381) მსოფლიო საეკლესიო კრებების დროს იგი „ნიკეა-კონსტანტინოპოლის სარწმუნოების სიმბოლო“-ს („მრწამსი“ – ავტ.) სახელწოდებით გაფორმდა [Cavvin, 2006:24-32].

კონფესიური თვალსაზრისით ტერმინ „კათოლიკე“-ს ქვეშ მოიაზრება დიდი „სქიზმის“ და განსაკუთრებით რეფორმაციის (XVI ს.) შემდეგ ქრისტიანული ეკლესიის ის მიმდევრები, რომლებიც რომის პაპების უზენაესობას აღიარებენ [ბრაგანტინი, 2018:23]. მათთვის პაპი პეტრე მოციქულის შემკვიდრეა და ამით ყველა სხვა ეპისკოპოსისგან გამორჩეული და მთელი ეკლესიის უპირველესი წინამძღვარი.

ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობის ადრეულ ეტაპზე ეკლესია ერთდროულად იყო „კათოლიკური“ და „მართლმადიდებლური“. „კათოლიკური“ (მსოფლიო), რადგანაც მასში მოიაზრებოდა რომის იმპერიის ერთიანი სივრცე

(დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაწილები) და რიგი მახლობელი ქვეყნები. ამის გარდა, იმავდროულად იგი იყო „მართლმადიდებლურიც“ (მკ. ბერძნ. იქმბრ, „მართალი“), რადგან უკანონოდ აცხადებდა ერესს და იცავდა თავისი მოძღვრების სისწორეს [პაპაშვილი, 1995:29-30]. ასე რომ, ნიკეა-კონსტანტინოპოლის მრწამსით ეკლესია იმთავითვე იყო „კათოლიკე სამოციქულო“ ანუ „საყოველთაო ეკლესია“, ე.ი. ეკლესია მოციქულთა დროიდან იყო კათოლიკე, ხოლო ეკლესიის ჭეშმარიტება, მართლმადიდებლობა მისივე კათოლიკობაა [ბრაგანტინი, 2018:23].

ქრისტიანულ კონტექსტში „მართლმადიდებლური“ გვხვდება ჯერ (ეს სიტყვა ზედმეტია) კლიმენტი ალექსანდრიელის (150-215) თხზულებაში [Климент, 2003: Stromata, I, 9], ხოლო ოფიციალურად ფიქსირდება ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების (451) აქტებში. VI ს-დან მან ფართო მნიშვნელობა შეიძინა და აღნიშნავდა იმ საღვთისმეტყველო შეხედულებებს, რომლებიც შეესაბამებოდა სახარებას და საეკლესიო სწავლებას. დოქტრინალურ საბუთებში „მართლმადიდებლური“ ხშირად „კათოლიკური“-ს სინონიმია. ამ აზრით იგი დღესაც იხმარება რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ლიტურგიკულ ტექსტებში.

დღეისათვის თეოლოგიურ საკითხებში (ფილიოკვე, განსაწმენდელის, პაპის პრიმატის და უცდომელობის საკითხები) წინააღმდეგობებმა კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიები ერთმანეთისგან მკვეთრად გამოიჯნა [თინიკაშვილი, ჯაში, 2012:160-161]. თუმცა ეს თემა ამ შემთხვევაში ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგადად ტერმინი „კათოლიკე-კათოლიკური“ უცხო არ არის აღმოსავლეთის ქრისტიანული ეკლესიებისათვის. დღესაც ასეთი სახელწოდებით მოქმედებს რუსეთის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია (იგივე ბიზანტიური წესის რუსული კათოლიკური ეკლესია), ანდა უკრაინის ბერძნულ-კათოლიკური ეკლესია. ისტორიულ წარსულში ეს ტერმინი იხმარებოდა ქართული ეკლესიის მიმართაც. მას თავისი ახსნაც ჰქონდა. ჯერ ერთი, თვით ტერმინს თავდაპირველად არა კონფესიური დატვირთვა ჰქონდა და მეორეც, ქრისტიანობის ადრეული პერიოდიდან მჭიდრო კავშირები წმინდა ტახტთან რაც გამოიხატა ქართულის ეკლესიის პირველი სასულიერო იერარქიის წარმომადგენლების რომიდან გამოგზავნაში, დოგმატური ხასიათის საკითხებზე ურთიერთმიმოწერებში, გეოპოლიტიკური ინტერესების თანხვედრაში [თამარაშვილი, 1902:24-25; პაპაშვილი, 1995:62 და ა.შ.], იძლეოდა იმის საფუძველს, რომ აღნიშნული ტერმინი გამოყენებულიყო ქართული

ეკლესიის მიმართაც. ამ ფაქტის საილუსტრაციო მაგალითია XI ს-ის უდიდესი თეოლოგის და საზოგადო მოღვაწის გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) კათოლიკედ მოხსენიება.

ნიშანდობლივია, რომ ეკლესიათა გათიშვის შემდეგ (1054 წ.), ბიზანტიისგან განსხვავებით, ქართველი საერო და სასულიერო პირები რომთან მაინც ინარჩუნებდნენ კავშირებს და რიგ საკითხებში მას უპირატეს ადგილს აკუთვნებდნენ. ამ თეზისის ერთ-ერთ არგუმენტად შეიძლება ჩაითვალოს გიორგი მთაწმინდელის (1009-1065) მიერ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე X დუკას (1059-1067) წინაშე წარმოთქმული სიტყვები: „ესე არს სარწმუნოებად მართალი ნათესავისა ჩვენისა“... და „არარაჲ არს ამას შინა განყოფილებად, ოდენ სარწმუნოებად მართალ იყოს“ [მცირე, 2011:59-60]. აღნიშნული კონტექსტი ნათელყოფს გიორგი მთაწმინდელის ლოიალურობას რომის ეკლესიის მიმართ. არსებითია, რომ საქართველოსთვის თეოლოგიურ საკითხებში გიორგი მთაწმინდელის ავტორიტეტს ხშირად იდეოლოგიური ფარის ფუნქციაც ჰქონდა [პატარიძე, 2005:28-36].

გეოპოლიტიკური, უფრო სწორად კი I-V ჯვაროსნული ლაშქრობის სამხედრო-პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე განმტკიცდა ორივე მხარეს შორის ეკლესიათა ერთიანობის გრძნობა [პაპაშვილი, 2919:142]. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე რომის საყდრიდან იყო ქართული ეკლესიის მიმხრობის ცდები. მაგ., პაპი ჰონორიუს III (1216-1227) მეფე რუსუდანისადმი (1223-1245) გაგზავნილ წერილში ვრცლად საუბრობს კათოლიკური რწმენისა და ეკლესიის ჭეშმარიტებაზე: „...საყვარელნო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ“ [თამარაშვილი, 1902:16]. ჩანს, რომის ეკლესიასთან ერთიანობისაკენ მიდრეკის იდეა ფიგურირებდა ქართველ პოლიტიკოსებში. ყოველ შემთხვევაში პაპ გრიგოლ IX (1227-1241) წერილი (13.01.1240) ამის მინიშნებას იძლევა: „რაც შეეხება იმას, რომ თქვენ გვთავაზობთ და ითხოვთ – თქვენი სულიერი სახლი შეუერთდეს ჩვენს სახლს, ჩვენ ვაქებთ თქვენს დიდებულებას“ [ტაბაღუა, 1984:189; 191]. და ეს ხდება სწორედ IV ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, როდესაც რომი-კონსტანტინოპოლს შორის დაპირისპირების აპოგეა სწორედ კათოლიკეების მხრიდან ორთოდოქსი ბიზანტიის იმპერიის განადგურებაში (კონსტანტინოპოლის დაპყრობასა და გამარცხვაში) გამოვლინდა. ეს ფაქტი ორ

რამეს ნათელყოფდა: პირველი, ქართველ სუვერენებს არ სურდათ ელიარები-ნათ, რომ ქართული ეკლესია ბიზანტიის სქიზმაზე შეჩერდა; და მეორე, საქართველოს სამეფო კარს სურდა, თუ შესაძლებელი იყო, სქიზმამდელი დროის საათები დაებრუნებინა [პაპაშვილი, 2019:162].


ცხადია, გეოპოლიტიკური ურთიერთსაჭიროება XI-XIII ს-ებში ჰქმნიდა ორივე კონფესიების დაახლოების ნიადაგს. იმ მომენტისთვის ქართველების ქართველების სქიზმატიკოსებად არ მოხსენიება არ ნიშნავს, რომ ტერმინი „კათოლიკე“ გავიგოთ დღევანდელი კონფესიური მნიშვნელობით. ფაქტია, რომ ბიზანტიაში „სქიზმის“ და განსაკუთრებით ლათინების მიერ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ, როდესაც საბოლოოდ მკვიდრდება რელიგიური გაყოფა-გათიშვა, ქართველებისთვის წმ. რომის ტახტი მაინც რჩებოდა უმთავრეს დასავლეთელ მოკავშირედ, საიდანაც ისტორიის მათვის უმძიმეს პერიოდებში ეძიებდნენ ხსნას. ეს იმიტომ, რომ ლათინურ დასავლეთთან და მის სულიერ მეთაურთან საქართველოს არანაირი რელიგიური დავა არ ჰქონდა [პაპაშვილი, 2019: 126].

საუკუნეების მანძილზე წმ. რომის ტახტთან და ზოგადად კათოლიკურ სამყაროსთან მიმდინარე საქართველოს ურთიერთობებმა თავისი ანარეკლი დატოვეს ქართულ რეალობაში. ეს იქნება იკონოგრაფია, საისტორიო მწერლობა, ლიტერატურა თუ მეტყველება [თინიკაშვილი, 2015:86-92].

მეტყველებაში შემორჩენილი ტერმინოლოგიებიდან მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ სამეგრელოში გავრცელებულ მღვდლის აღმნიშვნელ სახელ „პაპა“-ზე [პაპაშვილი, 1995:10; ლექსიკონი, 2015:168]. ლათინური ტერმინი „Papa“ ბერძნული სიტყვის ლათინიზირებული ფორმაა და „მამას“ ნიშნავს. ადრეული ქრისტიანობის პერიოდში ეს სახელი მიღებული იყო სხვადასხვა ეკლესიის მეთაურების მიმართ. დასავლეთში ამ ტიტულს ატარებდნენ კართაგენის და რომის ეპისკოპოსები. აღმოსავლეთის ეკლესიის მესვეურთაგან ამ ტიტულს ფლობდა ალექსანდრიის პატრიარქი. IV ს-ის მიწურულიდან „Papa“ უკვე იხმარება რომის ეპისკოპოსის, დასავლეთის პატრიარქის და მსოფლიო ეკლესიის ტიტულის აღსანიშნავად. 1073 წელს გრიგოლ VII (1073-1085) გადაწყვეტილებით „Papa“ ტიტულის ტარების უფლება მიეცა მხოლოდ რომის ეპისკოპოსს [პაპაშვილი, 1995:10]. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მღვდლის აღმნიშვნელი სახელი „პაპა“ სამეგრელოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის ანარეკლი უნდა იყოს. ჩვენს ვარაუდს ის გარემოებაც ამაგრებს, რომ სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისგან განსხვავებით სამეგრელო ყველაზე მეტად თანამშრომლობდა რომის საყდრიდან მოვლენილ მისიონერებთან.

ზოგადად კათოლიკური სამყარო ქართულ საისტორიო მწერლობაში, აქ ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ წყაროებს, ძირითადადში სამი სახელის – „რომი“-ს, „ფრანგი“-ს და „ლათინის“ გარშემო ფიგურირებდა. ვინაიდან კვლევის ობიექტია ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის უმთავრესი წყარო – „ქართლის ცხოვრება“, შევნიშნავთ, რომ „კათოლიკური თემი“ კრებულში „რომი“-ს და „ფრანგი“-ს სახით სხვადასხვა ვარიაციებით ფიქსირდება (ჰრომი, ლათინი, ფრანგი, ბრანჯი). ამთავითვე შევნიშნავთ, რომ სახელწოდებებს აქვთ კონკრეტული მნიშვნელობა, ან არიან ერთმანეთის სინონიმი, ანდა აქვთ მხოლოდ რელიგიური კუთვნილების გაგება.

„რომი“ „ქართლის ცხოვრება“-ში გამოყენებული არის სხვადასხვა ვარიაციებში („ჰრომნი“...) და არის ადამიანის საკუთარი სახელის („ჰრომოსი“), ქალაქის და ქვეყნის აღმნიშვნელად. ქვეყნის სინონიმად საუბრისას უნდა შევნიშნოთ, რომ მემატიაზე „რომის“ ქვეშ მოიაზრებდა ანტიკური რომის იმპერიის დასავლეთ [ქართლის ცხოვრება, 1955:162] და აღმოსავლეთ ნაწილებსაც. უკანასკნელის მიმართ მემატიაზე ხშირად საბერძნეთსაც მოიაზრებდა [„ქართლის ცხოვრება“, 1955:18; 80]. ამ შემთხვევაში ნაწილობრივ ფიქსირდება ისტორიული რეალობა, რადგანაც იმ პერიოდში მსოფლიო რუკაზე ბიზანტია, როგორც სახელმწიფო არ არსებობდა. მართალია, „ქართლის ცხოვრებაში“ ნახსენებია ბიზანტია, მაგრამ აქ იგი არის მხოლოდ პიროვნების სახელის და ქალაქის სინონიმად: ალექსანდრე მაკედონელმა „...ბიზანტიონს მისცა საბერძნეთი და ქართლი... და მან აღაშენა ქალაქი ბიზანტია“ [იქვე, 1955:20].



შევნიშნავთ, რომ სახელწოდება „ბიზანტია“ ხელოვნურია და იგი 1557 წელს ხმარებაში შემოიღო გერმანელმა ჰუმანისტმა და ისტორიკოსმა ჰიერონიმუს ვოლფმა (გერმ. Hieronymus Wolf, 1516-1580). მართლაც, ისტორიის 395-1453 წლების მონაკვეთში აღმოსავლეთ რომის იმპერიის სახელწოდებები იყო: „რომის იმპერია“ (ლათ. Imperium Romanum; ბერძნ. βασιλεία τῶν Ῥωμαίων [basileia ton romaion]), „რომაელების იმპერია“ (ლათ. Imperium Romanorum; ბერძნ. Ἀρχὴ τῶν Ῥωμαίων), „რომანია“ (Ῥωμαῖνα), ანდა „რომაისი“ (Ῥωμαῖς [Romain]). იმპერიის მცხოვრებლები თავს უწოდებდნენ „რომაიო“-ს – რომაელებს (Ῥωμαῖοι [romaioi]). მათ მართავდა რომის იმპერატორი – „ბასილევსი“ (Βασίλευς τῶν Ῥωμαίων [basileus ton romaion]) [სურგულაძე, 2019:9].

სამწუხაროდ, აღმოსავლეთ რომის იმპერიის აღმნიშვნელი ჩვენს მიერ მოტანილი ისტორიული სახელწოდებები ქართველი მეისტორიესთვის უცნობია. კრებულში ნახსენები არის რომის პაპი – „წმიდისა პატრიარქმან ჰრომისამან“ [ქართლის ცხოვრება, 1955:124]. ქართლის გაქრისტიანების და წმ. ნინოს მისიონერული მოღვაწეობის ამბებთან დაკავშირებით მემატიაწე წერდა: „მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიარქისა“ (იქვე). ამ შემთხვევაში დაფიქსირებულია წმ. საყდრის როლი გაქრისტიანების საქმეში. ამ პასაჟის გაგრძელებაა „...ვიყო მორჩილ ნინოსა ზედა ჰრომ თასა“ [„ქართლის ცხოვრება“, 1955:110]. კრებულში ნახსენებია: „ვიგილიოს წმიდისა ჰრომთა პაპისა“ [იქვე, 1955:215]. ამ შემთხვევაში მემატიაწეს მხედველობაში ყავდა რომის პაპი ვიგილიუსი (Vigilius PP.; 535-555), რომელმაც უარი განაცხადდა მონაწილეობა მიეღო 553 წელს კონსტანტინოპოლში მიმდინარე მეხუთე მსოფლიო კრების მუშაობაში.

ასევე „ქართლის ცხოვრება“-ში ნახსენებია: „ადგილის-მცველნი ალათონ ჰრომთა პაპისანი“ [„ქართლის ცხოვრება“, 1955: 232]. აქ მხედველობაშია 680-681 წლებში მიმდინარე კონსტანტინოპოლის მესამე საეკლესიო კრების (მართლმადიდებლებისთვის მეექვსე მსოფლიო საეკლესიო კრება) ამბებთან დაკავშირებით რომის პაპი აგათო (Agatho PP.; 678-681). რეალობაში პონტიფიკი საეკლესიო კრებას არ ესწრებოდა და მის მაგივრად იქ მეთვალყურის რანგში წარდგენილი იყო ლეგატები. სამწუხაროდ, ქართველ მემატიაწესთვის მათი სახელები უცნობია.

დღეს რთულია კონკრეტულად იმ წყაროს დასახელება, საიდანაც უნდა ამოეღო მემატიაწეს „რომი“ და პაპებთან დაკავშირებული ინფორმაციები. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვისაუბროთ. უდავოა, რომ ქართულ ცნობიერებაში ინფორმაციები სხვადასხვა გზით შემოდიოდა. შეიძლება აქ ვიგულისხმოთ კრებულის პირით გაჟღერებული ოფიციალური პოზიცია, ინფორმაციების მიღება ბიზანტიური სამყაროდან, სადაც აქტიურად მოღვაწეობდნენ ქართველები, ანდა უშუალოდ წმინდა ტახტთან ურთიერთობების შემთხვევაში. ჩვენ მაინც გამოვეყოფთ ბიზანტიურ (რომაულ) საისტორიო სკოლის ტრადიციებს. იქ არსებული განათლების კლასიკური სისტემა (უმაღლესი სკოლა – აუდიტორიუმი, აკადემიები...) ხელმისაწვდომი იყო ქართველებისთვისაც. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ XI-XII ს-ბის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობდა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის პირველი ვარიანტის შედგენა, იგი დაემთხვა კომუნენოსების პერიოდის ისტო-

რიოგრაფიას, რომელიც იყო ბიზანტიური საისტორიო აზროვნების მწვერვალი. ცხადია, ბიზანტიელი (რომაელი) ისტორიკოსების შრომები ხელმისაწვდომი იყო იქ მოღვაწე ქართველებისთვისაც (საერო და საეკლესიო).

„ქართლის ცხოვრებაში“ სხვადასხვა ვარიაციებით არის ტერმინი „ფრანგი“. იგი ნახსენები არის „ბრანჯეთი“, „ბრანჯთა ენა“, „ბრანჯნი“, „ბრანჯთა მეფე“ და „ბრანჯთა დიაკონის“ სახით. ასევე „ფრანგნი“ [„ქართლის ცხოვრება“, 1955:252] და შესაბამისად ქვეყანა „ფრანგეთი“ [იქვე, 1955:260]. ხშირად „ფრანკი“, „ფრანგნი“ და „ლათინი“ ერთმანეთის სინონიმად არის გამოყენებული. უფრო მეტიც, აღმოსავლეთ სამყაროში „ლათინები“ ძირითადად „ფრანკი-ფრანგად“ იწოდებოდნენ. ასე მაგ., „ამას ჟამსა გამოვიდეს ფრანგნი, აღიდეს იერუსალიმი და ანტიოქია...“ [იქვე, 1955:325]. ამ შემთხვევაში იგულისხმება I ჯვაროსნული ომის 1098-1099 წლების პერიპეტეები და აქ აშკარად ჩანს, რომ ტერმინის ქვეშ მოიაზრება არა კონკრეტულად ფრანგი რაინდები, არამედ ზოგადად ლათინური სამყარო. მაშასადამე ციტატა კიდევ ერთხელ გვაჩვენებს, რომ ეს ტერმინები ერთმანეთის სინონიმებია. თუმცა შევნიშნავთ, რომ „ლათინს“ ასევე რელიგიური კუთვნილების მნიშვნელობაც ეძლეოდა [თინიკაშვილი, 2015:3-4].

რაც შეეხება სახელწოდება „ფრანკი“-„ფრანგნი“-ს, შევნიშნავთ, რომ ამ შემთხვევაშიც რთულია კონკრეტული წყაროს დასახელება. მეტი ალბათობით, ვარაუდის სახით კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ცნობები ქართულ სივრცეში უნდა შემოსულიყო ბიზანტიური (რომაული) სამყაროდან. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ბიზანტიური (რომაული) ოფიციალური პოზიცია. ასევე მხედველობაში მისაღები არის I ჯვაროსნული ომების პერიოდშივე უშუალოდ ჯვაროსნებსა და წინა აზიაში მოღვაწე ქართველ სასულიერო პირებს შორის ჩამოყალიბებული უაღრესი კეთილგანწყობა [თინიკაშვილი, 2015:93-102; პაპაშვილი, 1995:71-72].

დასასრულ, შევნიშნავთ, რომ ძირითადად ასეთია „ქართლის ცხოვრება“-ში დაფიქსირებულ „კათოლიკური თემის“ აღმნიშვნელი ტერმინები. რადგანაც „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებები ეპოქის შესაბამის საისტორიო აზროვნების ანარეკლს წარმოადგენდა, შესაბამისად, მასში დაფიქსირებული კათოლიკური სამყაროს აღმნიშვნელი ტერმინები მიუთითებდა ქართულ სივრცეში დასავლური სამყაროსთან კავშირებს.



კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობების სათავეებთან

კათოლიკურ სამყაროსთან საქართველოს ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი სათავეს საუკუნეების სიღრმეში, ჯერ კიდევ იმ ეპოქაში იღებს, როცა მოხდა ერთიანი ქრისტიანული ეკლესიის გათიშვა, ანუ ე.წ. სქიზმა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის საჭეთმპყრობელნი ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ვატიკანთან კავშირს, მტრულ გარემოცვაში მოქცეულნი, სწორედ კათოლიკურ ევროპაში ხედავდნენ ბუნებრივ მოკავშირესა და მხსნელს. თუმცა, მჭიდრო კავშირ-ურთიერთობების დამყარების გზაზე იყო ბევრი, ზოგჯერ დაუძლეველი, წინააღმდეგობა და ხელშემშლელი გარემოება.

საქართველოში ქრისტიანობამ ადრევე შემოაღწია. ახალი რელიგიური თემები აქ პირველ საუკუნეებში გაჩნდა, ქრისტიანობის საბოლოო გამარჯვება კი სწორედ რომის იმპერიის თანადროულად მოხდა, რადგან როგორც ქართლი, ისე ეგრისი მისი პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრების ორბიტაში ექცეოდა. ამ მხრივ საგულისხმო და ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ IV საუკუნეში ქართლის მოქცევა უყურადღებოდ არ დარჩენიათ რომში, პირველი სასულიერო იერარქიაც იქედან მოავლინეს და თვით ნინო კაპადოკიელი იქ წმინდანად შერაცხეს [პაპაშვილი, 1995:60-61].

რომის ეკლესიასთან სიახლოვე, მიმოწერა და სარწმუნოებრივი დოგმების გაცნობა-გაზიარება არც მომდევნო პერიოდში შეწყვეტილა, რის დასტურიცაა იბერიის კათალიკოს კირიონ I-ის (596-610) მიერ პაპ გრიგოლ I-სადმი (590-604) გაგზავნილი წერილი დოგმატური ხასიათის შეკითხვით: „საჭირო იყო თუ არა მონაწიე ნესტორიანელები ხელახლა მოენათლათ? [თამარაშვილი, 1902:24-26; პაპაშვილი, 1995:62]. მ. თამარაშვილისთვის ის ფაქტი, რომ „საქართველოს კათალიკოსს სასულიერო კითხვების განსამარტებლად რომის პაპისათვის მიუმართავს და არა აღმოსავლეთის ქრისტიანებისათვის, საკმაო საბუთია იმისი, რომ საქართველოს სარწმუნოების კითხვებში რომასთან უფრო კავშირი ჰქონია, ვიდრე ბერძნებთან“ [თამარაშვილი, 1902:26]. ამ მოსაზრებას ეთანხმება პროფ. მ. პაპაშვილიც, თუმცა, თავად ეს წერილი შეიცავს ამ მტკიცებულების ერთგვარად შემასუსტებელ არგუმენტს. საქმე იმაშია, რომ რომში წმ. პეტრეს საფლავის მოსალოცად მიმავალი პირი, რომელსაც გაატანა წერილი ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობელმა, ჯერ იერუსალიმის მისულა და თავად მ. პაპაშვილისვე განმარტებით, „შესაძლებელია, იერუსალიმის პატრიარქსაც ეწვია კირიონის დავალებით“ [პაპაშვილი, 1995: 62].

ამდენად, ეს მიმოწერა რომზე პირდაპირი დამოკიდებულების უტყუარ საბუ-
თად არ გამოდგება [მამისთვალიშვილი, 2011:83-89].

ეკლესიათა გათიშვის შემდეგ (1054 წ.) უმაღლესი ქართველი საერო და
სასულიერო პირები რომთან გარკვეულ კავშირს კვლავ ინარჩუნებენ. მიხეილ
თამარაშვილი მის ხელთ არსებულ მასალაზე დაყრდნობით გასული საუკუ-
ნის დასაწყისში ეჭვს გამოთქვამდა „ქართველებიც ბერძნებთან ერთად გაჰყ-
როდნენ რომის ეკლესიას“ და ცალკეული წერილობითი წყაროს მოშველიე-
ბით ამტკიცებდა, რომ „მეცამეტე საუკუნეში ისევ ყოფილა ერთობა ლათინთა
და ქართველთა შორის, რომ ეს ერთობა მტკიცედ დაცულია ვიდრე 1230
წლამდე, ხოლო ამ ხანების შემდგომ მომხდარა განცალკევება...“ [თამარაშ-
ვილი, 1902:5-23].

რა თქმა უნდა, არსებობს სხვა მოსაზრებაც. პ. იზაშვილის აზრით, „ეკ-
კლესიათა განაწილების დროს, მე-XI საუკუნის დასასრულს, აღმოსავლეთში
საქართველო საკმაოდ კულტურულს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ
შეუძლებელია, რომ მას შორიდგან ეცქირა და მონაწილეობა კი არ მიეღო იმ
სარწმუნოებათა ბრძოლაში, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის
იყო ატეხილი. ყველა მსოფლიო კრებებში მონაწილეობის გარდა, სადაც მას
თავის წარმომადგენლები ჰყავდა ხოლმე, საქართველო არც შინ იყო მოკლე-
ბული იმ სარწმუნოებრივ საგნების მიზეზით გამოწვეულ აღელვებასა და კა-
მათს, რომელიც მთელს მაშინდელს ქვეყანას ალაპარაკებდა. ამ სხვათა დამო-
უკიდებლობის წყალობით საქართველო ეკლესიათა უკანასკნელად განაწი-
ლების შემდეგ ორის საუკუნის განმავლობაში განცალკევებული იყო და თა-
ვის საერო ეკკლესიის თვით-მყოფობას მტკიცედ იცავდა“ [იზაშვილი, 1898: 7].

პროფ. მ. პაპაშვილი მიიჩნევს, რომ ქართველი ეკლესიის მსახურები
რომს უპირატეს ადგილს აკუთვნებდნენ მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში.
მიხეილ თამარაშვილის მსგავსად ამის ერთ-ერთ არგუმენტად მას მოჰყავს
1065 თუ 1066 წელს გიორგი მთაწმინდელის მიერ ბიზანტიის იმპერატორ
კონსტანტინე X დუკას წინაშე წარმოთქმული სიტყვები. საქართველოს მეფე
ბაგრატ IV-ის მიერ ბიზანტიას წარგზავნილ გიორგი ათონელს იმპერატორმა
ჰკითხა ქართველებისა და ბერძნების სარწმუნოებას შორის განსხვავების
თაობაზე, რაზეც მიიღო პასუხი: „ესე არს სარწმუნოებაი მართალი ნათესავისა
ჩვენისაი. და რაჟამს ერთგზის გვიცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ,
გინა მარჯვლ. და არცა მივდრკებით, თუ ღმერთსა უნდეს“ [გიორგი მცირე,
2011:59]. მას შემდეგ, რაც იმპერატორი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ

ქეშმარიტ სარწმუნოებაზე მდგომ, ფრიად განათლებულ და ბრძენ სასულიერო პირს ესაუბრებოდა¹, ჰკითხა აზრი რომაულ და ბერძნულ ეკლესიებს შორის არსებულ განსხვავებაზე, მიზეზზე, თუ რატომ ვწირავთ „ჩვენ და თქვენ“ ერთნაირად, ხოლო „ჰრომნი“ განსხვავებულად. გიორგი მთაწმინდელის მარტივი, მაგრამ გენიალური და, რაც მთავარია, არაკონფრონტაციული განმარტებით, ბერძნულ ეკლესიაში ხშირი მწვალებლობის გამო წმინდა კრებებზე დაწვრილებით გამოიძიეს ქრისტიანობის საწყისები და დაადგინეს შესაბამისი წესებიც. ხოლო რომაელები, რომელთაც ერესი არ შეეხებიათ, ძირითადად უფლის მიერ სერობისას მიცემული მაგალითისა და პეტრე დიდის წირვის მიხედვით აღასრულებენ რიტუალებს. „და არარაი არს ამას შინა განყოფილებაი, ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს“ [გიორგი მცირე, 2011:60].

მართალია, ზემოაღნიშნული სიტყვებით გიორგი მთაწმინდელი ეკლესიათა ერთიანობის დამცველად გვევლინება, მაგრამ ვფიქრობთ, გადაჭარბებული უნდა იყოს შეფასება რომის უპირატესი როლის შესახებ და რომ თითქმის რომის ეკლესიის დაცვით, გიორგი ათონელს სურდა „ქართული ეკლესია უშუალოდ შესულიყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობის სფეროში“ [პაპაშვილი, 1995:69]. ჩვენთვის არც ისაა ბოლომდე ცხადი, რომ „იმ დროს, ესე იგი, 1066 წ. ქართველები რომისაგან არ ყოფილან გაყრილნი ბერძნებთან ერთად“ [თამარაშვილი, 1902:23]. საინტერესოა ამ საკითხზე გ. მაჭარაშვილის მოსაზრება. მისთვის თვალნათელია, რომ იმპერატორ კონსტანტინე დუკას წინაშე წარდგომისას გიორგი ათონელს არ გამოუჩენია შემწყნარებლობა კათოლიციზმისადმი. მან ყურადღება მიაქცია გიორგი მთაწმინდელის ფრაზას – „ოდენ სარწმუნოებაი მართალ იყოს“. მკვლევარი ფიქრობს, რომ აქ გიორგი მცირე ტერმინ „სარწმუნოებას“ ხმარობს სარწმუნოების სიმბოლოს (ანუ მრწამსის) მნიშვნელობით. „გიორგი ათონელის ცხოვრების ამგვარი წაკითხვით სავსებით ნათელი ხდება პოზიცია, რომელიც დაიკავა ღირსმა მამამ რომაელებთან მიმართებაში: ევქარისტის აღსრულებასთან დაკავშირებული საწესჩვეულებო განსხვავებები არ უნდა გააზრებულიყო, როგორც სარწმუნოებრივი გაუცხოება ან ერესი, ოდენ სარწმუნოების სიმბოლო

¹ მისასალმებელი სიტყვის, ქებისა და ლოცვა-კურთხევის წარმოთქმის შემდეგ გიორგი მთაწმინდელს იმპერატორმა მიმართა სიტყვებით: „მადლიერი ვარ უფლისა ბაგრატ სევასტოსისა და, რომელ ესევეთარი კაცი, მიმსგავსებული ანგელოზთაი, წინაშე მეფობისა ჩვენისა წარმოავლინა, რამეთუ დაღაცათუ ნათესავით ქართველი არს, ხოლო ყოვლითურთ წესი ჩვენი ჰმოსიეს“ [გიორგი მცირე, 2011:58].

მართალი (ესე იგი ფილიოკვედაურთველი) ყოფილიყო... ამგვარად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცხადება კათოლიციზმის მხარდამჭერად იმის გამო, რომ წმიდა გიორგი ათონელმა ერთგვარი იკონომიური გამონათქვამი იხმარა რომის ოფიციალური ეკლესიის მიმართ და თავი შეიკავა ევქარისტის პრაქტიკასთან დაკავშირებით დასავლეთში გავრცელებული შეხედულებების დაგმობისაგან, უბრალო გაუგებრობის შედეგია და მეტი არაფერი“ [მაჭარაშვილი, 2007:14-18].

როგორც მივანიშნეთ, აღნიშნულ ეპიზოდში ბიზანტიის იმპერატორი ქართველებთან სარწმუნოებრივ ერთობას არაერთგზის უსვამს ხაზს. უფრო მეტიც, სარწმუნოებრივი ერთობის გათიშვის ახლო ხანებში, ანუ ამ შემთხვევამდე რამდენიმე წლით ადრე, ბერძნებმა ანტიოქიის ახალ პატრიარქ თეოდოსი III-სთან (1057-1059) დააბუხლეს შავ მთაზე მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები და მათ მონოფიზიტობა დასწამეს. ამ თემაზე გიორგი მთაწმინდელთან საუბრის შემდეგ კი პატრიარქმა განაცხადა: „აჰა ესერა გხედავ მოწყალებითა ღმრთისაითა, დადაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კულა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ... კურთხეულ არს ღმერთი! ვიეთნიმე ნაკლულევანებასა სწამებდეს ქართველთა და, აჰა ესერა, მრავლითა სახითა უზეშთაეს იპოვნეს ჩვენსა და უფროის ხოლო ქალწულებითა, რომელი-იგი მალლად უპყრიეს მათ“ [გიორგი მცირე, 2011:36].



გიორგი მთაწმიდელი
(ივერთა მონასტრის
ფრესკა)

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, „სქიზმის“ შემდეგ ქართველთათვის² ეკლესიის ერთიანობის შენარჩუნება მნიშვნელოვანია, გამომდინარე მწვალებლებთან ხანგრძლივი ბრძოლის არსებული გამოცდილებიდან, თუმცა, დოგმატური ერთობა ბერძნულ-მართლმადიდებელ ეკლესიასთან იმთავითვე აშკარაა. ვფიქრობთ, ერთი მხრივ, სწორედ ეკლესიათა ერთიანობის შენარჩუნების სურვილით უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი ის ფაქტი, რომ მე-13 საუკუნემდე საქართველოში არ წყდება 5 პატრიარქის (მათ შორის რომის) მოხსენიება, განსხვავებით ბერძნებისაგან „რომელთაც, გაყრის

² მიგვაჩნია, რომ გიორგი მთაწმინდელის მაგალითი საკმარისია ქართველებისა და, ზოგადად, საქართველოს სარწმუნოებრივ მდგომარეობაზე სასაუბროდ, რადგან საქართველოში მეფე ბაგრატ IV-ის მოწვევით ყოფნის პერიოდში, 5 წლის მანძილზე სწორედ ის აძლევდა ტონსა და მიმართულებას ქართულ ეკლესიას.

უმალვე 1054 წ. თავიანთ დიპტიკებისა და სხვა წიგნებში პაპისა და მეხუთე პატრიარქის სახელი ამოშალეს და დაიწყეს მის შემდგომ მარტო ოთხი პატრიარქის ხსენება“ [თამარაშვილი, 1902:6]. მეორე მხრივ კი „ქართველების მიერ დიპტიქში პაპის სახელის მოხსენიება მხოლოდ პატივისცემისა და კეთილგანწყობის გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ რომის ეკლესიისადმი“ [თინიკაშვილი, 2015:77]. ამდენად, ამ სიტუაციის ყველაზე ობიექტური შეფასება არის ის, რომ „1054 წლიდან 1230-იან წლებამდე საქართველოს ეკლესიას ვერც რომის ეკლესიის ნაწილად ანუ მისადმი დაქვემდებარებულად და ვერც მისგან გამიჯნულად ანუ განხეთქილებაში მყოფად მივიჩნევთ“ [თინიკაშვილი, 2015:56]. ამავე კონტექსტში ფრიად საგულისხმოა ამერიკელი ისტორიკოსის, ჯორჯ დენისის აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ 1054 წელს რომსა და კონსტანტინეპოლს შორის დაპირისპირებას არ მოჰყოლია საეკლესიო სქიზმა: „XII საუკუნის შუა ხანებამდე ჯერ კიდევ იყო ერთობა, შესაძლოა სუსტი, მაგრამ განხეთქილება ნამდვილად არ ყოფილა. XIII საუკუნის პირველ ათწლეულებში ეს გაუცხოვება სრულ სახეს იძენს და აქ უფრო კორექტულია სქიზმაზე საუბარი“ [თინიკაშვილი, 2015:38].

XI საუკუნის შუა ხანებიდან თურქ-სელჩუკებმა დიდი საფრთხე შეუქმნეს ბიზანტიის იმპერიას. მათ დაიპყრეს მთელი მცირე აზია, სირია, პალესტინა იერუსალიმით, სადაც იყო ქრისტიანთა მთავარი სალოცავები. 1096 წელს, რომის პაპის ურბან II-ის მოწოდების საფუძველზე, დაიწყო ე.წ. „ჯვაროსნული ომები“, რასაც საუკუნის მიწურულს მოჰყვა ახლო აღმოსავლეთში წმინდა ადგილების გათავისუფლება. პარალელურად, „დიდი თურქობის“ შედეგად მოხრებული საქართველო, დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) დიდი რეფორმატორული და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის წყალობით, აღმოსავლეთში ქრისტიანობის ბურჯად აქცია. არსებობს ცნობები, რომ დავითს უშუალო კონტაქტი ჰქონდა ჯვაროსნებთან, მეგობრული ურთიერთობა იერუსალიმის მეფე ბალდუინთან, რაც ერთმანეთისადმი საჩუქრების გაგზავნაში გამოიხატებოდა [ავალიშვილი, 1989:48; ბადრიძე, 1984:121]. ზოგიერთ ავტორთან ვხვდებით (თუმცა ნაკლებად სარწმუნოა) ცნობას ქართული ლაშქრის იერუსალიმისთვის ბრძოლის შესახებ. ამავე დროს, უტყუარი ფაქტია ჯვაროსნების მონაწილეობა დიდგორის ომში [„ქართლის ცხოვრება“, II; მეტრეველი, 1990:296; თინიკაშვილი, 2015:182-195].

დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ საქმეს მეტ-ნაკლები წარმატებით განაგრძობდნენ მისი მემკვიდრეები. ჯვაროსნებისათვის საქართვე-

ლო ისლამის შემმუსვრელად და ქრისტიანობის დამცველად იქცა. თამარ მეფის (1184-1213) სახელი შორს გასცდა ქვეყნის ფარგლებს. მის სადიდებელს ფრანგი მეზღვაურებიც კი მღეროდნენ. ვენის უნივერსიტეტის პროფესორის, რობერტ ბლაიხშტაინერის აზრით, შუა საუკუნეების დასავლეთის რაინდობა ქართულის გავლენას განიცდიდა [პაპაშვილი, 1995:77].

საინტერესოა ლ. ისარლოვის ერთი ცნობა XII საუკუნის საქართველოში კათოლიკური ეკლესიის არსებობის შესახებ: „ანაკლიაში კათოლიკეთა ეკკლესია არებობდა. ეს ეკკლესია შემდეგში ოსმალებმა გაანადგურეს. ამ რამდენიმე წლის წინად ინგურის ქვიშაში ამ ეკლესიის ზარი იპოვნეს. ზარს ლათინურ ენაზედ მე-XII საუკუნის წარწერა ჰქონდა“ [ისარლოვი, 1898:26].

დიდი თამარი საქართველოს სამეფო ტახტზე ახალგაზრდა, რაინდული სულისკვეთების ლაშა-გიორგიმ (1213-1222) შეცვალა, რომლისგანაც თავად ჯვაროსნები ელოდნენ ხსნას. ამ პერიოდში ბეზანსონის არქივისკოპოსისადმი ერთ-ერთ რაინდის წერილში აღფრთოვანებული მოლოდინია იმისა, რომ ქართველები მათი ალექსანდრეს ბადალი ძალის მქონე 16 წლის მეფის სარდლობით „წმინდა იერუსალიმის მიწის სახსნელად მოვლენ და ურჯულოებს დაიმორჩილებენ“ [ავალიშვილი, 1989:97]. ლაშა-გიორგის მართლაც ჰქონდა გადაწყვეტილი შეერთებოდა ჯვაროსანთა მეხუთე ლაშქრობას, მაგრამ მონღოლთა შემოსევამ შეუშალა ხელი.

გიორგი-ლაშას პოლიტიკური კურსის მხარდამჭერია მეფე რუსუდანი (1222-1245). პაპისადმი გაგზავნილ წერილში იგი გამოთქვამს მზადყოფნას ქართული ჯარი გაგზავნოს წმიდა საფლავის გასათავისუფლებლად. ამირსპასალარი ივანე მხარგრძელი კისრულობდა 40 ათასი მხედრის გამოყვანას, თუმცა არც ეს გეგმა განხორციელდა, ამჯერად ხვარაზმელთა ლაშქრობის გამო.

რა განაპირობებდა ჯვაროსნებთან ქართველთა ასეთ მჭიდრო კავშირს? სწორი პოლიტიკური გათვლა – საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წადილი თუ, ამავე დროს, სარწმუნოებრივი ერთობაც? როგორც ირკვევა, ამ დროის მწერლები ქართველებს კათოლიკებად მოიხსენიებენ. მ. თამარაშვილის მიხედვით, ქართველთა და რომაელთა ეკლესიების ერთობა XIII საუკუნის პირველ ნახევრამდე მაინც ეჭვს არ უნდა იწვევდეს [თამარაშვილი, 1902:7]. ამის საბუთად მას მოჰყავს რუსუდან მეფის წერილი და პაპი ჰონორიუს III პასუხი. რუსუდანის წერილი იწყება ასე: „*უწმინდეს პაპს, მამას და ყველა ქრისტიანების მთავარს, წმიდა პეტრეს საყდარზე მჯდომარეს. ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და სული უმდაბლესად თავს გიკრავთ და მოგესალმებით*“. ამის შემდეგ რუსუ-

დანი აუწყებს პაპს, რომ მისი ძმა, ქართველთა მეფე ლაშა-გიორგი მიიცვალა და სამეფო მას ერგო; რომ მისი სიწმინდის რჩევისა და ბრძანების შესაბამისად ლაშას განზრახული ჰქონდა ქრისტიანების შესაწევნელად წასვლა, მაგრამ მონღოლთა გამოჩენის გამო ეს განზრახვა ვერ აისრულა; რომ ახლა თავად არის მზად ქართული მხედრობა გაგზავნოს იქ, სადაც პაპი ინებებდა. „ეგრეთვე გაუწყებთ, რომ ამ ჩვენმა მხედართმთავარმა (ივანემ – ავტ.) და ჩვენის სამეფოს სხვა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა და წასვლას ელიან. ამისთვის ვევედრებით და ვთხოვთ თქვენს უწმინდესობას, რათა მოგვწეროთ და გვიბოძოთ თვენი კურთხევა ჩვენ, აღმოსავლეთში მყოფ ქრისტიანებს“ [თამარაშვილი, 1902:7-8]. წერილი დაწერილია ლაშას გარდაცვალების შემდეგ 1223-1224 წლებში. ამავე პერიოდში დაიწერა და რომში გაიგზავნა ამირსპასალარ ივანე მხარგრძელის დაახლოებით მსგავსი შინაარსის წერილი.

ზემოაღნიშნულ წერილზე დაყრდნობით მ. თამარაშვილი აკეთებს დასკვნას: „წერილიდგან ცხადად ჩანს, რომ რუსუდანი პაპს აღიარებს მამად და ყველა ქრისტიანების მთავრად. ცხადზე უცხადესია, რომ საქართველოს ეკლესიასა და პაპს შორის მჭიდრო კავშირი და ერთობა რასებობდა. ამ დროს საქართველოს ეკლესია რომისაგან გაყრილი რომ ყოფილიყო, მაშინ რუსუდან სრულიადაც არ მისწერდა პაპს ასეთის შინაარსის წერილს და არც ისე ერთიანად მოემზადებოდა საქართველოს ერი და მეფე პაპი ელჩის მოწოდებით პალესტინაში საომრად წასასვლელად. ესრეთი წერილი და საქართველოს მომზადება პაპის ბრძანების აღსასრულებლად სხვა არაფრით აიხსნება, თუ არა იმით, რომ ამ დროს კიდევ ყოფილა ერთობა“ [თამარაშვილი, 1902:8].

საპასუხო წერილში, იმავე 1224 წელს, პაპი უწონებს ქართველებს ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღების გადაწყვეტილებას, ქრისტიანობის ერთგულებას და მოუწოდებს რა ჭეშმარიტი რწმენის კვლავაც მტკიცედ დაცვისაკენ, ურწმუნოთა წინააღმდეგ ბრძოლაში ნებისმიერი ფორმით მონაწილეებს ცოდვების მიტევებას ჰპირდება: „უფლისა მიერ დიდად განვიხარეთ თქვენის ერთგულებით ჩვენდამი და რომის ეკლესიისადმი, რომელიც არის დედა და მოძღვარი ყოველთა ქრისტიანეთა. გვასიამოვნა აგრეთვე თქვენმა კეთილმა სურვილმა წმიდა ადგილების დახსნისამ... ვინც ამ შრომაში (ჯვაროსნობაში – ავტ.) მიიღებენ მონაწილეობას, ან თვით წავლენ, ან სხვას გაგზავნიან, ან ფულით შეეწევიან და ან სხვისი ხარჯით წავლენ, მათ ყოველთა ვანიჭებთ მოციქულებრივის შენდობით ყველა ცოდვების მიტევებას, უკეთუ ჭეშმარიტად შეინანებენ და აღსარებას იტყვიან“ [თამარაშვილი, 1902:9-11].

მ. თამარაშვილის აზრით, „ჰონორიუს III-ს, როდესაც საქართველოს დედოფალს 1224 წელს წერილს წერს, ქართული ეკლესია გამოყოფილად არ მიაჩნია, რადგან მას და მის ქვეშევრდომებს სამოციქულო ინდულგენციებს სთავაზობს, რომლებსაც ეკლესია, ჩვეულებრივ, მხოლოდ თავის უნიონიტებს აძლევს“ [თამარაშვილი, 1995:483].

ამავე საკითხზე საინტერესო ხედავს აქვს წარმოდგენილი დ. თინიკაშვილის. იგი შენიშნავდა, რომ: „მიუხედავად 1054 წელს კონსტანტინეპოლსა და რომს შორის მომხდარი განხეთქილებისა, XIII საუკუნის 30-იან წლებამდე საქართველოს ეკლესია რომის ეკლესიისგან გამიჯნულად არ მიიჩნეოდა არც ერთი მხარის (რომი, საქართველო) მიერ. უფრო მეტიც, მათ შორის ექვარისტული-ლოცვითი კავშირიც არსებობდა.“ ...რუსუდანის მიერ პაპ ჰონორიუს III-სადმი გაგზავნილ წერილში არ ჩანს რომის ეკლესიისგან საქართველოს ეკლესიის გამიჯნულობა. ...1054 წლიდან 1230-იან წლებამდე საქართველოს ეკლესიას ვერც რომის ეკლესიის ნაწილად ანუ მისადმი დაქვემდებარებულად და ვერც მისგან გამიჯნულად ანუ განხეთქილებაში მყოფად მივიჩნევთ. ...XIII საუკუნის პირველ ნახევარში უბრალოდ ისტორიულმა გარემოებებმა განაპირობა რომთან შეერთება-არშეერთების საკითხის წამოჭრა, რაც სრულებით არ ნიშნავს არც რომის ეკლესიის წიაღში არსებობას და არც მისგან გამიჯნულობას...“ [თინიკაშვილი, 2015:51-56].

პროფ. მ. პაპაშვილის აზრით, „ქართული ეკლესიის რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან ზუსტად „გაყრის“ დათარიღება შეუძლებელია. ეს იყო პროცესი, რომელიც პირობითად დაიწყო 1234 წლის შემდეგ, როცა საქართველოში საქმიანობა დაიწყო კათოლიკე მისიონერებმა და სავარაუდოდ დასრულდა 1329 წელს, როცა თბილისში დაარსდა კათოლიკური ეკლესია ლათინური იერარქიით“ [პაპაშვილი, 2019: 349].

ვფიქრობთ, რომ მეფე რუსუდანისა და ივანე მხარგრძელის წერილები და მათზე პონტიფიკის პასუხი არ იძლევა იმის კატეგორიული მტკიცების საშუალებას, რომ 1230 წლამდე ქართული ეკლესია რომის წიაღშია და არაა მისგან გამოყოფილი. ქართველი მეფისა და ამირსპასალარის წერილების პათოსი შეიძლება, უბრალოდ, დიპლომატიური ეტიკეტის ნაწილად, მოწიწებისა და პატივისცემის ნიშნად ჩავთვალოთ. ეს აზრი უფრო საგულისხმო გახდება, თუ გადავავლებთ თვალს ქართველ მეფე-მთავართა მიერ დასავლეთის მონარქებისა თუ რომის პაპისადმი საუკუნეების მანძილზე გაგზავნილ წერილებს. მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ქართლის მეფე სიმონის (1556-1569, 1578-1600) მიერ რომის პაპისადმი XVI საუკუნის 80-90-იან წლებში გაგზავნილი

წერილის პათოსი: „სიმონ, წყალობით ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა. ყოვლად მაღალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნაღარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებული ორღანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამალდა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკლესიათა, საცა იპოუბიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულის რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მნათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიზისტრე წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმინდესო პაპო...“ [თამარაშვილი, 1902:76; 1995:524].

რაც შეეხება ამ კონტექსტში პაპის საპასუხო წერილს, რომისადმი ერთგულების შექებასა და ინდულგენციების ბოძებას, ვფიქრობთ, მხოლოდ ამაზე დაყრდნობით შორს მიმავალი დასკვნების კეთება რეალობის შეუსაბამო იქნება. რომის პაპებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი მათ წიაღში შესულიყო საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია და ამ მიმართულებით ხელისუფლების წახალისება არ უნდა იყოს აღქმული ქართულ-რომაული ეკლესიების ერთობის ნიშნად. თუ ამ მსჯელობას გავყვებით, მარტივად ახსნადი იქნება 30-იანი წლების მიწურულს მეფე რუსუდანის თხოვნა პაპისადმი რომის ეკლესიის წიაღში მიღების თაობაზე, რაც შემოინახა 1240 წელს პაპ გრიგოლ IX-ის საპასუხო წერილმა [თამარაშვილი, 1902:14-17]. წინააღმდეგ შემთხვევაში (ანუ თუ ჩავთვლით, რომ 30-იან წლებამდე ქართული ეკლესია რომთან ერთობას ინარჩუნებდა) გამოდის, რომ საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე რთულ პერიოდში (XIII საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებიდან 30-იანი წლების შუამდე), ხვარაზმელთა 5 წლიანი თარეშისა და მონღოლთაგან მომდინარე საფრთხის პირობებში ქვეყანაში მოიცალეს რომის ეკლესიასთან კავშირის გასაწყვეტად და მალევე ითხოვეს ამ კავშირის აღდგენა. თანაც, რომის პაპს, გრიგოლ IX-ს თავის ვრცელ წერილში, რატომღაც არ უჩნდება სურვილი ეს მცირე დროით გაყრა თავის სასარგებლო, ეკლესიის პოზიციის გასამყარებელ არგუმენტად მოიყვანოს, ქართული ეკლესიის რომის წიაღში დაბრუნება და არა შეერთება ახსენოს. „ხოლო რაც შეეხება იმას, რომ თხოულობთ ჩვენთან შეერთებას, ამაზედ დიდად ვაქებთ თქვენს დიდებულებას; უკეთუ აქამდე თქვენი ცხონების სისრულეს რამე აკლდა, აწ ეს თქვენი შეერთება სრულ ჰყოფს მას...“ [თამარაშვილი, 1902:15-16]. შემდეგ, პაპი კათოლიკური

რწმენისა და ეკლესიის ჭეშმარიტებაზე საკმაოდ ვრცლად საუბრობს (ასეთი საუბარი მიზანშეწონილი იქნებოდა სწორედამ ამ ჭეშმარიტებაში გაურკვეველი და არა რამდენიმე წლით მოკვეთილი მრევლისათვის) და წერს: „...ამიტომ საყვარელნო შვილნო, საჭიროა ქრისტეს მონაცვლე და წმიდა პეტრეს მოსაყდრე, რომის პაპი სცნოთ თქვენ და ყველა თქვენთა ქვეშევრდომთა, როგორც მამა და ჩვენი სარწმუნოების მწყემსი. შეუერთდით მას და რომის ეკლესიას და სწუხდეთ, რომ აქამდე დაგიგვიანდათ“ [თამარაშვილი, 1902:16].

მართალია, პაპის ჩივილი „დაგვიანებაზე“ არ გულისხმობს მაინცდამაინც იმას, რომ ქართული ეკლესია 1054 წელსვე გაეთიშა რომს, როგორც მიიჩნევს პროფ. მ. ჯავახიშვილი [ჯავახიშვილი, 1996:101-102], მაგრამ ფაქტია, რომ 1054 წლის შემდგომი ერთობის (თუკი ასეთი რამ არსებობდა) კვალი რომის ეკლესიის ხსოვნაში წაშლილია და ამიტომაც პაპი გრიგოლ IX „აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეერთებისათვის“ სასუფევლის გვირგვინის ორკეცად დამკვიდრებას აღუთქვამს მეფე რუსუდანს.

შეჯამების სახით შეიძლება თქვას, რომ ქართული ეკლესია, სხვა ეკლესიათაგან (კონსტანტინეპოლის, ანტიოქიის და სხვათა) განსხვავებით არ დაპირისპირებია რომის ეკლესიას მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა უკვე 1054 წლის ახლო ხანებიდან (ვფიქრობთ, დავით აღმაშენებლის პერიოდიდან მაინც) ამ ეკლესიის წიაღში არ მოიაზრებოდა.

1235 წელს საქართველომ ისევ იწვინა მონღოლთა შემოსევის სიმძიმე. მოოხრდა ერთ დროს ძლიერი და მდიდარი ქვეყანა, რომელიც ამიერიდან თვითონ ხდება მტრის წინააღმდეგ ვატიკანისაგან დახმარების მომლოდინე. პაპისადმი გაგზავნილ წერილში მეფე რუსუდანი სანაცვლოდ პირობას იძლეოდა, რომ ქართული ეკლესია, რომელიც იცავდა ეკლესიათა ერთიანობის იდეას, რომის ეკლესიას შეუერთდებოდა. სამწუხაროდ, პაპი ვერ მიემშველა აღმოსავლეთის საქრისტიანოს დასავლეთში ერეტიკოსთა მომძლავრების, საღვთო რომის იმპერატორ ფრიდრიხ II-სთან (1220-1250) გამწვავებული ურთიერთობისა და ტერიტორიული სიშორის გამო. თუმცადა, ვრცელ საპასუხო წერილში მან მეფეს მოუწონა გადაწყვეტილება შეერთებოდა წმ. პეტრეს საყდარს და ამ მხრივ დახმარებისათვის სრული მზადყოფნა გამოთქვა.

უნდა ითქვას, რომ ჯვაროსანთა ხანაში ქართველ-ლათინთა კავშირი უმთავრესად პოლიტიკური მოტივით იყო გამოწვეული, რაც გულისხმობდა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანი ფრონტით გამოსვლას. მალე ამ ურთიერთობამ განვითარება ჰპოვა მისიონერული მოღვაწეობის სფეროში.

საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობის დასაწყისი რუსუდანის მეფობის შუა ხანაზე, კერძოდ, XIII საუკუნის 30-იანი წლებზე მოდის, როდესაც აქ ფრანცისკელთა მისიონი დაარსდა. ეს იყო ერთგვარი პასუხი ქართველი მეფის ზემოაღნიშნულ წინადადებაზე. პაპი მას აუწყებდა, რომ სასუფევლის კარი გაეღებოდა მხოლოდ იმათ, ვინც რომის ეკლესიის მორჩილი იქნებოდა. ამ მიზნით გამოიგზავნა რვა მისიონერი, რომლებმაც 1240 წელს თბილისში მართლაც გახსნეს კათოლიკური ეკლესია.

პ. იზაშვილის აზრით, „XIII საუკუნეში მონგოლთა შემოსევის გამო საქართველო ორ სახელმწიფოდ განაწილდა და იმის საუკეთესო პროვინცია მესხეთი, რომელსაც ათაბაგები განაგებდნენ, აღარ დაემორჩილა საქართველოს მეფეებს. ასეთის გარემოების წყალობით ამ ადგილებში გაძლიერდა რომისკათოლიკეთა სწავლა-მოდღერების ქადაგება და ნელ-ნელა სამცხე-საათაბაგომ კათოლიკობა მიიღო, ამ ნაწილის (ქალაქი ახალციხე და ზოგიერთი სოფლები: უდე, ვალე, ხიზაბავრა, არალი, ბარალეთი და სხვანი) მცხოვრებელთა აიღეს რომის პაპისგან ქართულს ენაზედ ღვთის-მსახურების გარდახდის ნება-რთვა და ზოგიერთი სხვა უფლებანი და სათავე დაუდეს ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიას... მისიონერები საქართველოში შემოდით და უმთავრესის სავაჭრო გზით, რომელიც კონსტანტინეპოლიდგან ტრაპეზუნდზედ მესხეთში და შემდეგ ქართლში გადმოდიოდა. ეს გზა მდინარე ჭოროხის, ფოცხოვის და მტკვრის ხეობებზედ გადიოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ კათოლიკობა ჯერ მესხეთში გავრცელდა და შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიც“ [იზაშვილი, 1898:8-10].

საქართველოს კათოლიკური მისიონი პერიოდულად ახალი წევრებით ივსებოდა. აქ მათ ყურადღებას არ აკლებდნენ და ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს, რაც ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალსიწინებთ, რომ რუსუდანის გარდაცვალებას მონღოლთა გამო, ჯერ უმეფობა, 1249 წლიდან კი ორმეფობა და სხვა უბედურება მოჰყვა. საქართველო რეალურ მოკავშირეს საჭიროებდა მონღოლთა აგრესიის შესაჩერებლად. ვატიკანი კი, მისიონერთა არაერთი ელჩობის წარმოგზავნით, რომის ეკლესიასთან საქართველოს ეკლესიის შეერთების საკითხის მომზადებასა და გადაწყვეტას ფიქრობდა.



XIV ს-ის I ნახევარში საქართველომ დაიბრუნა ოდინდელი დიდება. მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1318-1346), თავისი შეუპოვრობით, მიზანმიმართული მოქმედებებითა და საყაენოს კარზე არსებული ურთიერთობების წყალობით, მოახერხა საქართველოს აღდგენა-გამოხსნისკენ მიმართული ღონისძიებების გატარება, ქვეყნის ერთიანობის, დამოუკიდებლობის, მისი ეკონომიკური საფუძვლისა და ახლო სამეზობლოში გავლენის აღდგენა. ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებით, აღორძინებულმა ქვეყანამ ისეთი ავტორიტეტი მოიპოვა, რომ პაპმა იოანე XXII-მ (1316-1334) ქ. სმირნადან 1329 წელს თბილისში გადმოიტანა კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა [პაპუაშვილი, 1995:89-94]. ვფიქრობთ, კათოლიკური საეპისკოპოსოს თბილისში გადმოტანა 10 წლით გვიან რომ მომხდარიყო, მსგავსი შეფასება მართებული იქნებოდა. მაგრამ 1329 წლისთვის საქართველო ისევ სამად გაყოფილ ქვეყანას წარმოადგენდა მონღოლთა ბატონობის ქვეშ და, შესაბამისად, ქვეყნის აღორძინებასა და ავტორიტეტზე და აქედან გამომდინარე პაპის არჩევანზე ჯერ კიდევ ნაადრევია საუბარი.

როგორც ირკვევა, აღმოსავლეთში კათოლიკეთა ხელახალი გააქტიურება იწყება ოლჯაითუ ყაენის (1304-1316) ზეობისას, მისი უშუალო ხელშეწყობით. საინტერესოა, რომ 1289 წელს ოლჯაითუ ქრისტიანმა დედამ ურუქ-ხათუნმა მონათლა და უწოდა ნიკოლოზი, პაპი ნიკოლოზ IV-ის (1228-1292) პატივისცემის ნიშნად, რომელთანაც მამამისს – არღუნ ყაენს (1284-1291) ჰქონდა დიპლომატიური კონტაქტები [https://ka.wikipedia.org/wiki/ოლჯაითუ_ყაენი]. მართალია, მან 1295 წელს მიიღო ისლამი, მაგრამ ყაენობის პერიოდში ცდილობდა ევროპელ მმართველებთან დაკავშირებას, ებრძოდა მამლუქებსა და თურქებს. სწორედ მის დროს, ილხანთა ახალი საზაფხულო რეზიდენცია სულთანზე (ყაზვინთან ახლოს) იქცა კათოლიკე მისიონერთა მოღვაწეობის ცენტრად. რომის პაპის იოანე XXII-ის (1316-1334) 1318 წლის ბულით, თავრიზში არსებული ფრანცისკელთა ვიკარიატის ნაცვლად, სულთანზეში შეიქმნა არქიეპარქია, რომელიც ჩაბარდა დომინიკელებს. სწორედ აქედან იმართებოდა ყველა ლათინური ეპარქია, რაც კი აზიაში დაფუძნდა იმ წლებში. სულთანის პირველ მღვდელმთავრად დაინიშნა დომინიკელი ფრანცისკე პერუჯელი, რომელსაც პაპმა დაუნიშნა ექვსი ქორეპისკოპოსი, ყველა მათგანი დომინიკელი [ბრაგანტინი, 2018:28].

ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1307 წელს, საქართველოში, როგორც მონღოლთა ხელდებულ ქვეყანაში, პაპმა კლიმენტი მეხუთემ (1305-1314) მრავლად გამოგზავნა ფრანცისკელი და დომინიკელი მისიონერი. იმავე გზას აგრძელებდა მომდევნო პაპი იოანე XXII-ც [თამარაშვილი, 1902:28]. საინტერესოა, რომ ეს პაპი იტალიის მდიდარ ქალაქებთან ურთიერთობისა და მათი სავაჭრო საქმეებისადმი მხარდაჭერის გზით ფიქრობდა აღმოსავლეთში გავლენის გავართობას. ამ პერიოდში შავ ზღვაზე ვაჭრობაში წამყვანი ადგილი ჰქონდათ გენუას და ვენეციას. მათი ახალშენების დაარსებას შავი ზღვისპირეთში, ბუნებრივია, თან ახლდა კათოლიკური მოსახლეობის გაჩენაც.

1318 წელს თბილისში გამოგზავნილ მისიონერთა ერთი ნაწილი რომში დაბრუნდა და პაპს მოახსენა, რომ საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმე კარგად მიდისო, რამაც პაპს ეკლესიათა გაერთიანების საკითხის დაყენებისკენ უბიძგა. 1321 წელს მან წერილი მისწერა საქართველოს მეფე გიორგი მეხუთეს და მოუწოდა შეერთებოდნენ წმინდა პეტრეს საყდარს: „... აწ გვედრებით და უფლის იესო ქრისტეს სახელს გაფიცვით, რათა რომის წმინდა ეკლესიასთან შემოერთება აღარ დააყოვნოთ. არც ჩასთვალოთ უბრალო რადმე ჩვენი მოწოდება შემოერთებისა. ჩვენი მოწოდება ამ დღეებში ვყავით ღვთის ჩაგონებით და ჩვენის ძმების რჩევით. იგინი დიდად მონატრულნი არიან და სურსთ თქვენი და თქვენი ერის განათლება...“ [თამარაშვილი, 1902:29-30; 1995:496-497]. როგორც ჩანს, მანამდე ეს საკითხი ადგილზე გარკვეულად გააჟღერეს მისიონერებმა და პაპს აქაური რეაქციის მათეული შეფასება წარუდგინეს. ამაზე უნდა მიუთითებდეს პაპის დაპირება: „უკეთუ თქვენ მოიმიზეზეთ, რომ ეს შემოერთება თვინიერ მსოფლიო კრებისა შეუძლებელიაო, ჩვენც მოგახსენებთ, რომ მზად ვართ მოგახდინოთ ესრეთი კრება, უკეთუ მოითხოვეთ თქვენ და თქვენმა ეპისკოპოსებმა...“ [იქვე].

სამწუხაროდ, პაპისადმი გიორგი მეფის პასუხს დღემდე არ მოუღწევია. სავარაუდოდ, ქვეყანაში არსებული სიტუაციის ფონზე, მეფეს პაპის თხოვნის შესრულების შესაძლებლობა არ ექნებოდა, სურვილზე რომ არაფერი ვთქვათ. თუმცა, ის პაქტი, რომ რამდენიმე წელიწადში თბილისში კათოლიკური ეპისკოპოსო კათედრა დაარსდა, მიუთითებს იმას, რომ პაპის თხოვნას მაინც უკვალოდ არ ჩაუვლია. 1329 წლის ბულით, რომის პაპმა თურქთაგან შევიწროებულ იზმირში (სმირნა) გააუქმა საეპისკოპოსო კათედრა და ახალ საეპისკოპოსოდ „განთქმული და შესანიშნავი“ ქალაქი თბილისი შეარჩია, სადაც უნდა აშენებულიყო ეკლესიაც. ეპისკოპოსად შეირჩა დომინიკელი იოანე ფლორენციელი, რომელიც 1348 წლამდე, გარდაცვალებამდე იმყოფებოდა

თანამდებობაზე და დიდი სიყვარულიც დაიმსახურა ადგილობრივთა შორის [თამარაშვილი, 1902:35-39]. თბილისის ეპარქია დაექვემდებარა სულთანის.³ მ. გაბაშვილის აზრით, რომაული ეკლესია განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ტრაპიზონ-თავრიზის გზას და ამ მაგისტრალზე მდებარე თბილისს და ასეთ ვითარებაში მას სავსებით ლოგიკურად მიაჩნია, რომაული ეკლესიის მიერ აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრის სმირნადან თბილისში გადმოტანა, ანუ იმ ქვეყნის დედაქალაქში, სადაც რომმა სერიოზული ძალა და მეტოქეობა დაინახა [გაბაშვილი, 2003:33-40].

როგორც ჩანს, საქართველოს სამეფო კარი კარგად აცნობიერებდა ევროპასთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას, მითუმეტეს მონღოლთა ბატონობისა და თურქთაგან დაწყებული აგრესიის პირობებში. ამიტომაც მისი ხელშეწყობით, კათოლიკურ მისიონს მიეცა მოქმედების სრული თავისუფლება, რასაც საქართველოში კათოლიკე მრევლის გაჩენა უნდა მოჰყოლოდა. პაპის 1328 წლის ბულაში ვკითხულობთ, რომ „ერთი სავსე, მარჯვე და სიმდიდრით უხვი“ ქალაქი თბილისისა და მისი შემოგარენის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილი დომინიკელთა მიერ მოექცა კათოლიკობაზე, რაც გახდა ერთი მიზეზი სმირნადან თბილისში კათოლიკური საეპისკოპოსოს გადმოტანისა. 1329 წლის წერილში პაპი უფრო არბილებს დომინიკელთა ღვაწლს და მიუთითებს, რომ მათი გულმოდგინებით ბევრი აქაური გაკათოლიკდა. პაპის ინფორმაციით, „იმ ადგილის მორწმუნენი დარწმუნებულნი არიან და მტკიცედაც სასოებენ, რომ თუ ზემოხსენებულ მონაზონთა დაუცხრომლად განაგრძეს სახარების ქადაგება იმ, ერში, როგორც აქამდე საქებურად იღწვოდნენ, უეჭველად უდიდესი რიცხვი იმ ერთა მოექცეს და მიიღოს კათოლიკური სარწმუნოებაო“ [თამარაშვილი, 1902:34].

სამწუხაროდ, ამ წერილებში არ ჩანს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საჭეთმპყრობლის პოზიცია და არც სადმე ხსენება მისი. გიორგი ბრწყინვალე პერიოდში ცნობილია ორი კათალიკოსი: ექვთიმე (დაახ. 1310-იანი წლებიდან 30-იანი წლების მეორე ნახევრამდე) და ბასილი V (XIV ს. 30-60-იან წლებში). ბუნებრივია, კათოლიკური მისიონის გააქტიურების ფონზე პატრიარქი უფრო მეტად გაააქტიურებდა ზრუნვას მართლმადიდებელი

³ საეპისკოპოსომ აქ 180 წელი იარსება. სავარაუდოა, რომ ეს ეპარქია, ისევე როგორც იოანე ოცდამესამის მიერ კავკასიაში იმავდროულადვე დაარსებული სხვა ეპარქიები, მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოს თემურლენგის დარბევას შეეწირა [ბრაგანტინი, 2018:28].

მრევლის შემცირების საწინააღმდეგოდ. მ. თამარაშვილის აზრით, ორივე კათალიკოსმა დიდი სამსახური გაუწია თავის ქვეყანას. მეფეს თავის კეთილწამოწყებებისას არ შეიძლებოდა მათზე უკეთესი მრჩეველები და თანამზრახველები ჰყოლოდა და ამის საბუთად მოჰყავს ის, რომ ექვთიმე „მეგლისდების“ ერთ-ერთი მთავარი შემდგენელი იყო [თამარაშვილი, 1995: 417]. ასეთ ვითარებაში, თუკი ქვეყნის კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლა სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილი არ იქნებოდა, ანუ პაპი დასაყრდენს სამეფო კარზე ვერ იპოვიდა (ეს კი არსად ჩანს), კათოლიციზმზე მოქცეულთა რაოდენობის სწრაფი, ან რამდენადმე ხელშესახები ზრდა ვერ მოხდებოდა. პაპის ბოლო წერილიც ასეთი სურვილის რეალობად გასაღების მცდელობას წარმოადგენს და არა უტყუარ ფაქტს ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილის მიერ კათოლიკობის მიღებისა.

საწინააღმდეგო დასკვნა გამოაქვს მიხეილ თამარაშვილს: „...უეჭველია, კათოლიკობას, განსაკუთრებით ამ საუკუნის დამდეგიდან საქართველოში დიდი წარმატება ჰქონდა, ისე დიდი, რომ ბევრი ქართველი არა მარტო კათოლიკე ხდებოდა, არამედ ეზიარებოდა მისიონერთა რელიგიურ ცხოვრებას; მისიონერებთან ერთად დადიოდნენ ურწმუნოთა ქვეყნებში, ქადაგებდნენ კათოლიკურ სარწმუნოებას და სისხლს ღვრიდნენ იესო ქრისტესათვის“. ამის საბუთად მას მოჰყავდა ინდოეთში მრონიტების წესის ქართველი საერო პირის, კათოლიკე ძმათა თარჯიმნის – თბილისელი დემეტრეს წამების ამბავი [თამარაშვილი, 1995:498]. სამწუხაროდ, კათოლიკობის წარმატების დამადასტურებელი სხვა რამ საბუთი მითითებულ წიგნში არაა მოყვანილი, შესაბამისად შორს მიმავალი დასკვნების გაკეთების საფუძველი არ გვაქვს.

იმავე 1329 წელს, პაპმა, კიდევ ერთხელ მოუწოდა გიორგი მეხუთეს თავისი ერთთურთ შეერთებოდა კათოლიკურ ეკლესიას. საინტერესოა, რომ ამ წერილში პაპი არსად ახსენებს კათოლიკეთა სიმრავლეს ქართველთა შორის, არც რაიმე მადლიერებას გამოხატავს მისიონერთა საქმიანობისათვის ხელწყობისათვის. არადა, ვისთან თუ არა მეფესთან, რომელსაც თხოვს თავისი ერთთურთ შეუერთდეს კათოლიკე ეკლესიას და დაექვემდებაროს წმინდა ტახტს, იქნებოდა საჭირო ამის ხაზგასმა კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად.

როგორც ცნობილია, მეფე გიორგის გაცილებით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ჰქონდა მისაღები, რაც ქვეყნის გამოხსნა-აღდგენას უკავშირდებოდა და, შესაბამისად, მნიშვნელოვანი ცვლილებები საქართველო-რომის ურთიერთობაში არ უნდა მომხდარიყო. არც რაიმე საფუძველი არსებო-

ბდა ამის. 1321 წელს, იგივე რომის პაპი გიორგი მეფისადმი თავისი პირველი წერილის ბოლოს საქართველოს ხელისუფლისგან ითხოვდა მისიონერთა „სახიერებით მიღებასა და კარგად მოპყრობას“, რაც კარგად აჩვენებს არა მარტო კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობას ჩვენში, გნებავთ მრევლის რაოდენობასა თუ გავლენებს, არამედ რომის ეკლესიის მეთაურის ხედვასა და მოლოდინს. აქედან გამომდინარე, არაფერი გვაქვს ხელმოსაჭიდი ვამტკიცოთ, რომ რამდენიმე წელიწადში რელიგიური ჯგუფების თანაფარდობა გარკვეულ წილად მაინც შეიცვალა. კათოლიკური სამოქადაგეო ცენტრის თბილისში გადმოტანაც, ეკლესიის აშენების განზრახვაც სწორედ საქართველოში არსებული სიტუაციის შეცვლის, ყურადღების მიქცევის, კათოლიკეთა რაოდენობის და გავლენის გაზრდის სურვილით უფრო იყო ნაკარნახევი, ვიდრე აქ არსებულ კათოლიკეთა სიმრავლის საჭიროებით.

ერთი სიტყვით, ქართული მხარე უარს ამბობდა უნიაზე. ცხადია, ამას შეეძლო დასავლეთთან კავშირის გაწყვეტა მოჰყოლოდა, რაც ქართველ მესვეურებს არ სურდათ. ამიტომ კათოლიკე მისიონერებს სრულ თავისუფლებას აძლევდნენ. უნიის მოთხოვნის კონტექსტში ამის ასრულება ძნელი არ იყო და ამავე დროს უნიაზე უარის კომპენსაციას ახდენდა [პაპაშვილი, 2018:118].

ის, რომ ქართველთა შორის კათოლიკურ სარწმუნოებას ბევრი მიმდევარი არ ჰყავდა არც მომდევნო საუკუნეებში, კარგად ჩანს ჯერ ერთი იმ ფაქტიდან, რომ თბილისის ეპისკოპოსობის პატივი არ რგებია ადგილობრივი წრიდან გამოსულ სასულიერო პირს. მეორეც, იმ პერიოდში არ დასტურდება თბილისის გარდა საქართველოს სხვა რომელიმე კუთხესა თუ ქალაქში კათოლიკური ეკლესიის აშენების სურვილი თუ საჭიროება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსო მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებდა. შესაძლოა, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული რაოდენობა გადასულიყო კათოლიციზმზე, მაგრამ XIV-XV ს-ბის ქართველთა ცხოვრებაზე მათი კვალი შეუმჩნეველია.



რომის პაპის გადაწყვეტილებით, 1329 წელს, კათოლიკური ეკლესიის სამოქალაქო ცენტრი სმირნიდან (იზმირი) თბილისში იქნა გადმოტანილი. მთელი XIV-XV ს-ბის მანძილზე აქ მოღვაწეობდნენ დომინიკელი და ფრანცისკელი მისიონერები, ეპისკოპოსებიც, ძირითადად, მათი წრიდან ირჩეოდნენ. სამწუხაროდ, ჟამთა სიავის გამო, არ შემოგვენახა, თუ რა წარმატებები ჰქონდა მათ საქმიანობას კათოლიკური მრწამსის ქვეყანაში გავრცელების კუთხით. ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ ქართველი მესვეურები მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდნენ მისიონერებს და, თითქმის ორი საუკუნის მანძილზე, ბევრმა საერო თუ სასულიერო პირმა მიიღო კათოლიკობა [პაპაშვილი, 1995:99]. აღსანიშნავია, რომ „XIV საუკუნეში დაარსებულ თბილისის კათოლიკურ საეპისკოპოსოს ქართულენოვანი ტიპიკონი ჰქონდა და მღვდელმსახურებაც ყოველთვის ქართულ ენაზე სრულდებოდა. ასე იყო ეს XV ს. დასასრულამდე“ [ლომსაძე, 1979:13].

გიორგი ბრწყინვალეს შემდგომ, საქართველოს ურთულესი პერიოდი დაუდგა: ჯერ თემურ-ლენგის, შემდეგ შავბატკნიან თურქმანთა გამანადგურებელმა შემოსევებმა ქვეყანა ეკონომიკური და პოლიტიკური კოლაფსის წინაშე დააყენა. მეფე ალექსანდრე I-მა (1412-1442), თავისი მეფობის პერიოდში, დროებით შეძლო ქვეყნის უკუსვლის შეჩერება. 1438 წელს, მისმა და საქართველოს პატრიარქის წარგზავნილებმა – მიტროპოლიტმა გრიგოლმა (სხვა წყაროს მიხედვით, ახტალის ეპისკოპოსმა დანიელმა და თავადმა ნიკოლოზ ჩერქეზისშვილმა) მონაწილეობა მიიღეს ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრების მუშაობაში, სადაც ისინი წარმოადგენდნენ საქართველოსა და ქართულ ეკლესიას, რომელსაც რომის, კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიისა და იერუსალიმის შემდეგ მეექვსე ადგილი ეჭირა მსოფლიო ეკლესიათა რიგში [ჯაფარიძე, 2020]. საინტერესოა, რომ ქართულ დელეგაციას (რომლის წევრი – ალექსანდრე დიდის ელჩიც სხვათაგან გამოირჩეოდა თავისი განსხვავებული ჩაცმულობითა და ძვირფასი ქვებით შემკული ქუდით) ტრაპიზონის იმპერატორის მანდატიც ჰქონია [მახარაძე, 2005:81-82]. წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოს ეკლესია სხვა წარმომადგენლებს შორის ამ საეკლესიო კრებაზე პატივისცემით სარგებლობდა. ეს გამოწვეული იყო, როგორც ეკონომიკური ძლიერებით, ასევე მის მიერ მართლმადიდებლობის მტკიცე დაცვით [ჯაფარიძე, 2019].

როგორც ცნობილია, ოსმალთა მოძალებული აგრესიის პირობებში, ბიზანტიის იმპერატორი იოანე VIII (1425-1448) იძულებული იყო, დახმარების სანაცვლოდ, მიემართა რომის პაპისადმი წინადადებით, კათოლიკური და მართლმადიდებლური ეკლესიების შეერთების თაობაზე, რაც იტალიის ქალაქებში გამართულ მსოფლიო საეკლესიო კრებას უნდა გადაეწყვიტა. კრებაზე მიღწეულ შეთანხმებას, რომის პაპის სკიპტრის ქვეშ ეკლესიათა უნიას ხელი არ მოაწერეს ზემოაღნიშნულმა პირებმა. იოანე ბატონიშვილი თავის ხუმარსწავლაში (კალმასობა) გვაწვდის საინტერესო ცნობას იმის თაობაზე, რომ კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებდა იმერეთის ეპისკოპოსი იაკობ შემოდგომელი (შემოქმედელი⁴), რომელმაც, ბერძენთა და რუსთა მსგავსად, ხელი მოაწერა ამ გაერთიანებას [ბატონიშვილი იოანე, 1991:350].

აღსანიშნავია, რომ ქართული დელეგაცია საკმაოდ მომზადებული ყოფილა ამ შეხვედრისათვის. ქართველი მეფის ელჩს პაპისთვის განუცხადებია: „ჩვენც ქრისტიანები ვართ, ჩვენი ეკლესია მოსაწონია და იცავს თითოეულ მცნებას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი... ამისგან არასოდეს გადაგვიხვევია, არაფერი არ დაგვიმატებია... რომის ეკლესიამ კი [მრავალი რამ] დაუმატა და საბოლოოდ წმინდა მამების [სწავლების] ზღვარი გადალახა. ამის გამო თქვენს ეკლესიას ჩვენ ჩამოვშორდით და ორივე გაყრის გზით წავედით“ [ჟუჟუნაძე, 1970:19].

საბოლოო ჯამში, ეკლესიათა ერთიანობის შენარჩუნება ვერ მოხერხდა. როგორც ირკვევა, უნიის ყველა ხელმომწერსა და თანამგრძნობს თავიანთ სამშობლოში პრობლემა შეექმნათ: კონსტანტინეპოლი პატრიარქი, სომხური ეკლესიის მეთაური (სომხურმა დელეგაციამ დიდი ზეწოლის შემდეგ მოაწერა უნიას ხელი) და რუსეთის მიტროპოლიტი გადააყენეს. „მაშინ პაპმან იხმარა ამპარტავნება და კოსტანტინეპოლისა პატრიარხი არა მოიყენა გვერდით, არამედ რიგის ეპისკოპოსთა შინა დააყენა და ესე ეწყინა მეფესა, რომელიცა მალე გამოვიდა გარე. და მერეთ დაიშალა კრება და არცა სომეხნი მოვიდნენ ამა კრებასა შინა, ხოლო შემდგომად უკუქცევისა, კუალად ბერძენთა უარყვეს მასვე წელსა შინა თვესა ივლისსა ყოველივე წინადადება ლათინთა და დაამტკიცეს პირველთა კრებათაგან დამტკიცებული სიმოვლო“ [ბატონიშვილი იოანე, 1991:350-351].

⁴ მიტროპოლიტ ანანია ჯაფარიძის მოსაზრებით, იაკობ შემოქმედელი, შესაძლოა, აფხაზეთის საკათალიკოსოდან ყოფილიყო წარგზავნილი ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე.

ეს იყო აღნიშნულ პერიოდში კათოლიკურ სამყაროსთან ურთიერთობის ამსახველი ის იშვიათი ეპიზოდი, რომლის შესახებაც ცოდნამ ჩვენამდე მოაღწია. სამწუხაროდ, შეუთანხმებლობა და ევროპულ სახელმწიფოთა არა შორსმჭვრეტელური პოლიტიკა კონსტანტინეპოლამდე შემცირებული ბიზანტიისთვის იყო განაჩენი: 1453 წელს ოსმალები დაეუფლნენ მეორე რომს. დღის წესრიგში დადგა ანტიოსმალური კოალიციის ორგანიზების საკითხი. ამ მიზნით, 1456 წელს ევროპიდან საქართველოს ეწვია რომის პაპის – კალიქსტ III-ის (1455-1458) წარმომადგენელი, ფრანცისკელი ბერი – ლუდოვიკო ბოლონიელი, რომელმაც პაპს მოახსენა, რომ „რიცხვით მრავალი ერი“ აღიარებდა კათოლიკურ სარწმუნოებას ჩვენში და მტკიცედ იცავდა ყველა დადგენილ წესს [თამარაშვილი, 1902:50].

1458 წელს, ახალმა პაპმა პიუს II-მ (1405-1464), კიდევ უფრო მეტი შემართებით მოჰკვიდა ხელი კოალიციის მზადებას [პაიჭაძე, 1989:60]. მან აღმოსავლურ მისიაში მყოფ ლუდოვიკო ბოლონიელს (1430-?1478) გაუგზავნა საყურადღებო შინაარსის წერილი, რომლითაც ვიგებთ, თითქოს საქართველოს მეფე-მთავრები და თვით პატრიარქიც კი კათოლიკური აღმსარებლობისანი ყოფილან [თამარაშვილი, 1902:51-52]. აღნიშნული ცნობა ჩვენ ძალიან საეჭვოდ გვეჩვენება, რადგან, ვფიქრობთ, რომ საერო და სასულიერო ხელისუფალთა ასეთი უცაბედი ტრანსფორმაციის საფუძველი იმ პერიოდში არ არსებობდა არც თბილისში და, მითუმეტეს, არც დასავლეთ თუ სამხრეთ საქართველოში, სადაც არც კათოლიკური ეკლესია არსებობდა და არც კათოლიკე მისიონერთა საქმიანობა იყო აქტიური. გასათვალისწინებელია, ასევე, ის პოლიტიკური სიტუაცია, რაც ქვეყანაში სუფევდა (რომ არაფერი ვთქვათ მის ირგვლივ მუსლიმური რკალის დღითიდღე შევიწროვებაზე): ერთიანი ქართული მონარქია რღვევის პროცესშია; სამცხის მთავარი მეფეს აღარ ემორჩილება; იმერეთის ერისთავ ბაგრატს მეფობის ამბიციები აქვს; არც ბედიანი და გურიელი სხედან გულხელდაკრეფილნი. შესაბამისად, ასეთ ვითარებაში ძნელი წარმოსადგენია ვინმეს კათოლიკობაზე და პაპის ერთგულებაზე ეფიქრა.



პაპი პიუს II

შესაძლოა, სტუმრისადმი პატივისცემა და რომის პაპისადმი მოწიწება, რომელსაც ტრადიციულად გამოხატავდნენ ქართველი მეფე-მთავრები თუ სულიერი წინამძღვარნი, ლუდოვიკო ბოლონიელის მიერ შეგნებულად, სა-

კუთარი მერკანტილური ინტერესების (პაპის კარზე მეტი უფლებებისა თუ უფლებამოსილების მოპოვება და ა.შ.) თუ ანტიოსმალური კოალიციის შექმნის მიზნისათვის (საერთო საქმეში ახალი მუხტის შეტანა, აღმოსავლური ძალების ერთგულებაში პაპის დაიმედება და ა.შ.) გადაითარგმნა და გასაღდა კათოლიკობის წიაღში მათ ყოფნად. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რატომ არაფერს ამბობს ამის შესახებ წინარე პაპი ერთი წლით ადრე, ანუ 1457 წელს და რატომ აღნიშნავს მხოლოდ მოსახლეობის ნაწილის გაკათოლიკებას?! აღსანიშნავია, რომ არც ამ უკანასკნელის, ანუ ერში კათოლიკობის გავრცელების გადაჭარბებული მოლოდინი ჰქონიათ მაშინ რომში: „ამის მოსმენაზედ სიხარულით აღვივსენით და მადლობა შევსწირეთ ღმერთსა, რომლის წყალობითაც ეგოდენ ბარბაროსთა და ურწმუნოთა სიმრავლით გარემოცულთა, სცანით გზა ქვემარტებისა და საუკუნო ცხოვრებისა...“ – წერს პაპი ქართველ კათოლიკე მრევლს [თამარაშვილი, 1902:50-51].

XV საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში, ანუ ზემოაღნიშნული წერილების დაწერიდან ორი ათეული წელიც არ იყო გასული, საქართველოს ეწვია იტალიელი დიპლომატი და მოგზაური, ვენეციის ელჩი სპარსეთში უზუნძასანის (1423-1478) კარზე ამბროჯიო კონტარინი (?-1499). 1474 წელს, ფაზისში ყოფნისას იგი წერს: „მეგრელები სულ ქრისტიანები არიან, მაგრამ დიდად ეტანებიან მწვალებლობას და აღიარებენ ბერძენთა სარწმუნოებას“ [ჭყონია, 1894:50]. იმავე წელს ა. კონტარინი აღმოსავლეთ საქართველოში გადავიდა: „საქართველო ცოტად უკეთესია სამეგრელოზე, – წერს იგი – მაგრამ ზნე, ჩვეულება და სარწმუნოება ქართველებს და მეგრელებს ერთი და იგივე აქვთ“ [იქვე, 54]. თბილისში ყოფნისას კი მოგვითხრობს: „...ვიპოვეთ ერთი სომეხი კათოლიკე, რომლის სახლშიც დავბინავდით. ტფილისი წინად სახელგანთქმული იყო თავისის სიდიდით და ამ ჟამად კი დაცემულია, მაგრამ ქალაქის ის უბნები, რომელიც აოხრებას გადაარჩენია, ეხლაც კარგად არის დასახლებული. იქ კიდევ მრავლად არიან კათოლიკენი“ [იქვე:56]. როგორც ამ ცნობებიდან ჩანს, იმ პერიოდში კათოლიკობას საქართველოში არ ჰქონია დიდი ასპარეზი: მეფე-მთავართა კათოლიკობაზე კონტარინი არაფერს წერს; ქართველებს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში ბერძნული ქრისტიანობის აღმსარებლებად, ანუ ორთოდოქსებად მიიჩნევს; თბილისში კათოლიკეთა სიმრავლე კი, დიდი ალბათობით (ყოველ შემთხვევაში, კონტექსტიდან ასე უფრო იკითხება) სომეხ კათოლიკეთა დამსახურება იყო. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის სხვა იტალიელი დიპლომატები და მოგზაურები (კატე-რინო ძენო,

ჯოსაფატ ბარბარო) [მამისთვალიშვილი, 1981] ქართველთა შორის კათოლიკობაზე არაფერს წერენ.

სამწუხაროდ, XV ს-ის სხვა ისეთი სერიოზული საბუთი, რომელიც მეტ სიცხადეს შეიტანდა აღნიშნულ საკითხში, ჩვენ არ მოგვეპოვება. როგორც ირკვევა, XVI ს-ის დოკუმენტური მასალები კიდევ უფრო მწირია. ამის მიზეზი ოსმალთა გაძლიერებასა და ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლაში უნდა ვეძიოთ. სამიმოსვლო და სავაჭრო გზების ჩაკეტვას ევროპიდან რეგიონში კათოლიკე მისიონერთა ნაკადის შეწყვეტა მოჰყვა. მათი ადგილი კი სომეხ-კათოლიკე უნიატმა ბერებმა დაიკავეს. ვატიკანმა, მთლიანად რომ არ დაეკარგა არსებული კათოლიკური მრევლი, 1546 წელს საქართველოში ნუნციოდ დანიშნა ნახიჭევანელი სომეხი ვინმე სტეფანე, რასაც მოჰყვა ამ რეგიონიდან ქვეყანაში, უპირველესად სამცხე-საათაბაგოში, 102 სომეხი უნიატი მქადაგებლის შემოსვლა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა რომის პაპმა საქართველოში თავის წარმომადგენლად არაევროპელი შეარჩია [თამარაშვილი, 1902:72-73; პაპაშვილი, 1995:111-112], რაც ქვეყანაში დომინიკელთა საქმიანობის ტრადიციას უნდა უკავშირდებოდეს [ნაცვლიშვილი, 2019:167]. თუმცა, მცდელობის მიუხედავად, მათ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. შ. ლომსაძის მიხედვით, თუ არ ჩავთვლით, თბილისის, ქუთაისის და გორის რიცხვმცირე კათოლიკე მრევლს, ადრე კათოლიკობაზე მიქცეულთა დიდი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლობას დაბრუნებია [ლომსაძე, 1979:31]. ამის მიზეზი იყო ის, რომ სომხურ-კათოლიკურ ეკლესიას სომხურენოვანი ტიპიკონი ჰქონდათ და ღვთისმსახურებასაც ამ ენაზე ატარებდნენ, რაც უნიატ ბერებს საქართველოში გადაულახავ წინააღმდეგობას უქმნიდა. თ. იველაშვილის აზრით, „თუ გადავხედავთ იმ პერიოდის დოკუმენტალურ მასალებს, დავინახავთ, რომ ამ პერიოდისათვის ქართლში, მით უმეტეს კახეთსა და იმერეთში კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასული მოსახლეობა საერთოდ არ ჩანს ან თუ იყო, მეტისმეტად მცირე რაოდენობით“ [იველაშვილი, 2009:31-32].

მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნეში ევროპული კათოლიციზმის ახალი ტალღა საქართველოში არ შემოსულა, ქართველ ხელისუფალთა დამოკიდებულება ევროპისადმი, კონკრეტულად ვატიკანისადმი არ შეცვლილა. ამის დასტურია სპარსელთა ტყვეობიდან თავდახსნილი ქართლის მეფე სიმონის გულმხურვალე წერილი რომის პაპისადმი [თამარაშვილი, 1902:76-78]. სიმონს ეკუთვნოდა ახალი ანტიოსმალური კოალიციის შექმნის იდეა 80-იანი წლების მიწურულს, რომელიც რომის პაპისა, ესპანეთის მეფისა და გერმანიის იმპერატორის კარზე დიდი განხილვის საგნადაც იქცა [პაპაშვილი, 1995:118-

119; პაპაშვილი, ... 2021:285-338]. თუმცა, ამ გეგმასაც განხორციელება არ ეწე-
რა. ასეთ ვითარებაში ვატიკანი, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოში
კათოლიკობის გავრცელებისა და ეკლესიათა გაერთიანების საკითხს. პაპი
კლიმენტი VIII (1592-1605) შექმნილ ვითარებას ხელსაყრელადაც მიიჩნევდა,
თუცა შემდგომი გაგრძელება მას არ მოჰყოლია.

კათოლიკური პროპაგანდისა და კათოლიკობის გავრცელების თვალ-
საზრისით უკეთესი დრო დადგა XVII საუკუნეში. 1590 წლიდან ოსმალეთმა
საქართველო მთლიანად დაიპყრო. ასეთ ვითარებაში ირანი, რომელიც აღმო-
სავლეთ საქართველოს თავის გავლენის სფეროდ თვლიდა, ერთგვარ მოკავ-
შირედაც ჩანდა. სპარსეთში ყოფნისას ალექსანდრე II კახთა მეფე (1574-1605)
და სამცხის ათაბაგი მანუჩარ II (1581-1614) კათოლიკე მისიონერებს შეხვნენ
და საქართველოში მოიპატიჟეს, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო მაშინ
ქვეყანაში მათი შემოყვანა ვერ მოხერხდა.

1603 წელს განახლდა ირან-ოსმალეთის ომი. შაჰ აბას I-მა (1587-1629)
მალევე დაიბრუნა დაკარგული პოზიციები აღმოსავლეთ საქართველოში.
ცბიერი შაჰს თავი ქრისტიანთა მფარველად მოჰქონდა და ხელს არ უშლიდა
კათოლიკეთა მოღვაწეობას ირანის ტერიტორიაზე. ამას მოჰყვა კათოლიკეთა
შემოსვლის განახლება საქართველოშიც. 1611 წელს თეიმურაზ I-ს სპარსეთი-
დან ეწვია ფეხშიშველ კარმელთა ორდენის წევრი ჯოვანი ტადეო დე სან
ელიზეო, რომელმაც შაჰის წერილი და სამძიმარი ჩამოუტანა მას მეუღლის
გარდაცვალების გამო [ტაბაღუა, 1986:20, 32]. მ. თამარაშვილის მიხედვით, ეს
მისიონერი (იგივე ივანე თადეოზი კარმელიტანი) და პორტუგალიელი ავგუს-
ტინელი გილერმო დი სანტო აგოშტინიო (იგივე პატრი გვილელმო) აქ იმყო-
ვებოდნენ 1613 წელს. თუმცა, იქვე, სხვა წყაროზე დაყრდნობით შენიშნავს,
რომ ეს უკანასკნელი საქართველოში მოსულა 1608 წელს, სადაც მეფესა და
პატრიარქს დიდი პატივით მიუღიათ. აქედან კვლავ ისპაჰანში წასული, ისევ
აპირებდა თურმე საქართველოში მობრუნებას, მაგრამ გზაში მოუკლავთ
[თამარაშვილი, 1902:75, 86]. სამწუხაროდ, ამ მისიონერთა აქ საქმიანობის სხვა
დეტალები ჩვენთვის უცნობია.

1614 წელს ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1657) აქტიურო-
ბით დასავლეთ საქართველოში კონსტანტინეპოლიდან ჩამოვიდა ორი ფრა-
ნგი იეზუიტი, რომლებიც დიდი პატივით მიიღეს გურიასა და ოდიშში, რო-
მლებსაც სრული მხარდაჭერა აღუთქვეს, მათ შორის ეკლესიის აშენებაც. სამ-
წუხაროდ, მალევე ისინი ქოლერამ იმსხვერპლა, რის შემდეგ თითქმის ორი

ათწლეული დასავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერები არ გამოჩენილან [პაპაშვილი, 1995:147-148].

1616 წელს ორი თვით საქართველოში იმყოფებოდა ნახჭევანში დომინიკელთა წინამძღვარი პაოლო მარია ჩიტადინი და ფაენცა. 1621 წელს მან ნეაპოლში დაბეჭდა წიგნი საქართველოს შესახებ, სადაც ეწერა: „ქართველები ყველა ქრისტიანენი არიან ბერძნის ტიპიკონისა... ძლიერ დიდი პატივის ცემა აქვსთ ჩვენი უნეტარესის რომის პაპისა, რომელსაც აღიარებენ ამ ქვეყანაზე ქრისტეს მონაცვლედ“. აქვე ავტორი ჩამოთვლის ამ პატივისცემის გამოხატვის სხვადასხვა ფორმებს: ხელზე ამბორი, კურთხევის თხოვნა, აღსარების თქმა და სხვ. [თამარაშვილი, 1902:84-85]. მ. თამარაშვილის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ იმყოფებოდნენ ევროპელი მისიონერები, ერი სულით და გრძნობით კათოლიკე ყოფილა [იქვე], თუმცა, იგივე ავტორი აღნიშნულ წიგნში ნათლად წერს, რომ ქართველები ბერძნული ტიპიკონით ხელმძღვანელობდნენ, ანუ ორთოდოქსები იყვნენ. ცალკე კათოლიკური თემის არსებობაზე, ან კათოლიკურ ეკლესიაზე იქ საუბარი არაა. გამოდის, რომ საუკუნოვანმა გაუცხოვებამ თავისი დალი დაასვა ამ პროცესს.

1626 წელს აღმოსავლეთიდან დაბრუნებულმა დომინიკელმა გრიგოლ ორსინიმ პაპის წარუდგინა მოხსენება, რომელშიც ავტორი, სხვათა შორის, წერს, რომ ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელება ძალიან ადვილ საქმედ მიაჩნია, რადგან თვლის, რომ ქართველები დამყოლი ხასიათის არიან, ძალიან ღვთისმოსავები, პატივს სცემენ პაპს და გულმხურვალე წერილებს გზავნიან რომში [თამარაშვილი, 1902:86]. ანალოგიური ხედვა ჰქონდა პატრი პიეტრო დელა ვალეს (1586-1652) დაახლოებით იმავე ხანებში საქართველოს შესახებ პაპისადმი წარდგენილ მოხსენებაში [იქვე:88]. მან დიდი შრომა გასწია ვატიკანში ქართველებისა და საქართველოს გაცნობისა და აქ კათოლიკე მისიონერების გამოგზავნის საქმეში. პაპისადმი მის წერილში ვკითხულობთ: „რადგანაც ქართველები მიუყვებოდნენ ბერძნების ტიპიკონს და ეკკლესიას, იმიტომ იმათ შეითვისეს ის შეცთომილებანი, რომელნიც აქვსთ ბერძნებს თავის სარწმუნოებაში. მე გაბედვით ვიტყვი, რომ ქართველებს კიდევ ნაკლები აქვსთ შეცთომილებანი ვიდრე ბერძნებს. ეს იქნება, იმიტომ არის ასე, რომ ქართველები ცოტად ეტანებიან მწიგნობრობას, უფრო ბევრს დროს ატარებენ ომში... ქართველები არ მედიდურობენ, როგორც ბერძნები, თავის ეკლესიის უპირატესობით... გარდა ამისა მათ დიდი პატივისცემა აქვსთ რომისადმი, წმინდა პავლეს და წმინდა პეტრესადმი და რომის მღვდელ-მთავრისადმი. მათ არ აქვსთ ის რაღაც ძულვა ურთიერთშორის, რომელიც აქვსთ ბერძნებს

უპირატესობისთვის; არ არიან ისე ამაყნი, როგორც ბერძნები, არც ჟინიანები, არც ცულლუტები ან მატყუარნი საქმეებში, არამედ არიან მშვიდნი, წყნარნი, კეთილის გულისა, წრფელნი“ [ჭყონია, 1879:58-59].

სხვათა შორის, ორივე ეს ავტორი მოგვითხრობს ქეთევან დედოფლის (?-1624) ტრაგიკულ აღსასრულზე. როგორც ცნობილია, მეფე თეიმურაზის (1606-1648) დედა ქეთევანი, რომელმაც მტკიცედ დაიცვა ქრისტიანობა და არაერთი თხოვნა-მუქარის მიუხედავად, არ შეიცვალა რჯული, შაჰის ბრძანებით, 1624 წელს, ირანის ქალაქ შირაზში წამებით გამოასალმეს სიცოცხლეს. მოგვიანებით იგი წმინდანად იქნა შერაცხული მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის მიერ. საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემდგომი ვიზიტი სწორედ დედოფლის წმინდა ნაწილების საქართველოში ჩამოტანის ამბავს უკავშირდება. ეს რთული და მძიმე მისია იტვირთეს პორტუგალიელმა ავგუსტინელმა მისიონერებმა ამბროსიო დუშ ანჟუმმა (რომელსაც ეკუთვნის ასევე ქეთევანის წამების აღწერა) და პედრო დუშ სანტოშმა, რომლებიც მეფე თეიმურაზს ეახლნენ 1628 წლის მაისში. მეფემ მათ გორში მამულები უბოძა, სადაც მისიონერებმა სამლოცველოც ააგეს [პაპუაშვილი, 1995:152-155]. ავგუსტინელთა ეკლესია, რომელიც ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, წმ. გიორგის და სილიბისტროს სახელზე იქნა აგებული [ჭიჭინაძე, 1903:56], რომელიც ერთ-ერთ საუკეთესო საკულტო ნაგებობად ითვლებოდა გორში⁵. იგი შემოინახა დონ ქრისტეფორო დე კასტელის (1597-1659) მიერ შესრულებულმა ნახატმა.



კასტელი

ამავე პერიოდში, 1626 წელს, რომის პაპმა ურბან VIII-მ (1623-1644) და 1622 წელს კათოლიციზმის პროპაგანდის მიზნით შექმნილმა წმინდა კონგრეგაცია „პროპაგანდა დე ფიდემ“, საქართველოს შესახებ არსებული ინფორმაციის, აქედან გაგზავნილი მოხსენებების საფუძველზე, გადაწყვიტეს საქარ-

⁵ გორში კათოლიკური ეკლესიის გაცილებით ადრე არსებობაზე მიანიშნებს რუსეთის არმიის ყოფილი პოლკოვნიკი როტიე. 1819 წელს პროპაგანდა ფიდეს წინაშე წაკითხულ მოხსენებაში იგი ახსენებს გორის ეკლესიის ნანგრევებს, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ავადმყოფობის დროს მიდიოდა და ლოცულობდა. ადგილობრივი გადმოცემით, ეს ეკლესია გენუელ პატრებს ეკუთვნოდა და ის ოსმალებს დაუნგრევიათ XVI საუკუნეში. თუმცა, ნ. ნაცვლიშვილის სამართლიანი შენიშვნით, რაკი ეს ცნობები არ დასტურდება, ისინი სარწმუნო არ უნდა იყოს.

თველოს კათოლიკური მისიონი მიენდოთ თეატინელთა ორდენის წარმომადგენელთათვის და პირველ ეტაპზე აქ წარმოგზავნეს სამი მისიონერი: დონ პიეტრო ავიტაბილე, ფრანჩისკო დ'აპრილე და ჯაკომო დი სტეფანო. იმავე წელს, აღნიშნულ მისიონერებს, რომლებიც მესინადან (სიცილია) ხომალდით საქართველოსკენ გამოსამგზავრებლად ემზადებოდნენ, შემოხვდათ კახთა მეფე თეიმურაზ I-ის (1606-1648) ელჩი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი-ირუბაქიძე (1585-1658, ნიკიფორე ირბახი) სამ მხლებელთან ერთად. ელჩს მეფის წერილი მიჰქონდა რომის პაპთან, რათა მას ესპანეთის მეფესთან ეშუამდგომლა. მასში თეიმურაზი აღიარებდა რომის პაპის უპირატესობას, სთხოვდა მეფედ აღიარებას და მორჩილებას ჰპირდებოდა [თამარაშვილი, 1902:93-94; დაწვრილებით იხ. გამეზარდაშვილი, 2002:9-222; ჯორდანი, გამეზარდაშვილი, 1994:401-418].



ნიკიფორე ირბახი

კონსტანტინოპოლში მისიონერები უსაფრთხოდ გზის გაგრძელებაში დახმარებისათვის ეახლენ საფრანგეთის ელჩს, რომელმაც მათ იქ მყოფი დიდი მოურავი – გიორგი სააკაძე (1570-1629) გააცნო.

დიდი თავგადასავლების შემდეგ, 1628 წლის ბოლოს, ორი თეატინელი მისიონერი მოვიდნენ გორში, რომელიც მტრისგან აოხრებული და მოსახლეობისგან დაცლილი დახვდათ. მეფე თეიმურაზმა ასევე დიდი პატივით მიიღო ისინი და გორში პატარა ეკლესია და სახლიც უწყალობა. მათ ყურადღებას არ აკლებდა კათალიკოსი ზაქარიაც. მისიონერებმა დაიწყეს ქართულის შესწავლა, თავი გამოიჩინეს მკურნალობით. „მათმა თავგანწირულობამ, უანგარობამ და გულკეთილობამ მალე გახადა იგინი ხალხის საყვარელი და რომიდგან მოსული კი არა, ზეციდგან ჩამოსულ ღვთის კაცებს ეძახდნენ“ [თამარაშვილი, 1902:103].

როგორც ირკვევა, მისიონერებმა ჩათვალეს, რომ ქვეყანაში მოსახლეობის გაკათოლიკების საქმე ძალიან კარგად მიდიოდა, რასაც აცნობებდნენ ხოლმე ვატიკანს. 1630 წელს პაპმა მოუწოდა მეფე თეიმურაზს ღიად გადასულიყო კათოლიკობაზე და სასულიერო პირების გადაყვანასაც ცდილიყო. თუმცა, მეფემ ამისგან თავი შეიკავა, სხვათა შორის, ადგილობრივ თავადთა წრეში და უმადლეს სასულიერო პირებში (კათოლიკობის ექსპანსიის წინააღმდეგ განსაკუთრებით აქტიურობდა ათონის მთაზე განათლებამიღებული ალავერდელი

ეპისკოპოსი) უკმაყოფილების თავიდან აცილებისა და ქვეყანაში მყოფი ბერძნული სამღვდელთა პოზიციის გათვალისწინებითაც.

1631 წელს გორის თეატინელთა მისიონს ორი მისიონერი – ჯუზეპე ჯუდიჩე და არქანჯელო ლამბერტი შემოემატა, მომდევნო წელს კიდევ ექვსი, მათ შორის ქრისტეფორო დე კასტელი. 1632 წელს მათ ააგეს წმ. პეტრეს სახელობის ეკლესია, რომელთანაც ფუნქციონირებდა სასულიერო სასწავლებელიც. გათვალისწინებული იყო კახეთში თეატინელთა ახალი მისიონის დაარსებაც. ამ დროისათვის გორში თავი მოიყარა თხუთმეტზე მეტმა მისიონერმა. 1633 წელს საქართველოს მისიონი დაუქვემდებარეს ისპაჰანის ეპისკოპოსს. თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ შეცვლილმა პოლიტიკურმა ვითარებამ სხვა მიმართულება მისცა მისიონერთა მოღვაწეობას. თეიმურაზმა ირანთან ბრძოლა წააგო და ტახტიც დაკარგა. ირანის მიერ აღმოსავლეთ საქართველოში მეფედ გამაჰმადიანებული როსტომ ხანის (1633-1658) წარმოგზავნის შემდეგ, 1633 წელს თეიმურაზი იძულებული გახდა თავი იმერეთისათვის შეეფარებინა. მართალია, თავიდან როსტომმაც მოწყალების თვალით შეხედა მისიონერებს და ყველა უწინდელი პრივილეგია შეუნარჩუნა მათ. პეტრო ავიტაბილეს მიხედვით, „იგი მაჰმადიანი, მაგრამ დიდად ხელს უწყობს ქრისტიანებს. ამ მიზნით ხშირად შედის პატრი ავგუსტინელების ეკლესიაში წირვის მოსასმენად“ [ავიტაბილე, 1977:57]. თუმცა, მალე გამოსცა ბრძანება, რომ ვინც სარწმუნოებას გამოიცვლიდა და მაჰმადიანობის ნაცვლად სხვა სარწმუნოებას მიიღებდა, სიკვდილით დაისჯებოდა [თამარაშვილი, 1902:131]. ამან გორის კათოლიკური მისიონის მნიშვნელოვნად შეარყია. თეატინელების ეკლესია, სავარაუდოდ, არტილერიის ცეცხლით ძლიერ დაზიანდა 1635 წლის 17 ოქტომბერს თეიმურაზ I-ის გორზე თავდასხმის დროს [ნაცვლიშვილი, 2019:73].

ქართლში ფეხის მოკიდების შემდეგ, როსტომმა გადაწყვიტა მოკავშირე ეპოვა დასავლეთ საქართველოში და ლევან II დადიანთან დამოყვრება გადაწყვიტა: მისი და – მარიამი შეირთო ცოლად. სწორედ ამ საკითხზე მოლაპარაკებისას, სამეგრელოსა და გურიის მთავრების სურვილის შესაბამისად, 1633 წელს ოდიშში გადავიდნენ არქანჯელო ლამბერტი და ჯუზეპე ჯუდიჩე, გურიაში კი – ქრისტეფორო დე კასტელი ორ მისიონერთან ერთად. შემცირებული გორის მისიონი ევროპიდან ახალი წევრებით – ფრანჩისკე მაჯო და კლემენტე გალანო – შეივსო [თამარაშვილი, 1902:129]. თუმცა, უკვე ნათელი იყო, რომ აქ მათ თეიმურაზისა და მისი მეუღლის დარი მფარველები აღარ ეყო-

ლებოდათ. ამიტომ, თანდათან, მისიონი შესუსტდა და 1638 წლისათვის ბოლომდე დაიცალა. დონ პიეტრო ავიტაბილე ასე განმარტავს მისიონის დახურვის მიზეზებს: „ახლა ამ ქვეყნის მეფე მაჰმადიანია და, მაშასადამე, უიმედოა მასთან რაიმე გავაწყობთ ისევე, როგორც ამ მხარის ხალხთანაც (!). ჩანს პატრიარქიც ძლიერ გვემტერება“ [ავიტაბილე, 1977:68]. პატივცემული პიეტრო ავიტაბილე თავის რელაციებში არაერთხელ მიუთითებს ადგილობრივი მოსახლეობის, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრულ დამოკიდებულებაზე კათოლიკური ეკლესიისადმი. მის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა იყო ერთგვარი შეჯამება და აღიარება იმისა, რომ მისი და თეატინელთა მისიონის რამდენიმეწლიანი საქმიანობა აღმოსავლეთ საქართველოში წარუმატებლად სრულდებოდა. აქვე, საინტერესოა „პროპაგანდა ფიდეს“ მდივნის მიერ პიეტრო ავიტაბილეს წერილებზე დაყრდნობით გაკეთებული შემაჯამებელი დასკვნის ერთი მონაკვეთი, სადაც ის წერს: „ქართლის პროვინციაში მისიონერებმა სულ ექვსი პირი მოაქციეს კათოლიკობაში, რომელთაგან ორი დღემდე ისევ თავიანთ სარწმუნოებას მისდევს“ [ავიტაბილე, 1977:80]

მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკური მისიონი გორში არსებობდა სულ რაღაც 10 წელი, მან მაინც გარკვეული კვალი დატოვა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე. გარდა იმისა, რომ მათი საშუალებით ხერხდებოდა ევროპასთან კავშირის დამყარება, კათოლიკე მამებს აქ შემოჰქონდათ ევროპული კულტურის ელემენტები, განათლება, სამედიცინო დახმარება, რაც ესოდენ საჭირო იყო მუსლიმურ გარემოცვაში მყოფი ქვეყნისათვის. რაც შეეხება კათოლიკობის გავრცელებას: უნდა შევნიშნოთ, რომ მართალია, საერო და სასულიერო ხელისუფლება, ძირითადად, დიდ პატივისცემასა და მოკრძალებას გამოხატავდა მისიონერთა და მათი საქმიანობის მიმართ და აღიარებდა რომის პაპის უპირატესობას, რომ იმდროინდელი ქართული მართლმადიდებლობა, თეორიულ თუ პრაქტიკულ გამოვლინებაში, დიდ სიახლოვეს იჩენდა კათოლიკობასთან (როგორც შენიშნავდნენ თავად მისიონერები და უპატაკებდნენ პაპს), მიუხედავად გარკვეული ტრადიციის არსებობისა და კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასვლის ცალკეული გახმაურებული შემთხვევებისა, კათოლიკობის გავრცელებას აღნიშნული პერიოდის საქართველოში არ ჰქონია რამდენადმე ხელშესახები ხასიათი და მასშტაბები, რის მიზეზიც შეიძლება ვეძიოთ შემდეგში: 1. მისიონერთა აქ მოღვაწეობა, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, იყო დროში შეზღუდული, შესაბამისად მას არ ჰქონდა პერმანენტული ხასიათი; 2. მოსახლეობა, ძირითადად, მტკი-

ცედ იცავდა მისთვის უკვე ტრადიციად ქცეულ სარწმუნოებას, რასაც უკავშირებდა საკუთარ იდენტობას; 3. უმაღლესი იერარქები მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევის შიშით, სურვილისა თუ შინაგანი რწმენის მიუხედავად, ღიად ვერ აფიქსირებდნენ თავიანთ შეცვლილ პოზიციას, რომ არაფერი ვთქვათ ხალხისადმი მოწოდებაზე. მოსახლეობა კი ვერ ხედავდა პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სხვა პერსპექტივას, რომელიც რწმენის შეცვლის საპირწონე იქნებოდა; 4. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ორთოდოქსული რწმენის სადარაჯოზე მტკიცედ იდგა ქართული სამოციქულო ეკლესია, რასაც ზურგს უმაგრებდა სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენელთა ხშირი ვიზიტები საქართველოში.

ლიტერატურაში დომინირებს აზრით, რომ „ქართველი მეფეები (იშვიათი გამონაკლისის გარდა) ხალხისა და ქვეყნის სამსახურში იდგნენ მთელი თავისი ოჯახითა და მონაგარით, ჯარსა თუ ლაშქარს ბრძოლებში თავად მიუძღოდნენ წინ, მძევლად უშვებდნენ შვილებს მოსისხლე მტრის კარზე და მართლმადიდებელი სარწმუნოების დასაცავად მოწამეობრივად ამთავრებდნენ ამქვეყნიურ ყოფას. ქართველი მეფეებისა და არისტოკრატების ცხოვრება ტანჯვა იყო და არა ფუფუნება. ამიტომ თავად-აზნაურობასა და სამეფო სახლეულეებთან ურთიერთობას მისიონერთათვის კათოლიკობის გავრცელების თვალსაზრისით არაფერი მოუტანია. ამ მხრივ მათ იმედი ნამდვილად გაუცრუვდათ [ფავლენიშვილი, 2019:26].

როგორი სიტუაციაა ამ მხრივ დასავლეთ საქართველოში? მ. თამარაშვილი ფიქრობს, რომ იმერეთ-გურია სამეგრელოში კათოლიკობა უფრო გავრცელებული უნდა ყოფილიყო, რადგან მისიონერები ამ მხრიდან შემოდიოდნენ დანარჩენ საქართველოში და პირველად იქ ქადაგებდნენ. აღსანიშნავია, ასევე, გენუელი და ვენეციელი ვაჭრების ხშირი მიმოსვლა ამ რეგიონებში [თამარაშვილი, 1902:133].

XVII საუკუნის 10-იან წლებში კათოლიკური მისიონის დაარსების უიღბლო მცდელობის შემდეგ, ოდიშის სამთავროს 1630 წელს სტუმრობდა დომინიკელი მისიონერი ჯულიანო და ლუკა, რომელიც დიდი პატივისცემით მიიღო ლევან დადიანმა [პაპაშვილი, 1995:168], თუმცა, როგორც ჩანს, 1634 წლამდე ამ ვიზიტს გაგრძელება არ მოჰყოლია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გურიაში დამკვიდრდნენ ქრისტიანთა დეკასტელი ორ მისიონერთან ერთად. ოზურგეთში მათი ჩაყვანა უზრუნველყო შემოქმედელმა ეპისკოპოსმა და წარუდგინა კათალიკოს მალაქია II-ს (1616-1639), რომელიც, 1625-1639 წლებში ამავე დროს იყო გურიის მთავარიც. იგი

მათ ყოველგვარ შემწეობას დაჰპირდა. მისიონერებს მისცეს სახლი საცხოვრებლად და აუშენეს ხის ეკლესია, სადაც უამრავი ხალხი მიდიოდა ქადაგების მოსასმენად და მოსანათლად. ორი წლის შემდეგ კათალიკოსმა, რომელმაც ძალიან შეიყვარა ისინი და სურდა მუდამ გვერდით ჰყოლოდა, უკვე თავის ეზოში მისცა მისიონერებს სახლი და ეკლესია, სადაც თეატინელებმა სკოლა გამართეს [თამარაშვილი, 1902:154-155]. ლამბერტი წერს, რომ პატრიარქ-მთავრის ასეთმა დამოკიდებულებამ დიდი შური აღძრა ბერძნებში და მათ ლამაზ სახლს ცეცხლი წაუკიდეს. კასტელიმ თავს ფანჯრიდან გადახტომით უშველა. საბედნიეროდ, ხანძარს სასწაულებრივად გადაურჩა მათი პატარა ხის ეკლესია [მერკვილაძე, 2014:240].

თანდათან, მალაქია გურიელის მეცადინეობით გურიაში მისიონერთა რიცხვი შვიდამდე გაიზარდა. მთავარი სიცოცხლის ბოლომდე მფარველობდა მათ. პატრმა ჯარდინამ მშობლიურივით იცოდა ქართული. მას შეუდგენია ქართული გრამატიკა მოსწავლეთათვის. სამწუხაროდ, იგი 1637 წელს დასნეულდა და გარდაიცვალა. საინტერესოა, რომ სწორედ მისი დამსახურებით როსტომ მეფისგან დევნილი ალავერდელი მიტროპოლიტი, რომელიც ადრე სასტიკად დევნიდა მისიონერებს, გაკათოლიკდა. როგორც ირკვევა, კათოლიკეთა რიცხვი გურიაში თანდათან გაიზარდა.

სიტუაცია შეიცვალა 1639 წლიდან, მალაქია გურიელის გარდაცვალების შემდეგ. ოდიშის მთავარმა ისარგებლა მომენტით და გურიელის ტახტზე დასვა მალაქიას ძმა ვახტანგ II (1639-1640), რომელიც სდევნიდა თეატინელ მისიონერებს და მალევე ჩამოართვა მათ ადრე ნაბობები სახლი, მამულები და ყმებიც. კასტელი და მისი სულიერი ძმები იძულებულნი გახდნენ სამეგრელოში გადასულიყვნენ და იქედან ეპატრონათ გურიაში მიტოვებული მრევლისათვის [თამარაშვილი, 1902:165]. ამით, ფაქტობრივად, გურიის კათოლიკურმა მისიონმა შეწყვიტა არსებობა.

რაც შეეხება თეატინელთა მოღვაწეობას სამეგრელოში, რომელიც იწყება არქანჯელო ლამბერტისა და ჯუზეპე ჯუდიჩეს მოსვლით 1634 წელს. ლევან დადიანმა დიდი პატივით მიიღო ისინი. გულმოწყალებდ პატრონობდა მათ მთავრის მეუღლეს და ყურადღებას არ აკლებდა. მთავარმა მისიონერებს უბოძა მამულები და ყმები და 1635 წელს მათ წიფურის ეკლესია გადასცა. თავიდან ეკლესიის გადაცემის წინააღმდეგი წავიდა ადგილობრივი ეპისკოპოსი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ცხენის გახედვისას დაშავებული მთავარი განკურნა ა. ლამბერტიმ, მისიონერებმა წმ. გიორგის ეკლესიასთან ერთად მსახურებიც მიიღეს [მერკვილაძე, 2014:243].

მაღე, მისიონერებმა დაიწყეს მეგრულის შესწავლა და ამ მხრივ დიდ წარმატებასაც მიაღწიეს. მაღე, კათოლიკობის გავრცელებას სამეგრელოში ფართო ასპარეზი მიეცა. როგორც ირკვევა, ყოველწლიურად დაახლ. 300-400-მდე პირი ინათლებოდა. მრავალთა შორის კათოლიკურად მოინათლა ლევან დადიანიც, რამაც დიდად გაახარა როგორც მისიონერები, ისე რომის პაპი. სამწუხაროდ, რომში ელჩობიდან უკან მობრუნებული ჯუზეპე ჯუდიჩე გზად, 1646 წელს გარდაიცვალა კონსტანტინოპოლში, ოსმალთა ტყვეობაში, რომლებმაც ის ჯაშუშად მიიჩნიეს. 1650 წელს 20 წლიანი მოღვაწეობის შემდეგ სამეგრელო დატოვა არქანჯელო ლამბერტიმ, თუმცა მანამდე და შემდეგშიც მისიონი სხვა წევრებით შეივსო. 1652 წლის ახლო ხანებში სამეგრელო დატოვა კასტელმაც [თამარაშვილი, 1902:193-198]. მაღევე, კოლხეთის კლიმატის გამო, დასნეულდა და გარდაიცვალა კიდევ ორი თეატინელი მისიონერი.

XVII საუკუნის 60-იანი წლების II ნახევარში თეატინელთა მისიონი დიდად დააზარალა იმერეთსა და სამეგრელოს შორის ლეჩხუმის გამო ატეხილმა დაპირისპირებამ. სამეგრელოში მარბიელ ლაშქრობებს აწყობდნენ აფხაზებიც, რის გამოც სამთავრო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. უსახლკაროდ დარჩნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებსაც 1679 წელს 3 ახალი პატრი შეემატათ. სამწუხაროდ, რეგიონის სიმშვიდე ხშირად ირღვეოდა, ამიტომ იქ თეატინელთა რაოდენობა თანდათან შემცირდა. 1694 წლისთვის დარჩნენ მხოლოდ ორნი, რომელთა გარდაცვალების შემდეგ, 1700 წელს სამეგრელოს მისიონმა არსებობა შეწყვიტა [თამარაშვილი, 1902:204-212].

იმერეთის სამეფოში თეატინელები გამოჩნდნენ 1644 წელს ალექსანდრე III-ის (1639-1660) მეფობისას, რომელმაც ლევან დადიანს სთხოვა მასთან გარკვეული ხნით კასტელის გაგზავნა. იგი დიდი პატივით მიიღეს ქუთაისში. „რითაც კი შეეძლო მეფეს, თავს არ ზოგავდა, პატივი ეცა და სიყვარული გამოეცხადებინა პატრისათვის. ხშირად თავისთან სადილად იწვევდა, ყველა, კერძო და თუ სამთავრო საქმეში, მას რჩევას ჰკითხავდა; ეგრეთვე დედოფალთან ერთდ ესწრებოდა მის წირვას“ [თამარაშვილი, 1902:216]. მეფემ პატრს თავისთან ახლოს სახლიც დაუმტკიცა და ეკლესიაც, რომელსაც ხშირი და ბევრი მიმსვლელი ჰყავდა. კასტელი დიდ პატივში აღმოჩნდა. იმერეთში ყოფნის დროს კასტელის მოუნათლავს ათასზე მეტი ადამიანი, მათ შორის მეფის შვილი და მისი მემკვიდრე ბაგრატი (იმერეთის მომავალი მეფე – ბაგრატ მეოთხე; 1660-1681), მეფის ქალიშვილის შვილები, ასევე, მრავალი წარჩინებული და დიდგვაროვანი და არა მარტო ქუთაისში, არამედ იმერეთის სხვა-

დასხვა ადგილას [ბეგიშვილი, 2018:115]. ლ. ბეგიშვილი ფიქრობს, რომ სავარაუდოდ, კასტელთან ერთად, იმერეთში, სხვა თეატინელი მოძღვრები ან მორჩილი ძმებიც უნდა ყოფილიყვნენ, ვინაიდან ბევრ ადგილას კასტელი მრავლობითში საუბრობს და აშკარად მიუთითებს, რომ იქ მარტო არ ყოფილა [იქვე].

მეფე არ აპირებდა სამეგრელოში კასტელის დაბრუნებას, მაგრამ ლევან დადიანის მუქარამ გაჭრა და 1646 წელს მან პატრი დიდად დასაჩუქრებული გაისტუმრა. შემდგომ წლებში თეატინელების იმერეთში ყოფნა დოკუმენტურად არ დასტურდება, თუმცა, 1668 წელს ერთი კაპუცინი რომში მიწერილ წერილში ახსენებს თეატინელთა ეკლესიას ქუთაისში [თამარაშვილი, 1902:-219-220], რაც კათოლიკური მისიონისა და კათოლიკე მრევლის არსებობას ადასტურებს ამ ქალაქში.

იმის მიუხედავად, რომ თეატინელთა საქმიანობა დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით სამეგრელოში, უფრო ხანგრძლივი და წარმატებული იყო, ის უმთავრესი შედეგი, რასაც ისახავდნენ მიზნად მისიონერები, არ იყო მიღწეული. მოსახლეობის ნაწილის გაკათოლიკება და ხელისუფლების მიერ ბოძებული ეკლესიები ვერ ცვლიდა საერთო განწყობასა და ფონს.

XVII საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში რომმა საქართველოში კათოლიკობის გავრცელების საქმე მიანდო 1520 წელს დაარსებულ კაპუცინების ორდენს, რომელიც წარმოადგენდა ფრანცისკელთა განშტოებას. საკუთარი სიღარიბისა და უმკაცრესი ცხოვრების წესის მეშვეობით (სწორედ ამ ნიშნით შეირჩენ ისინი ირანელთაგან გადატაკებულ საქართველოში) კაპუცინები წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდნენ უბრალო ხალხის გონებაზე და აღწევდნენ წარმატებას ევროპაში, აზიასა თუ ამერიკაში [პაპაშვილი, 1995:200-201].

1661 წელს 8 მისიონერი შეირჩა საქართველოში გამოსაგზავნად, თუმცა მათგან მხოლოდ სამმა მოაღწია თბილისს 1662 წლის ბოლოს თუ 1663 წლის დასაწყისში, ორი კი სამეგრელოში დარჩა. ამ დროს ქართლის მეფე იყო ირანელთაგან დანიშნული ვახტანგ V (1658-1675), რომელმაც დიდი პატივით მიიღო კაპუცინები და თბილისის შუა ადგილას ორი სახლი უყიდა, ერთი – საცხოვრებლად, მეორე – წირვა-ლოცვის ჩასატარებლად. ამ დროს მეფის პირადი ექიმი ყოფილა გაკათოლიკებული ბერძენი ანდრია ეპიფანე. მისიონერების მიერ რომში გაგზავნილი წერილებიდან ირკვევა, რომ მათ წირვას უამრავი ხალხი ესწრებოდა, მათ შორის მაჰმადიანი მეფის ოჯახის წევრებიც და ისინი იმედიანად იყვნენ განწყობილნი აქ კათოლიკობის გავრცელების მხრივ [თამარაშვილი, 1902:224].

1668 წელს კაპუცინი პატრი კარლოს წერილით ირკვევა, რომ თბილისში, სადაც 70 თუ 80 ათასი მაცხოვრებელი იყო, კათოლიკე 8 ოჯახამდე თუ იქნებოდა, გორში და ქუთაისში კი თითო ოჯახი. რაც შეეხება ეკლესიებს, თბილისში კათოლიკური ეკლესია არ იყო, გორში კი ავგუსტინელთა და თეატიწელთა ეკლესიები ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის ხელში იყო გადასული და მეფე დაჰპირდა ამ უკანასკნელის დაბრუნებას, თუმცა მისიონერთა სიმცირის გამო მათი დაპატრონება ვერ მოხერხდა. მისიონერებს გაუმართავთ სკოლა, რომელშიც 25 მოსწავლე ჰყოლიათ [თამარაშვილი, 1902:234-235]. სკოლაში ასწავლიდნენ ქართულს, იტალიურს და ლათინურს. ასევე, საქრისტიანო მოძღვრებას. 1669 წელს კაპუცინებმა ახალი შევსება მიიღეს და შესაძლებელი გახდა კათოლიკური მისიონი დაარსებულიყო გორში და ქუთაისში. ქართველები მათდამი დიდ კეთილგანწყობას იჩენდნენ, თუმცა სომხებისგან სასტიკად იდევნებოდნენ. თბილისში ახალი ეკლესიის აშენებისას კათოლიკე მისიონერების წინააღმდეგ გაილაშქრა საქართველოს პატრიარქმა, სკოლაც დაუხურა, თუმცა შემდეგ ისევ დაუმეგობრდა მათ.

მოღვაწეობის 10 წლისთავზე კაპუცინები რომისადმი წერილში გამოხატავენ კმაყოფილებას კათოლიკობის გავრცელების მასშტაბებით. მათ არაერთი ოჯახი გადაუყვანიათ რომის სარწმუნოებაზე, 1000 სულზე მეტი ხელახლა მონათლეს, პატრი ფრანჩისკემ ქართულად თარგმნა კატეხიზმო... 1675 წელს პატრი იოსებ რომელი წერს რომს: „მთელი აზია დავიარე ინდოეთამდე და დავრწმუნდი, რომ საქართველოს მისიონი ყველაზე უფრო ნაყოფიერია მთელს აზიაში“ [თამარაშვილი, 1902:249]. პატრი ბერნანდემ დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს. მას ბევრი წიგნი უთარგმნია ქართულად, ზოგი თავად შეუდგენია. რა თქმა უნდა, ყველა კათოლიკური მრევლის საჭიროებისათვის.

ერთ-ერთ უთარილო ეპისტოლეში კაპუცინების მოღვაწეობა საქართველოში შემდეგ ნაირად არის შეფასებული: „თორმეტი წლის განმავლობაში საქართველოს მისიონმა უფრო მეტი ნაყოფი გამოიღო, ვიდრე სხვა ქვეყნების მისიონმა 60 წლის განმავლობაში გამოიღო. გარდა ორი ეკლესიისა, გვექვს სკოლა, რომელშიც სწავლობენ 40-50 მოწაფემდე“ [თამარაშვილი, 1902:251].

1680 წელს პატრი ბერნარდე ნეაპოლში დაბრუნდა და პროპაგანდა ფიდეს თავისი ათწლიანი მოღვაწეობის შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინა, რომელშიც ხაზს უსვამდა აღმოსავლეთის მისიონთა შორის საქართველოს მისიონის უპირატესობას და წერს: „ქართველი ხალხი ყველა აღმოსავლეთის ტომებზე უფრო განათლებული, უფრო განვითარებული და უფრო პატიოსანია და დიდი ნიჭიცა აქვს, რაის გამო უფრო მომზადებულია შეითვისოს

სარწმუნოების ქეშმარიტება“. პატრი პროპაგანდის კოლეგიაში საქართველოდან ახალგაზრდების გაგზავნის წინააღმდეგია დიდი ხარჯისა და მათი ოსმალთა ტყვეობაში ჩავარდნის საფრთხის გამო, თუმცა ფიქრობს, რომ ადგილზეც, კარგი მასწავლებლების ხელში „...კარგად აღიზარდნენ, გარნა, სამწუხაროდ, რა გახდებიან რვისა ანუ სულ ბევრი ათის წლისა, მშობლებს ჩვენგან გაჰყავთ და აყენებენ ხელობაზე“. ამის მიუხედავად, პატრი ფიქრობს, რომ ნიჭიერი ახალგაზრდები უყურადღებოდ არ უნდა დატოვონ და გამოყოფილი ფულით ადგილზე ორჯერ მერი ახალგაზრდის გაწვრთნა იქნებოდა შესაძლებელი [თამარაშვილი, 1902:254-255].

პატრი ბერნარდესთან ხშირი მიმოწერა ჰქონდათ საქართველოდან. 1683 წლის ერთ-ერთი წერილი გვაუწყებს, რომ თბილისში 200 კათოლიკე ყოფილა, რომელთაც დიდად მტრობდა სომხური სამღვდელოება და რომ არა მეფის მხარდაჭერა, მათი საქმე ცუდად წავიდოდა. 1687 წლის წერილით ვიგებთ, რომ კათოლიკობა მიუღია თვით მეფე გიორგი XI-ს და სამღვდელოების დიდ ნაწილსაც რომის პაპის უზენაესობა უცვნია, რასაც ადასტურებს თვით მეფის მიმოწერა რომთან [თამარაშვილი, 1902:265-271]. პარალელურად, სომხები განაგრძობდნენ მტრობას და დიდ ზიანსაც აყენებდნენ კაპუცინების მისიონს გორსა და თბილისში.

1689-1692 წლებში კაპუცინ მისიონერთა პრეფექტის თანამდებობა ეკავა ჯულიო და კრემონას, ვის დროსაც თბილისისა და გორის მისიონი დიდ აღმავლობას განიცდიდა. 1691 წლის 28 ნოემბრის ვრცელ რელაციონში კონგრეგაციისადმი ჯულიო წერდა: „ვეყრდნობი რა ქვეყნების შესახებ ჩემს ცოდნას, შემძლია მთელი რწმუნებით განვაცხადო, რომ თბილისის მისიონი აღმოსავლეთში არსებულ მისიონებს შორის გამორჩეულია. ასეთი აზრი მომოსმენია მრავალი გამოცდილი ადამიანისაგან, რომლებიც იყვნენ და კარგად იცნობდნენ აღმოსავლეთს“. ჯულიოს სახელთანაა დაკავშირებული აღდგენა-განახლება თბილისის კათოლიკური ეკლესიისა, რომელიც „პატარა სამოთხეს“ დაამსგავსა. მისი დაკვირვებით, „თბილისში მდებარეობს სამეფო რეზიდენცია და საერთოდ ეს ადგილია, სადაც ყველა სამეფოდან ჩამოდიან; აქ აუცილებელია ყველა ხალხს ვაჩვენოთ ჩვენი კულტის დიდებულება, მსახურების სილამაზე და საეკლესიო მოკაზმულობა... თბილისში, შეუძლებელია კაპუცინთა სიღარიბის ფილოსოფიის დაცვა. ამიტომ პრეფექტმა ეს მისია, როგორც მას ეკადრება ისე უნდა შეინახოს, ანდა თავი უნდა დაანებოს მას.“ მისიონის ხელმძღვანელი იმედოვნებდა, რომ საქართველოს ერთიანობისთვის გიორგი

მეფის ბრძოლაში წარმატება კათოლიკობის წინსვლის საწინდარი გახდებოდა [პაპაშვილი, 2019:98-107]. ასეთ ყოფაში მიიღია XVII საუკუნე.

მე-18 საუკუნეში კათოლიკობის გავრცელება საქართველოში შეფერხდა. შენედა კათოლიკე მისიონერთა აქტივობაც, შემცირდა რომისკენ მიდრეკილთა რაოდენობაც. მ. თამარაშვილი ასეთი მკვეთრი გარდატეხის მიზეზებად ასახელებს შემდეგს: 1. პოლიტიკური მდგომარეობა და მუდმივი ომიანობა; 2. საქართველოში სპარსეთის ბატონობა და 3. სომეხთა მტრობა [თამარაშვილი, 1902:301]. ეს ბოლო მიზეზი, როგორც ჩანს გადამწყვეტი აღმოჩნდა. სომეხი ვართაპეტი ვინმე მესროპი დღე და ღამეს პაპის წყევლასა და ანტიკათოლიკურ პროპაგანდაში ატარებდა. თუმცა, საუკუნის დასაწყისში, ინერციით კათოლიკურ სარწმუნოებაზე, სხვათა შორის, გადასვლის სურვილს აცხადებდნენ მაღალი საერო და სასულიერო თანამდებობის პირები, მათ შორის, კათალიკოსი დომენტი (1705-1741), მისი ძმა ქართლს მეფე ქაიხოსრო (1709-1711). „ხოსრო კათოლიკე სარწმუნოების სიყვარულით ეგოდნათ აღტკინებული იყო, რომ თვით მაშინ, როდესაც ყანდაჰარს გარშემო ჯარი ერტყა, თავის კარავში წირვას ასრულებინებდა. ამიტომ განგებ თანა ჰყავდა სამი ფრანგი მონაზონი“ [თამარაშვილი, 1902:310]. თამარაშვილის ცნობით, კათოლიკობა ჰქონდათ მიღებული ქართლის მეფე გიორგი XI-ს (1676-1688, 1703-1709) და მის ძმა ლევანსაც. ამავე პერიოდში რომის პაპის უპირატესობა აღიარა სულხან-საბა ორბელიანი (1658-1725). მ. თამარაშვილის მიხედვით, ის კათოლიკობას ეზიარა ევროპაში წასვლამდე კარგა ხნით ადრე, აქვე, საქართველოში.



*სულხან-საბა
ორბელიანი*

1715 წლისთვის თბილისში ექვსი იტალიელი კაპუცინი მისიონერი ყოფილა, გორში – ოთხში. ამას დაემატა სულხან საბას მიერ ევროპიდან ჩამოყვანილი კიდევ 12 მისიონერი. ს.ს. ორბელიანისა და მრავალრიცხოვან მისიონერთა აქტივობამ თანდათან თავისი შედეგი გამოიღო – ბევრი ეზიარა კათოლიკობას. თუმცა, კათოლიკობის გავრცელებას წინ აღუდგნენ სომეხები, რომლებმაც დიდი ვნება მიაყენეს პატრებს, გადასწვეს და გაანადგურეს მათი ეკლესია. როგორც ჩანს ისინი წაქეზებული იყვნენ ექმიაძინის პატრიარქისგან, ქართველებმა კი ვერ ან არ შეაჩერეს ისინი. ეს ყოველივე მოხდა ქართლის მეფე ვახტანგ VI-ის ირანში ყოფნის პერიოდში. 1719 წლიდან, ქვეყანაში დაბრუნებისთანავე, ვახტანგმა, როგორც კათოლიკური სარწმუნოებისა და რომის პაპის დიდად პატივისმცემელმა, ყველაფერი

გააკეთა მათი მდგომარეობის გამოსწორების, ზარალის ანაზღაურებისა და დამნაშავეთა დასჯისათვის [თამარაშვილი, 1902:335-338].

როგორც ირკვევა, ვახტანგ მეფე კათოლიკობისადმი სიმპათიებს იჩენდა ჯერ კიდევ ჯანიშინობის პერიოდში (1703-1711). პატრი რეჯინალდოს მიერ 1709 წელს რომში გაგზავნილ მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ეს ბატონი... კარგად მიდრეკილია კათოლიკე სარწმუნოებაზე: ერთხელ ერთ ჩვენს მისიონერს თავის ხმალზე შეჰფიცა, გულით კათოლიკე ვარ და მრწამს ყველა, რასაც აღიარებს რომის ეკკლესიაო... თუმცა თვითონ, როგორც ქართველი, მათ ტიბიკონს მისდევს. ხშირად მისიონერებს ბოდიშსა სთხოვს... თუ ჩემს კათოლიკობას საჯაროდ არ ვაცხადებ, ამის მიზეზი ის არის, რომ მეშინიან, რომ რაიმე ვნება არ მოგაყენონ თქვენო...“ [თამარაშვილი, 1902:339].

1716 წელს, მას შემდეგ რაც ევროპის დახმარება ვერ მიიღო, ვერც სულხან-საბა ორბელიანის მისიამ მოიტანა ხელშესახები შედეგები, ვახტანგმა ისლამი მიიღო. სეფიანთა ირანის შაჰმა ჰუსეინმა იგი მეფედ დაადგინა და 1719 წელს საქართველოში გამოისტუმრა. ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ მეფემ რუსეთის დახმარების მიღება სცადა, თუმცა უშედეგოდ. ამ მცდელობას, ერთი მხრივ, ირანთან ურთიერთობის გაფუჭება მოჰყვა, მეორე მხრივ – ოსმალეთის გადამტერება. ოსმალთაგან მომდინარე საფრთხის პირობებში ვახტანგმა დახმარებისათვის მიმართა რომის პაპს, რომელსაც ყველა ქრისტიანის წინამძღვრად და თავად მოიხსენიებდა. საინტერესოა მისეული ხედვა და შეფასება ქვეყანაში კათოლიკობასთან დაკავშირებით: „თუმცა ეს ერი უღირსია თქვენის უწმიდესობის მფარველობისა, რადგან მათგანი მომეტებული არ ემორჩილებიან თქვენს წმიდა საყდარსა. გარნა მე გპირდები ვცხოვრობდე თქვენს მორჩილების ქვეშ წმიდა კათოლიკე სარწმუნოების აღმასრულებელი, როგორც ჩემი წინაპრნი: სამწუხაროდ, აქაური უბედურება და ხალხის ღალატი ნებას არ მაძლევს ცხადად აღვიარო კათოლიკობა“ [თამარაშვილი, 1902:340]. იმავე პერიოდში ავსტრიის იმპერატორისადმი წერილში ვახტანგ VI მიუთითებს, რომ „ამ ჩვენს სამთავროში ძრიელ ბევრი კათოლიკეები არიან და მეც ამათ რიცხვში ვითვლები... თუ თქვენის გულ-მოწყალებით აქეთ მყოფთ კათოლიკე ეკკლესიის ერთგულ შვილებს მფარველობა აღმოუჩინეთ, მაშინ ვინც გაყრილნი არიან, წახალისდებიან და კათოლიკე ჭეშმარიტებას აღიარებენ“ [იქვე:341].

სამწუხაროდ, ვახტანგმა დახმარება ვერ მიიღო და ქვეყანამაც ვერ აიცილა „ოსმალობისა“ და „ყიზილბაშობის“ მძიმე ხვედრი. რუსეთში წასული მეფე ბოლომდე კათოლიკე დარჩა, საქართველოში კათოლიკობის საქმე კი კვლავ

გაურკვეველი დარჩა. მართალია, რომთან ურთიერთობა შენარჩუნებულია, მაგრამ, როგორც ირკვევა, კაპუცინები გარკვეულ მიკერძოებულობას იჩენდნენ სომხების მიმართ. ისინი რომში სასწავლებლად ქართველ ახალგაზრდებს იმ პირობით გზავნიდნენ, რომ სომხურ ტიპიკონზე კურთხეულიყვნენ და სამცხის კათოლიკეებისათვის მოეველოთ. ამის მიზეზად მ. თამარაშვილი გარკვეულ კონკურენციას მიიჩნევს: „საქართველოს შვილებს ადვილად არ აკურთხებდნენ ლათინურს ტიპიკონზე, ვგონებ იმიტომ, რომ მათთან ერთად ლათინის წესის ეკლესიებში არ ყოფილიყვნენ. არამედ ცალკე და დაშორებით, რათა როგორმე არ დაეჩრდილათ“ [თამარაშვილი, 1902:346].

მიუხედავად მძიმე პოლიტიკური სიტუაციისა, მ. თამარაშვილის მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, კათოლიკობა საქართველოში „ღონეს იკრებდა და ფრთებს შლიდა“ მათ შორის იმერეთსა და ოსმალთა ხელში მყოფ ახალციხეში. „ქართველი დიდგვაროვანი ხშირად კათოლიკდებოდნენ... გაკათოლიკებული დიდებულნი საკმაოდ ბევრნი იყვნენ, მათ შორის ძმები ორბელიანები: ივანე და ვახტანგი“ [თამარაშვილი, 1995:672].

1751 წელს, კათოლიკობა მიუღია იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთეს (1720-1752). ოსმალეთის გავლენაში მყოფ დასავლეთ საქართველოში კათოლიკობას კარგი ასპარეზი მიეცა სოლომონ I-ის (1752-1784) დროს, რომელიც კეთილგანწყობილებას იჩენდა მისიონერთა მიმართ და ასეთივე მიმოწერა ჰქონდა მას რომის პაპთანაც. საინტერესოა, რომ კათოლიკობაზე გადასულა დასავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონი (1742-1769) და მისი ძმა რაჭის ერისთავი როსტომი. ლ. ბეგიშვილის შეფასებით, „ის ფაქტი, რომ იმერეთის მეფემ და დიდებულებმა კათოლიკობა მიიღეს ნათლად ასახავს მაშინდელ პოლიტიკურ განწყობას, თუ გნებავთ, პოლიტიკურ ორიენტაციასაც და მეორეც, რომ კათოლიკობაში ეს პიროვნებები და ხალხიც ვერ ხედავდნენ რამე ისეთს, რომელიც მართლმადიდებლობასთან დაპირისპირებული იქნებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, კათოლიკობას არ მიიღებდა თუნდაც კათოლიკოს-პატრიარქი ბესარიონი. ამის გაკეთების საშუალებას მას უბრალოდ მრევლი არ მისცემდა და განუდგებოდა მას“ [ბეგიშვილი, 2018:117].

დასავლეთ საქართველოში ოსმალთა მოძალების პირობებში იმერეთის სამეფო სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა მოშლილი მეურნეობითა და ეკონომიკით, ომებითა და ეპიდემიით განადგურებული მოსახლეობით. ამ პერიოდში ქუთაისში თხუთმეტი ოჯახი ყოფილა კათოლიკეებისა, საკუთარი ეკლესიით, რომელსაც ერთი ადგილობრივი მღვდელი ემსახურებოდა და

საჭიროების დროს ახალციხედანაც მოდიოდნენ სხვები. ქუთაისს გარდა, ამ დროს კათოლიკური ეკლესიის არსებობა ჩანს დაბა ჩხარსა და ონში [იქვე, 120].

კათოლიკე მოსახლეობასა და პატრებს ყურადღებას არ აკლებდნენ არც სოლომონ II (1789-1810) და მისი მეუღლე მარიაში [თამარაშვილი, 1902:493-495]. ამ პერიოდიდან იმერეთის სამეფოში დაწინაურებას იწყებენ ჩხარელი და ქუთაისელი კათოლიკე დიდვაჭრები: აკოფაშვილები, მათიაშვილები, ოცხელები, ქორქაშვილები, ანდრონიკაშვილები, ყაუხჩიშვილები, ბაინდურაშვილები. გარდა სუფთა სავაჭრო საქმიანობისა, მეფე მათ გარკვეული პოლიტიკურ-დიპლომატიური ოპერაციების შესრულებასაც ანდობდა [ბეგიშვილი, 2018:120].

არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო ახალციხის კათოლიკური მისიონი, რომელიც კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის სამწყსოში შედიოდა. მ. პაპაშვილის სამართლიანი შენიშვნით, საუკუნეთა მანძილზე ოსმალთა მიერ ამ მხარის გაწამებული ქართველების მიერ ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეროვნული მეობის შენარჩუნების საქმეში განუზომლად დიდია კათოლიკობის როლი [პაპაშვილი, 1995:281]. თუმცა, ახლა რეგიონი სხვა განსაცდელის წინაშე იდგა. აქაც, თბილისის მსგავსად, არ ისვენებდნენ სომხები, რომლებმაც 1769 წელს გამარცხეს და დალუქეს ეკლესიები, დაატყვევეს კაპუცინები და ზოგიერთი მათგანი ეჩმიაძინს წაიყვანეს [თამარაშვილი, 1995:692-693]. 70-იან წლებში, ევროპის მონარქთა ჩარევით, სულთნის სპეციალური ფორმანის საფუძველზე მოხერხდა დატყვევებულთა გათავისუფლება, თუმცა მათი დევნა გაგრძელდა.

ერთგვარი შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა, აღნიშნულ პერიოდში, საგარეო თუ საშინაო მტრებით გარემოცულ ქვეყანაში კათოლიკური მრევლის ისეთი ზრდა, რაც გავლენას მოახდენდა საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე, არ მომხდარა.

შეჯამება

XVIII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში კათოლიკობას საქართველოში დიდი პრობლემები შეექმნა. 1741 წელს ქვეყანა დატოვა თბილისის ქართული ტიპიკონის მქონე კათოლიკე ეპისკოპოსმა ქრისტეფორე ორბელიანმა, რომელიც ხუთი წლით ადრე, ადგილობრივ კათოლიკეთა თხოვნით, დანიშნა ამ თანამდებობაზე ანტიოქიის უნიატმა პატრიარქმა კირილე IV [პაპაშვილი, 2005:90-91]. კათოლიკე ეპისკოპოსის მიზანი რომის მოლოცვა და პაპისტვის საქართველოში მათ თავს არსებული გასაჭირის შესახებ ინფორმაციის მიწოდება იყო.

ქრისტეფორეს რომში ყოფნის პერიოდში საქართველოში გაგრძელდა კათოლიკეთა დევნა სომხების მხრიდან, დახურეს თბილისის კათოლიკური ეკლესია, შეურაცხყოფა მიაყენეს ადგილობრივ კათოლიკეებს და გააძევეს კაპუცინი⁶ მისიონერები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ ოსმალეთის გავლენაში მყოფი ახალციხისთვის შეეფარებინათ თავი. ყოველივე, რა თქმა უნდა, მოხდა ყიზილბაშების ხელშეწყობით, რომლებიც უკვე საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. პატრი ნიკოლო მარია ბორჯოელი 1742 წელს რომში გაგზავნილ მოხსენებაში წერს: „ტფილისში დარჩენ მარტო ქართველი კათოლიკეები, რომლების წინააღმდეგ სომხების მუხანათობრივმა სიცოფემ ვერაფერი გააწყო“ [თამარაშვილი, 1995: 674-680].

მალე სიტუაცია გამოსწორდა. ირანის შაჰი ნადირი (1736-1747) დათანხმდა კაპუცინი პატრების უკან დაბრუნებას. 1746 წელს თბილისში ჩამოვიდა ისპაჰანის ლათინი ეპისკოპოსი, რომლის იურისდიქციაში 1633 წლიდან საქართველოც შედიოდა. მან დაინახა რა თბილისში ლათინი ეპისკოპოსის ყოფნის საჭიროება, თავის ვიკარად დანიშნა კარგი მოქართულე კაპუცინი პატრი ნიკოლა ჯირჯენტი, რომელმაც 1747-1749 წლებში ახალი, უფრო დიდი და ერთ-ერთი საუკეთესო გუმბათიანი ეკლესია ააშენა თბილისში [თამარაშვილი, 1902:363; ნაცვლიშვილი, 2019:50].

კაპუცინებმა მიიღეს ნებართვა საზეიმო წირვისას ქართულ ენაზე ეგალობათ სამოციქულო სახარება „დიდება“ და „მრწამსი“ (1784 წელს იგივე უფლება მიიღეს სომხური წესის ქართველებმაც). კათოლიკობა მიიღო აღმო-

⁶ XVII საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში კათოლიკობის გავრცელებაზე ზრუნავდნენ კაპუცინთა ორდენის წევრები.

სავლეთ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქიმა ანტონ I-მა (1754-1755; 1764-1788), ბევრმა მღვდელმა და თავადმა. ყველაფერი თითქოს კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე სომხებისა და ბერძნების მიერ წაქეზებულმა ქართლის მეფე თეიმურაზმა (1744-1762) კათოლიკებს ეკლესიები ჩამოართვა თბილისსა და გორში და ისინი ქვეყნიდან გააძევა⁷. მისი მემკვიდრე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ს (1762-1798) დროს კაპუცინები ისევ გამოჩნდნენ თბილისში, თუმცა ეკლესია ვერ დაიბრუნეს [თამარაშვილი, 1995:687-689].

მეფე ერეკლე, XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან, ანუ მას შემდეგ რაც, შესძლო ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანება და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვა, იწყებს ევროპულ კურსს. ამ რთულ წინააღმდეგობრივ გზაზე, პირველ რეალურ ნაბიჯად კათოლიკური მისიონის აღდგენას სახავს. ოღონდ დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით დგამს ამ ნაბიჯს. სიფრთხილის მიზეზი იყო პრორუსულად და ანტიდასავლურად განწყობილი ქართველები, ანტიკათოლიკე ბერძენი და ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირები, ოსმალეთის ხელისუფლების, ახალციხის ფაშისა და მეზობელი მაჰმადიანური სახანოების პოზიცია [ბარდაველიძე, 2018:38-40].

ნ. ბარდაველიძის აზრით, შორსმჭვრეტელი ერეკლე II იმ გარემოებასაც გაითვალისწინებდა, რომ ოფიციალურ დონეზე კათოლიკური მისიის დაბრუნების შემთხვევაში, მას კათოლიკეები კანონიერად მოსთხოვდნენ რამდენიმე წლის წინ წართმეული სატაძრო ნაგებობის დაბრუნება. ქართლ-კახეთის მეფე კი ვერ დაუპირისპირდებოდა დომინანტ ეკლესიას და ვერ მოსთხოვდა თეიმურაზ II-ის ნებით გადაცემული ტაძრის განთავისუფლებას [იქვე]. კათოლიკეებისათვის აღმოჩენილი თანადგომის გამო რომის პაპმა კლიმენტი XIV-მ 1769 წელს მადლობის წერილი გამოუგზავნა ერეკლეს.

XVIII საუკუნის 70-იანი წლების შუა პერიოდიდან მოყოლებული, ერეკლე II-ს (1720-1798) შეგნებული უყურადღებობის გამო (მ. თამარაშვილის ვარაუდით, თითქოს მეფე მოისყიდეს ერეკლეს ვაჟიშვილის ქორწილში მოსულმა სომეხმა ეპისკოპოსებმა) დაიწყო კათოლიკეთა არნახული დევნა აღმო-

⁷ კ. იოსელიანის მიხედვით, თბილისის ხარების ეკლესია კათოლიკეებისათვის 1755 წელს ჩამოურთმევია თეიმურაზ II-ს [იოსელიანი, 1893:204], რის მიზეზიც პატრიარქ ანტონ I-ის კათოლიკობაზე გადასვლა და ლათინ პატრებთან ახლო ურთიერთობა ყოფილა. მანამდე, საეკლესიო კრებამ ანტონი გადააყენა თანამდებობიდან, რის შემდეგაც ყოფილმა პატრიარქმა აღიარა და მოინანია შეცოდება და რუსეთში წასვლის ნებართვა ითხოვა [პაპაშვილი, 1995:298-269].

სავლეთ საქართველოში. ამას დაემატა მეფის ბრძანება, რომლითაც კათოლიკობის მიმდებს 2 თვიანი პატიმრობა, 300 წკეპლა და გასახლება ელოდა [თამარაშვილი, 1902:389-391].

ნიშანდობლივია, რომ ევროპული საგარეო პოლიტიკური მიზნის ამოცანებში ერეკლე მეფემ 70-იანი წლების ბოლოს კვლავ განაახლა პროკათოლიკური პოლიტიკა კათოლიკე მამების მიმართ, თუმცა ზემოაღნიშნული ბრძანება არ გაუუქმებია [პაპაშვილი..., 2020:25-27]. მეფემ მისიონერთა ხელით ურწმუნოთა წინააღმდეგ დახმარების თხოვნის წერილები გაუგზავნა პაპსა და ევროპის მონარქებს, მაგრამ ორივე ელჩი, სამწუხაროდ გზაში გარდაიცვალა და წერილებმა ვერ იპოვეს ადრესატები. დამწუხრებულმა ერეკლემ კვლავ რუსეთთან ურთიერთობის დამყარება სცადა და ქვეყანა მის მფარველობაშიც შევიდა, რასაც სპარსეთის შაჰის ალა-მაჰმად-ხანის (1779-1797) მრისხანება და 1795 წელს თბილისის აოხრება მოჰყვა. სპარსელების მსახვრალ ხელს ვერც კათოლიკენი გადაურჩნენ, განადგურდა მათი ეკლესია და საცხოვრებელი, გაიძარცვა, გაიჟლიტა და ტყვედ გაიგზავნა მოსახლეობა. მისიონერ ფრანჩისკე პადოელის 1800 წლის წერილი მოწმობს, რომ ამ ტრაგედიიდან 5 წლის შემდეგაც კი კათოლიკეებმა ვერ მოახერხეს ჯეროვნად ფეხზე წამოდგომა [თამარაშვილი, 1995:697-699].

ერეკლეს მსგავსად, კათოლიკეებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფე გიორგი XII-ს (1798-1800). ამას, გარკვეულად ხელს ისიც უწყობდა, რომ სწეულ მეფეს კათოლიკე ექიმი მკურნალობდა. 1800 წლის ბოლოს „პატრმან დამიანე ანკონელმან, მოსრულმან რომითა თფილისად, მიართვა მეფესა (გიორგი XII-ს – ავტ.) წერილი პაპისა პიოს მეექვსისა. წერილითა ამით სთხოვდა პაპ მაგალითისამებრ მამის მისისა გარდაცვალებულისა, აქვნდეს მფარველობა მღვდელთა ზედა გამოგზავნილთა მოციქულთა ქალაქიდან საქართველოს. სწერდა მადლობასა პატივისცემისათვის მათისა კათოლიკეთა სამწყსოდსა და ეკკლესიისა განმგეთა. ლათინთა ზედა ენასა დაწერილი ეპისტოლე ანუ ბულა გარდმოიღეს ქართულად ექიმმან რომში აღზრდილმან კათოლიკემან ქართველ გვარისა შარიმანა შვილმან“ [იოსელიანი, 1893:240].

ჩანს, პაპის წერილმა დიდად გაახარა გიორგი XII, რომელმაც მემატთანეს ცნობით „იკითხა, რატომ არ იციან ხატითა ანუ ჯვართა დალოცვაო. თუმცა არა ვარ პაპისა სარწმუნოებისა, გარნა ვარ მეფე ქრისტიანეო და თვით პაპა არის მღვდელმთავარიო. რიგია იცოდეს მეფეთა პატივიო“. ამან დაამწუხრა წერილის მომტანი პატრი, თუმცა მეფემ იქვე ანუგეშა: „ვარ ორთოდოქსი (ხში-

რად ხმარობდა ლექსსა ამას ბერძნულსა, რომელიცა ნიშნავს „მართლმადიდებელსა“). გარნა მიყვარან პატრნი სიწმინდითისა მათისა ცხოვრებისათვის, გულისა კეთილისა ქონვისათვის, ქველის-მოქმედებათათვის, რომელსაცა იქონიებენ, გლახაკთა, ობოლთა და სნეულთა მზრუნველობისათვის. ჩემო პატრო, იყავ განსვენებით, დაახლოებით ჩემისა კარისა, შემიწიე თუ საჭიროება რაიმე გაქვნიდეს“ [იოსელიანი, 1893:241].

გიორგი მეფის და მისი მემკვიდრე – დავითის ყველაზე დაახლოებული პირი იყო თბილისის კათოლიკეთა პატრი ნიკოლა. სწორედ ამ პატრს სთხოვა დახმარება მეფემ ქრისტესადმი სიყვარული ჩაენერგა ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრე დავითისთვის, რომელიც, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ, ვოლტერის იდეებით იყო გატაცებული, უგულოდ ეკიდებოდა სარწმუნოებას და ცუდად იხსენებდა საეკლესიო წესებს, მარხვას, ხატებს: „თუ ღმერთი გწამს, ნიკოლა, გთხოვ, მიჰხედე ჩემს შვილს, შეაყვარე იესო მაცხოვარი, გამოიყვანე ცოდვისგანა, დაარიგე. შენ გაგიგონებს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ იმეფებს, დაჰკარგავს სამეფოს – ღვთის-მშობლის წილად ხვედრილ ქვეყანას...“ [იოსელიანი, 1893; ისარლოვი, 1898:21-22].

სამწუხაროდ, მეფე გიორგის დიდხანს არ დასცალდა. მის გარდაცვალებას რუსეთის მხრიდან ქვეყნის ანექსია მოჰყვა 1801 წელს. ახდა მეფის წინასწარმეტყველება – დავით ბატონიშვილს მეფობა არ ეღირსა.

რუსეთის დამკვიდრებამ აღმოსავლეთ საქართველოში კათოლიკე მისიონერებს თავიანთი სარწმუნოების თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა მოუხსპო. ჯერ კიდევ 1722 წელს, რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა (1682-1725) გამოსცა ბრძანება, რომლითაც მართლმადიდებლობიდან სხვა სარწმუნოებაზე გადასვლა არაკანონიერად მიიჩნეოდა, რაც დამტკიცდა წმინდა სინოდის 1723 წლის გადაწყვეტილებითა და ეკატერინე II-ს (1762-1796) 1783 წლის მანიფესტით. სწორედ პეტრეს დროს შემუშავდა სახელმწიფო პოლიტიკა კათოლიკური ეკლესიისადმი – კონტროლი, კათოლიკეთა მოღვაწეობის შეზღუდვა და მათი ფაქტობრივი გამოყვანა რომის მმართველობისგან რწმენის თავისუფლებისა და ეკლესიის საქმიანობაში ჩაურევლობის დეკლარაციის პარალელურად. სასჯელი, ჩვეულებრივ, არც ისე მძიმე იყო. ეს კეთდებოდა მათ მიმართ არა რაიმე განსაკუთრებული აუტანლობის გამო, არამედ იმ ერთადერთი სურვილით, რომ არ დაეშვათ სახელმწიფოსგან უკონტროლო რელიგიური თემების არსებობა [Козлов., 2014:228-229]. რუსეთის იმპერიაში მოქმედი 1783 და 1795 წლების რეგულაციებით რომაულ კათოლიკურ სამღვდელოებას, ნებართვის გარეშე, ეკრძალებოდა მიმოწერა და ურთი-

ერთობა რომთან, ასევე საზღვარგარეთის სასულიერო პირებთან. აკრძალული იყო უცხოელ სასულიერო პირთა ქვეყანაში შემოსვლა. ადგილზე ეკლესიისა და მრევლის წინამძღვარი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ის, ვინც დაიბადა ან იმყოფებოდა რუსეთის ქვეშევრდომობაში [AKAK, 1874:465].

1801 წლიდან ზემოაღნიშნული აკრძალვები, გარკვეულ წილად, შეეხო აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობასაც. რუსეთის ხელისუფლებას მისიონერები ევროპის ქვეყნების ჯაშუშებად მიაჩნდა და მათ ყველა ნაბიჯს აკონტროლებდა, თუმცა, ჯერ კიდევ ხედავდა მათი შენარჩუნების საჭიროებას. 1802 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I (1801-1825) გადაწყვიტა მათთვის იმ ეკლესიების დაბრუნება, რომელიც თეიმურაზ II-ს მიერ იქნა ჩამორთმეული, მაგრამ საქართველოს პატრიარქისა და უმაღლესი სასულიერო და საერო პირთა წინააღმდეგობის გამო, შემდგომი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, მალევე გადაიფიქრა [AKAK, 1866:551].

საქართველოს გუბერნიის მთავარსარდლად პ. ციციანოვის (1802-1806) დანიშნვამ სიტუაცია გარკვეულად შეცვალა. კათოლიკურ მისიონს ეკლესიების დაბრუნების იმედი გაუჩნდა. ციციანოვმა უაღრესად საინტერესო გეგმა შეიმუშავა. წინამორბედისგან განსხვავებით მას უნდოდა არც მართლმადიდებლები დაზარალებულიყვნენ და არც კათოლიკენი [მამისთვალიშვილი, 2014:384]. ციციანოვის გეგმა ითვალისწინებდა სახელმწიფო მიწის გამოყოფას ახალი ეკლესიის ასაშენებლად და კათოლიკე პატრების რუსულ სასულიერო მმართველობაში გადმოყვანას. მართლაც, მისი წარდგინებით თბილისის კათოლიკე მისიონერებმა რუსეთის მთავრობისგან 6000 მანეთის დახმარება და 1755 წელს ჩამორთმეული ეკლესიის ნაცვლად ახალი ეკლესიის აშენების ნებართვა მიიღეს. მართლაც, მშენებლობა დაიწყო 1804 წლის 25 მაისს [AKAK, 1868:281-282]. პარალელურად, ხელისუფლება ცდილობდა საქართველოში მყოფი კაპუცინი პატრები მოგილიოვის⁸ რომაულ-კათოლიკური სასულიერო

⁸ მოგილიოვის არქიეპისკოპოსი 1784 წლიდან, ჯერ კიდევ რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამდე, ხშირად წერდა წერილებს კაპუცინებს და მოუწოდებდა მათ, რომ ის ეცნოთ თავიანთ უფროსად და მათთან ჰქონოდათ დამოკიდებულება [თამარაშვილი, 1902:483, 494]. რუსეთის იმპერიაში პირველი – ბელორუსიის კათოლიკური საეპისკოპოსო შეიქმნა ეკატერინე II-მ 1773 წელს, რეზ-პოსპოლიტას პირველი გაყოფის შემდეგ, როდესაც კათოლიკეების დიდი ნაწილი აღმოჩნდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. მოგვიანებით, 1782 წელს, მის ნაცვლად შეიქმნა მოგილიოვის კათოლიკური საარქიეპისკოპოსო, რომლის ცნობაც, რომის მხრიდან, მოხდა ერთი წლის შემდეგ [Козлов., 2014:243-244].

კონსისტორიისადმი დაქვემდებარებაზე დაეყოლიებინა. მაგრამ მისიონის ხელმძღვანელმა ანტონიო ფრანჩესკო დე პადუამ „პროპაგანდის“ ნებართვის გარეშე ამაზე უარი განაცხადა [AKAK, 1868:283].

რაც შეეხება თბილისის ახალ კათოლიკურ ეკლესიას, იგი საზეიმოდ გაიხსნა 1807 წელს, თუმცა მის საბოლოო დასრულებას კიდევ 7 წელი დასჭირდა. ეკლესია ეკურთხა ღვთისმშობლის მიძინების სახელზე. 1810 წელს დაიწყო და 1819 წელს დასრულდა კათოლიკური ეკლესიის მშენებლობა გორში, რაც უკავშირდება წმინდა დომინიკეს წესის ქართველს, პოლონეთის ერთ-ერთი მონასტრის წევრს პატრ ონოფრეს, თუმცა ეკლესიის აშენებისა და მოწყობის ხარჯის უდიდესი ნაწილი კათოლიკე ზუბალაშვილების ოჯახს გაუწევია [თამარაშვილი, 1995:703-704]. 1827 წელს კათოლიკეებმა დიდი ქვის ეკლესიის მშენებლობა წამოიწყეს ქუთაისში, თუმცა სახსრების უქონლობის გამო მისი მშენებლობა 1862 წლამდე გაგრძელდა [ნაცვლიშვილი, 2019:104-112].

იმ დროს, როდესაც კათოლიკური მისიონი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების გამო, ქუთაისში ისინი უფრო იმედიანად და დაცულად გრძნობდნენ თავს, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სოლომონ მეფეცა და მარიამ დედოფალიც წყალობდა მათ. მაგ., მ. თამარაშვილთან დაცულია სიგელი სოლომონის მიერ კათოლიკეთათვის მამულის ბოძების შესახებ [თამარაშვილი, 1902:494-495]. ლ. ისარლოვი წერდა: „იმერეთის მეფე სოლომონ, მგზავრობის დროს, არასოდეს არ იძინებდა, თუ თავით თავისი ნაზირი ნინია დათიაშვილი არ ეჯდა. დათიაშვილი სარწმუნოებით რომის-კათოლიკე იყო, ხოლო ეროვნებით – ქართველი [ისარლოვი, 1898:35]. სიტუაცია შეიცვალა 1810 წელს, როდესაც იმერეთის სამეფომ ქართლ-კახეთის ბედი გაიზიარა.

1811 წელს იმერეთის დამპყრობელი გენ. ტორმასოვი (1809-1811), მთავარმართებლის თანამდებობაზე, წარმოშობით იტალიელმა, კათოლიკე ფ. პაულიჩიმ (1811-1812) შეცვალა. წმინდა სინოდის ობერ-პროკურორისადმი 1812 წლის აპრილის წერილში იგი ერთგვარ თანაგრძნობას გამოხატავს გორისა და იმერეთის კათოლიკე სამღვდელოების მიმართ მათი მძიმე მდგომარეობის გამო. ამავე დროს საუბრობს მათი შენარჩუნების სარგებლიანობაზე არამარტო ადგილობრივი კათოლიკეების სულიერი საჭიროებისთვის, არამედ რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ ოსმალეთის საზღვრისპირა რეგიონებიდან (ახალციხე, ყარსი, ერზრუმი, ბაიაზეთი) კათოლიკე მოსახლეობის მოზიდვისთვისაც, რასაც იქაური მცხოვრებნი, პაულიჩის აზრით, სიამოვნებით

დათანხმდებოდნენ [AKAK, 1873:49]. პატრების შენარჩუნების აუცილებლობაზე საუბრისას, ხაზს უსვამდა რა იმას, რომ ისინი განსწავლული მკურნალები იყვნენ, მთავარმართებელი კიდევ ერთ გარემოებაზე ამახვილებდა ყურადღებას, რასაც თავის დროზე პ. ციციანოვიც მიუთითებდა: საქართველოში მდგარ რუსულ საჯარისო შენაერთებში იყო ბევრი კათოლიკე, განსაკუთრებით პოლონეთიდან შემოყვანილ რეკრუტებში. ყოველივედან გამომდინარე, პაულიჩი ითხოვდა იმპერატორთან შუამდგომლობას, რათა თბილისის, გორისა და იმერეთის კათოლიკე ღვთისმსახურთათვის (იგი მიზანშეწონილად სწორედ ამგვარ დანაწილებას მიიჩნევდა) დაენიშნათ წლიურად 120 მანეთი თითოეულ ჯგუფზე. აქვე ის, სხვათა შორის, აღნიშნავდა, რომ პატრები მასთან მიმოწერაში აღიარებდნენ რუსეთში მოქმედი რომაულ-კათოლიკური სასულიერო კონსისტორიის უპირატესობას [AKAK, 1873:49-50], თუმცა, მისი ეს უკანასკნელი მოსაზრება, არ დასტურდება.

ეკლესიების მშენებლობის პარალელურად, შემცირდა მისიონერთა რიცხვი საქართველოში. 1806 წლისთვის ქვეყანას მხოლოდ ორი მისიონერი შემორჩა [AKAK, 1868:284], რის მიზეზიც, მ. თამარაშვილის აზრით, იყო იტალიაში სასულიერო ორდენების დაშლის დასაწყისი. 1823 წელს საქართველოში უკვე სამი კაპუცინი პატრი ყოფილა: ერთი თბილისში, ერთი გორში და ერთი ქუთაისში. ახალციხე, რომელიც იყო საწვრთნელ-გამოსაცდელი ადგილი, სადაც ევროპიდან ჩამოსული პატრები ქართულ ენას ეუფლებოდნენ, დაცარიელდა და გაჩნდა იქაური ეკლესიის თურქების ხელში ჩავარდნის საშიშროება [თამარაშვილი, 1995:707-708]. მოგვიანებით მისიონის დასახმარებლად საქართველოში ჩამოვიდა რამდენიმე პატრი, მაგრამ ამან მათ სავალალო მდგომარეობას ვერ უშველა. 1834 წელს 13-14 წლის ორი ქართველი ყმაწვილი გაიგზავნა ურბაოს კოლეჯში, რათა შემდგომში მათ შეძლებოდათ სულიერი სამსახური გაეწიათ თავიანთი ქვეყნისათვის.

საინტერესოა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერიაში მოქმედი რეგულაციები კრძალავდა უცხოელ სასულიერო პირთა შემოშვებას ქვეყანაში, კათოლიკე მღვდელმსახურების შემოსვლის პროცესი არ შეჩერებულა. მაგალითად, 1815 წელს, რომიდან საქართველოს მისიონს შეემატა პატრი იოსები, რომელიც გამწესდა გორში [AKAK, 1874:468]. ახალი მთავარმართებლის, ბარონი როზენის (1831-1837) აზრით, თუკი რაღაც მოსაზრებით არ ხერხდებოდა კათოლიკე მისიონერების შემოსვლის აკრძალვა, კარგი იქნებოდა ქვეყანაში მათი შემოშვება არა იმპერიის აზიური საზღვრებიდან და შავი ზღვიდან, არამედ პეტერბურგის გავლით, რათა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჰქონო-

დათ მათზე ინფორმაცია. ასეთი შეზღუდვა აიძულებდა მისიონერებს, სულიერი საჭიროებების შემთხვევაში, მიემართათ შინაგან საქმეთა სამინისტროსა და რუსეთის კათოლიკური სამმართველოსადმი, რომელიც მათთვის თითქმის უცნობი იყო, რადგან არც ერთი მათგანი არა იყო მისი ხელდასმული [AKAK, 1881:333].

XIX საუკუნის I ნახევარში სავალალო ვითარებაში იყო სამხრეთ-საქართველოს ქართველი კათოლიკობა. მათ უწევდათ ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის, ქართული ტიპიკონის აღდგენისათვის, ქართველთა შორის განათლების გავრცელებისათვის. ყოველივე ამის გამო ქართველი კათოლიკობა მედგარ წინააღმდეგობას აწყდებოდა სომეხთა მხრიდან, რომელთაც ოსმალთა იმპერიაშიც პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდათ და რეგიონის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლისთანავე ასეთივე პრივილეგიები მოიპოვეს რუსეთის მთავრობასთანაც. ქართველი კათოლიკეების ერთი ნაწილი სომეხთა დიდი მეცადინეობის შედეგად უკვე გასომხებული იყო, ხოლო მეორე ნაწილი იმავე საფრთხის წინაშე იდგა [ფავლენიშვილი, 2019:93-94].

პ. იზაშვილი წერდა: „1829 წლამდე... სომეხ-კათოლიკეთა ყველა ეკკლესიაში წირვა სომხურ ენაზე სრულდებოდა, მხოლოდ სახარებასა და ქადაგებას ჰკითხულობდნენ ქართულ ენაზედ, აგრეთვე გალობაც ქართულად იყო ხოლმე. ეს მოვლენა აიხსნება იმითი, რომ სომეხ-კათოლიკეთა უმეტესობას არ ესმოდა და ახლაც არ ესმის სომხური ენა, რადგან ეროვნებით ისინი ქართველები არიან. თუმცა ბევრს უცნაურად ეჩვენება ის გარემოება, რომ ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც სომხური ენა არ სემით, წირვა-ლოცვას სომხურს ენაზედ ასრულებენ, მაგრამ ეს ადვილად აიხსნება იმითი, რომ კონსტანტინეპოლს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა ახალციხეზე...“

სამშობლოს მოწყვეტილი აქაური ქართველი-კათოლიკენი ჩამორჩნენ ქართულ კულტურას და მწერლობა. იმათთვის გონებითი საზრდო ეხლა კონსტანტინეპოლიდგან მოდიოდა... შეძლებული ქართველები თავიანთ შვილებს კონსტანტინეპოლში ჰგზავნიდნენ და იქ წინად სომეხ-კათოლიკეთა ხოლო შემდეგ მხითარისტობის დროს სკოლებში აძლევდნენ ხოლმე. ამათ სწავლა მოძღვრების ნიადაგზედ აღზრდილი ქართველები სამშობლოში მღვდლებად ბრუნდებოდნენ და სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებთან ერთად ხელს უწყობდნენ სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის დამკვიდრებას. ამ საქმის სისრულეში მოყვანა მით უფრო ადვილი იყო იმათთვის, რომ რომს დროთა ვითარების გამო გავლენა ოსმალეთში თანდათან ეკარგებოდა და ამავე დროს

სომეხ-კათო-ლიკეთა მნიშვნელობა დღითი-დღე ჰმატულობდა... ამიტომ ნამდვილად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახალციხის ქართველ-კათოლიკეთაგან სამი მეოთხედი სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის მომხრე შეიქმნა და მხოლოდ ერთმა მეოთხედმა არ უღალატა რომის კათოლიკეთა წესებს... ოსმალეთის მთავრობას აზრად აჰქონდა სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიის გამლიერებით ქართველთა დასუსტება, რომ იმათ წინააღმდეგობა ვეღარ გაეწიათ იმ ქართველებისთვის, რომელნიც მაჰმადიანობის მიღებას მოიწადინებდნენ.

რუსების მიერ ახალციხის დაჭერისა და იქ სომხების გადმოსახლების შემდეგ სომეხ-კათოლიკობის ადგილობრივი მომხრენი უფრო გამლიერდნენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მხოლოდ სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებისგან შესდგებოდა.

როდესაც ახალციხე ოსმალეთს განშორდა, კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა გავლენა ახალციხის და იმის მაზრის ქართველ-კათოლიკეებზედ მისუსტდა, რადგანაც ახალციხის სომეხ-კათოლიკეთ, ათასგვარ განსაცდელის მიუხედავად, ამ დროს განაახლეს ერთობა და კავშირი თავიანთ მოძმე ქართველებთან და თავიანთის ეროვნების აღდგენას მიჰყვეს ხელი... რასაკვირველია, საქმის ასე წაღმა დატრიალება არ ესიამოვნათ სომხებს, რომელთაც მალე მომხრენი შეიძინეს გავლენიან და წარჩინებულ კაცთა შორის“ [იზაშვილი, 1898:13-16].

ასეთი გავლენიანი სასულიერო პირი გახლდათ მღვდელი პავლე შაჰყულიანი, წარმოშობით ქართველი (ჭილიმუზაშვილი), რომელიც ეპისკოპოსის წოდებისთვის იბრძოდა და თავისი მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებოდა, მათ შორის არც კათოლიკე პატრებს. მართალია, მას „პროპაგანდა“-ში ჰქონდა განათლება მიღებული, მაგრამ XIX საუკუნის 10-იან წლებში სომხურ კათოლიკობაზე გადასვლის შემდეგ, ბევრი ქართველის მსგავსად, თავი ლამის სომხად გამოაცხადა. მან ქართულის გარდა იცოდა არაერთი ენა, ფრიად განსწავლული იყო ფილოსოფიასა და თეოლოგიაში, ჰქონდა ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა XV-XVIII საუკუნეების წიგნებით [ჭიჭინაძე, 1904:18-19]. რომში განათლების მიღების შემდეგ უმოღვაწია კონსტანტინოპოლში, ართვინში, ახალციხეში, სადაც ვიცე-ვიკარის თანამდებობასაც მიაღწია. ის დაახლოებული ყოფილა ახალციხის ფაშა სელიმთან, რომელმაც იგი იმ დელეგაციაში გამწესა თარჯიმნად, რომელიც 1800 წელს ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII-ს შეხვდა და სთხოვა, რომ ოღონდ რუსეთთან არ შეეკრა კავშირი და მტრად აღარ მოეკიდებოდნენ [ჭიჭინაძე, 1904:23-24].

პ. შაჰყულიანმა იმდენს მიაღწია, რომ „კონგრეგაცია დე ფიდეს“ მიაწერინა თხოვნა რუსეთის მთავრობისადმი საქართველოში კათოლიკური საეპისკოპოსოს შექმნისა და მისი საქართველოში სომეხ კათოლიკეთა⁹ ეპისკოპოსად დანიშვნის შეწყნარების შესახებ, რაც ჩანს თავად გოლიცინის გენ. ერმოლოვისადმი გაგზავნილ 1823 წლის თებერვლის წერილში. თუმცა, ერმოლოვმა, კათოლიკეთა სიმცირიდან გამომდინარე, ვერ დაინახა აქ ეპისკოპოსის დანიშვნისა და, შესაბამისად, ზედმეტი ხარჯის გაწევის საჭიროება. თანაც, ერმოლოვს უფრო მეტად შეუძლებლად მიაჩნდა ამ თანამდებობაზე პ. შაჰყულიანის კანდიდატურის განხილვა, რადგან მისი კავშირი რომთან, თურქეთის საზღვრებში ცხოვრება და იქ ნათესაური და სხვა სახის კავშირები ბევრ ეჭვს ბადებდა [AKAK, 1874:367]. იგი მიზანშეწონილად თვლიდა აქაური სასულიერო პირების დაქვემდებარებას რუსეთის სომხურ-კათოლიკური მმართველობისადმი.

მას შემდეგ, რაც პ. შაჰყულიანმა, ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ვერ მიიღო ეპისკოპოსის თანამდებობა, იგი დააბეზღეს რომში, რასაც მოჰყვა კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის მხრიდან მისი გადაყენება, არქიმანდრიტობის ჩამორთმევა და ლამის მღვდელმოქმედების შეჩერებაც. ეს მოხდა 1826 წელს. ამის შემდეგ კონსტანტინოპოლის სამოციქულო-საპატრიარქო ვიკარმა ახალციხე საქართველოს სამოციქულო პრეფექტების უფლება-გამგებლობას მიაკუთვნა [თამარაშვილი, 1995:718].

უნდა შევნიშნოთ, რომ პავლე შაჰყულიანმა შეძლო თავის გამართლება. რუსეთ-ოსმალეთის 1828-1829 წლების ომის შემდეგ იგი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად და სომეხ კათოლიკეთა მხრიდან თავიანთი სარწმუნოების ერთადერთ სწორ მიმართულებად გამოცხადების პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ სომხურ კათოლიკობაზე იდგა, დემონსტრაციულად წირვას ქართულად ატარებდა. ამან მას დიდი სახელი შესძინა და იგი თბილისის ქართველთა სემინარიაში ლათინური ენის მასწავლებლადაც მიიწვიეს [ჭიჭინაძე, 1904:37-40].

მალე, რომში, კათოლიკეთა გაერთიანების საჭიროება დაინახეს და კათოლიკე მღვდლებს განუცხადეს: დღეის იქით ლათინური წესის ეპისკოპოსებისგან უნდა იკურთხოთო, რასაც მოჰყვა დაპირისპირება სომეხ და ლათინ

⁹ რუსული ხელისუფლება საქართველოს ანექსიის პირველი დღიდან აქ არსებულ კათოლიკურ მრევლს სომეხებად მიიჩნევდა მათი სომხურ-კათოლიკური ღვთისმსახურების გამო.

კათოლიკეებს შორის. ამ დაპირისპირებას აღრმავებდა პავლე შაჰყულიანი, რომელმაც იცოდა, რომ ამის შემდეგ სამღვდელოება კონსტანტინოპოლის სომეხ კათოლიკე პატრიარქს ჩამოცილდებოდნენ და რომს უნდა დამორჩილებოდნენ [ჭიჭინაძე, 1904:43-44]. მან დაიწყო ლათინური წესის კათოლიკეთა დასმენა რუსეთის ადგილობრივ ხელისუფლებასთან, რასაც ამ უკანასკნელის მხრიდან მოჰყვა ბრძანება მათთვის საქართველოში შემოსვლის აკრძალვისა და ახალციხეში საეპისკოპოსო კათედრისა და აკადემიის დაარსების შესახებ, რაც იყო შაჰყულიანის ნატვრა. ეპისკოპოსად სწორედ ის იყო გამიზნული [ჭიჭინაძე, 1904:45-46], თუმცა სომხური და ლათინური წესის კათოლიკეებმა დაიწყეს მისი შესაძლო დანიშნვის წინააღმდეგ მოქმედება. პავლემ რუსების გულის მოსაგებად, გადაწყვიტა ქართველი გვარის კათოლიკეების სომეხთა რიგებში ჩარიცხვით. სწორედ ამ დროიდან, ანუ 1835 წლიდან იწყება ქართული გვარის კათოლიკეების სომეხ კათოლიკეებად ხსენება. სომეხებმა ქართველ კათოლიკეთა შორის გაავრცელეს აზრი, რომ რუსები მფარველობენ მხოლოდ ქართველ მაჰმადიანებს და თუ გინდათ სარწმუნოება არ დაკარგოთ და თავი გადაირჩინოთ, სომეხ კათოლიკედ უნდა ჩაეწეროთ¹⁰ [ჭიჭინაძე, 1904:47-48]. რა თქმა უნდა, ეს იყო რუსული იმპერიული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი. რუსეთმა ახალციხის საფაშოში ხელი შეუწყო სომხურ-კათოლიკური (და არა ლათინი) ეკლესიის მიმდევართა გაძლიერებას და ამ დაგეგმარებით სამხრეთ-დასავლეთის ისედაც რელიგიურ გაურკვევლობაში მყოფ ქართველებს პრაქტიკულად ძალით „ასომხებდა“ [ქიტიაშვილი, 2014:92]. ამან, სამწუხაროდ, თავისი შედეგი გამოიღო, თუმცა ბევრი აღმოჩნდა ისეთი, ვინც თავის გვარ-ტომობაზე მტკიცედ იდგა.

1839 წელს პ. შაჰყულიანი რუსეთში პოლონელთა ეპისკოპოსის შუამდგომლობით (ეს თავად პავლეს ინიციატივა იყო, რაკი ვერაფერს გახდა სომხური და ლათინური წესის კათოლიკეებთან – ავტ.) დაინიშნა ახალციხეში კათოლიკეთა ვიკარად [ჭიჭინაძე, 1904:50]. თუმცა, მის მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. დაპირისპირება კიდევ უფრო გაღრმავდა.

¹⁰ ამას, მოგვიანებით, 1886 წელს დაემატა იმპერატორ ალექსანდრე III-ის (1881-1894) ბრძანებულება: „...კავკასიაში მოქმედ კათოლიკეებს, სულერთია სომხურ წესს ეკუთვნიან თუ ლათინურს, აღარა აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად“ [თამარაშვილი, 1995:726].

უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის მთავრობა საქართველოში დაფუძნების დროიდან გამუდმებით ემბდა გზებს მისიონერების მოსაშორებლად. იგი ვერ იტანდა თავის იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას, მათ პირდაპირ კავშირს რომთან და, განსაკუთრებით, „პროპაგანდას“ ზემოქმედებას. ამიტომაც იყო, რომ მათ აქ ყოფნის პირობები გაუერთულეს, რაც სომხურ-კათოლიკური სამღვდლოების წისქვილზე ასხამდა წყალს [თამარაშვილი, 1995:716]. 1841 წელს კაპუცინებმა რომში თავიანთ კორდინატორს მისწერეს, რომ სომეხ მღვდლებს მარტო კათოლიკეების გაძევება კი არ სურდათ, რომ თვითონ გაბატონებულიყვნენ, არამედ უნდათ მათი ეკლესიების და სახლების ხელში ჩაგდებაც [თამარაშვილი, 1995:712]. პატრების ხელმძღვანელი დამიანე ვიარეჯიელი წერდა: „ვერ ითქმის, რამდენჯერ ვიყავით შეურაცხყოფილნი და გავწვალბულნი საიმპერიო კანონების, ბრძანებებისა და დეკრეტების მუდმივი მოზღვაავების შედეგად. ბერძნული სექტის რომელიმე წევრის გაკათოლიკებისათვის ციმბირში გადასახლება ჩვენთვის სულ უბრალო სასჯელი იყო. ამავე სასჯელის მუქარით გვიკრძალავდნენ აგრეთვე მათთვის გვესწავლებინა. მწვალბელს, წარმართს, ურწმუნოს ვინც გააკათოლიკებდა, მძიმე სასჯელი ელოდა. უფრო მეტიც, გვიკრძალავდნენ მიმოწერას წმინდა საყდართან, განსაკუთრებით პროპაგანდასთან. ასევე აკრძალული გვქონდა მისიონერების წოდების მიკუთვნება და ევროპიდან შემწეობის მიღება...“ [თამარაშვილი, 1995:717].

რუსეთის საქართველოში დამკვიდრებამ მატერიალური თვალსაზრისითაც გააუარესა კათოლიკე მისიონერების მდგომარეობა, რადგან ისინი ძირითადად მკურნალობითა და წამლების გაყიდვით შოულობდნენ სარჩოს. წმიდა კრების მიერ გამოყოფილი ჯამაგირი მათთვის არასაკმარისი იყო. რუსებმა ჩვენს ქვეყანაში ექიმებიც მოიყვანეს და კონკურენცია გაუწიეს კათოლიკეებს. მათი დადგენილების მიხედვით, კათოლიკე პატრებს ეკრძალებოდათ თვითნებურად წამლების დამზადება და ექიმობა... მისიონერებს ევროპული და ქართული ენების გარდა, მოსთხოვეს რუსული და სომხური ენების ცოდნაც. ეს ყველაფერი დიდად ართულებდა კათოლიკე მისიების მოღვაწეობას საქართველოში [ფავლენიშვილი, 2019:56].

1844 წლის მარტში შაჰყულიანი, მთავრობის ბრძანებით, ცნობილ იქნა საქართველოსა და შემოერთებულ მხარეებში სომეხ კათოლიკეთა არქიმანდრიტად. პატრებს შეეძლოთ დარჩენილიყვნენ იქ, სადაც მოღვაწეობდნენ, მაგრამ შემდეგი პირობით: 1. მიიღებდნენ ფიცს, რომ თავს სამუდამოდ რაცხდნენ რუსეთის ტახტის ქვეშევრდომებად; 2. აღარ ექნებოდათ წერილობითი

კავშირი უცხოეთის სასულიერო ხელისუფლებასთან; 3. არ ექნებოდათ არავითარი კავშირი არც სომეხ სამღვდელეობასთან და არც სომეხ კათოლიკე მოსახლეობასთან; 4. ყველა დაემორჩილებოდა მოგილიოვის კონსისტორიას. პატრებმა ეს შემოთავაზება არ მიიღეს და მალე, 1845 წელს ისინი საქართველოდან გააძევეს [თამარაშვილი, 1995:718-722]. ბუნებრივია, ხელისუფლების ეს გადაწყვეტილება, ბევრის მხრიდან, დაბრალდა პ. შაჰყულიანს¹¹, რომელიც გარდაცვალებამდე (1855 წ.) დარჩა მითითებულ თანამდებობაზე.

თბილისის მსგავსად, კათოლიკე პატრები გააძევეს საქართველოს სხვა ქალაქებიდანაც. გაძევებულები ტრაპიზონში გაჩერდნენ იმ იმედით, რომ მალე უკან დაბრუნდებოდნენ, თუმცა ამაოდ. ამის შემდეგ რომის წმინდა საყდარსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება და საქართველოს ყველა კათოლიკე ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგებლობას დაუქვემდებარეს [თამარაშვილი, 1995:723]. რაკი ადგილობრივმა კათოლიკეებმა უარი თქვეს სომხური წესის კათოლიკე მღვდლები ჰყოლოდათ, მთავრობა იძულებული გახდა პოლონელი მღვდლები მოეყვანა. 1846 წლის 12 მარტის რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით, თბილისის რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მღვდლებად შეიძლება დანიშნულიყვნენ მხოლოდ პოლონელი პატრები [როგავა, 1996:55].

ამით დასრულდა კათოლიკობის ერთი ეტაპი საქართველოში, რომელიც უკავშირდება კაპუცინი მისიონერების აქ მოღვაწეობას. მიხეილ თამარაშვილის შეფასებით, „საქართველოს მისიონისათვის, ნაცვლად კაპუცინებისა, სხვა წესის მონაზონები რომ დანიშნულიყვნენ, მაშინ უეჭველად საქართველოს ბედი სულ სხვანაირად შეიცვლებოდა და თავის კულტურით ევროპის ერებს არ ჩამორჩებოდა [თამარაშვილი, 1902:365]. პატივცემული მკვლევარი

¹¹ ზ. ჭიჭინაძე ცდილობს ნეგატიურთან ერთად, გარკვეულად, პოზიტიურადაც წარმოგვიდგინოს პავლე შაჰყულიანის პიროვნება: „1850 წლების შემდეგიდან იგი ლათინის წესს დაუახლოვდა, განძრახვა ჰქონდა უკანვე მიბრუნების. ერში, სახლში, კარში და საქართველოშიაც ყოველთვის ქართულს ენას ხმარობდა, წერილების და ცნობების წერას ქართულად აწარმოებდა, მის ფარ-ხმლად ქართული იყო, ქადაგებაც ერთ თავად ქართულად იცოდა...“ [ჭიჭინაძე, 1904:71]. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მის მოქმედებას, უმეტეს წილად, კარიერისტული საფუძველი ჰქონდა. როგორც ირკვევა, პ. შაჰყულიანი აქტიურ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. თანამედროვეთა გადმოცემით, „არქიმანდრიტი სულ მუშაობდა და საერთოდ არ ისვენებდა, იგი ან სხვადასხვა რიტუალს ასრულებდა, ან ქადაგებდა, ან ან კამათობდა, ან კითხულობდა, ან წერდა“ [ლომსაძე, 1979:118].

ამ კათოლიკური ორდენის წევრებს განათლებას, მომზადების დონესა და ორგანიზებულობას უწუნებს, რაც მათი, თითქმის 200 წლიანი მოღვაწეობისთვის ერთობ მძიმე შეფასებაა, თუმცა, მათ საქმიანობას და აქ გატარებულ წლებს უკვალოდ არ ჩაუვლია.

ე. ფავლენიშვილის შეფასებით, „XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში საკმაოდ მძიმე პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა, რაც უარესობისკენ ცვლიდა ქვეყანაში არსებულ სოციალურ, რელიგიურ და ეთნიკურ სურათს. კათოლიკეთა რიცხვიც გარკვეულწილად გაიზარდა, რაც დიდწილად სომეხთა მიგრაციას უკავშირდება და არა მისიონერთა საქმიანობას. მისიონერები ცდას არ აკლებდნენ საქმეს, მაგრამ რუსეთი ღიად თუ ფარულად მათ ზრახვებს ეწინააღმდეგებოდა, რადგან ევროპის შპიონებად მიიჩნევდა მათ, ხოლო 1844 წლიდან სულ აკრძალა მისიონერთა მოღვაწეობა. 1846 წლიდან სარატოვის ეპისკოპოსი ადგენდა ჩვენში პატრებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კათოლიკე მისიების მდგომარეობა XIX საუკუნის შუა პერიოდიდან კიდევ უფრო შეიზღუდა“ [ფავლენიშვილი, 2019:69-70].

1757 წელს კაპუცინი იერონიმე ნორჩელის მიერ რომში გაგზავნილი წერილის მიხედვით, ქართლში იმ პერიოდისათვის დაახლოებით 1200 კათოლიკე ყოფილა, დასავლეთ საქართველოში კი 300-მდე, კახეთში – უფრო ცოტა. ყველაზე მეტი კათოლიკე ყოფილა სამცხეში – 6 ათასი [თამარაშვილი, 1902: 372, 427]. 1802 წლის იანვარში ლაზარევის გენ. კნორინგისადმი წერილში მოყვანილი ცნობით, რომელიც პატრების მონაცემებს ეყრდნობა, ქართლ-კახეთში იმ დროისათვის იყო 500 კათოლიკე (300 თბილისში და 200 გორში) და კიდევ რამდენიმე ოჯახი შემოგარენ სოფლებში. მათ უმრავლესობას შეადგენდნენ სომხები [AKAK, 1866:551]. 1803 წლის წერილში მთავარმართებელი ციციანოვი საქართველოში 1000-მდე კათოლიკეს არსებობას ადასტურებს. ამავე წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით, თბილისში 161 სული კათოლიკე ყოფილა [კაკაბაძე, 1925:29]. 1806 წლის მონაცემებით თბილისის კათოლიკური ეკლესიის მრევლს შეადგენდა 242 მორწმუნე, გორისას – 210, ცხინვალში კი 30 კათოლიკე ყოფილა [AKAK, 1868:284]. კაპუცინი პატრი ამენდე პიემონთელის მიერ 1818 წელს რომში, კარდინალებისადმი წარდგენილ მოხსენებაში მოყვანილი ცნობით, გორსა და თბილისში 3000 კათოლიკე ყოფილა, იმერეთში, ქუთაისში – 800, ახალციხეში კი – 5000 [თამარაშვილი, 1902:510-511]. პავლე შაჰყულიანის მიხედვით, XIX საუკუნის 20-ანი წლებისთვის ქართლ-იმერეთში 600 კომლი კათოლიკე ყოფილა. ამ რიცხვში არ შედიოდა ახალციხის კათოლიკენი [თამარაშვილი, 1995:718]. მთავარმართებელ ა. ერმოლოვის მიერ მოპო-

ვებული მონაცემების მიხედვით, 1823 წლისთვის მთელ საქართველოში, ამავე წელს ოსმალეთიდან გადმოსახლებულთა რიცხვის ჩათვლელად, მხოლოდ 200 ოჯახი კათოლიკე ყოფილა, მათი ჩათვლით კი – 565 [AKAK, 1874:467].

ფრანგი დიპლომატისა და მოგზაურის ჟაკ-ფრანსუა გამბას (1763-1833) ცნობით, 1820-იანი წლებისათვის, ქუთაისში 44 კათოლიკე ადგილობრივი ოჯახი ყოფილა, დაახლოებით 300 სული [ბეგიშვილი, 2018:123]. ერთი ცნობით, 30-იანი წლებისთვის თბილისში 92, ქუთაისში – 30, ახალციხეში კი 450 კათოლიკე ოჯახი ყოფილა [პაპაშვილი, 1995:306-307]. იმერეთისა და გურიის ეპისკოპოსისადმი ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის გამგის, პატრი ქერუბინა სარავეცელის 1840 წლის წერილს თუ დავყერდნობით, საკუთრივ ქუთაისის კათოლიკე მოსახლეთა რაოდენობა 55-ს შეადგენდა [ნიკოლეიშვილი 2012:160; ფავლენიშვილი, 2019:52]. სხვა ცნობით, 1853 წელს 3500 სულიან ქუთაისში 504 რომის კათოლიკე ყოფილა, 1885 წელს – 1209 (სულ ქალაქის მოსახლეობა – 23644). ხოლო, 1897 წლის, რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ქუთაისში 1545 კათოლიკური აღმსარებლობის ადამიანი აღი-რიცხებოდა (სულ ქალაქის მოსახლეობა 32476 ადამიანს შეადგენდა), მთელს ქუთაისის გუბერნიაში კი 5525 კათოლიკე ცხოვრობდა [ბეგიშვილი, 2018: 123].

როგორც ვხედავთ, კათოლიკეთა სტატისტიკა ერთობ განსხვავებულია, თუმცა, ფაქტია, რომ სამცხის გარდა კათოლიკეთა რაოდენობა საქართველოში არც ისე დიდი იყო.

საინტერესოა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე-სადმი მიწერილ წერილში პ. ციციანოვი საქართველოში მცხოვრები კათოლიკეების უმრავლესობას სომხებად თვლის, რომლებმაც ისწავლეს ქართული ენა და ამიტომ უმაღლეს ხელისუფლებას თხოვს აქ გამოიგზავნოს ახალგაზრდა კაპუცინები, რომლებიც ადვილად დაეუფლებიან ქართულს [მამისთვალიშვილი, 2014:386-388]. მ. თამარაშვილის აზრით, ციციანოვი შეგნებულად მაღავდა ქართველი კათოლიკეების არსებობას, რაკი არ სურდა პრობლემები შეექმნა თავისი მეგობარი კაპუცინებისათვის გამომდინარე იქედან, რომ რუსეთში მოქმედი რეგულაციით, აკრძალული იყო მართლმადიდებლების კათოლიკობაზე გადაყვანა [თამარაშვილი, 1904:187-189]. ე. მამისთვალიშვილის აზრით, XVIII საუკუნის ბოლომდე საქართველოში (სამცხის გამოკლებით), ერთეული შემთხვევების გარდა, ტრადიციული და მორალური აკრძალვებიდან გამომდინარე, არ ხდებოდა ქართველი მართლმადიდებლების გაკათოლიკება და თვით მისიონერებიც ერიდებოდნენ ამას. ხოლო ისინი, ვინც კათოლიკეებად გვევლინებიან საქართველოში, სავარაუდოდ, ძირითადად

იყვნენ ის ქართველები, რომლებმაც ერთ დროს გრიგორიანობა მიიღეს და „გასომხდნენ“, შემდეგ კი კათოლიკობა მიიღეს და „გაფრანგდნენ“ [მამისთვალიშვილი, 2014:391-398].¹²

ამ უკანასკნელ მოსაზრებას საუკუნეზე მეტი ხნის წინ პასუხი გასცა მ. თამარაშვილმა, რომელმაც 1904 წელს გამოაქვეყნა 260 გვერდიანი მონოგრაფია: „პასუხად სომხის მწერლებს, რომლებიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას (ისტორიული გამოკვლევა)“, რომელშიც, შესაბამის საისტორიო მასალებზე დაყრდნობით, აჩვენა ცალკეულ სომეხ მწერალთა მიზანი რეალური ისტორიის გაუკუღმართებულად წარმოჩენისა, სომხებისა და ქართველების კათოლიკობისადმი, მათ შორის ევროპელი მისიონერებისადმი დამოკიდებულება და ქართული კათოლიციზმის არსებობის უტყუარობა. აქვე, შეუძლებელია არ ვახსენოთ ღვაწლი ზ. ჭიჭინაძისა, რომელმაც არაერთი წიგნი მიუძღვნა ქართველ კათოლიკეებსა და კათოლიკობას. მათგან გვსურს დავასახელოთ მხოლოდ ერთი, 1905 წელს გამოცემული 130 გვერდიანი მონოგრაფია: „ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა“, რომელშიც საქართველოსა და ახლო თუ შორეული აღმოსავლეთის ვაჭრობაში ჩართული ასობით ქართული გვარია დასახელებული.

¹² 1898 წელს გამოქვეყნებულ წიგნში, ზ. ჭიჭინაძე წერს: „თუ რომის ყოველივე დახმარებას საგნათ მხოლოდ ქართველთ ქრისტიანთ გაკათოლიკება ჰქონდათ სახეში, მაშინ თუნდა დაასახელონ ქართველთა ერთი მაგალითი თუ პატრებმა სად რომელი ქართველ ქრისტიანი მოჰგლიჯეს თავის ეკკლესიას და რომს შეუერთეს... პატრებისათვის ქრისტიანი ქართველები სულაც არ იყო საჭირო რომ გაეფრანგებინათ, მათთვის გათათრებული ქართველებიც კმარობდა, რომელთა რიცხვი სპარსეთში 20,000-ამდის ირიცხებოდა და ოსმალეთის სამფლობელოში – 600 ათასამდის... მართლთა სპარსეთში 10,000-მდე სული იქმნა ქართველთ თათრებთაგან კათოლიკობასთან შეკავშირებულნი... ლათინთ მოძღვართ არც ერთი ქართველ ქრისტიანობის მექონი არ გაუფრანგებიათ. ესენი კათოლიკოს სარწმუნოებას უერთებდნენ მუსლიმანობაზე გადასულ ქართველთა, რომელთა ქრისტიანობაზე მობრუნება ქართველ სამღვდელოებას არ შეეძლო, რადგანაც ქართველ სამღვდელოება XIV საუკუნიდამ უკვე სასტიკათ დაეცა... იმასაც ვიტყვით, რომ სამცხეში მოხდა რამდენიმე ქრისტიან ქართველთ კათოლიკობასთან შეერთება, მაგრამ ეს იმ გარემოების მეოხებით, რომ მათ მხარეში ქართველთ სამღვდელოება ადრიდგანვე მოისპო, მათ ხალხი უმწყემსოთ დასტოვეს, უმწყემსოდ დატოვებულ ქართველთ გათათრება მოელოდათ. პატრებმა ესენი კათოლიკობას დაუახლოვეს და უკანასკნელ რომს შესძინეს“ [ჭიჭინაძე, 1898:32-33]. მოგვიანო პერიოდის კათოლიკობისადმი მიძღვნილ წიგნებში ზ. ჭიჭინაძე მსგავს მოსაზრებას უკვე აღარ ავითარებს, უფრო კი პირიქით, რის მთავარი მიზეზიც უნდა იყოს მ. თამარაშვილის მიერ 1902 წელს გამოცემული მონოგრაფია – ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.

ბული, „ძველადვე დაკავშირებული კათოლიკობასთან“. ამდენად იმაზე მსჯელობა, ვინ უფრო მტკიცედ იცავდა თავის მამა-პაპულ სარწმუნოებას: ქართველები – მართლმადიდებლობას თუ სომხები – გრიგორიანობას, აქ მიზანშეუწონლად და არაპროდუქტიულად მიგვაჩნია. შემოვიფარგლებით მხოლოდ რამდენიმე რიტორიკული შეკითხვით: 1. იქ, სადაც ქართველი მეფეები, დიდებულები და თვით პატრიარქებიც გადადიოდნენ კათოლიკობაზე, რატომ უნდა იყოს გასაკვირი უბრალო ერის რაღაც ნაწილს მიელო კათოლიკობა? 2. თუკი ქართველი მართლმადიდებლები, არა ერთეულ შემთხვევებში, უერთდებოდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას და „სომხდებოდნენ“, რომ არაფერი ვთქვათ მათ მიერ ისლამის მიღებაზე, რა იქნებოდა ხელშემშლელი გარემოება იმისა, რომ ისინი ასეთივე წარმატებით პირდაპირ „გაფრანგებულიყვნენ“ და არა „შემოვლითი გზით“ (ანუ ჯერ გრიგორიანობაზე გადასულიყვნენ და შემდეგ კათოლიკედ მოქცეულიყვნენ)? 3. რამდენად ლოგიკურია, რომ პირდაპირ საქართველოში გამოგზავნილი კათოლიკე მისიონერების მიზანს არ წარმოადგენდა ადგილობრივი მართლმადიდებლების რომის პაპისადმი ერთგულების უზრუნველყოფა, მაშინ, როცა მოსახლეობის ძირითად ნაწილს ორთოდოქსი ქრისტიანები შეადგენდნენ?¹³ კითხვები შეიძლება ბევრი დაისვას, თუმცა პასუხი, ვფიქრობთ, ერთმნიშვნელოვანია: საუკუნეთა მანძილზე საქართველოში მისიონერული მოღვაწეობის შედეგად მოსახლეობის (მათ შორის ქართველი მართლმადიდებლების) ერთი (შესაძლოა, არც ისე მნიშვნელოვანი) ნაწილი, რელიგიური, პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზით გადავიდა კათოლიკურ რწმენაზე და სხვათა მსგავსად, გარკვეული როლი ითამაშა პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, თუ სოციალ-ეკონომიკურ ცხოვრებაში.

როგორი ვითარებაა კათოლიკობის გავრცელების მხრივ საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში? ამ პერიოდში დასრულდა ქართული სახელმწიფოებრიობის სრული ლიკვიდაციის პროცესი და ჩვენს ქვეყანაში მდგო-

¹³ საინტერესო ფაქტია, რომ 1830 წელს, რუსეთის იმპერიაში მოქმედი რეგულაციების (მართლმადიდებლების კათოლიკედ მონათვლის აკრძალვა) მიუხედავად, გორში მოღვაწე კაპუცინმა მღვდელმა იოსებმა მონათლა სომეხი გიორგი მღვდროვი (სინამდვილეში, როგორც იმავე წერილიდან ჩანს, მართლმადიდებელი გიორგი მღვდროვი (მღვდრიშვილი)) იმ საფუძვლით, რომ არსებული წესი, თითქოს, არ ვრცელდებოდა საკუთარი სურვილით კათოლიკობის მიმღებზე და იგი კრძალავდა მხოლოდ მიზიდვა-გადაბირებას [AKAK, 1878:311].

მარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. ქართველი ხალხის დიდი ნაწილი პესიმიზმმა და ეროვნული ღირებულებებისადმი ნიჰილისტურმა განწყობამ მოიცვა. არასახარბიელო მდგომარეობა აისახებოდა ქართველ კათოლიკეთა ყოფაზეც, რასაც ამძიმებდა სომხური ძალმომრეობა. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი იყო სამხრეთ საქართველოში. რომთან გაწყვეტილი კავშირისა და კათოლიკე მისიონერების ქვეყნიდან დათხოვნის პირობებში ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ლათინურ რიტზე მდგარ ეკლესიებში რუსეთის მთავრობამ მხარი დაუჭირა სომხური ტიპიკონისა და სომხური ენის დამკვიდრებას [პაპაშვილი, 1995:314]. ამ პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ ქართველ კათოლიკეთა ნაწილი გაეცალა რეგიონს და საქმიანობა განაგრძო, უცხოეთში, კერძოდ, კონსტანტინოპოლში, სადაც დიდი ქართველის – პეტრე ხარისჭირაშვილის მეცადინეობითა და დაუღალავი შრომით შეიქმნა მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, რაზეც ქვემოთ, ცალკე გვექნება საუბარი.

რეაქციის მძვინვარების პერიოდში, 1886 წელს გამოვიდა იმპერატორ ალექსანდრე III-ის ბრძანება კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ენის აკრძალვისა და მღვდელმსახურების მხოლოდ მხოლოდ სომხურ ენაზე შესრულების შესახებ: „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა ბრძანებს, კავკასიაში მორწმუნე კათოლიკეებს, სულერთია სომხურ წესს ეკუთვნიან თუ ლათინურს, აღარა აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესიის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომეხ კათოლიკეებად“ [თამარაშვილი, 1995:726]. „ამ ბრძანების წყალობით ათასმა კათოლიკე-ქართველმა ვეღარ შესძლო ღვთის ვედრება თავისს სამშობლო ენაზედ. ქართველ-კათოლიკეებთ არც სომხური და არც ლათინური ენა არ ესმით, ამიტომ ეკლესიაში გამოშტერებულები დგანან და ვერ გაუგიათ წირვა-ლოცვის აზრი და მნიშვნელობა... საკვირველი არის და უცნაურიც, რომ ესა თუ ის ადამიანი დარწმუნებით, დაბეჯითებით ამბობდეს, მე ამ ეროვნებას ვეკუთვნიო, და სხვები კი გაიძახოდნენ, არა, შენ მაგ ეროვნებისა არა ხარო... ის, რაც ოსმალეთის პოლიტიკამ ქართველთა გასომხების საქმეში ვერ მოახერხა ახალციხეს, – ადვილად აღსრულდა ართვინში განსაკუთრებულ მიზეზთა წყალობით და იმის გამო, ეს საქართველოს მხარე დაშორებული იყო ამერთ-იმერთ-კახთ საქართველოს კუთხეებს“ [იზაშვილი, 1898:16-17].

საინტერესოა პ. იზაშვილის მიერ XIX საუკუნის მიწურულს გაკეთებული დაკვირვება: „ართვინის აწინდელ მცხოვრებლებს შეადგენენ ანიდგან დიდის ხნით გადმოსახლებული სომეხ-გრიგორიანნი და იქაური მკვიდრი მცხოვრებელი სომეხ-კათოლიკენი. ეს ორი ვითომდა ერთის ტომის კრებული

კათოლიკეთა მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სახის მზგავსებით, აგრეთვე ენითა და ზნე-ჩვეულებით, მათ შორის საშინელი სიძულვილი ჰქმევობს. პირველნი ნამდვილს სომხებსა ჰგვანან, ხოლო მეორენი ქართველთ. აქ ქართველთა ტიპი და ზნე-ჩვეულება კარ-ჩაკეტილის ცხოვრების წყალობით უფრო შენახულა, ვიდრე თვით საქართველოში. სომეხ-გრიგორიანთა ენა სომხური, სომეხ-კათოლიკეთა, თუ ყველასი არა, უმეტესობისა მაინც, – ქართული. არამც თუ მარტო ისეთი სიტყვები, როგორც მამა, დედა, გოგო, ბიძა და სხვადასხვა, არამედ მთელი წინადადებანიც ქართული აქვთ, საკვირველი არევ დარევაა, რომელიც აშკარად ამტკიცებს დიდის ხნის ბრძოლას ორ ენის შორის... ძალიან იშვიათია, რომ სომეხ-კათოლიკეთ წინადადება წარმოსთქვან და ერთი ქართული სიტყვა მაინც არ დაატანონ... ეს სომეხ-კათოლიკენი უარს არა ჰყოფენ, რომ მათი წინაპარნი ქართველები ყოფილან და ამასთან კათოლიკენი. ბევრს კარგად ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი [იზაშვილი, 1898:17-18].

იმის მიუხედავად, რომ კონგრეგაციის მიერ არ იყო დაშვებული ქართული რიტე, ქართულ კათოლიკურ ეკლესიებში, ეს ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რადგან სავალდებულო ლოცვანის შემდეგ, მრევლთან ერთად მოძღვარიც ქართულად გალობდა და სახარებასაც ქართულად კითხულობდა [ლომსაძე, 1984:23]. ამიტომაც, ბუნებრივია, ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა. ქართველი კათოლიკეები რომისგან ცდილობდნენ ქართულად მსახურების უფლების მოპოვებას, 1893 წელს პაპ ლეონ XIII-საც მიმართეს, მაგრამ უშედეგოდ. პაპის 1894 წლის დეკრეტით, აღმოსავლეთის კათოლიკეებს ეკრძალებოდათ ლათინურ ტიპიკონზე გადასვლა, რაც ნიშნავდა მათ სომხურ ტიპიკონზე იძულებას.

თუმცა, ქართველ კათოლიკეთა ნაწილი ამ შეზღუდვას არ ემორჩილებოდა. მაგალითად, სამცხეში ივანე გვარამაძე ეკლესიასთან არსებულ სკოლაში გაკვეთილებს ქართულად ატარებდა. წირვა-ლოცვებს კი – თურქულად იზაშვილი, 1898:23-24].

მოგვიანებით ქართველ კათოლიკეთა ბედი უარესობისკენ შეიცვალა. 90-იანი წლების შუახანებიდან მათ აიძულებდნენ მეტრიკაში სომეხ კათოლიკეებად ჩაწერილიყვნენ. ასე გასომხდა ქართველ კათოლიკეთა კიდევ ერთი ნაწილი [ფავლენიშვილი, 2019:135].

სიტუაცია კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ თბილისის ქართული კათოლიკური ეკლესია სომხურად გამოაცხადეს და შეიქმნა მისი დაკარგვის საშიშროება. საქმე სასამართლომდე მივიდა. ისტორიული საბუთების მოძიება მ.

თამარაშვილს დაევალა და როგორც თავად წერს, „რომის წმინდა საყდრის ენერგიული ჩარევის წყალობით“ ჭემმარიტების დადგენა და დაცვა მოხერხდა [თამარაშვილი, 1995:727].

სამწუხაროდ, სამხრეთ საქართველოს კათოლიკე ქართველობის გასომხებას ის მასშტაბები ჰქონდა, რომ XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში ქართველი კათოლიკეების არსებობაც კი ლამის კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, ოსმალთა პერიოდიდან მოყოლებული მთლიანად გასომხდნენ ართვინელი კათოლიკე ქართველები. მათი პრობლემები ხშირად იხილებოდა ქართული პრესის ფურცლებზე. სომხები სომხურ ტიპიკონზე მდგომი ქართველი კათოლიკეების ეთნიკურ სომხობას ამტკიცებდნენ და რუსეთის ოფიციალურად არწმუნებდნენ ამაში. პ. იზაშვილი წერს: „რუსეთის საზოგადოებაში უკვე გავრცელდა ის აზრი, რომ ქართველი-კათოლიკენი სულ არ არსებობენ და რომ თუ ვაკვასიის ძველი მცხოვრებელი ვინმე კათოლიკეა, ის უეჭველად სომეხი უნდა იყოსო“ [იზაშვილი, 1898:3]. იგივე ავტორი გაცხადებდა: „განა საეჭვოა, მაგალითად, რომ გვარამაძე ძველი, ქართული გვარია? ის კაცი, რომელიც ქართლში ამ გვარს ატარებს და რომელიც მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, ყველა ქართველად სთვლის, – თუმცა იმავე გვარის სხვა კაცს მესხეთში, რომელიც თუნდა სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდეს, რაღაც მანქანებით სომეხად თვლიან!“ [იქვე, 6]. შოვინისტი სომხები სომხად აცხადებდნენ პ. ხარისჭირაშვილს, სტ. ზუბალაშვილს, მ. თამარაშვილს და ბევრ გამოჩენილ ქართველს. პარალელურად ივანე გვარამაძე, ზ. ჭიჭინაძე და ბევრი სხვა გამოჩენილი ქართველი საკადრის პასუხს სცემდნენ ასეთ იდეოლოგიას.

ქართული ენის გადარჩენისთვის ბრძოლა დიდხანს, XX საუკუნეშიც გაგრძელდა. 1903 წელს, ბათუმის კათოლიკური ეკლესიის კურთხევასთან დაკავშირებით, საქართველოში იმოგზაურა რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოსმა, წარმოშობით გერმანელმა ედუარდ ბარონ-დე როკპიმ [გვარამაძე, 1903]. ეპისკოპოსმა მოიარა მთელი სამწყსო: აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველო. 1 ივნისს, ხიზაბავრაში მისულ მის უსამღვდელოესობას კ. გვარამაძემ შესჩივლა ქართველთა და სომეხთა შორის დაპირისპირების ამბავი და დახმარება სთხოვა მას. თავის სიტყვაში ეპისკოპოსმა განაცხადა, რომ ის საქმის კურსშია და მისი მოსვლის მიზანიც სწორედ ამ პრობლემის მოგვარებაა: „ეჭვს გარეშეა, თქვენ თუ მშვიდობით და ტკბილათ იქნებით, უთუოდ თქვე თქვენს ენას მოიპოვებთ, ე.ი. რასაც ეძიებთ და სომეხნიც კი თქვენს საკუთრებას (ენას) ვერ წაგართმევენ... მე კი ყოველ შემთხვე-

ვაში მზა ვარ შუამდგომლობის გაწევისათვის, სადაც ჯერ არს“ [იქვე, 28-29]. ამავე თემას შეეხო ეპისკოპოსი 4 ივნისს ახალციხის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში სტუმრობისას და უფრო მკვეთრად გამოხატა თავისი პოზიცია: „ერთი გარემოება მაწუხებს დიდათ; ქართველ-კათოლიკენი და სომეხ-კათოლიკენი გადაკიდულნი ყოფილხართ ერთმანეთზე; ერთი თქვენგანი ცდილობთ ენის მოპოებას, ე.ი. საბძანებლო ენაზე ლოცვა-ვედრებასა ღვთისადმი და, მეორე კი უშლით ხელს დედა-ენაზე ლოცვა-ვედრებასა... პირველთათვის კანონიერია, რადგან დედა ენაზე, ანუ გასაგებ ენაზე სურთ ლოცვა (რაიც უნდა ესმოდეს მლოცველსა) და უკანონოა ის, რომელნიც უშლით ამ უკანასკნელსა... ქართველთათვის სამართლიანია ამაზე ბრძოლა, რომ გასაგებ ენაზე ცდილობთ ღვთის ვედრებას და მე, სწორეთაც უნდა ვეცადო, რომ ყველას თავის ნებაზე ჰქონდეს ლოცვა-ვედრება და არც უნდა სხვამ დაუშალოთ ესა [გვარამაძე, 1903:34-35]. გვარამაძის ცნობით, ქართველმა კათოლიკეებმა („მსურველი 10.000 მიაღწევს“) ეპისკოპოსს განუცხადეს თავიანთი სურვილი სომხურიდან ლათინურ წესზე გადასასვლელად. ერთი ცნობით, მრავალწლიანმა ბრძოლამ გვიან, მაგრამ შედეგი გამოიღო: 1904 წელს ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში ქართული ენა აღდგა [ფავლენიშვილი, 2019:136]. თუმცა, როგორც ირკვევა, კეთილგანწყობის მიუხედავად, ქართველ კათოლიკეებს მან თხოვნა ვერ შეუსრულა. ქართული ტიპიკონის მოპოვების საკითხისადმი ბარონ დე როპპის სამართლიანმა დამოკიდებულებამ ქართველ კათოლიკეებს განუმტკიცა რწმენა იმისა, რომ მოიპოვებდნენ მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის უფლებას. მაგრამ ეს ადვილად მისაღწევი არ იყო მეფის რუსეთის რეჟიმში. თან მაშინ, როცა თვით ქართულ ეკლესიას არ ჰქონდა დამოუკიდებლობა... მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა კათოლიკეებმა იმ ეტაპზე ვერ მიაღწიეს მიზანს, შეიძლება ითქვას, რომ მათ ბრძოლას უშედეგოდ მაინც არ ჩაუვლია. კერძოდ, ივ. გვარამაძის თაოსნობით წარმოე-ბულმა ბრძოლამ ქართველ კათოლიკეებს გაუღვიძა ეროვნული თვითშეგნება მაშინ, როცა მათ თავი სომეხ კათოლიკეებად მიაჩნდათ [ყრუაშვილი, 2018:176].

რუსული იმპერიული მთავრობის მხრიდან შევიწროებისა და სომხების ინტრიგების მიუხედავად, კათოლიკობამ, კაპუცინების გაძევების შემდეგ, გარკვეულად მაინც შეინარჩუნა პოზიციები. 1862 წელს გაიხსნა ქუთაისის კათოლიკური ტაძარი [თამარაშვილი, 1995:732-733]. თბილისში XIX საუკუნის 70-იანი წლებისთვის არსებული ლათინური ტიპიკონის კათოლიკური ეკლესია – „მარიამის ამაღლების“ ტაძარი მრევლს უკვე ვეღარ იტევდა. 1870 წელს, სტ. ზუბალაშვილი მოთავეობით საფუძველი ჩაეყარა ახალ ეკლესიას პეტრე

და პავლე მოციქულთა სახელზე. მის აგებაში მონაწილეობდნენ 1830 წლის ვარშავის აჯანყების დამარცხების შემდეგ გადმოსახლებული პოლონელები [პაპაშვილი, 1995:321-322]. ეკლესიაც უმთავრესად მათთვის იყო აშენებული [თამარაშვილი, 1995:733]. ყველაზე გამორჩეული მაინც ბათუმის კათოლიკური ეკლესია იყო (ამაზე ვრცლად ქვემოთ, ცალკე გვექნება საუბარი), რომლის მშენებლობაც დასრულდა 1903 წელს სტ. ზუბალაშვილის დაფინანსებით. ბათუმში კათოლიკური ეკლესიის აშენება დაკავშირებული იყო კათოლიკე მრევლის რაოდენობის ზრდასთან.

მე-19 საუკუნის ბოლოდან მესხეთის მკვიდრმა კათოლიკე ქართველებმა მასობრივად დაიწყეს დასახლება ბათუმსა და მის შემოგარენში. ამას ხელი შეუწყო ახალციხე-ბათუმის დამაკავშირებელი გზის გაყვანამ. ქართველი კათოლიკეები ძირითადად ვაჭრობასა და ხელოსნობას ეწეოდნენ. ბათუმი, როგორც საპორტო ქალაქი, ხელსაყრელი ადგილი იყო მათთვის საცხოვრებლად. იგი იყო ევროპასთან დამაკავშირებელი კარიბჭე. სულ მალე ქართველ კათოლიკეთა რიცხვმა ბათუმის ოლქში რამდენიმე ათასს გადააჭარბა. გაზ. „ივერიის“ 1902 წლის ცნობით, ბათუმის 30 ათას მაცხოვრებელში 3500-4000 კათოლიკე ყოფილა [პარმაქსიზიშვილი, 2019:156-159]. სამწუხაროდ, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის შემდეგ ბათუმელ კათოლიკეთა რიცხვი საგრძობლად შემცირდა: ზოგი საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ზოგი ტერორსა და რეპრესიებს შეეწირა, ზოგიც მართლმადიდებლურ ეკლესიას შეუერთდა [იქვე, 162].

უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პერიოდში კათოლიკობის გავრცელებას საქართველოში არ ჰქონია წინა პერიოდისგან განსხვავებული მასშტაბები, რაც სხვადასხვა ფაქტორებმა განაპირობეს. მ. თამარაშვილი გამოყოფს შემდეგს: 1. გამუდმებული ომები საქართველოში, რის გამოც იყო პირობები კათოლიკურ ეკლესიასთან ურთიერთობისათვის; 2. სომეხთა ხელშეწყობით განხორციელებული დევნა. „სომეხებს რომ თავი დაენებებინათ მისიონერებისათვის, ეჭვგარეშეა, კათოლიკური რწმენა მნიშვნელოვნად გავრცელდებოდა და საქართველოს ყველა პროვინცია ნებით მიიღებდა ამ რწმენას“; 3. კათოლიკე ეპისკოპოსის არყოფნა ქვეყანაში. „პრეფექტის საქმიანობას არ შეეძლო შეეცვალა ეპისკოპოსის ღირსება და ავტორიტეტი იმ ხალხის თვალში, რომელიც არათუ იცნობდა საეკლესიო იერარქიას, არამედ თავად ჰქონდა ამ იერარქიის ყველა საფეხური“; 4. მისიონერების უუნარობა და ნაკლები მონდომება. „ზოგჯერ არჩევანი სწორად არ კეთდებოდა და კავკასიაში ისეთ ადამიანებს გზა-

ვნიდნენ, რომელთაც არც თავიანთი საქმე უყვარდათ და არც თავიანთი მდგომარეობა ჰქონდათ შეგნებული“ [თამარაშვილი, 1995:736]. რთულია, არ დაეთანხმო შეფასებაში კათოლიკობის ისტორიის ჭეშმარიტ მკვლევარს. ჩვენ შეგვიძლია დავამატოთ მხოლოდ რუსული იმპერიული პოლიტიკის გავლენა, ხელისუფლების მიერ მიღებული ზომები, რაც გასაქანს არ აძლევდა კათოლიკე მრევლს.

სიტუაცია არ შეცვლილა XX საუკუნის დასაწყისშიც. 1910 წელს გამოქვეყნებულ წიგნში – კათოლიკური ეკლესიის ისტორია – მ. თამარაშვილი წერდა: ქართველი კათოლიკეები „ჯერ კიდევ განცალკევებულნი და მიტოვებულნი არიან ყველა გაგებით. არა აქვთ არც საეპისკოპოსო, არც მისიონი, არც არავითარი ინსტიტუტი, რომლის დანიშნულებაც იქნებოდა რწმენის შენარჩუნება და მისი ხელშეწყობა... ქართველები სრულიად მოკლებულნი არიან გულმოწყალების ყველა სიკეთეს, რასაც კათოლიკური სამყარო მთელი დედამიწის ზურგზე გზავნის ყველაზე უფრო ველურ და შორს მცხოვრებ ხალხებშიც კი. ქართველებს არა აქვთ არავითარი საკუთარი და პირდაპირი ურთიერთობა რომთან... სულიერი შეხედულების თვალსაზრისით, ქართველი კათოლიკეები მსოფლიოს ყველაზე უბედური ხალხია. თუმცა მათი რაოდენობა არ არის ხელწამოსაკრავი. ისინი დაახლოებით 40 000 გახლავთ, მათგან 8000 დღეს სომხურ ადათს მისდევს, დანარჩენი კი ლათინურს [თამარაშვილი, 1995:737].

ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია მ. თამარაშვილის მიერ მოტანილი სტატისტიკა, მაგრამ ის პროპორცია, რომლითაც ქართველ კათოლიკეთა საერთო მასაში სომხური წესის მიმდევარი გამოიყოფა (40 ათასში – 8 ათასი, ანუ 20%), საკმაოდ მრავლისმთქმელი და დამაფიქრებელია. საინტერესოა, რომ ქართველ კათოლიკეთა ერთი ნაწილის, არტაანის მხრიდან გადმოსახლებულთა, ე. წ. „ველელი“ კათოლიკე ქართველების სალაპარაკო ენა ყოფილა თურქული. 1918 წელს კონსტანტინეპოლში გამოცემული ბროშურის მიხედვით, მათი რიცხვი აღწევდა 5.000-მდე. მოსახლეობდნენ სოფლებში: ხულგური, კარტიკამი, ბაგრა, ტურცხი და ნაწილობრივ ვარევანში. დედაენაზე მოლაპარაკე კათოლიკენი სახლობდნენ შემდეგ სოფლებში: უდე, ვალე, არალი, ბოლაჯური, ბნელა, ხიზაბავრა, ვარგავი და ქ. ახალციხეში. მთლიანად ახალციხის მაზრაში 6 ათასი კათოლიკე ყოფილა, ახალქალაქის მაზრაში კი – 8 ათასი [საქართველოს ტერიტორიის..., 1918:12-13].

1911 წელს „სახალხო გაზეთში“ გვარამამე წერდა: „ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის ქართველმა კათოლი-

კებმა ნამესტნიკს ქალაღდი მღართვეს და სთხოვეს, სომხის ტიბიკონიდან ლათინურ ტიბიკონზე გადასვლის ნება მიეცა; თხოვნაში დაწვრილებით იყო აღნუსხული ისტორიულად, რომ ისინი ქართველის გვარს ეკუთვნიან და საჭიროებენ დედა – ენაზე ლოცვა – ვედრებასა, რომლის ნებას სომხის სასულიერო მმართველობა არ აძლევდა, რადგანაც სომხებად ნათლავდნენ და არა ქართველებად. ნამესტნიკმა ისტორიულ საბუთებზე დამყარებული თხოვნა შეიწყნარა და ლათინურ ტიბიკონზე გადასვლის ნება დართო. შემდეგ საქმე მიდგა რომის პაპაზე, როგორც კათოლიკეთა ეკლესიის უმაღლეს წარმომადგენლობაზე. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომის პაპსაც შეუწყნარებია თხოვნა, ნამდვილად გადასწყვეტს ამ მოკლე ხანში, რომ ყველა კათოლიკე ქართველმა მიიღოს ლათინის ტიბიკონი, რასაც უეჭველია სიამოვნებით მიეგებებიან კათოლიკე ქართველები [მაღაცმაძე, II, 2020:483].

სამწუხაროდ, პროცესი კვლავ გაიწელა. საქართველოში კათოლიკური სამრევლოების ეროვნული პოზიციის აღდგენა-გამტკიცებას ბიძგი მისცა 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. ქართველმა კათოლიკეებმა ჯერ კიდევ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, აღადგინეს ცარიზმის მიერ 1844 წელს ჩამორთმეული დამოუკიდებლობა და სცადეს მოეპოვებინათ აღიარება წმინდა საყდრისაგან [ბარდაველიძე, 2019:204]. ქართველმა კათოლიკეებმა გააქტიურეს ბრძოლა ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის. ამ საქმეში აქტიურად ჩაებნენ სტამბოლში მოღვაწე ქართველი კათოლიკენი: „სტამბოლის კათოლიკური სავანე, მონასტრის გამგე მღვდელი შალვა ვარდიძე და ოსმალეთის ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პროფესორი სიმონ გოზალიშვილი. ორივე მამულიშვილი 1917 წელს ჩამობრძანდა და ქდაგებდნენ ქართული ტიპიკონის დამკვიდრებას ჩვენს ეკლესიაში. ამავე საკითხს მიეძღვნა ბათუმში გამართული ქართველ კათოლიკეთა კრება [ყრუაშვილი, 2018:180-181]. მიუხედავად იმისა, რომ აღარ არსებობდა ხელისშემშლელი გარე ფაქტორები, კათოლიკური ეპარქიის აღდგენისათვის ბრძოლა წარმატებულად არ ხორციელდებოდა. მდგომარეობას ართულებდა ის გარემოება, რომ თვით ქართველ კათოლიკეებს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. კერძოდ, დაპირისპირება გაჩნდა ქართულ, ლათინურ და სომხურ ტიპიკონზე მყოფ სამღვდელოებას შორის. როგორც სომხური ტიპიკონის, ისე ლათინური ტიპიკონის მქონე სამღვდელოება წინ აღუდგა ქართული ტიპიკონის აღდგენას [იქვე].

ქართული ტიპიკონის მოპოვებისათვის კათოლიკე ეკლესია საქართველოში ბრძოლას განაგრძობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის

მთავრობის პერიოდშიც. კერძოდ, 1920 წლის 7 აპრილს თბილისში ჩატარებულ ქართველ კათოლიკეთა კონფერენციის რეზოლუციაში ვკითხულობთ: „აღიძრას შუამდგომლობა რომის ტახტის წინაშე, რათა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა ერი გადაყვანილ იყვნენ ლათინის ტიპიკონზე, ე.ი. წესზე და ლოცვა, გალობა და სხვა საეკლესიო წესის აღსრულება იქმნას ქართულ ენაზე“ [ყრუაშვილი, 2018:185].

1920 წლის 5 ოქტომბერს, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო“ იუწყებოდა: „კვირას, ღვინობისთვის 3-ში ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში ისტორიულ დღეთ დარჩება. ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, რომელიც პოლიტიკურ მიზეზების გამო გაუქმებულ იყო 14-ე საუკუნეში, სამშობლოს განთავისუფლების შემდეგ აღსდგა. მართველად ამ კათედრისა რომის ტახტისაგან წარმოგზავნილი იქმნა მისი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი გაბრიელ მორიონდო.

დილიდანვე ქართველ კათოლიკეთ მიძინების ტაძარი მოირთო და მოიკაზმა ვარდ-ყვავილ გრეხილებით და ქართულ ეროვნულ აღმებით. შესავალ კარებში ორ ქართველ ეროვნულ დროშის შუა ფრიალებდა დროშა რომის პაპისა, ტაძრის კარის ბჭეზე ვარდ-ყვავილების ჩარჩოში ჩასმული იყო წმ. ნინოს სურათი. დილის 10 საათისთვის თავი მოიყარა მთელმა ქართველ კათოლიკეებმა. ამ დროისთვის მოვიდნენ ტაძარში წარმომადგენელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და სამინისტროებისა, სხვა და სხვა უცხოელ სახელმწიფო მისიების და საპატიო პირთა. სრულ 11 საათზე ტაძარში მობრძანდა მათი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი მორიონდო, რომელსაც შეეგება ადგილობრივი კრებული.

...წირვა შეასრულა ლათინურ ენაზე პატრმა დონ მიხეილ ანტონაშვილმა, სამოციქულო ქართულად ძველ ქართულ კილოზე წაიკითხა გორის პატრმა კონსტანტინე საფარაშვილმა, ხოლო სახარება ქართულსავე ენაზე ქუთათურმა პატრმა დონ დამიანე სააკაშვილმა. წირვაზე მგალობელთა გუნდმა და ორკესტრმა ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულა წარჩინებულად საგალობელნი...

წირვის შემდეგ ეპისკოპოს მორიონდოს მდივანმა პატრმა პეტრე გაგნორმა წაიკითხა იტალიურად შემდეგი დეკრეტი პაპის მიერ ბოძებული რომში, რომელიც გადაუთარგმნა მსმენელთ სიტყვა სიტყვით ქართულად პატრ ემანუელ ვარდიძემ“ [„საქართველო“, 1920, №113].

რომის პაპმა ბენედიქტე XV-მ, 1920 წლის 8 ივნისს გადაწყვიტა, რომ ტირასპოლის თემის ნაწილი, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებ-

შია მოქცეული, „გამოყოფილ იქმნას დროებითი სახით ტირასპოლის ეპისკოპოსის გამგეობისაგან და დღეის ამიერ მინდობილ ექმნას მზრუნველობას კ. ც. მამა ულნატალე გაბრიელ მორიონდოსი... მწყსოს და მართოს უფლისა მიერ ყოველნი ქრისტეს მორწმუნენი და სამღვდელონი, ეგრეცა საერონი, ყოველსავე რიგისაგანი, გარდა სომხის რიგის კათოლიკეთა რომელნიც ქვემდებარე არიან საკუთარ სამოციქულო გამგისა... იხმაროს იურისდიქცია ორდინარიული, სრული და პირდაპირი“. დეკრეტი გამოიცა 1920 წლის 15 აგვისტოს [იქვე].

წირვის შემდეგ გაიმართა საზეიმო ტრაპეზი, სადაც სიტყვა წარმოსთქვა ზ. ჭიჭინაძემ, რომელმაც იმედი გამოთქვა, რომ ოდინდელი წესები იქნებოდა დაცული, „მაგალითად, პატრი სწირავს ლათინურად და დანარჩენი გალობა თუ სახარება და სამოციქულოს წაკითხვა უნდა დარჩეს ქართულათ, ასევე ანდერძის აგება და აღსარების თქმაც ქართულათ უნდა იყოს“ [იქვე].

ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენიდან სამ წელიწადში დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველოს კათოლიკურმა ეკლესიამ. პაპის დეკრეტში ყურადღებას იმსახურებს ფორმულირება „დროებით სახით“. როგორც ჩანს, ეს იყო საქართველოს კათოლიკური ადმინისტრაციის იურიდიულად გაფორმების პირველი ეტაპი. სამწუხაროდ, ეს პროცესი შეაჩერა საბჭოთა ოკუპაციამ და მისი ოფიციალური აღდგენა მხოლოდ 1992 წელს, ვატიკანსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შემდგომ განხორციელდა [ბარდაველიძე, 2019:204].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს, კათოლიკური აღმსარებლობის მიმდევრები, იმთავითვე ჩაებნენ დამოუკიდებელი საქართველოს აღმშენებლობის პროცესში, იბრძოდნენ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში. ეს კარგად გამოჩნდა 1918-1919 წლების სამხრეთ საქართველოში, როცა პროოსმალურად განწყობილი ბეგ-აღალარების ნაწილმა შეიარაღებული აქციები წამოიწყო, დამოუკიდებლობის მოთხოვნით, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ნაწილების ჩასვლამდე, ქართველმა და სომეხმა კათოლიკეებმა, რეგულარული ჯარების მოსვლამდე, იარაღით ხელში შეინარჩუნეს ქალაქი ახალციხე.



ქართული კათოლიკეების როლი ქართულ
ეკონომიკასა და კულტურაში

საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზუბალაშვილის გვარს, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა დიდი ღვაწლი დასდეს თავის მშობლიურ ქვეყანასა და ხალხს. ამ გვარის კაცებს კათოლიკობა ჯერ კიდევ XVII საუკუნის 20-იან წლებში მიუღიათ და ნიჭიერების წყალობით მალევე დაწინაურებულან ვაჭრობა-მრეწველობის საქმეში. თანამედროვეთა შეფასებით, 1800 წლის შემდეგ თბილისში, გორში, ქუთაისში, ახალციხესა და სხვა ქალაქებში მსხვილი სამრეწველო საქმე არ დაწყებულა, რომ ზუბალაშვილებს მონაწილეობა არ მიეღოთ. უკვე XIX საუკუნის 30-იან წლებში ამიერკავკასიის მაშინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ცენტრის – თბილისის პირველი გილდიის ვაჭართა შორის პირველ რიგში არიან მოხსენიებული მსხვილი მრეწველები ზუბალაშვილები [ფეიქრიშვილი, 2011:19-20]. მაგ., იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილის (კონსტანტინეს მამისა და სტეფანეს ბაბუის) სახელთანაა დაკავშირებული 1830-იან წლებში, თბილისში შაქრის ქარხნის გახსნა [ჭიჭინაძე, 1906:127-129]. მისსავე მფლობელობაში იყო დასავლეთ საქართველოში მდებარე პირველი არყის სახდელი ქარხანა [ლაშვი, 2016:64] ამ გვარის წარმომადგენლებმა მიზნად დაისახეს ქველმოქმედება, საზოგადო და ეროვნული საქმის მესვეურობა და რამდენიმე თაობის მანძილზე აქტიურად მიყვებოდნენ აღებულ კურსს. „კათოლიკე ზუბალაშვილები – მსხვილი ვაჭრები და დიდმრეწველები – კიდევ უფრო ცნობილი გამხდარან მთელს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც არა მხოლოდ გონივრული კომერციული საქმიანობით, არამედ სასიქადულო მამულიშვილობით, ეროვნული იდეების ერთგულებით, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ჭეშმარიტი მეცენატობით, კაცთმოყვარეობით, განსაკუთრებული მასშტაბის ქველმოქმედებით, ღარიბთა და შეუძლოთა შეწალევა-მფარველობით“ [იქვე:21].

ზუბალაშვილების ქველმოქმედების მასშტაბები განსაკუთრებულად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ისინი აღმოჩნდნენ ბაქოს ნავთობმრეწველობის სათავეებთან. 1872 წლის დეკემბერში გაიყიდა აფშერონის ნახევარკუნძულის ნავთობით მდიდარი სახაზინო მიწები, რომლებიც კერძო მყიდველებს გადაეცათ. გასაყიდად გამოტანილი ტერიტორია 10 დესეტინის ფართობის ნაკვეთებად იყო დაყოფილი. ბიბი-ეიბათზე მდებარე ნაკვეთი შეიძინეს ჯაყელებმა და ზუბალაშვილებმა, რომლებიც ერთმანეთს ენათესავებოდნენ მათ დააფუ-

მნეს ამხანაგობა „კ. ზუბალოვი და ს. ჯაყელი“ და ააშენეს ნავთის ქარხანა [<https://ourbaku.com/index.php>]. 1880 წელს ამხანაგობა გარდაიქმნა ნავთობ სა-მრეწველო და სავაჭრო ამხანაგობად „ს. და ი. ჯაყელი და კომპანია“, რომლის კაპიტალიც 500 ათას რუბლს შეადგენდა. კომპანიას, როგორც ჩანს, ხელმძღვა-ნელობდა სტეფანე ჯაყელი.


ნავთობმოპოვების საქმე თავიდან კარგად არ აეწყო. სადღაც 1885-86 წლე-ბში ამხანაგობის ვალმა ვექსილებით შეადგინა 100 ათასი რუბლი. ბანკროტის თავიდან აცილების მიზნით, ამხანაგობის ქონება და მაქსიმუმი ჩადებულ იქნა ბანკში თბილისში. მეპაიეთა გადაწყვეტილებით, აღნიშნული ნაკვეთი, მთე-ლი ვალებითა და ვალდებულებებით არენდით აიღო კონსტანტინე ზუბალაშ-ვილმა და ამ საქმეს ბაქოში სათავეში ჩაუყენა საკუთარი შვილი სტეფანე [<https://ourbaku.com/index.php>]. კონსტანტინე ზუბალაშვილს დიდი განსაცდე-ლის გადატანა მოუხდა, რადგან თითქოს უიმედო და ფრიად სარისკო საქმეს მოჰკვიდა ხელი. თუმცა, „მისმა ენერგიულმა მეცადინეობამ თავისი გაიტანა და თავის საწადელსაც მიაღწია. მის მამულში ამოფეთქა ნავთის წყაროებმა და მით მრავალ ნაირად დამაბუნებელი კონსტანტინეს საქმეებიც ფეხზედ დად-გა და წელშიც გაიმართა“ [ჭიჭინაძე, 1906:163].

საინტერესოა სტ. ზუბალაშვილის წერილები მისი ძმის ლევანისადმი, სა-დაც კარგად ჩანს, თუ როგორ იწყებოდა ბაქოს ნავთობის მოპოვებითი სა-მუშაოები, რომელსაც დიდ კაპიტალთან ერთად, დიდი ბიზნესიც მოჰყვა. ერთ-ერთ წერილში სტეფანე ძმას ერთგვარად უბოდიშებს მოუცლელობის გა-მო პასუხის დაგვიანებისთვის და წერს: შეიძლება მე და მამა არ ვართ კო-მერსანტები და ალბათ, ვერც გავხდებით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს საქმე (ბაქოს ნავთობის მოპოვება და რეალიზაცია - ავტ.) არამომგებიანია. ყვე-ლაფერი ჩვენზეა დამოკიდებული (1888 წლის მარტი). მართალია, ს. ზუბა-ლაშვილი ბიზნესმენს არ ეძახის თავის თავს, მაგრამ საკმაოდ შორ გათვლებს აკეთებდა, როცა ძმას აცნობებდა, რომ საჭირო იყო კომპანიის მეწილის – ვინმე ამირალოვის აქციების შესყიდვა ხელსაყრელ ფასად, რითაც საკონტროლო პა-კეტს მოიპოვებდნენ. ის კარგად აფასებდა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის როლს და სწორად ჰვრეტდა ამ საქმის დიდ მომავალს.

ზუბალაშვილის მეზობლად ჰქონდა ჭაბურღილები ნობელებსა და როტ-შილდს (1888 წლის 2 მაისი). სტეფანე წერდა ძმას, რომ მოპოვებულ ნავთობს უგზავნიდნენ ნობელს, როტშილდს, ცატუროვს... წლიდან წლამდე ახალი ჭაბურღილების გათხრამ, ნავთობზე ფასის ზრდამ მათი შემოსავლის ზრდას შეუწყო ხელი.

1901 წლის 26 მარტს გარდაიცვალა კონსტანტინე ზუბალაშვილი, რომელმაც შვილებს დიდი ქონება და ქველმოქმედების ნიჭი დაუტოვა. მისმა მემკვიდრეებმა მამის ხსოვნის საპატივცემულოდ 200000 რუბლი გამოყვეს თბილისის ცენტრში სახალხო სახლის ასაშენებლად, რომელსაც კონსტანტინეს სახელი უნდა ეტარებინა.

კონსტანტინე ზუბალაშვილის მემკვიდრეობა გაინაწილეს მისმა შვილებმა: ლევანმა (1851-1914), სტეფანემ (1860-1904), პეტრემ (დ. 1862) და იაკობმა (1876-1941). მამის გარდაცვალების შემდეგ მალევე გარდაიცვალა სტ. ზუბალაშვილი. იაკობი დაფუძნდა პარიზში, პეტრე – შვეიცარიაში, ლევანი, რომელიც მოსკოვში ცხოვრობდა, ახორციელებდა მართველობას მთელს მრეწველობაზე და მოგების წილს უყოფდა ძმებს [<https://ourbaku.com/index.php>]. ლევანი ხელმძღვანელობდა ბაქოს სათავო წარმოების მოსკოვის კანტორას. ამავე დროს იყო მოსკოვში სადაზღვევო საზოგადოების – „Акоръ“-ის დირექტორი. ამ საქმიანობამ იგი მალე დააკავშირა მოსკოვის ცნობილ მრეწველ-კომერსანტებს და საბოლოოდ აქცია მოსკოვის ერთ-ერთ წარჩინებულ მოქალაქედ, უმდიდრეს მრეწველად, სახელგანთქმულ კოლექციონერად და გამორჩეულ ქველმოქმედად. ლევანი გახლდათ მოსკოვის საპატიო მოქალაქე [ფეიქრიშვილი, 2011:101-102].



ლევანს მოსკოვში, კრემლის ახლოს, ჰქონდა დიდებული სასახლე შესანიშნავი ბაღით. გარდა ამისა, მან მოსკოვის ახლოს, სოფელ უსოვოში, სააგარაკოდ შეისყიდა საკმაოდ მოზრდილი ტერიტორია, სადაც ააშენა ორი ერთნაირი სახლი (სასახლე): ერთში თვითონ ცხოვრობდა, მეორე კი განკუთვნილი იყო სტუმრებისათვის. აგარაკს იმთავითვე ეწოდებოდა „ზუბალოვო“. მას ამშვენებდა დიდი პარკი, ლამაზი ბაღი. იქვე იყო ორანჟერეა, სათბურები, სათამაშო მოედნები, ცხენების თავლა (მრავლად ჰყოლია სხვადასხვა ჯიშის ცხენი); ჰქონია ეტლების, კარეტების, კაბრიოლეტების ეკიპაჟების კოლექციაც. ცალ-ცალკე მოთავსებული სპეციალურ ფარდულებში (ეს იყო თურმე ლევანის განსაკუთრებული გატაცება). მის კოლექციაში ინახებოდა, პირველხარისხოვანი ღირებულების შედევრები: ფერწერული ტილოები, ხატები, ფაიფურის ნივთები (ჭურჭელი), რომლებიც ამშვენებდნენ მეპატრონის დიდებულ სასახლეებს [ფეიქრიშვილი, 2011:104-106].

მართალია, ლევანი საქართველოში არ ცხოვრობდა, თუმცა მუდმივად ხელს უმართავდა რუსეთის ქართველ ინტელიგენციას და სტუდენტობას. მან

40.000 მანეთი შესწირა 1907 წელს ჩამოყალიბებულ „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებას“, მისი ბიბლიოთეკის გასაფართოებლად 1914 წელს დამატებით გაიღო 10 ათასი მანეთი... I მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ომში დაჭრილ ქართველ მეომართა დასახმარებლად ნახევარი მილიონი მანეთი შესწირა საზოგადოებას, რომელმაც თავისი კუთვნილი სახლის მეორე სართულზე სექტემბერშივე გახსნა 15 საწოლიანი სამკურნალო სტაციონარი და უწოდა „ლევან ზუბალაშვილის სახელობის დაჭრილ და ავადმყოფ ქართველ მებრძოლთა ლაზარეთი“ [იქვე:109-110].

ლევანის გარდაცვალების შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლებამ მოახდინა მისი მოსკოვის სასახლის კონფისკაცია. I მსოფლიო ომის დროს ერთ სახლში განთავსებული იყო ჰოსპიტალი 1918 წლამდე. 1919 წლიდან ერთი სახლი დაიკავა სტალინის ოჯახმა, მეორე კი – მიქოიანის. სტალინის ქალიშვილის სვეტლანა ალილუევას მოგონების მიხედვით, სტალინის ოჯახი ამ აგარაკზე ცხოვრობდა 1952 წლამდე [ფეიქრიშვილი, 2011:104-105].

ძმებს შორის ყველაზე გამორჩეული მაინც სტეფანე ზუბალაშვილი იყო. იგი დაიბადა 1860 წელს, თბილისში. დედა გახლდათ ქუთაისელი წარჩინებული ოჯახის, თავად მიხეილ თუმანიშვილის ასული ელისაბედი. ზ. ჭიჭინაძის შენიშვნით, „სულ ამ პატიოსანი ადამიანის წყალობა გახლავს, რომ კონსტანტინეს შვილები ასეთი მაღალის იდეალებით აღვსილნი და გამსჭვალულნი გამოვიდნენ“ [ჭიჭინაძე, 1906:170]. დაწყებითი განათლება თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიღო [ჭიჭინაძე, 1904:31, 34]. სტეფანემ, როგორც მამის ქონების ერთ-ერთმა მემკვიდრემ, გიმნაზიის დამთავრებისთანავე დაიწყო მუშაობა ბაქოს ნავთობმომპოვებელ კომპანიაში და მალევე გახდა მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

1904 წლის 15 მაისს სტეფანე გაემგზავრა საფრანგეთში სამკურნალოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, მკურნალობა უშედეგოდ დამთავრდა. იგი პარიზში გარდაიცვალა 1904 წლის 14 სექტემბერს. გადმოსვენეს თბილისში და დაკრძალეს სოლოლაკში, საგვარეულო სამარხში, მშობლების გვერდით.

სტ. ზუბალაშვილის გარდაცვალება დიდი ეროვნული ტრაგედია გახლდათ. მთელმა საზოგადოებამ დაიტირა იგი. სტეფანეს ცოლ-შვილი არ ჰყავდა. მისი ცხოვრება-საქმიანობის მთავარი მიზანი იყო ერის კეთილდღეობაზე ზრუნვა: „სიცოცხლე მენატრება მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემს ქვეყანას და ხალხს ვემსახურო, სიკეთე ვთესო. ამის მეტი, ღმერთმანი, მე არაფერი წამყვება. სიკეთე დაუკარგელია“ [ფეიქრიშვილი, 2011:124].

ისევე როგორც ზოგადად კათოლიკეებს, მასაც განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ქართული ენისადმი და სამშობლოს ისტორიისადმი. ზ. ჭიჭინაძის და სხვათა მეცნიერული ხასიათის არაერთი წიგნის გამოცემის მხარდამჭერი სწორედ სტეფანე გახლდათ. მისი დაფინანსებით გამოდიოდა საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ [ჭიჭინაძე, 1904:37-38]. ზ. ჭიჭინაძის შეფასებით: „არა მგონია რომ ჩვენი ცხოვრების ასპარეზზედ მოიძებნოს ისეთი რამ დარგი, ანუ ნაწილი, რომ იმას სტეფანე კონსტანტინეს ძე თავისი ძმებით პატივს არ სცემდეს. იგინი დიდი პატივისმცემელი არიან ქართველ ძეთა განათლების და მიტომაც მათგან ბევრს ქართველ გაჭირვებულ კაცის შვილს მისცემია დახმარება სწავლის მისაღებათ, როგორც ტფილისის სასწავლებლებში, ისევე რუსეთის და საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებშიაც. მათის წყალობით ბევრს დატაკ ქართველ კაცის შვილს დაუმთავრებია სწავლა, ბევრი გამოსულა განწირულებიდან და ცხოვრების გზაზედ დამდგარა. ასეთის მაგალითების მოყვანას რომ გავყვეთ, ეს ერთობ შორს წავა. ჩვენი კალამი ვერ ანუსხავს, რადგანაც რაც მათ მოწყალება ურიგებიათ, ყველა იგი ჩუმად, ისე, რომ მარჯვენ მკლავის ნამოქმედარი მარცხენასაც კი არ გაუგია! [ჭიჭინაძე, 1904:40].



სტეფანე ზუბალაშვილი

ესაა არასრული ჩამონათვალი სტეფანე ზუბალაშვილისა და მისი ძმების ქველმოქმედებიდან:

- ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაარსების 25 წლისთავზე – 1904 წელს გადაურიცხეს 10 ათასი მანეთი;
- ძმებმა 15 ათასი მანეთი გადმოუგზავნეს ქართველ თავადაზნაურობას რუსეთ-იაპონიის ომში დაჭრილთათვის საავადმყოფოს ასაშენებლად;
- ახალქალაქის მაზრის სოფ. ხიზაბავრას ქართველ კათოლიკე ქალთა სკოლის გახსნას შეეწია 1000 მანეთით;
- 1904 წელს, სააღდგომოდ 2000 მანეთი გადასცეს თბილისის ქალაქის გამგეობას ღარიბთა დასახმარებლად;
- 10 ათასი მანეთი შესწირეს თბილისის მუსიკალურ სკოლას [ჭიჭინაძე, 1904];
- ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობისთვის გამოყვეს 160 ათასი მანეთი;
- თბილისის სახალხო თეატრის ასაგებად – 170 ათასი მანეთი;

- 2-2 ათასი მანეთით დაეხმარნენ სხვადასხვა გაზეთების რედაქციებს;
- 2500 მანეთი „მრომის მოყვარეთა“ საზოგადოებას
- 3-3 ათ. მანეთი – თბილისის, გორის და ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიებს [ჭიჭინაძე, 1906].

ძმები აფინანსებდნენ გაჭირვებულ და სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს. მათ სტიპენდიატთა სიაში (1908 წელი), სხვა მრავალთა შორის, ირიცხებოდნენ შემდგომში ცნობილი პიროვნებები: შალვა ელიავა, სარგის კაკაბაძე, გერონტი ქიქოძე და სხვები [ლაშვი, 2016:79-87].

ძმებმა ზუბალაშვილებმა სტეფანეს თაოსნობით თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის შენობის (დღევანდელი ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსი) ასაგებად (გიმნაზიის მშენებლობა დაიწყო 1900 წელს) ორჯერ გაიღეს უხვი შეწირულობა (80 ათასი მანეთი ოქროთი): პირველად (1903 წლის თებერვალში) 30 ათასი, მეორედ (1904 წლის ოქტომბერში) – 50 ათასი. გარდა ამისა, სტეფანე ხშირად (თითქმის ყოველ შაბათს) მიდიოდა თურმე მშენებლებთან, ფულით ასაჩუქრებდა და თან სთხოვდა, შენობა მყარ ფუნდამენტზე დაეფუძნებინათ [ფეიქრიშვილი, 2011: 126].

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე პეტრე ზუბალაშვილმა თბილისის გამგეობას გადასცა თავისი ოჯახის კუთვნილი სასტუმრო „ლონდონი“ სამხედრო ლაზარეთისთვის და 20 ათასი მანეთიც (ოქროთი) გაიღო მის მოსაწყობად.

* * *

ქართულ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამორჩეული ადგილი უჭირავს მოძღვარსა და მწერალს, „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით ცნობილ მოღვაწე ივანე გვარამაძეს (1831-1912). ზ. ჭიჭინაძის ცნობით, გვარამაძეთა საგვარეულო სამცხეში ქართლის სოფელ რუისიდან გადასულან, ან ტყვედ წაუყვანიათ. ჯერ აწყურში დასახლებულან, სადაც თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ, შემდეგ კი – ახალციხეში. გორში ყოფნისას მათ უნდა მიეღოთ კათოლიკობა [ჭიჭინაძე, 1904:3-4].

ი. გვარამაძე დაიბადა 1831 წლის 15 ოქტომბერს ქ. ახალციხეში. დედა – მარიამი ველელი კათოლიკე გახლდათ. ოჯახი კარგი მექართულე იყო და ივანესაც არ გასჭირვებია ქართული წერა-კითხვის დაუფლება. 15 წლისას უკვე დიაკვნობა შესძლებია და სომხურიც შეუსწავლია. 17 წლისა – პ. შაჰყუ-

ლიანის სასწავლებელში შესულა. წარჩინებული მოსწავლე, შურის გამო, თანატოლებს შაჰყულიანთან დაუბეზღებიათ და მასაც იგი სკოლიდან დაუთხოვია. ამის შემდეგ, ივანემ სოფ. ვალეში 3 წელი თვითგანათლებას მიჰყო ხელი. მოგვიანებით კი უფრო საფუძვლიანი განათლების მისაღებად მამა პ. ხარისჭირაშვილთან გადასულა ქ. ქუთაისს. მას შემდეგ, რაც ეს უკანასკნელი ევროპაში წავიდა 1856 წელს, ივანე ისევ ახალციხეს დაუბრუნდა, საიდანაც მალე კონსტანტინოპოლს გაემართა. აქ ერთ ქართველ კათოლიკესთან იგი კარგად გაიწაფა საეკლესიო საქმეებში, ლათინურსა და თურქულში. შემდეგ კი გადავიდა ფერიქოიში აბატ პ. ხარისჭირაშვილთან, რომელმაც დიდი მზრუნველობა გამოიჩინა მასზე.

1857 წელს ივანეს მამა, 1861 წელს კი დედა გარდაეცვალა. ამ დროს იგი უკვე საქართველოშია და მღვდლად შედგომას ცდილობს. 1863 წელს დაოჯახდა. 1868 წელს, რაკი საქართველოში საწადელს ვერ მიაღწია, სარატოვში ჩავიდა და იქაური კათოლიკე ეპისკოპოსისგან მიიღო მღვდლად კურთხევა. იმავე წელს ის უკვე ხიზაბავრაშია, მეორე წლიდან ახალციხის სასწავლებელში კატეხიზმოს და სომხურ ენას ასწავლიდა. შემდეგ ორი წელი ივლიტას ეკლესიაში იმსახურა და კვლავ ხიზაბავრაში დააბრუნეს [ჭიჭინაძე, 1904:5-12]. 1870-იანი წწ. II ნახევარში მან ხიზაბავრის კათოლიკურ ეკლესიასთან გახსნა სამრევლო სკოლა, სადაც თვითონაც მასწავლებლობდა და ყოველმხრივ ზრუნავდა მასზე. 1884 წლიდან იგი ახალციხის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მოძღვარია, სადაც ეკლესიასთან მან საერო სკოლა გახსნა. 1890-იანი წლებიდან სკოლას მატერიალურად გაუჭირდა და ივანე გვარამაძემაც დახმარებისათვის მიმართა ქართველ საზოგადოებას, უფრო კათოლიკე მოღვაწეებს. ისინიც სკოლას ეხმარებოდნენ წიგნებითა და ქართული გამოცემებით, ასევე თანხითაც. ამ საქმისათვის ივანემ აბასთუმანში მყოფ რუსეთის დედოფალსაც მიმართა დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ. აღნიშნულ სკოლას 1900-იანი წლებშიც უჭირდა, რის გამოც ივანეს მიმართვის შემდეგ ზუბალაშვილებმა მას 300 მანეთი შესწირეს. ხშირად სკოლის გაჭირვების მიუხედავად, ივანე ცდილობდა მასში სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას, მომზადებული მასწავლებლების მიზიდვას; თვითონაც ხანგრძლივად ასწავლიდა იქ [მაისურაძე, 2015].



ივანე გვარამაძე

სომხურისა და სომხების მოძალების პირობებში, ივანე გვარამამძეს ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის სამცხეში ქართული ენისა და ქართველობის, ეროვნული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში. იგი, როგორც საქართველოს ისტორიისა და ნების კარგი მცოდნე ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პრესაში „ივერიაში“, „დროებასა“ და „სახალხო ფურცელში“. ჭიჭინაძე წერდა: „რაც დასავლეთ საქართველოს ნაწილი ოსმალეთმა დაიკავა, მას შემდეგ იქ ქართველთა მეისტორიეთა და მკვლევართა რიცხვი ისე მოისპო, ისე გაქრა, რომ მას მერმე ივანე გვარამამძემდისინ სხვა არავინ გამოსულა. 1600 წლიდან 1870 წლამდე არავინ იყო, ივ. გვარამაძე პირველია... რაც ამ მხრით მან სამსახური გაგვიწია, იგი სხვისაგან შეუძლებელი იყო და არც არავის რამ უქმნია, სად მესხეთში დაბადებული კაცის საქმე, ცოდნა და მოქმედება და სად უცხოს კუთხიდან მოსულის მკვლევარის“ [ჭიჭინაძე, 1904:21].

ივ. გვარამამძეს მოღვაწეობა მოუხდა რთულ ეპოქაში, როდესაც ოსმალეთის ბატონობის შედეგებისა და რუსეთის იმპერიული პოლიტიკის გამო ძალზე იყო შემცირებული სამცხე-ჯავახეთში მკვიდრი ქართველი მოსახლეობა, აყრილ-განდევნილი მესხობის ადგილას კი რუსეთის მთავრობის მიერ დიდი რაოდენობით იყვნენ ჩასახლებულნი სხვადასხვა ეროვნების კოლონისტები; ადგილობრივი ქართველობა დაყოფილი იყო მართლმადიდებლებად, კათოლიკეებად და მაჰმადიანებად. მაჰმადიანებისა და კათოლიკეების ერთ ნაწილს შორის შესუსტებული იყო ეროვნული ცნობიერება [მაისურაძე, 2015].

სწორედ ი. გვარამამძემ გამოაფხიზლა მესხეთის ქართველი კათოლიკობა ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღრევის ბურუსიდან, ბევრი ქართველი ხომ ფრანგობას ან სომხობას იბრალებდა იმის მიხედვით, თუ რომელ რიტს მისდევდა. ამ გზაზე მას ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია, განსაკუთრებით სომხების მხრიდან.

ივ. გვარამამძეს შესანიშნავი კოლექცია ჰქონია ძველი მონეტების, წიგნების, ბეჭდების, ჯვრების და სხვ. სწავლობდა სხვადასხვა ტაძრის მხატვრობას, წარწერებს, ჩუქურთმებს. „ბევრი ძრვიელ ბევრი წარწერები აქვს მას გადაღებული, უმეტესი ნაწილი დაუბეჭდავია, ზოგი დაბეჭდილი აქვს“ [ჭიჭინაძე, 1904: 24]. იგი ყველა ღონეს მიმართავდა, რომ ისტორიული მემკვიდრეების მქონე ნივთები, იქნებოდა ეს ხელნაწერი დოკუმენტები თუ ეპიგრაფიკული ნაშთები, როგორმე მოეპოვებინა ან მათი აღწერილობა მაინც ჩაეწერა. იყო შემთხვევები, როდესაც ამგვარი ნივთების დაკარგვის შიშით, ისედაც დუბჭირად

მცხოვრები მღვდელი, საკუთარი ოჯახის საარსებო სახსრებსაც არ იშურებდა [ჩუბინიძე, 2019:124].

სწავლა-განათლებასთან და წიგნების გავრცელებასთან ერთად, „ერში კეთილი ქართველური აზრების მოსაფენად“ იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართულად ქადაგებას. „ისე ქადაგებას არ დაიწყებს და არ დაამთავრებს, რომ იქ მან საქართველოზედ და ქართველებზედ არა სთქვას რა, ყოველთვის და ყველგან მისი ქადაგებანი როგორც ალესილნი არიან მოქალაქეობით, ისევე მამულის შვილობით და საქართველოს სიყვარულით“ [ჭიჭინაძე, 1904:26].

ქადაგებასთან ერთად, ივანე გვარამაძე ბევრს მუშაობდა და წერდა. მისი შემოქმედებითი საქმიანობის შედეგია:

- „ქართლის ცხოვრება“, I წიგნი, გამოცემული 1882 წელს;
- „ლექსიკონი ფრანგულიდან ქართულად“;
- „სადღესასწაულონი“;
- „წყალ-რღვნა“, „ადამის ცხოვრება“ – პოემები.
- „ლუტერის და კალვინიზმის“ დარღვევა;
- წერილები: „ძველი ღმერთი“, „ახალი ღმერთი“, „ეკკლესიის ცხოვრება“; „არხეოლოგიური მოგზაურობა სამესხეთოში“, „ისტორიული წერილები“, „საპოლემიკო წერილები“, „სომეხთა პასუხი“, ახალციხური ფელეტონები“.
- „წმინდა ესტატეს ცხოვრება“;
- სომხურიდან თარგმანი: „ფილოსოფია საღმრთო“, „რეტორიკა“, „სიბრძნე კაცებრივი“ და სხვ. [ჭიჭინაძე, 1904:29-31].
- ივ. გვარამაძეს შეუკრებია და აღუნუსხია 13000 ქართული სიტყვა, რომელიც სულხან-საბას, ჩუბინაშვილის და სხვა ლექსიკონებში აღუნუსხული არაა, რაც უდავოდ დიდი ეროვნული საქმე იყო.

ივ. გვარამაძე, როგორც ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით საქართველოში წარმართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეების გამზიარებელი, ფიქრობდა, რომ განათლების (განსაკუთრებით, ქართულენოვანი განათლების, ასევე, სპეციალური სამეურნეო განათლების გავრცელებით შესაძლებელი იყო, მრავალმხრივ გაუმჯობესებულიყო ხალხის მდგომარეობა და პატრიოტულად აღზრდილიყვნენ ახალგაზრდა თაობები... [მაისურაძე, 2015].

დიდია ი. გვარამაძის დამსახურება ქართველ კათოლიკეთა მიმართ. „ქართველ კათოლიკეთა შრომის მხრით ეს პირველი გახლავსთ, ამას ტოლი არ ჰყავს, მართალია პ. ხარისჭირაშვილი და პ. შაჰყულიანიც ბრწყინავენ, მაგრამ

ვიტყვით იმასაც, რომ ესენი მასთან ვერ დადგებიან, მათ ასეთის თანაბრობისთვის არც გარემოება უწყობდა ხელს და არც ასეთი ვრცელი მომზადება ჰქონდათ, მომზადებას ვამბობ მხოლოდ საქართველო ისტორიის და ეტნოგრაფიის მხრით, თორემ სხვა გვარის მომზადებით შეიძლება იგინი ამაზედ მაღლაც იდგნენ. უმთავრესად-კი ივ. გვარამაძის ღირსების საქმე აი რაში გახლავსთ, ქართველთ გვაროვნობის ძიებაში, მის ჭეშმარიტების განსაზღვრაში... სიმბდალეს და შიშს მხოლოდ ივანე გვარამაძემ აუქცია გზა და კვალი, მტკიცედ მხოლოდ ეს წავიდა მის წინააღმდეგ და მით ამან ქართველთ კათოლიკეთ ასპარეზზედ ძირითადი ცვლილებაც მოახდინა, თორემ მანამდეს სხვაფერ იყო საქმე მოწყობილი“ [ჭიჭინაძე, 1904:35-36].

იგი თავისი სამეცნიერო და პუბლიცისტურ მოღვაწეობისას დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი კათოლიკეების წარმომავლობის ისტორიულად დამტკიცებას, წერდა პოლემიკურ წერილებს და საზოგადოებას მოუწოდებდა ამ საკითხის მოგვარებისაკენ



ი. გვარამაძის საფლავი

ივანე გვარამაძეს თავისი მოღვაწეობის დროს კავშირები გააჩნდა საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებთან, ჰქონდა მათთან მიმოწერა, თანამშრომლობდა ეროვნულ საქმეებში მათთან – ილიასთან, აკაკისთან, იაკობ გოგებაშვილთან, დიმიტრი ბაქრაძესთან და ა.შ. ისინიც დიდად აფასებდნენ მის ენერგიულ მოღვაწეობას, მით უმეტეს, რომ საქართველოს ამ რთულ რეგიონში, მხარს უჭერდნენ და ეხმარებოდნენ მას პატრიოტულ საქმიანობაში. ივანე დამაკავშირებელ ფუნქციასაც ასრულებდა საქართველოს ცენტრში მოქმედ და სამცხე-ჯავახეთის ინტელიგენციას შორის [მაისურაძე, 2015].

სხვათა შორის, გვარამაძემ აღმოაჩინა და მომავალი სასულიერო და სამეცნიერო გზა გაუკვალა მიხეილ თამარაშვილს. მათ ძალიან ახლო ურთიერთობა და სულიერი მეგობრობა აკავშირებდა ერთმანეთთან. ფაქტობრივად, გვარამაძე მ. თამარაშვილის მოულოდნელ გარდაცვალებას გადაყვა. როცა მისი ტრაგიკული დაღუპვის ამბავი გაიგო, ლოგინად ჩავარდა და აღარც ამდგარა. 8 თვე იავადმყოფა და 1912 წლის 24 მაისს, 81 წლის ასაკში გარდაიცვალა [ლომსაძე, 1984: 245]. დაკრძალულია ახალციხის კათოლიკური მონასტრის ეზოში.

საქართველოს წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვის კათოლიკობის ისტორიის აღიარებულ მკვლევარს, მეცნიერ-ისტორიკოსს, კათოლიკე სასულიერო მოღვაწეს მიხეილ თამარაშვილს. ზ. ჭიჭინაძის შეფასებით მისი „ქართველთა კათოლიკეთა ისტორია“ არის ჩვენი მეორე „ქართლის ცხოვრება“ [ჭიჭინაძე, 1912:4]. ვფიქრობთ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

თამარაშვილები უკვე XVII საუკუნეში გადასულან კათოლიკობაზე. მ. თამარაშვილი დაიბადა ახალციხეში 1858 წლის სექტემბერს, მრავალშვილიან ოჯახში. მიხეილი მეცხრე შვილი იყო. მამა – პეტრე ხელოსანი იყო და ცდილობდა შვილებიც ამ გზას დადგომოდნენ. მიხეილი, როგორც ძმებს შორის გამორჩეული მიაბარეს ქართველ კათოლიკეთა სამრევლო სკოლაში, სადაც მას ასწავლიდა თავად ივ. გვარამაძე. აქ მიხეილმა მალევე გამოამყვანა თავისი ნიჭიერება. პარალელურად სწავლობდა ახალციხის სამოქალაქო სკოლაშიც და ეუფლებოდა რუსულსა და სხვადასხვა საგნებს. თუმცა, 14 წლისას მამა გარდაეცვალა და იძულებული გახდა ხარაზის ხელობას დაუფლებოდა, რომ თავი ერჩინა. რამდენიმე წელი მან ამ საქმე მიუძღვნა ქუთაისსა და ხაშურში, თუმცა წარუმატებლად. ახალციხეში დაბრუნებული მიხეილი მისი მასწავლებლის – ივანე გვარამაძის დაჟინებული რჩევითა და შუამდგომლობით, კონსტანტინოპოლს გაემართა და ეკლესიის ხარჯით ჩაირიცხა პ. ხარისჭირაშვილის სასწავლებელში, სადაც საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგული და ლათინური ენები [ლომსაძე, 1984:10-12].

კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა ძმობამ, როგორც წარჩინებული მოსწავლე, მ. თამარაშვილი ესპანეთის სასულიერო სემინარიაში გაგზავნა 3 წლით. უკან მობრუნებულმა მიხეილმა განაცხადა, რომ მას მიღებული განათლება არ აკმაყოფილებდა და სწავლის გაგრძელება სურდა. პ. ხარისჭირაშვილმა გაითვალისწინა სწავლას მოწყურებული ახალგაზრდის დაუოკებელი სწრაფვა სრულყოფილი განათლების მისაღებად და ძმობის ხარჯით გაგზავნა პარიზის წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში [იქვე:13].

პარიზიდან შთაბეჭდილებებით აღსავსე ისევ სტამბოლს გაემართა, საიდანაც სამშობლოში დაბრუნდა 1888 წელს. თბილისში იგი „მიძინების ეკლესიის“ მოძღვრად იქნა გამწესებული. მის პატრიოტულ ქადაგებას მრევლის დღითი-დღე მატება მოჰყვა. ამან კი სომეხთა გაღიზიანება და მტრობა გამოიწვია, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ ქრთამითა და დაბეზლებით მოხიბლულმა პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ მას საქართველოში მღვდელმსახურება

აუკრძალა, მთავარმართებელმა კი, როგორც არაკეთილი აზრების მქონეს, საქართველოდან გაძევება მიუსაჯა [ლომსაძე, 1984:15]. ჭიჭინაძე მისი გაძევების მიზეზად თვლიდა იმ გარემოებას, რომ „პირველ პრელატს დიდი მტრობა აქვნდა მხნე და ენერგიულ პატრის ალფონს ხითაროვის, ვისის დიდი მეგობარიც იყო მ. თამარაშვილი და ვისთანაც სცხოვრობდა და მეორე, ამ საქმეში ჩარეული ყოფილა იმ დროის სომეხთ-კათოლიკეთ მღვდელიც“ [ჭიჭინაძე, 1912:11].

1891 წელს მ. თამარაშვილი უკვე რომშია, სადაც წარმატებით ჩააბარა გამოცდები სასულიერო აკადემიაში. იგი ევროპაში კონსტანტინეპოლის ეპისკოპოსის დაუკითხავად წავიდა, რის გამოც საეპისკოპოსოსთან ურთიერთობა დაეძაბა. იგი მოკვეთეს კონსტანტინოპოლის ქართველთა ძმობიდან. ამასობაში, 1894 წელს მ. თამარაშვილმა წარმატებით დაამთავრა აკადემია და ღვთისმეტყველებაში დოქტორის წოდებაც მოიპოვა.

რომში თამარაშვილის მოღვაწეობა დაემთხვა რეაქციის გაძლიერებას საქართველოში. 1893 წელს თბილისის კათოლიკური ეკლესია სომხურ ეკლესიად მოიხსენიეს, რასაც დიდი აღშფოთება მოჰყვა. მ. თამარაშვილმა მიიღო შეკვეთა, რომ ემუშავა თბილისის ეკლესიის ისტორიაზე და ვატიკანის არქივებში მოეძია შესაბამისი დოკუმენტები. ახალგაზრდა მკვლევარმა ეს შეთავაზება სიამოვნებით მიიღო და მას შემდეგ არქივები და ბიბლიოთეკები მის მეორე სახლად იქცა. შ. ლომსაძის შეფასებით, „იჯდა რომში ეს მართლაც ბიბლიური იობი და ახალ-ახალი ცნობებით ამდიდრებდა თავისი შორეული ქვეყნის ისტორიას...“ [ლომსაძე, 1984:27].

1894 წელს მ. თამარაშვილი „ძმობამ“ კონსტანტინოპოლში მიიწვია და ფერიქოს კათოლიკური სკოლის მასწავლებლად დანიშნა. იგი თავდაპირველად ენერგიულად შეუდგა მოვალეობის შესრულებას, სკოლაში ინოვაციებიც დანერგა, მაგრამ სავანის წინამძღვარ ს. გიორგიძეთან კონფლიქტის გამო, მან მიატოვა მონასტერი და ვატიკანს გაემგზავრა, 1897 წელს ის უკვე რომშია. მის მიერ მოძიებული ვატიკანის საარქივო დოკუმენტები XIII-XIX საუკუნეებისა და უმნიშვნელოვანესია საქართველოს ისტორიისათვის. 1900 წელს კონსტანტინოპოლის „სამძიმ“ ისევ სცადა თამარაშვილის უკან დაბრუნება. სამეცნიერო საქმეში ჩაფლულმა მკვლევარმა უარი შეუთვალა და კონსტანტინოპოლის ეკლესიას საბოლოოდ ჩამოსცილდა [ლომსაძე, 1984:44].

დაულალავმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო: 1902 წელს თბილისში, სტ. ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით დაიბეჭდა მისი „ისტორია კათო-

ლიკობისა ქართველთა შორის“, რასაც დიდი გამოხმაურება და მოწონება მოჰყვა. ამ ფუნდამენტური ნაშრომის მიზანია XIII-XIX საუკუნების პირველ ნახევარში საქართველოში სხვადასხვა ორდენის კათოლიკე მამების მოღვაწეობის შესწავლა. იგი არკვევს და ანალიზებს საქართველოში კათოლიკე პატრების პირველ ნაბიჯებს, მათ მიზნებს, ამოცანებსა და ეკლესიათა უნიისათვის ბრძოლის შედეგებს. „მ. თამარაშვილმა, როგორც მანამდე არავინ, საქართველო-ევროპის ურთიერთობის სამხედრო, პოლიტიკურ, დიპლომატიურ, რელიგიურ და კულტურული ურთიერთობის კონტექსტში ორგანულად აჩვენა ამ კავშირების ურთიერთგანპირობებული პროცესი. მან გახსნა ამ პროცესის ფაქტორები და გვიჩვენა, თუ როგორ მიისწრაფოდა XIII-XVIII საუკუნეების საქართველო ევროპული ცივილიზაციის ზიარებისაკენ“ [პაპაშვილი, 2021:10-11].

ასევე ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით მიხეილ თამარაშვილმა 1904 წელს გამოსცა წიგნი - „პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას“ (ისტორიული გამოკვლევა). ავტორმა ძირითადად უამრავი საინტერესო და უტყუარი წყაროების მომარჯვებით კვლევა და ანალიზი ისეთი მეთოდოლოგიური ოსტატობით წარმართა, რომ მკითხველი ადვილად რწმუნდება, რომ სომეხი მეცნიერები აშკარად აყალბებდნენ ისტორიას, როცა აცხადებდნენ ქართველ კათოლიკეთა არარსებობის შესახებ. „ილია ჭავჭავაძის „ქვათა ღაღადის შემდეგ, – წერდა თ. სახოკია, – ქართულ ენაზე ასეთი არაფერი დაბეჭდილა ქართველთა დამცირებისა და მოსპობის ჟინით ატეხილ მწერალთა ერთი წრის ასალაგმავად!“ [ლომსაძე, 1984:76].



მიხეილ თამარაშვილი

მ. თამარაშვილმა სერიოზული შრომა გასწია დონ კრისტეფორო დე კასტელის ალბომის აღმოსაჩენად და ფოტოების გარკვეული ნაწილის დასამუშავებლად. მისი სრულყოფილი სახით გამოცემა მოხერხდა მხოლოდ 1977 წელს, ბ. გიორგაძის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით. ფაქტია ისიც, რომ კასტელის ალბომის არსებობა და მისი ზუსტი სამყოფელი (პალერმო, სიცილია) ცნობილი გახდა მხოლოდ თამარაშვილის მემკვიდრეობის წყალობით.

1910 წელს ფრანგულ ენაზე დაიბეჭდა მ. თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორია“, რაც იყო მოვლენა ევროპულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის. პარალელურად აქვე-

ყნებდა წერილებს ქართულ და ევროპულ პრესაში საქართველოსა და კათოლიკური ეკლესიის ისტორიის საკითხებზე.

მკვლევარი ფიქრობდა საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შედგენაზეც. სამწუხაროდ, შემოქმედებითი ძალების მწვერვალზე მყოფს, ეს არ დასცალდა. 1911 წლის 2 (15) სექტემბერს, ვიღაც უცნობის გადარჩენის მცდელობისას ტირენის ზღვაში დაიხრჩო, სოფ. სანტა-მარინელასთან. დაკრძალეს იმავე სოფლის ეკლესიის ეზოში, საიდანაც მალევე გადაასვენეს ქ. ჩივიტავეკიას წმინდა მარინის პანსიონში. ჯერ კიდევ მაშინ დაისვა საკითხი მისი საქართველოში გადმოსვენებისა. „კარგი იქნება, თუ მისი პატივისმცემელი იკისრებენ მისი ნეშტის გადმოსვენებას და აქ დასაფლავებას“ - წერდა ვ. ლამბაშიძე [მალაყმაძე, II, 2020:485]. თუმცა, მხოლოდ 1978 წელს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი, რეზო თაბუკაშვილის ძალისხმევით, გადმოსვენებულ იქნა თბილისში. დაკრძალულია საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

გულდამწვარი მოძღვარი და მ. თამარაშვილის მასწავლებელი ივ. გვარამაძე წერდა: „...არავინ მეგულება ჩვენში ჯერჯერობით მისი მომაგიერე, მისებრ ნამდვილ განათლებული... შეუვალი ციხე-კოშკით, მცველ-მფარველი ჩვენი, ძვირფასი საუნჯე, ჭკუა, ცნობის კოლოფი, ტახტი მეცნიერებისა, მოსარჩლე სარწმუნოებისა, სამშობლო მამულის დიდი მოყვარე, გვარი ბატონი, ქვეყნის სანატრელი და მტრის საშურველი, ძლიერი ფარ-ხმალი [ლომსაძე, 1984:48].

დასასრულ, გვინდა სააშკარაოზე გამოვიტანოთ მ. თამარაშვილის ერთ-ერთი ბოლო ეპისტოლე გაგზავნილი კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარ ალიოზ ბათმანიშვილისადმი. აღნიშნულ წერილში, რომლის გაცნობის შესაძლებლობაც მოგვეცა აღნიშნული სავანის არქივში, ნათლად ჩანს ავტორის პოზიცია და მზრუნველობა ქართული ტიპიკონის აღდგენისა და სხვა საკითხების მიმართ.

ქართველ კათოლიკეთა ღვაწლი, რა თქმა უნდა, ამ სამი, ყოველმხრივ შემკული პიროვნების შემოქმედებით არ შემოიფარგლება. მათ მაგალითზე ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, თუ როგორ უნაგაროდ ემსახურებოდნენ ისინი სამშობლო ქვეყნის გადარჩენა-განვითარების, მოსახლობის კეთილდღეობისა და კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრესის საქმეს.



Մեծատնիկի մասին

Մեծատնիկի մասին 23 մեծ տնիկներով էր կառուցված։ Այս օրերը շատ քիչ էին մեծատնիկները կառուցված։ Շատ քիչ էին կառուցված մեծատնիկները և շատ քիչ էին կառուցված մեծատնիկները։ Այս օրերը շատ քիչ էին մեծատնիկները կառուցված։

Մեծատնիկի մասին 23 մեծ տնիկներով էր կառուցված։ Այս օրերը շատ քիչ էին մեծատնիկները կառուցված։ Շատ քիչ էին կառուցված մեծատնիկները և շատ քիչ էին կառուցված մեծատնիկները։ Այս օրերը շատ քիչ էին մեծատնիկները կառուցված։

ამ ყოველს და შვედს სხვათა შინა. და შინა სხვა
 შინა უნდა იყოს. — სიყვარულია და სიყვარული
 და სიყვარული.

შინა სხვათა შინა სხვათა — შინა სხვათა
 შინა, და სხვათა შინა სხვათა. ამ შინა სხვა
 შინა სხვათა სხვათა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა. შინა სხვათა — შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა. შინა სხვათა შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა.

შინა სხვათა შინა სხვათა, შინა სხვათა შინა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა. შინა სხვათა
 შინა სხვათა შინა სხვათა.

ს. აბრამი სიკვდილს და მისი მემკვიდრეობა, სხვა
შესანიშნავი სიკვდილის მემკვიდრეობა : სხვა
სიკვდილის მემკვიდრეობა და სხვა სხვა მემკვიდრეობა.
გონივრული მემკვიდრეობა და სხვა მემკვიდრეობა.
სიკვდილის მემკვიდრეობა და სხვა მემკვიდრეობა.

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი

სიკვდილის მემკვიდრეობა და სხვა მემკვიდრეობა

ს. აბრამი

6. აბრამი 1911. წ.

Muzio Clementi, M.D.

შალვა ვარდიძე – ღაგიწყმუზული ზმირი

კათოლიკე მღვდელი და საზოგადო მოღვაწე შალვა ვარდიძე (1877-1957/8) იმ პირთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის დამსახურებების წარმოჩენის წინაშე ქართველი ერი ვალშია. მისი სახელი წლების მანძილზე აკრძალულ პირთა სიაში იყო. საბჭოთა ეპოქაში მას დევნიდნენ კონფესიური კუთხით და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში შეტანილი წვლილის გამო. თამამად შეიძლება ითქვას, რომ შალვა ვარდიძე იყო მეგრძოლი სასულიერო პირი სტამბოლის ქართველთა კათოლიკური სავანიდან ვინც პრაქტიკული ქმედებებით – ჯვრით, კალმით თუ იარაღით იბრძოდა საქართველოს სუვერენიტეტისათვის. არადა, მისი ღვაწლის დაფასება მხოლოდ ემიგრაციაში მყოფმა ქართველობამ შესძლო, როდესაც იგი სიცოცხლეშივე დააჯილდოვეს მეფე თამარის სახელობის ლეგიონის ორდენით, რაც ნაკლებაც ცნობილი ფაქტი იყო ქართველი საზოგადოებისთვის.

XX-XXI სს. მიჯნაზე დაიწყო შალვა ვარდიძის სახელის რეაბილიტაცია და მისი საქმიანობის შესახებ პირველადი ინფორმაციის შექმნა [ლომსაძე, 1997:28, 175]. 2017 წელს საზოგადოებას მიეწოდა ვარდიძის რამდენიმე პუბლიცისტური წერილები [ფუტყარაძე,... 2017; ლომთათიძე, 2019:3-10], რითაც შესაძლებელი გახდა მის ცხოვრების და მოღვაწეობის შესახებ პირველად წარმოდგენების შექმნა. სამწუხაროა, რომ თავდადებული მამულიშვილის ცხოვრების ბევრი მხარე საზოგადოებისთვის უცნობია. ჩვენ არ ვიცით მისი დაბადების წელი. მასალების სიმწირის გამო უცნობია ვარდიძის ცხოვრების სხვადასხვა მომენტები (ადრეული პერიოდი, სავანეში მიღებული განათლება და ა.შ.).



შალვა ვარდიძე

ასეთ ფონზე, ვარდიძის ცხოვრების ბევრი მომენტების შესახებ მხოლოდ ვარაუდებით ანდა ირიბი წყაროებით შეგვიძლია საუბარი. ვიცით, რომ იგი დაიბადა ყოფილი ახალციხის მაზრის სოფ. არალში (ადიგენის მუნიციპალიტეტი – ავტ.). ზოგადად, ვარდიძეები მესხური გვარია. მის ფუძედ გამოყენებულია საკუთარ სახელად ქცეული სიტყვა „ვარდი“, რომლისაგან შემდგომში წარმოიშვა გვარები – ვარდიძე, ვარდიაშვილი და ა.შ. პირველად გვარი ვარდიძე ფიქსირდება მეთხუთმეტე საუკუნეში. შემდგომში ვარდიძეების ნაწი-

ლმა კათოლიკობა მიიღო, ხოლო სხვებმა გვარი თურქული ფუძით – ჩილინგარ („ზეინკალი“), ჩილინგარაშვილად შეცვალეს [http://old.tbiliselebi.ge/index.php?newsid=26843_8091]. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების 1914 წლის ანგარისში ფიქსირდება ვინმე სოსო ვარდიძე, რომელიც იყო ქუთაისის განყოფილების ნამდვილი წევრი [<https://society.iliauni.edu.ge/persons/article/23477>].


უცნობია მამულიშვილის ოჯახური გარემო. ირიბი ცნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შალვა ვარდიძე დაიბადა მრავალშვილიან ოჯახში. ცნობილია, რომ 1885 წელს იგი განათლების მისაღებად წავიდა სტამბოლში, სადაც 80-იან წლებში ფუნქციონირებდა ქართველ კათოლიკეთა ორდენი – წმინდა სავარდის ძმობა [პაპაშვილი, 1995:322], რამდენიმე სკოლა და ყველაზე მთავარი – ფერიქოის უბანში იყო პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ 1861 წელს დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. ჩანს, ვარდიძეს მხრიდან სავანის არჩევა ნათესაურმა ფაქტორმა გადაწყვიტა. ჯერ ერთი, ხარისჭირაშვილი, რომელმაც მონასტერში ძლიერი კულტურული კერა შექმნა, მისი ნათესავი იყო და ფაქტია, რომ იგი პატრის პროტექტორატის ქვეშ იქნებოდა. ამის გარდა, სავანეში მოღვაწეობდა მამა ბენედიქტე ვარდიძე, რომელიც ფერიქოის ქართული ეკლესიის ერთ-ერთი მღვდელმთავარი (1905-1912 და 1937-1942) იყო.

XX ს-ის 10-იანი წლებიდან შალვა ვარდიძე იწყებს აქტიურ მოღვაწეობას. შეიძლება ითქვას, რომ იგი თანაბრად უხამებდა ერთმანეთს თეოლოგიურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მისი თაოსნობით 1911 წელს სტამბოლში დაარსდა ქართული კლუბი, რომლის წესდებაც ოსმალეთის მთავრობამ უცვლელად დაადგინა. კლუბში შემუშავებული იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. კლუბის ერთ-ერთი მიზანი იყო ქართული სკოლის გახსნაც, რაშიც ვარდიძეს თანადგომას უწევდნენ სტამბოლში მყოფი მემედ აბაშიძე (1873-1937) და სტამბოლის სასულიერო აკადემიის კურსდამთავრებული მოლა ისკანდერ ცივაძე. სამწუხაროდ, I მსოფლიო ომის დაწყებამ ქართული სკოლის გახსნის გეგმების განხორციელებას შეუშალა ხელი [ფუტყარაძე, 2007:19].

ძალიან დიდია ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის მღვდელთმსახურების წვლილი საქართველოს 1914-1917 და 1920-1930 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. სწორედ სავანის ტერიტორიაზე, მონასტრის მიმდებარე სასტუმრო სახლში, მოქმედებდა 1914 წელს შენევაში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდე-

ბლობის კომიტეტი“, რომლის მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სავანის წინამძღვარი შალვა ვარდიძე [შარაძე, 1995:93].

სტამბოლში გერმანიის ელჩის ჰანს ფონ ვანგენჰაიმის (1859-1915) იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი დეპაშით (03.09.1914) ირკვევა, რომ 1914 წელს „ორმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირმა მიმართა ავსტრია-უნგრეთის და აქაურ საელჩოს, რათა ხაზი გაესვათ ქართველთა მზაობისთვის მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს მათ თქვეს, რომ ქართველები არასდროს შევლენ თურქეთის ბატონობის ქვეშ და აქედან გამომდინარე, მხოლოდ საკუთარი მომავალი ავტონომიისთვის იბრძობებენ. ისინი გვთხოვენ, რათა გერმანიამ და ავსტია-უნგრეთმა მათ ამის გარანტიები მისცენ. შემდგომ, ისინი ითხოვენ იარაღის გადმოცემას“ [მამულია, ასტამაძე, 2019:74].



ჰანს ფონ ვანგენჰაიმი

ვანგენჰაიმი 1912-1915 წლებში იყო გერმანიის ელჩი ოსმალეთის იმპერიაში. მისი დამსახურება იყო „ახალგაზრდა თურქების“ დაყოლიება გერმანიის სასარგებლოდ ანტანტის კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. მანვე ორგანიზება გაუწია სტამბოლში გერმანიის სამხედრო მისიის ჩამოყალიბებას. 1914 წელს, ვანგენჰაიმმა ენვერ ფაშასგან (1881-1922) მიიღო თანხმობა შავ ზღვაში გერმანული სახაზო კრეისერების („გიობენი“ და „ბრესლაუ“) შესვლის თაობაზე, რამაც მნიშვნელოვნად გააძლიერა ზღვაზე გერმანია-ოსმალეთის პოზიციები.

ჩვენი ვარაუდით, ვანგენჰაიმის მხრიდან ნახსენებ სასულიერო პირებში უნდა იგულისხმებოდეს სტამბულის ქართველთა სავანის მღვდელმსახურები შალვა ვარდიძე და პიო ბალიძე (?-1956). ეს უკანასკნელი 1912-1921 წლებში სავანის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. ჩვენს ვარაუდს ისიც აძლიერებს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის გაწეული წვლილისთვის საპატიო ორდენით „დამკომმა“ სავანიდან მხოლოდ ვარდიძე და ბალიძე (1.08.1917) დააჯილდოვეს [ფუტკარაძე, 2007:60].

ასევე მიგვაჩნია, რომ ვანგენჰაიმა დააკავშირა „დამკომის“ წევრები სავანის ღვთისმსახურებთან. საქმე იმაშია, რომ ლეო კერესელიძესთან (1883-1943) საუბრის შემდეგ, 1914 წელს, მან ორგანიზება გაუწია ევროპიდან „დამკომის“

ხელმძღვანელების - პეტრე სურგულაძის (1873-1931), ნესტორ მაღალაშვილის (1882-1937) და სხვების სტამბულში ჩასვლას [მამულია, ასტამაძე, 2019:76]. იმპერიის საგარეო საქმეში გაგზავნილ დეპეშაში ვანგენჰაიმი რეალობად მიიჩნევდა კერესელიძის ინიციატივას ქართული სახელმწიფოს შექმნის შესახებ [Ibid.:77]. ცხადია, ამ მიზნის განხორციელება ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ყველა ძალის გაერთიანებას, ამიტომაც ელჩის მხრიდან ლოგიკური იქნებოდა „დამკომის“ წევრების სავანის ღვთისმსახურებთან დაკავშირება. მით უფრო, რომ უკანასკნელებმა ელჩთან დაკავშირების პირველი ნაბიჯი გადადგეს.

სამწუხაროდ, მასალი სიმწირის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვრცლად ვისაუბროთ 1914-1917 წლებში „დამკომთან“ მიმართებაში ვარდიძის ფუნქციის



შალვა ვარდიძე -1915

შესახებ. ვინაიდან „დამკომის“ შტაბ-ბინა სავანის ტერიტორიაზე იყო, ერთობლივი მიზნიდან გამომდინარე უდავოა, რომ ვარდიძე მათვის არათუ მისაღები პირი იყო, არამედ იგი აქტიურად მონაწილეობდა კომიტეტის სქმიანობაში. იყო შემთხვევაც, როდესაც „დამკომმა“ მიზანშეწონილადაც მიიჩნია არალეგალური გზით მისი საქართველოში შემოგზავნა. მაგ., გიორგი მაჩაბლის (1885-1935) ცნობით, 1917 წელს გერმანული წყალქვეშა ნავით განსახორციელებელი მორიგი ექსპედიციის ხუთი წევრის კანდიდატების დაზუსტება დაევალა პ. სურგულაძეს. მას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ვარდიძესა და ვინმე ლეინტენანტ სურამელს შორის [მამულია, ასტამაძე, 2019:507]. ჩვენ არ ვიცით რა ჩანაფიქრი ჰქონდა სურგულაძეს, რომელმაც არჩევანი ვარდიძეზე

შეაჩერა. აქ შეიძლება ვიფიქროთ „დამკომის“ მხრიდან მის გამოყენებაზე სამხრეთ საქართველოში მცხოვრები კათოლიკე მოსახლეობაში აგიტაციისთვის. მართლაც, გერმანული წყალქვეშა ნავით „UB-42“ საქართველოს მიმართულებით 10 ნოემბერს გამოემგზავრნენ პეტრე სურგულაძე, შალვა ვარდიძე და კიდევ სამი ქართველი. მათ მოჰქონდათ 470 მაუზერი, ტყვია-წამალი, 100 ხელყუმბარა და 730 ათასი მანეთი თანხა. სამწუხაროდ, ოპერაცია მარცხით დასრულდა. ჩანს, დესანტირების შესახებ ინფორმაცია ცნობილი გახდა რუსეთის იმპერიის სადამსჯელო ორგანოებისთვის. მართლაც, ერთ-ერთი რეი-

დისას, ზღვისა და მდ. ჭურის შესართავთან, ნაპირზე გადმოსული ორი გერმანელი და ორი ქართველი არალეგალი ჟანდარმერიამ დააპატიმრა. რაც შეეხება პ. სურგულაძეს და შ. ვარდიძეს, წარუმატებელი დესანტირების შემდეგ ისინი ტრაპიზონის გავლით სტამბოლში დაბრუნდნენ [[http://german-georgian.archive.ge/ ka/blog/32](http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32)].

ცნობილია, რომ 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით „დამკომმა“ თავისი მისია ამოწურულად მიიჩნია და იგი დაიშალა. ბოლო აქტი რაც „დამკომმა“ განახორციელა იყო ის, რომ კომიტეტის გამგეობამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის ყველა პირი განურჩევლად მისი პოზიციისა დააჯილდოვა მეფე თამარის სახელობის ლეგიონის ორდენით. დაჯილდოებულთა შორის იყო შ. ვარდიძეს, რომელსაც 1918 წელს გადაეცა ლეგიონის III ხარისხის ორდენი.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ შ. ვარდიძე წითელი ჯვრის წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდა ოკუპირებულ ქვეყანაში. ლიტერატურაში მინიშნებაა თითქოს ბოლშევიკებმა იგი დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს [მამულია, ასტამაძე, 2019:653-654], მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს რეალობას არ შეესაბამება. საქმე იმაშია, რომ მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგი აუცილებლად ნახსენები იქნებოდა 1928 წელს ვარდიძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ საგაზეთო პასკვილში.



შალვა ვარდიძე დახმარებას უწევდა სტამბოლში მყოფ ქართულ ემიგრაციას. მისი ხელშეწყობით, 1921 წელს, სტამბოლის ქართველთა სავანის სტამბაში დაიბეჭდა ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ჟურნალის „თავისუფალი საქართველოს“ პირველი ნომრები. სამწუხაროდ, 1921 წელს რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური დაახლოების შემდეგ, გაზეთის გამოცემა შეწყდა [https://tr.wikipedia.org/wiki/%C5%9Ealva_Vardidze].

XX ს-ის 20-იანი წლებიდან შ. ვარდიძე აქტიურად თანამშრომლობდა პარიზში დაარსებულ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციასთან. არადა, ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგი“-ს სახით იმჟამად საქმე გვექონდა უაღრესად ეროვნულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან, რომელმაც სწორედ რომ, უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიაში.

უნდა შევნიშნოთ, რომ ვარდიძის მხრიდან აქტიური მონაწილეობა ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაბრუნების საქმეში შეუმჩნეველი არ დარჩა საბჭოთა საქართველოს სადამსჯელო ორგანოებისთვის. ამიტომაც ამაგდარი მამულიშვილის მიმართ სცადეს ნაცადი გზის გამოყენება და დაიწყეს ქვეყნის შიგნით მისი სახელის დისკრედიტიზაცია. ჩანს, მათ არ ჰქონდათ ვარდიძის მოღვაწეობის შესახებ უახლესი ინფორმაცია, ამიტომაც წამოსწიეს მისი მხრიდან აქტიური თანამშრომლობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ შექმნილ „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან. მაგ., გაზ. „კომუნისტი“-ს კორესპონდენციის მიხედვით ვარდიძე გერმანიის სასარგებლოდ თანამშრომლობის გარდა მას უწოდეს „ბერი – ჯაშუში – მენშევიკი“ და ღვთისმსახურს გაუხსენეს „დამკომის“ წევრობა [„კომუნისტი“, 1928, № 212:3]. კორესპონდენციის მიხედვით ვარდიძე ჯერ თითქოს ეროვნულ-დემოკრატიული, ხოლო 1919 წლიდან სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრია, რომ ბრიტანელების მიერ ბათუმის ოკუპაციის პერიოდში იგი ქართულ გვარდიას აწვდიდა ინფორმაციებს ინგლისელების და ოსმალების შესახებ. გაზეთის ცნობით, ანალოგიურ მისიას ვარდიძე ახორციელებდა ახალციხეშიც, სადაც იმავდროულად მონაწილეობდა ადგილობრივი მენშევიკური ორგანიზაციის მუშაობაში. წერილში ვარდიძის მიმართ ვერდიქტიც იყო გამოტანილი: „საერო მოღვაწეობამ იმდენად გაიტაცა ბერი ვარდიძე, რომ თავისი თავის გამოაშკარავებით მონასტერის საყვედურიც დაიმსახურა. სტამბოლში არ მოსწონდათ ვარდიძის ასე აშკარა პოლიტიკური მუშაობა და ამიტომაც ის „სასტიკად“ დასაჯეს: მას, როგორც ბერს რამდენიმე ხნით აეკრძალა ღვთის მსახურება ეკლესიაში“ [იქვე].

კორესპონდენციაში რეალობა იყო მხოლოდ ვარდიძის მხრიდან 1914-1918 წლებში თანამშრომლობა „დამკომთან“. არადა, 1928 წლისთვის გერმანია არავითარ როლს არ ასრულებდა მსოფლიო პოლიტიკაში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის შემდეგ „დამკომმაც“ არსებობა შეწყვიტა. ასევე არ არსებობს ინფორმაცია ვარდიძის მხრიდან სოც-დემოკრატიული პარტიის წევრობის, 1919-1920 წლებში მისი მხრიდან საქართველოში ყოფნის და მისთვის ღვთისმსახურების დროებითი აკრძალვის შესახებ.

ნიშანდობლივია, რომ ვარდიძე მჭიდრო კავშირებს ინარჩუნებდა ქართულ ემიგრაციასთან. სტამბოლის ქართველთა საგანეში დაცული არის ვარდიძის წერილები პეტრე სურგულაძესთან. „დამკომის“ არსებობის პერიოდში და შემდგომ, ორი მამულიშვილის ურთიერთობამ, იმდენად თბილი სახე მიიღო, რომ პეტრე სურგულაძემ ვარდიძეს სთხოვა გაეწია შვილის ნა-

თლობა. ასევე ვარდიძემ მონაწილეობა მიიღო მის გასვენების პროცესიაში. და ეს არ იყო ემიგრანტების მიმართ ვარდიძეს მხრიდან გამოვლენილი თანაგრძნობა ცალკეული შემთხვევები.

30-ინ წლების დასაწყისში შ. ვარდიძეს სტამბოლის ქართული სავანის ქონების თაობაზე პოლემიკა ჰქონდა რომში მოღვაწე რაფიელ ინგილოსთან (ივანიცკი, 1886-1966). რომის ჰაპის კარზე ივანიცკი არჩეული იყო, როგორც საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრი. შესაბამისად, იგი ითვლებოდა ვატიკანში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლად. 1930 წელს, პარიზში გამომავალ ჟურნ. „დამოუკიდებელი საქართველოში“ (№55), რ. ინგილომ დაბეჭდა წერილი სავანეში მიმდინარე ქონების დაყოფის საკითხის შესახებ. უნდა ვთქვათ, რომ სავანის მიმართ ავტორის ტონი ცინიკური იყო. იგი წერდა: სავანის „ყოფნა დედამიწაზე ზოგიერთებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა ქართველ ემიგრანტების გემი ოტტომანის ტახტის ქალაქს მიცურდა და გამოხვეწილთა თვალსაჩინო ნაწილმა პირველი თავშესაფარი ლურჯქამრიან ბერების სავანეში ჰპოვა“ [ფუტკარაძე..., 2017:264]. მარტო ამ წინადადებით ინგილომ ხაზი გადაუსვა სავანის როლს საზღვარგარეთ ქართული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში.



პეტრე სურგულაძე



რაფიელ ინგილო

1931 წელს ვარდიძემ პარიზში, იგივე ჟურნალში, გამოქვეყნა პოლემიკური ნაშრომი – „სტამბოლის მონასტერი და რაფიელ ინგილო“ (გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, (№63-64). ვარდიძე წერდა: „არც სასულიერო, არც სამოქალაქო სამართალი, კანონები და სინდისი არავის ნებას აძლევს, რომ ჩვენ სავანეს გამოედაოს მცირე მამულებზე“. ვარდიძის პასუხი ლაკონური იყო. იგი მამა პეტრე ხარისჭირაშვილის ანდერძის და ოსმალეთის მთავრობის სახელზე წარდგენილი საბუთების საფუძველზე ასაბუთებდა, რომ „ყველა მამული ჩვენ ქართველ კათოლიკე ეკლესიის სახელობაზეა დამტკიცებული“ [ფუტკარაძე..., 2017:268].

1942 წელს, II მსოფლიო ომის (1939-1945) მსვლელობის დროს, შალვა ვარდიძე თურქეთის ხელისუფლების მხრიდან რეპრესირებულთა რიცხვში მოხდა და იგი ქვეყნიდან გაასახლეს [მამულია, ასტამაძე, 2019:654]. ძნელია

მისდამი რეპრესიების მიზეზის დადგენა, რადგანაც ჩვენ ხელთ არ გვაქვს სა-
გამომიებო ორგანოების მხრიდან მასზე შედგენილი პირადი საქმე, ანდა აღნი-
შნულ ფაქტთან დაკავშირებით თანამედროვეთა მხრიდან რაიმე მინიშნება.
აქედან გამომდინარე კონკრეტული ფაქტების შემაგრების გარეშე გამოთქმუ-
ლი ნებისმიერი ვერსია ყოველგვარ აზრს კარგავს. ვარდიძე, რომელიც ყოვე-
ლთვის გამოირჩეოდა პრაგმატული პოლიტიკური აზროვნებით და მით
უმეტეს, რომ უცხო ქვეყანაში მყოფი პირისთვის, რომლის თავშესაფარი იყო
თურქეთის რესპუბლიკა, გამორიცხული იყო ეწარმოებინა ანტისახელმწიფო-
ებრივი საქმიანობა. მით უფრო, რომ 30-იან წლებში მისი ცნობიერება ძირი-
თადში კონცენტრირდებოდა ღვთისმსახურებაზე, სავანის ქონების დაცვაზე
და სამეცნიერო საქმიანობაზე.

თურქეთიდან რეპრესირებული შალვა ვარდიძე მკვიდრდება ლიბანში
[საქართველო, 2014:171]. დაუზუსტებელი ინფორმაციით, იგი მოღვაწეობდა
ქ. ბეირუთთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ მონასტერში, რომლის სახელი
უცნობია. პარალელურად, იგი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას ქ. ბეირუ-
თის წმინდა იოსების ფრანგულ კერძო უნივერსიტეტში პროფესორად. უნი-
ვერსიტეტი ლიბანში საკმაოდ წონადი დაწესებულებაა. იგი 1875 წელს ბე-
ირუთში დაარსეს რომაულ-კათოლიკური ეკლესიის ქრისტიანული რელიგი-
ური ორდენის – იეზუიტების წარმომადგენლებმა. ჩვენ არ მიგვიწვდება ხელი
უნივერსიტეტის ძველი ისტორიის მასალების შესახებ და ამიტომაც ამაგდარი
პიროვნების შემთხვევაში დაუზუსტებელ ინფორმაციას ვეყრდნობით. არ
შეგვიძლია მივუთითოთ სასწავლო დისციპლინები, რომლების მის კომპეტე-
ნციებში შედიოდა. ერთი ცხადია, ლათინური, ფრანგული და სხვა ენების სა-
ფუძვლიანი ცოდნა და ბრწყინვალე თეოლოგიური განსწავლულობა უნივე-
რსიტეტში ვარდიძისთვის შესანიშნავი სავიზიტო ბარათი იქნებოდა. არ გამო-
ვრიცხავთ, რომ ბეირუთში იგი იეზუიტიც გამხდარიყო. მართალია ეს ჩვენი
ვარაუდია, მაგრამ ამის საფუძველს გვაძლევს ის ფაქტი, რომ იეზუიტების
საძმოს წევრობა ვარდიძესთვის უნივერსიტეტში მოღვაწეობის და ზოგადად
ლიბანში ცხოვრების ერთგვარი დამცავი ფარი იქნებოდა. ასევე, ვარდიძის
ლიბანური ცხოვრების კრედო – აქტიური სამეცნიერო საქმიანობა, განმანათ-
ლებლობა და მისიონერობა, სწორედ იყო იეზუიტების ორდენის წევრების
ძირითადი მოღვაწეობის სფერო.

ჟურნ. „ბედი ქართლისა“-ში დაცული ერთ-ერთი ანონსით ირკვევა, რომ
50-იან წლებში, პედაგოგიური საქმიანობის გარდა რეპრესირებული შალვა
ვარდიძის მიზანი იყო მაშრიყის ქვეყნებში (ლიბანი, სირია...) ქართული კუ-

ლტურის პროპაგანდა [Bedi Kartlisa, 1953, №15:32]. ნათელი იყო, რომ იგი ვერაფრით დაეხმარებოდა სტამბოლის ქართულ სავანეს, რადგან მის მხრიდან გაწეული ნებისმიერი ქმედება შესაძლო საზიანოც ყოფილიყო, ამიტომაც დენილობაში მყოფი ვარდიძე მთელი არსებით ჩაება სამეცნიერო სფეროში, რაც გამოიხატა მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში დაკარგული ქართული მონასტრების თუ ქართველი სასულიერო პირების კვალის ძიებით. უნდა ითქვას, რომ ამ კუთხით მაშრიყის ქვეყნებში იგი პირველი გამკვალავიც იყო. თვითონაც გამოთქვამდა სურვილს, რომ მის გარდა: „თანამემამულეები მიიღებენ სათანადო ზომებს, რომ მეცნიერებებმა და არხეოლოგებმა შემოიარონ ეს ქვეყნები ანტიოქიიდან ეგვიპტემდის. ...ინახულონ აქაური ქრისტიანების მონასტრები და მათ წიგნთ-საცავების ხელნაწერები. უსათუოდ სადმე ნახავენ ქართული განათლების ნაშთებს [Bedi Kartlisa, 1955, №19:21].

ლიბანში ვარდიძეს არაბულ ენაზე გამოუქვეყნებია მცირე ზომის ფორმატის წიგნები – საქართველოს მოკლე ისტორია და გელათის ისტორია [იქვე]. მას არაბულ ენაზე ასევე დაწერილი ჰქონია დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ნაშრომი – „დიდი საქართველოს პატრონი“. უნდა ითქვას, რომ ეს იყო პირველი პრეცედენტი რომელითაც ავტორმა არაბულ სამყაროს გააცნო საქართველოს ოქროს ხანის ისტორია. სამწუხაროდ, ნახსენები პუბლიკაციები ჯერჯერობით მიუწვდომელია სამეცნიერო წრეებისთვის, ამიტომაც და მათ შესახებ მხოლოდ სათაურით შეგვიძლია მსჯელობა.



შალვა ვარდიძე – 1922

შ. ვარდიძე აქტიურად გამოეხმაურა იტალიელი ღვთისმსახურის და იერუსალიმის ფრანცისკელთა ბიბლიური კვლევების სამეცნიერო ცენტრის პროფესორის, არქეოლოგიის ვირჯილიო კორბოს (1918-1991) მიერ 1952 წელს იუდეის უდაბნოში დაბა ბეთლემთან თეოდოროს ტვირელის (†306) სახელობის მონასტერში აღმოჩენილ ქართულ წარწერების მნიშვნელობას. ირკვევა, რომ ვარდიძესთვის კორბოს გადაუგზავნია მის მიერ აღმოჩენილი ასომთავრული ასოებით შესრულებული წარწერების ნიმუშები და „უთხოვია ისინი ამოეკითხა, გადაეწერა ლათინური ასოებით, გადაეთარგმნა და შეედგინა მცირე ახსნა განმარტებები“ [Bedi Kartlisa, 1954, №16:14]. თხოვნაზე პასუხის გაცემას ვარდიძე აქტიურად შეუდგა და მან წარწერების მნიშვნელობის თაობაზე ცხრა პუნქტი გამოჰყო. მკითხველის ყურადღებას მხოლოდ ერთ პუნქტზე გავამახვილებთ: „...ეს წარწერანი გვატყობინებენ, რომ უცხო

ცის ქვეშ მყოფი ქართველები იმ თავითვე ცდილან მაღლა დაეჭირათ ეროვნული დროშა. მყარი ძეგლი აეგოთ მისთვის და ქართულით და ქართველობით დაედასტურებინათ მათი ვინაობა-მეობა სხვა მოდგმის ხალხთა შორის“ [იქვე:16].

1953 წელს ლიბანის სიდიდით მესამე ქ. საიდას (ძველი სიღონი) მახლობლად ერთ-ერთ ეკლესიის (სახელი უცნობია – ავტ.) წიგნსაცავში შალვა ვარდიძეს უპოვნია მხედრული ასოებით დაწერილი რვეული (22X17 სმ.) [Bedi Kartlisa, 1954, №16:19-22; 1954, №17:22-28]. მეცნიერის შენიშვნით ხელნაწერი იყო უთარილო. მასზე არ იყო აღნიშნული გადამწერის სახელი და ა.შ. ვარდიძემ ხელნაწერის ფილიგრანიანი (ჭვირნიშანი – ავტ.) ფურცლების ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ იგი 1450-1500 წლებში ყოფილა გადაწერილი [Bedi Kartlisa, 1954, №17:27]. აქვე საინტერესოა მეცნიერის მხრიდან მცირე აზიაში მყოფი ქართველი ბერ-მონაზვნების ლიტურგიული ენის რაობაზე გამოთქმული მოსაზრება. მან უარყო კ. კეკელიძის (1879-1962) კონცეფცია IX-X სს. ქართულის ლიტურგიულ ენად გამოყენება და მიიჩნია, რომ მცირე აზიაში მოღვაწე ქართველი ბერები უკვე V-VI სს. ლოცვებს ეროვნულ ენაზე ასრულებდნენ [იქვე]. რაც შეეხება საღვთო ლიტურატურის თარგმანის საკითხს, ვარდიძის აზრით, ქართველი ბერები თარგმანს ასრულებდნენ არა ბერძნული, არამედ სირიული ენიდან [იქვე:27-28].

ნიშანდობლივია, რომ სირიაში, ქ. დამასკოს ჩრდილოეთით (ადგილი არ კონკრეტდება – ავტ.), ვარდიძეს უნახავს ქრისტიანული სოფელი „მალულა“-ს სახელწოდებით. მისივე განმარტებით სოფლის სახელწოდების ეტიმოლოგიას არაბული ენა არ ხსნიდა. ვარდიძის ცნობით, სოფლები თავს კავკასიელად მიიჩნევდნენ და როდესაც მას ერთ-ერთი სოფელისთვის უკითხავს წარმომავლობის შესახებ, პასუხად მიუღია – „...ქრისტიანი ვარ, გურჯი, მალულა სოფლიდანო“ [Bedi Kartlisa, 1955, №19:21].

50-იან წლებში შალვა ვარდიძემ საინტერესო ხედვები გამოთქვა საქართველოს და სომხეთის ისტორიის ცალკეულ მომენტებზე. შესაძლოა, ზოგი მათგანი კამათს იწვევდეს, მაგრამ მეცნიერის ნააზრევი აჩენს ავტორის სამეცნიერო ჰორიზონტის არეალს. მაგ., გეოპოლიტიკიდან გამომდინარე ვარდიძე სავსებით სწორად გამორიცხავდა სომხეთის მეფე თრდატ III (287-330), როგორც იგი უწოდებდა „რომანტიული ტირიდატი“, მიერ 301 წელს გაქრისტიანებას და ეს ფაქტი, მისი აზრით, უნდა მომხდარიყო 312-313 წლებში [იქვე, 21]. ამ საკითხში ჩვენც ვიზიარებთ მეცნიერის პოზიციას, რადგანაც მხოლოდ 313 წელს ე.წ. მილანის ედიქტით ქრისტიანებს სხვა რელიგიური მიმდი-

ნარეობების გვერდით მიენიჭათ თანაბარი უფლებები. ედიქტით გათვალისწინებული პირობები გატარდა მაშინ რომის ვასალურ ქვეყნებშიც. ვარდიმე ასევე გამორიცხა ქართლის მეფე მირიანის (284–361) ქრისტიანულად მოქცევა 338-355 წლებს შორის მონაკვეთში და აღნიშნულ საკითხში მან 313-317 წლებს მიანიჭა უპირატესობა [იქვე].

შ. ვარდიმე მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ეწეოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას საზღვარგარეთ. მას ცხრა ენაზე შეეძლო პუბლიკაციების გამოქვეყნება. იგი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. მან საინტერესო კომენტარები აქვს „ვეფხისტყაოსნის“ ქართული ტექსტის შესახებ და ფრანგულ ენაზე ჰქონდა თარგმნილი პოემის ცალკეული თავები. მანვე ფრანგულ ენაზე მიმოიხილა ვახტანგ ორბელიანის (1700-1752) შემოქმედება. 1921 წელს ვარდიმე ფრანგულიდან ქართულად თარგმნა და სტამბოლში სავანის სტამბაში დაბეჭდა იტალიელი მწერლის და დიპლომატის ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს (1888-?1983) „ქართველები კონსტანტინეპოლში“ და მღვდელ რემონ ჟანენის „ქართველები იერუსალიმში“.

დ'ალესიო სტამბოლში მოქმედი საქართველოს საკონსულოს თანამშრომელი იყო, რომელსაც სცოდნია საქართველო, ქართული ენა და კულტურა. ნაშრომში ავტორმა განიხილა სტამბოლის ქართული დიასპორის ისტორიის სხვადასხვა საკითხები. რაც შეეხება ჟანენს, მან მალრიბის ქვეყნებში შეისწავლა თუ ქართველ ღვთისმსახურთა ღვაწლი. ქართულ მეცნიერებაში აღნიშნულ თემატიკაზე ხარვეზის შევსების მიზნით ვარდიმე განმარტა მათი თარგმნის აუცილებლობა. იგი წერდა: „ქართველი მკვლევარები დღემდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში ყოფილ სავანეებს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა ღირსეულად გამოამჟღავნა თავისი



*შ. ვარდიმის
საავტორო წიგნი*

შემოქმედებითი ნიჭი და კულტურული ძლიერება. დასავლეთის მწერალთა ყურადღება კი უფრო ამაღ მიიზიდა და უფრო ამაღ აღძრა მათში ის თანაგრძნობა და პატივისცემა... ჩვენი დიდებული წარსულის დაკარგვა უფრო მეტად აწუხებს ზოგიერთ შეგნებულ უცხოელებს, ვიდრე ჩვენ. და თუ ეს წიგნი „ქართველები იერუსალიმში“ ვსთარგმნეთ და დღეს ქართველ საზოგადოებას ვაწვდით, სხვათა შორის, გვსურს ვუჩვენოთ ყველას, რამდენად აფასებს და პატივს სცემს უცხოელი ჩვენს წარსულ შემოქმედებას და დიდებას“ [ჟანენი, 1921:7].

თურქეთში მცხოვრებ ქართველ ახალგაზრდებში ეროვნული ცნობიერების გაღვივების მიზნით ჯერ კიდევ 1914 წელს ვარდიძეს გამოუცია მცირე ფორმატის ნაშრომი – „პატარა ქართული ანბანი“ (1914).

ვარდიძე პოეტური ბუნებითაც ყოფილა დაჯილდოებული. მისი ლექსები ძირითადადში პატრიოტული ხასიათის იყო. სამწუხაროდ, ჩვენამდე მხოლოდ ორი ლექსია მოღწეული. 1950-1951 წლებში მას დაუწერია „ჩემი ლოცვა“ და „წმინდა ნინოს“ [წმინდა ნინო..., 2013:22-23]. ვარდიძის მხრიდან წმ. ნინოს მიმართ ლექსის მიძღვნა ანარეკლი იყო სტამბოლის ქართულ კათოლიკურ სავანეში დამკვიდრებული ტრადიციისა – ყოველი წლის 14 იანვარს, წმინდანის დღისადმი მიძღვნილ წირვის ჩატარება.

ბეირუთში ყოფნისას ვარდიძე აგრძელებდა ურთიერთობებს ემიგრაციაში მყოფ ქართველებთან. ამ პერიოდის მის ეპისტოლეებში ჩანს ის სიტბო, რასაც მის მიმართ იჩენდნენ ემიგრანტი თანამოაზრეები. ზოგი მათგანი ცდილობდა მას მატერიალურად დახმარებოდა, ანდა წაეყვანათ ევროპაში სამკურნალოდ [ფუტკარაძე..., 2017:572], მაგრამ უშედეგოდ. ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ შალვა ვარდიძე ქ. ბეირუთში გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მისი აღსასრულის ზუსტი თარიღის გარშემო ლიტერატურაში კითხვითი ნიშანია. გ. მამულია და გ. ასტამაძე წყაროს მითითების გარეშე ასახელებენ 1958 წელს [მამულია, ასტამაძე, 2019:654]. ვინაიდან, ფ. ტატიშვილის წერილი ვარდიძისთვის 1957 წლით თარიღდება, ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ამაგდარი მამულიშვილი 1957-1958 წლების მიჯნაზე უნდა გარდაცვლილიყო. ასევე უცნობია მისი საფლავის მდებარეობა.



შალვა ვარდიძე -
იაკობ ნიკოლაძის
ჩანახატი

დასასრულ, ვარდიძის შესახებ გვაქვს ინფორმაცია, რომ მისი პირადი არქივი ქ. ბეირუთიდან წამოიღო და ქ. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს გადასცა ბიზნესმენმა და საზოგადო მოღვაწემ სიმონ ზაზაძემ (1933-2016). ბიზნესმენის მხრიდან ეს სარისკო ნაბიჯი იყო, რომელსაც შესაძლოა თურქეთის ძალოვანი სტრუქტურებთან მისთვის გართულებები მოჰყოლოდა, მაგრამ შალვა ვარდიძე იმდენად ძვირფასი ფიგურა იყო ზაზაძეების ოჯახისთვის, რომ მეცენატმა იტვირთა საპატიო საქმის შესრულება – დიდებული მამულიშვილის არქივის ჩამოტანა, რათა მისი კვალი არ დაკარგულიყო საქართველოსთვის [ფუტკარაძე, 2012].

წმინდა ნინოს¹⁴

ნინო წმინდაო, ამ შენს დღეობას
გაქებთ, გადიდებთ ივერისძენი;
შენი ნაღვაწის საღვთო მოძღვრებას
მარად იგონებს გონება ჩვენი,

გიხმობთ ქართველნი, მოგვხედენ ზეცით,
კვალად მოგვაგე სწავლა დიადი;
როგორც წარსულში აწ განგვიბრწყინე
გზა ცხოვრებისა გვიძს რა წყვილიადი.

ხანი დაგვიდგა შავი და ბნელი...
დავიქსაქსენით, ვართ დავრდომილნი;
დავკარგეთ ბინა ჩვენი მამული,
თავისუფლების დრონიცა ტკბილნი,

მოსავთა შენთა ტანჯვა-ვაების
აწ რაკი გესმის ხანგრძლივიზარი,
გვექმენ დამცველად, გვაშორე მტერი
ჩვენი ცრემლ-სისხლით გაუმამდარი;

ძველებრ მოდი ქადაგად ჩვენში,
გარე-მოცული გაჰფანტენ ბნელი;
დღეს სხვა არმაზის, კერპის ბოროტის,
შენგნით შემუსრვა არ არის ძნელი.

ნინო წმინდაო, ამ შენს დღეობას,
შენდა აღვაფლენთ ლოცვას ცრემლოვანს;
იმედი სრული შენზედ დაგვიძის,
გვრწამს, განგვიახლებ ბედსა ნათლოვანს.

მარად რა შენი წმინდა ხსენება
სევდას გვიფანტავს, გვაძლევს სიხარულს;
აწ დღეს მოსავნი გაქებთ, გადიდებთ
მოგიძღვნით ჩვენსა ხოტბას, სიყვარულს.

¹⁴ აქვე ვრთავთ შ. ვარდიძის ლექსს [წმინდა ნინო..., 2013:22-23].

ნუ დაგვიშურებ რასაც გთხოვთ გრძნობით:
ქართველი ერი აღდგეს, განცხოვლდეს;
შენი მოძღვრების და განათლების
წარსული დიდი კვლავ განუახლდეს.

ვიდრე ივერის სოფლად ჰგიებდეს,
ვიდრე ცხოვრობდეს ერი ქართველი
შენი მაღლითვე უვიწყარ იყოს.
შენი დიდება, შენი სახელი.

ნინო წმინდაო, უცხოეთს მყოფნი
ვიდრე შეგვკრებდე შენს ტაძარს შინა,
მანამდის მწირნი, შენნი მოსავნი
ცრემლსა დავაფრქვევთ შენს ხატისწინა!

✠

ბათუმის ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის
ეკლესიის ისტორიიდან


ქ. ბათუმის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათია არის ნეო-გოთიკური სტილით წითელი ქვით ნაგები სამგუმბათოვანი ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი. ქართული ხუროთმოძღვრებისგან განსხვავებული არქიტექტურის გამო შენობა უმალ იპყრობს ყურადღებას. თუმცა, ცოტამ თუ იცის მისი ისტორია. თავდაპირველად, 1903 წელს, იგი გაიხსნა, როგორც კათოლიკური მრევლის ეკლესია, რომელიც საბჭოთა პერიოდში, ანტირელიგიური ბრძოლისას, დაიხურა და სხვადასხვა (არქივი, მაღალი ძაბვის ლაბორატორია) სათავსოს ფუნქცია დაეკისრა. 1989 წელს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, შენობა გადაეცა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. 2011 წლიდან ტაძარს კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა [<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1224440?publication>]. დღეს კი იგი ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის მთავარი საკათედრო ტაძარია [ნაცვლიშვილი, 2019:147].



ტაძარი აღმართულია მაღალ ფუნდამენტზე. იგი დასავლეთ-აღმოსავლეთ ღერძზე წაგრძელებული ხუთწახნაგა შვერილი აფსიდის მქონე სამგუმბათოვანი ბაზილიკაა. მისი სიგრძეა 33,6 მ, სიგანე - 23,1 მ., ხოლო სიმაღლე - 44,1 მ. [ბუკლეთი, 1988]. ტაძარი გეგმით ლათინური ჯვრის კონფიგურაციისაა. მის აღმოსავლეთით საკურთხევლის ორსავე მხარეს, მთავარი ნავისა და ტრანსეპტის კვეთაზე, განთავსებულია ერთსართულიანი კვადრატული ოთახები, იგვე საკრისტიები. დასავლეთი ფასადი ორი მაღალი სამრეკლო-კოშკით არის ფლანკირებული. ტაძრის გარე ნაწილი გოთიკური ჩუქურთმებითაა მორთული. მთავარი შესასვლელის ზემო ნაწილის მარჯვნივ და მარცხნივ მოთავსებულ ნიშებში დგას წმ. ნინოსა და წმ. ანდრია პირველწოდებულის ქანდაკებები. აღმოსავლეთ ფასადზე ქართულ და ფრანგულ ენებზე ამოტვიფრული არის ტაძრის სახელწოდება, მისი მშენებლობის წლები და ამგების - სტ. ზუბალაშვილის (1860-1904) სახელი. ტაძარი დამშვენებულია

ფერადი ვიტრაჟული სარკმლებით. შენობის ინტერიერში სხვადასხვა წმინდანების, ძველი და ახალი აღთქმის ამსახველი სცენები შემკობილი არის ცისფერი, ბორდოსფერი და ოქროსფერი ფერებით. არსებითად, თავისი იერსახით, ნაგებობა მნახველში პარიზის ნოტრ-დამის კათედრალის ასოციაციას იწვევს.

ბათუმის ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძრის მიმართ არის რამდენიმე საკითხი, რომლებიც დაზუსტებას საჭიროებს. ერთ-ერთი არის საკითხი ტაძრის სახელწოდების შესახებ. ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ ვინაიდან, სამეცნიერო ლიტერატურაში იგი სხვადასხვა სახელით იხსენიება, ამიტომაც მასზე მივაპყრობთ ყურადღებას. ტრადიციით, ივერიის გაქრისტიანება ღვთისმშობელ მარიამს დაევალა. ამის გამო, მისი სახელობის ტაძრები პოპულარული არის საქართველოში. ისინი შესაძლებელია იყოს, როგორც „ღვთისმშობლის შობის“ (მაგ., დიდუბის



*ტაძარზე არსებული
წარწერა*

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი...), ან წმინდანის „მიძინების“ (მაგ., ბაღდის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია...), ან „ღვთისმშობლის ხარების“ (მაგ., ქუთაისში ღვთისმშობლის ხარების ეკლესია) სახელზე. რაც შეეხება „ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის სახელობის ეკლესია“-დ მის ხსენებას, როგორც ეს არის ევროპის და ამერიკის ქვეყნებში, მსგავსი სახელწოდების ტაძრები თანამედროვე საქართველოში არ გვაქვს.

ბათუმში მდებარე საკათედრო ტაძარი „ღვთისმშობლის შობის“ სახელობისაა. არადა, სამეცნიერო ლიტერატურაში ტაძარი სხვადასხვა სახელით იხსენიება. ერთი შეხედვით ეს თითქოს უმნიშვნელო საკითხია, მაგრამ ვფიქრობთ, რომ მისი დაზუსტებით მოიხსნება ლიტერატურაში ტაძრის სხვადასხვა სახელით ხსენების პრაქტიკა. ტაძრის ფასადზე ქართულ და ფრანგულ ენებზე არსებული წარწერით იგი იწოდება „ყოვლად წმინდა ღვთის მშობელი მარიამისა“. აქ არ ჩანს კონკრეტული საუბარი წმინდანის შობაზეა თუ მის უბიწოდ ჩასახვაზე, ანდა მიძინებაზე. საქართველოს საპატრიარქოს ვებ-გვერდზე ტაძარი იწოდება „ღვთისმშობლის შობის“ ეკლესიად. არის შემთხვევა, როდესაც ეკლესია იწოდება „ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის“ სახელობის საკათედრო ტაძრად, ანდა „წმინდა ნინოს“ სახელად [„ჯვარი ვაზისა“, 1988: 30]. უკანასკნელ პერიოდში ხმარებაში შემოვიდა „ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის“ სახელწოდება [ნაცვლიშვილი, 2019:131-146].

სახელწოდების დაზუსტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ თუ რა კუთხით ვუდგებით საკითხს. ფაქტია, საქართველოს საპატრიარქოსთვის გადმოცემის შემდეგ, 1989 წლიდან, როდესაც კათოლიკოს პატრიარქმა ილია II-ის ტაძარი აკურთხა, მას ეწოდა ბათუმის „ღვთისმშობლის შობის სახელობის საკათედრო ტაძარი“ (Holy Mother Virgin Nativity Cathedral), ანდა მოკლედ – „ღვთისმშობლის სახელობის, ორთოდოქსებისთვის იგი ამ სახელწოდებისაა და ასე იხსენიება ყველა ოფიციალურ ვებ-გვერდზე. რაც შეეხება კათოლიკე მრევლს, მათვის ეკლესიის ორთოდოქსების სახელწოდება გაურკვეველობას იწვევს. საქმე იმაშია, რომ 1903 წელს ტაძარი ეკურთხა „ყოვლად წმიდა ღვთის მშობელი მარიამი“-ს სახელად. მაშასადამე, კათოლიკეებისთვის იგი ამ სახელწოდების იყო და ასევე რჩება. რაც შეეხება ტაძრის „ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიის“ სახელად ხსენება, უნდა ითქვას, რომ მსგავსი სახელწოდების ტაძარები ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში არსებობდა. ასე იწოდებოდა „ყოვლადქალწულ წმიდა მარიამის უბიწო ჩასახვის“ ქუთაისის კათოლიკური ტაძარი (1862). უდეს „ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების“ ტაძარი (1904-1906) და სხვ.

ბათუმში არსებული ტაძრის სახელწოდების გარკვევისას ამოსავალი უნდა იყო რომაულ-ლათინური დოგმატები, რომელიც აღიარებს: „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვას“ და „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლებას“. „ქალწული მარიამის უბიწოდ ჩასახვის“ დოგმატი მიღებული იქნა 1854 წელს. რაც შეეხება „ქალწული მარიამის ხორციელად ზეცად ამაღლების“ დოგმატს, იგი, მიიღეს 1950 წელს [<http://www.orthodoxy.ge/apologetika/katolitsizmi7.htm>]. მაშასადამე, 1854 წლის დოგმატური წესიდან გამომდინარე, ს. ზუბალაშვილის ხელშეწყობით ბათუმში ნაგები კათოლიკეთა სამლოცველო უნდა იწოდებოდეს, როგორც „ღვთისმშობელი მარიამის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია“. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის კურთხევის ცერემონიალის აღმწერი კონსტანტინე გვარამაძე (1867-1943) ტაძარს მოიხსენიებს როგორც „ღვთისმშობელი მარიამის უმანკოდ ჩასახვის ეკლესია“ [გვარამაძე, 1903:10]. „უმანკო“ და „უბიწო“ სინონიმებია. როგორც ვხედავთ, ტაძრის თავდაპირველი სახელწოდება, მისი ოფიციალურად კურთხევის შემდეგ ყოფილა – „ღვთისმშობელი მარიამის უბიწოდ (უმანკო) ჩასახვის ეკლესია“, რაც შემდგომში მიივიწყეს.

რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის ისტორიას, უნდა შევნიშნოთ, რომ მისი აგება XIX ს-ის II ნახევარში ბათუმში დროის მოთხოვნით იყო განპირობებული და იგი მოსახლეობის ეთნიკურად მზარდმა მრავალფეროვნებამ

განსაზღვრა. თუ, 1873 წლის აღწერით ბათუმ-ქობულეთში ცხოვრობდა 11 სომეხი კათოლიკე [ახვლედიანი, 1943:225], ქალაქის რუსეთის იმპერიის მხრიდან მიერთების შემდეგ, კათოლიკური აღმსარებლობის მქონე პირთა რაოდენობა გაიზარდა. ისინი იყვნენ სომეხი კათოლიკეების, ბათუმში მოღვაწე ევროპელებით, ანდა სამცხე-ჯავახეთიდან მიგრირებულებისგან [ქუცნიაშვილი, 2019:201]. 1883 წლიდან ბათუმის რკინიგზით მიერთებამ თბილის-ბაქოსთან და პორტის მშენებლობამ, ქალაქის სამრეწველო მნიშვნელობა გაზარდა. შესაბამისად, ადგილობრივი და ჩამოდინებული მოსახლეობის ხარჯზე ქალაქი მრავალკონფესიურიც გახდა. XIX ს-ის მიწურულს ბათუმში უკვე ფუნქციონირებდა მუსლიმური, ორთოდოქსების და სომხურ-კათოლიკური სალოცავები, თუმცა არ არსებობდა ლათინური წესის კათოლიკური ეკლესია. თავიანთი ეკლესიის არ ქონის გამო ქალაქში მცხოვრები ლათინური წესის კათოლიკეები რელიგიურ რიტუალებს მართავდნენ სომხურ-კათოლიკური ეკლესიაში. ვინაიდან, თავიანთ ეკლესიაში სომხებს დომინირებული მდგომარეობა ეკავათ, ამიტომაც ისინი ლიტურგიას სომხურ ენაზე ატარებდნენ [ჭიჭინაძე, 1903:11; ნაცვლიშვილი, 2019:132; ქუცნიაშვილი, 2019:202]. რაც შეეხება ქართველ და ლათინური წესის კათოლიკებს, მათთვის წირვა დღის მეორე ნახევარში იწყებოდა, რაც მრევლს დისკომფორტს უქმნიდა [ქუთათელაძე, 2019:590]. არადა, 1898 წელს რუსეთის იმპერიის საყოველთაო აღწერით ტფილისის და ქუთაისი გუბერნიებში ლათინური წესის დაახლ. 20 ათასი კათოლიკე სახლობდა [ბარდაველიძე, 2018:48].

ბათუმში ლათინური წესის ეკლესიის მშენებლობა არის პატრი ანსელმ (ანსელიმო) მღებრიშვილის და მეწარმე სტეფანე ზუბალაშვილის დამსახურება. სწორედ ისინი გახდნენ ქართველი კათოლიკეების ყველაზე ამბიციური პროექტის სულისჩამდგმელები. სამწუხაროდ, ს. ზუბალაშვილის სახელის ფონზე პატრის ღვაწლი ერთგვარად დაკნინდა. უნდა ვაღიაროთ, რომ მსგავს მიდგომას სათავე დაუდო ზაქარია ჭიჭინაძემ (1853-1931), რომელმაც ტაძრის შესახებ მიძღვნილ პუბლიკაციაში ეკლესიის მშენებლობა ძირითადად ზუბალაშვილის დამსახურებად ჩათვალა და პატრის წვლილი მეორე რანგში გადაიტანა. არადა, ბათუმში ეკლესიის მშენებლობის საქმის მოგვარებას პატრი ანსელმ მღებრიშვილი 1890 წელს ბათუმში ჩამოსვლისას შეუდგა. მისი ძალი-სხმევით, თავდაპირველად, „ბათუმელმა კათოლიკეებმა“ დროებითი ხისგან პატარა ტაძარი ააგეს [„ივერია“, 1898, №82:3]. ამის შემდეგ, პატრიმ შესძლო ქალაქის ბიუროკრატიის გადალახვა და ახალი ტაძრის მშენებლობის ნებარ-

თვის მოპოვება. რაც შეეხება ს. ზუბალაშვილს, რომლის ძალისხმევითაც დასრულდა ტაძრის მშენებლობა, მისი საქმეში ჩართვა ასევე ანსელმ მღებრიშვილის დამსახურება იყო. შემთხვევითი არ იყო, რომ გაზ. „ცნობის ფურცელი“ პატრის „ბათუმის ახალი ეკლესიის დამაარსებლად“ მიიჩნეოდა [„ცნობის ფურცელი“, 1903:4]. ასე რომ, ტაძრის მშენებლობის საქმეში პატრი ანსელმ მღებრიშვილის წვლილი ზურაბაშვილთან ერთად განუზომელია.

ზ. ჭიჭინაძე მიიჩნევდა, რომ ლათინური წესის კათოლიკური ტაძრის ადგილი წმინდა იყო ქრისტიანებისთვის, რადგანაც ოსმალების ბატონობისას თითქოს იქ ხდებოდა მორწმუნეების სიკვდილით დასჯა („სახიობელა და თავსაკვეთი“) [ჭიჭინაძე, 1903:4]. მამასადაძე, ქრისტიანებისთვის წმინდა ადგილზე გამართლებულიც იყო ტაძრის მშენებლობა. აქ ძნელია ავტორს დაეთანხმო, რადგანაც ეკლესიის მშენებლობის დაწყებამდე ტაძრის ადგილზე დაჭაობებული მცირე ზომის ტბა იყო და იქ გილიოტინის მოწყობის აზრი იკარგებოდა. მეორეც, არ გვაქვს ირიბი სხვა ცნობა, რომელიც ტაძრამდელ ადგილზე ამ ფაქტს დაადასტურებდა.

ჩვენთვის უცნობია პატრის გვერდით მყოფი ტაძრის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობა. ვიცით მხოლოდ, რომ ერთ-ერთი მათგანი იყო ბათუმში მოღვაწე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ნამდვილი წევრი მეწარმე ნიკოლოზ საბაევი (საბაშვილი) (1860-1934). იგი მრწამსით კათოლიკე იყო. საბაევი სტამბოლში ბიზნეს ეწეოდა, იყო ახლო ურთიერთობაში ფერიქოის ქართველთა კონგრეგაციასთან, პირადად აბატ პ. ხარისჭირაშვილთან [ქუცნიაშვილი, 2019:206]. მისი მხრიდან ეკლესიის მშენებლობის ხელშეწყობის ერთ-ერთი პირველი ჟესტი იყო – მიწის ნაკვეთი, რომელიც ქალაქ ეკუთვნოდა და იჯარით გაცემული იყო მასზე, მან მის სარგებლობაზე უარი თქვა და ტერიტორია კათოლიკეებს დაუთმო [გვარამაძე, 1903:38; ნაცვლიშვილი, 2019:133].

საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობაში იყო ასევე ბათუმში მოღვაწე პავლე მჭედლიშვილი. მის შესახებ ვიცით, რომ 1899-1916 წლებში იგი იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ნამდვილი, ხოლო 1901 წლიდან ბათუმის განყოფილების წევრი. მრწამსით მჭედლიშვილი კათოლიკე იყო, ხოლო პროფესიით ბანკირი. იგი მსახურობდა ბათუმის „საურთიერთო ნდობის ბანკში“. ასევე ყოფილა ბათუმში ტფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკის წარმომადგენელი. ჭიჭინაძე მას ახასიათებს, როგორც „...დიდი მამულისშვილი, ... ნამდვილი გულშემატკივარი ქართველი... რომლის მსგავს პირნი ჩვენს დროში იშვიათ მოსაპოვნელი არიან“.

სამწუხაროდ, ჭიჭინაძე არ აკონკრეტებს მჭედლიშვილის წვლილს ეკლესიის მშენებლობის საქმეში და მხოლოდ ზოგადი ფრაზით – „ეკლესიის სამზადისზედაც დიდი შრომა აქვს დადებული“, შემოიფარგლება [ჭიჭინაძე, 1905:64].

ჭიჭინაძის ცნობით ტაძრის მშენებლობის შესახებ საინიციატივო ჯგუფს ბათუმის თვითმართველობაში განცხადება შეუტანიათ 1896 წელს. ნებართვის მიღების შემდეგ ტაძრის პროექტი შეადგინა არქიტექტორმა ბაგუსკიმ [ჭიჭინაძე, 1906:180]. მისი დამტკიცების შემდეგ, 1897 წლის 12 იანვრიდან, საინიციატივო ჯგუფს დაუწყიათ მშენებლობისთვის საჭირო თანხის შეგროვება [ჭიჭინაძე, 1903 :12] და მომავალი ტაძრისთვის ადგილის ძიება.




*ტაძრის ანფასზე არსებული
წმ. ანდრიას და წმ. ნინოს ქანდაკებები*

უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული მომენტის თხრობისას ზ. ჭიჭინაძესთან გვაქვს ფაქტების აღრევა. საქმე იმაშია, რომ მისი ცნობით, სტეფანე ზუბალაშვილის ფინანსური მხარდაჭერით ტაძრის საძირკველის გაჭრა დაუწყიათ 1897 წლის 12 იანვარს [ჭიჭინაძე, 1903:12-13]. იგივეს, ოლონდ თარიღის გარეშე, ადასტურებს ი. გვარამაძეც, რომელიც მიუთითებს, რომ ზუბალაშვილს მათთან მისულ საბავებისთვის და პატრისთვის მიუცია 15 ათასი მანეთი, რომლითაც დაწყებულა საძირკველის გათხრა [გვარამაძე, 1903:-38-39]. პრინციპში ეს არ არის მთავარი საკითხი. ფაქტია, რომ

მშენებლობის საწყის ეტაპზე პატრის ეპისტოლეებში არ ფიგურირებს მეცენატის სახელი. ამის მაგალითია 1898 წლის 26 თებერვლის ანსელმ მღებრიშვილის ეპისტოლე მიხეილ თამარაშვილისადმი (1858-1911), რომელშიც ავტორი სწერდა, რომ ტაძრის მშენებლობისთვის მას სჭირდებოდა 80 ათასი მანეთი [ნაცვლიშვილი, 2015:16]. ამონარიდი პატრის ეპისტოლედან გვაფიქრებინებს, რომ ეკლესიის მშენებლობის საწყის ეტაპზე მეცენატის როლი არ ჩანს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოს ფონდებში ჩვენს მიერ მიკვლეულ იქნა ბათუმის რომაულ-კათოლიკური აღმსარებლობის მრევლის 1898 წლის 13 მარტის თხოვნის წერილი ქალაქის თავისადმი, რომელიც ბევრ საკითხს ჰფენს ნათელს. როგორც ირკვევა, აღნიშნული თემის წარმომადგენლებმა დააყენეს შესაბამისი შუამდგომლობა ბათუმში კათოლიკური ტაძრის აგების თაობაზე. 1897 წლის 20 დეკემბერს იმპერატორ-



მა დააკმაყოფილა შუამდგომლობა. ამასთან, დასმული საკითხის გადასაწყვეტად, იმპერიაში მოქმედი კანონმდებლობით, საჭირო გახდა ეკლესიის მშენებლობისთვის ზუსტი ადგილის მითითება. ამიტომაც გადაწყდა ბათუმის საზოგადოებრივი მმართველობის კუთვნილი, იმჟამად კი ბათუმელი მოვაჭრის – ნიკოლოზ ანტონის ძე საბაევისთვის არენდით გადაცემული მიწის ნაკვეთის შერჩევა, რომელიც მდებარეობდა ქ. ბათუმის მესამე საპოლიციო უბანში, თბილისის, გეორგიევისა და კომაროვის ქუჩების კვეთაში.

რადგანაც ბათუმის რომაულ-კათოლიკურ მრევლს არ ჰქონდა მიწის შესყიდვის შესაძლებლობა, ამიტომაც ითხოვა ქალაქის თავისგან, რომ დაეყენებინა შუამდგომლობა ბათუმის სათათბიროს წინაშე, რათა ეკლესიის მშენებლობისთვის უსასყიდლოდ გადაეცა აღნიშნული მიწის ნაკვეთი და გაეუქმებინა საარენდო ხელშეკრულება ნ. ა. საბაევთან, რომელიც თანახმა იყო არ გამოეთქვა პრეტენზია ქალაქის მიმართ. აქვეა თავად საბაევის 1898 წლის 14 მარტის განცხადებაც პრეტენზიის არ ქონის თაობაზე. საბაევს მიწა 1896 წლიან 12 წლიანი არენდით ჰქონია აღებული, წელიწადში კვ. საჟენზე 80 კაპიკის გადახდის პირობით. ბათუმის ქალაქის სათათბირომ, 1898 წლის 16 მარტს, 22 ხმოსნის მონაწილეობით, დაადგინა, რომ აღნიშნული ტერიტორია, ეკლესიის აშენების მიზნით, სარგებლობაში გადასცემოდა ბათუმის რომაულ-კათოლიკურ კოლონიას, ქალაქის მხრიდან მასზე საკუთრების უფლების შენარჩუნების პირობით დადგენილება ეცნობა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს [ასს, ფ.ი-6, ან.1, ს.177, ფ.1-8].



ნიშანდობლივია, რომ ბათუმში ეკლესიის მშენებლობის ფაქტს იმთავითვე გამოეხმაურა ტფილისის გუბერნიაში გამომავალი ავტორიტეტული გაზ. „ივერია“. რედაქცია აღნიშნავდა პატრი მღებრიშვილის ღვაწლს, რომლის

ძალისხმევით თავდაპირველად დროებითი ხის ეკლესია აშენდა, ხოლო შემდეგ კურთხეულა ქვითკირის ტაძრის საძირკველი. გაზეთის ცნობით, პატრი მრევლს პირდებოდა სათანადო უწყებიდან პერიოდულად ქართული წირვა-ლოცვის ჩატარების უფლების მოპოვებას [„ივერია“, 1898, №82:3; ფავლენიშვილი, 2019:145].

სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ეკლესიების მშენებლობას ხშირად მოუშადადებლად იწყებდნენ, ანუ წინასწარ არ იყო გათვლილი საჭირო თანხის რაოდენობა, მშენებლობის დრო და ა.შ. [ნაცვლიშვილი, 2015:9]. ზოგადად, მშენებლობის ყველა დეტალის გაუთვლელად დაწყების პრაქტიკა მხარდაჭერას არ პოვებდა პაპის ნუნციოში, ამიტომაც მშენებლობის ინიციატორები ცდილობდნენ საქმეში სხვადასხვა ქველმოქმედების ჩართვას. ჩანს, მსგავსი ვითარება შეიქმნა ბათუმშიც, როდესაც პატრი ანსელმ მღებრიშვილმა წამოიწყო ეკლესიის მშენებლობა, საჭირო თანხის შეეგროვება მას მეგობრებმა ვეროპის და ამერიკის ქვეყნებში ურჩიეს [ნაცვლიშვილი, 2015:11].

სამეცნიერო ლიტერატურაში ტაძრის მშენებლობის სხვადასხვა თარიღი (1897-1902 და 1898-1903) ფიგურირებს. არადა, ტაძარზე არსებულ მემორიალურ დაფაზე არსებულ მინაწერზე გარკვევით აღნიშნულია 1898 წლის 12 აპრილი და 1902 წლის 21 ივნისი. ეს თარიღები მიუთითებს, რომ ეკლესიის მშენებლობა დაიწყო 1898 წლის 12 აპრილს და დასრულდა 1902 წლის 21 ივნისს. აღნიშნული თარიღები ცნობილი იყო ზ. ჭიჭინაძისთვის, მაგრამ ეკლესიის საფუძვლის მშენებლობის დაწყებას იგი მაინც 1897 წლის 12 აპრილით ათარიღებდა [ჭიჭინაძე, 1903:13]. რაც შეეხება მშენებლობის დასრულებას, გვარამაძე მას 1903 წლით ათარიღებდა [გვარამაძე, 1903:39]. ეკლესიის შენობის მშენებლობის ქრონოლოგიის საკითხში ჩვენ ვიზიარებთ ნ. ნაცვლიშვილის პოზიციას, რომელიც ტაძრის აგებას 1898-1902 წლებში მოიაზრებს [ნაცვლიშვილი, 2019:141]. ჩვენს მიერ მოძიებული და ზემოთ მითითებული საარქივო მასალა ნათლად მეტყველებს, რომ ტაძრის მშენებლობა 1898 წელზე ადრე ვერ დაიწყებოდა.

უადრესად პომპეზურად ჩატარდა ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი, რომელიც გაიმართა 1903 წლის 4 მაისს. აღნიშნული საქმის ორგანიზება ითავა ს. ზუბალაშვილმა, რისთვისაც იგი დაკავშირებია ტირასპოლის ეპარქიის ეპისკოპოს ბარონ ედუარდ დე როპსს [ფეიქრიშვილი, 2011:139]. ეპისკოპოსმა ამ შემთხვევით ისარგებლა და მოიარა მისდამი დაქვემდებარებული ამიერკავკა-

სიის კათოლიკური მრევლის ტერიტორია [ქუცნიაშვილი, 2019:203]. ეთნოლოგ და ფოლკლორისტ კ. გვარამამეს საინტერესოდ აქვს აღწერილი ტაძრის კურთხევის ცერემონიალი, ამიტომაც ამ პასაჟის გაშუქებისას მას დავესესხებით.

ბარონი დე როპპი (გერმ. Eduard Michael Johann Maria Baron von der Ropp) უდაოდ საინტერესო ფიგურა გახლდათ, რამდენადაც იყო ღვთისმსახური, ეპისკოპოსი, არქიეპისკოპოსი, იურისტი, პოლიტიკოსი, ლიტვის და ბელორუსიის კონსტიტუციურ-კათოლიკური პარტიის დამაარსებელი და რუსეთის I სახელმწიფო სათათბიროს წევრი. 1902 წელს პაპმა ლეო XIII (1878-1903) იგი რუსეთის იმპერიის რომაულ-კათოლიკური ეპარქიის ტირასპოლის ეპისკოპოსის რანგში აიყვანა [დაწვრილებით იხ. Серова, 2012:110-131; Лавринович, 2017].

1902 წლისთვის ტირასპოლის ეპარქია შესდგებოდა 87 სამრევლოს და 34 ფილიალის ეკლესიისაგან, 131 მღვდლისგან და 298 ათასი მრევლისგან. 1905 წლის „ტოლერანტობის პრინციპების გაძლიერების მანიფესტის“ შემდეგ, რომელმაც რუსეთის იმპერიაში გააუქმა სისხლის სამართლებრივი სასჯელი მართლმადიდებლობის დატოვების გამო, ეპარქიის ტერიტორიაზე დაახლ. 2 ათასი მართლმადიდებელი მოექცა კათოლიკურ მრწამსზე. ტირასპოლის ეპარქიის ტერიტორია მოიცავდა ასტრახანის, ეკატერინოსლავის, სამარას, სარატოვის, სტავროპოლის, თავრიდისა და ხერსონის პროვინციებს, ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებს და ბესარაბიას. ეპარქია დაყოფილი იყო 11 დეკანად (ეპარქიის ადმინისტრაციული ოლქი – ავტ.). მათგან პიატიგორსკი-ტფილისის დეკანატში შედიოდა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის რეგიონების სამრევლოები [Католическая энциклопедия, 2011:1337]. ტირასპოლის ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო ქ. სარატოვში. რამდენადაც ქუთაისის გუბერნია მის იურისდიქციაში შედიოდა, ამიტომაც ბარონმა დე როპპმა თვით ითავა ტაძრის კურთხევის მისია. ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც კათოლიკე ეპისკოპოსი ჩამოდიოდა საქართველოში და პირადად ასრულებდა ეკლესიის კურთხევას.



ბარონი დე როპპი - 1906

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ დე როპპის ჩამოსვლით ქართველი კათოლიკეები გეგმავდნენ ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში თავიანთი ეროვნული პრობლემების გადაჭრის საკითხს, რაც გამოვლინდა ლათინური

და სომხურ-კათოლიკური ტიპიკონის გამოყენებაში. გამოდის, რომ ამ ჩანაფიქრში ჩართული იყო მეცენატიც. უნდა შევნიშნოთ, რომ აღნიშნული საკითხის წამოწევა განაპირობა იმპერიის ხელისუფლების მხრიდან, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან, ქართველი კათოლიკეებისათვის სომხური რიტის დაკანონების ფაქტმა. შესაბამისად, ბათუმელი კათოლიკეებისთვის, რომლებიც სომხურ რიტზე ატარებდნენ წირვას, ეპისკოპოსისგან, ახალი ტაძრის კურთხევისას მოელოდნენ ლათინური ტიპიკონის დაკანონებას [ქუნციაშვილი, 2019: 203-204].

ეპისკოპოსი თბილისის გავლით მატარებლით ბათუმში 1903 წლის 2 მაისს, საღამოს 10 საათზე ჩამოვიდა. მისი თანმხლები პირები იყვნენ: სარატო-



4.05.1903 - ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი

ვის კათოლიკური სემინარიის რექტორი, პროფ. დონ ივანე ანტონიშვილი, (ანტონაშვილი?) თბილისის ვიზიტატორი ბარანოვსკი, ეკატერინოსლავის მოძღვარი პატრი დამიანე სააკაშვილი (1865-1940), სტეფანე ზუბალაშვილი, მღვდელი ივანე გვარამაძე (1831-1912) სხვ. რკინიგზის სადგურიდან ეპისკოპოსი წაბრძანდა კათოლიკეთათვის დროებით სამლოცველო სახლში, ხოლო შემდეგ დაბინავდა

საბაშვილის ბინაზე [გვარამაძე, 1903:6-7; შამილიშვილი, 1988:81].

ეკლესიის კურთხევის ცერემონიალი გაიმართა 4 მაისს, კვირა დღეს. იგი დაიწყო 10 საათზე დაიწყო და დასრულდა 14 საათისთვის, რომელიც შთამბეჭდავი დარჩა. პროცესიის ცერემონმაისტერი იყო დონ ივანე ანტონიშვილი. წესისამებრ, ეპისკოპოსმა მირონი სცხო ტრაპეზებს და სვეტებს, შემდეგ სასხურებლით სამჯერ შემოუარა ეკლესიას და მის კედლებს მიასხურა ნაკურთხი წყალი. რიტუალის დასრულების შემდეგ ეპისკოპოსმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა [გვარამაძე, 1903:10-11; შამილიშვილი, 1988:82] და ტაძარში პირველი წირვა აღავლინა.

იმავე დღეს, 17 საათზე, ზუბალაშვილის ხარჯით, ქალაქის საბჭოს დარბაზში, ეპისკოპოსის სახელზე გაიმართა სადილი. მოწვეულ პერსონებში იყვნენ ქალაქის თავი ივანე ანდრონიკაშვილი (1862-1947), გუბერნატორი და სხვადასხვა საელჩოს წარმომადგენლები, სულ 150 სტუმარი [გვარამაძე, 1903:15]. სუფრაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეპისკოპოსმა აღნიშნა ზუბალაშვილის

დამსახურება ეკლესიის მშენებლობის საქმეში, ხაზი გაუსვა ტაძრის ვიზუალურ მხარეს, როგორც საუკეთესოს რუსეთის იმპერიაში და ისაუბრა საქართველოს ბუნების სილამაზის შესახებ. მეორე დღეს, ეპისკოპოსმა, ტაძარში კვლავ წირვა აღავლინა, მირონი სცხო 500 მორწმუნეს და სალამოს 23 საათზე მატარებლით ქუთაისს გაემართა [გვარამაძე, 1903:17].

სამწუხაროდ, ეპისკოპოსმა ვერ გადაჭრა ქართველი კათოლიკეების მთავარი მიზანი - წირვა-ლოცვის ლათინურ და ქართულ ენებზე ჩატარების შესახებ. ამის მიუხედავად, ბათუმის კათოლიკური ეკლესია იყო ის ადგილი, სადაც ყველა კათოლიკეს შეეძლო ლათინურ და ქართულ ენებზე მოესმინა წირვა-ლოცვა [ქუცნიაშვილი, 2019:205].

ბათუმის ლათინური წესის კათოლიკეთა ეკლესიის შესახებ საუბარს დავასრულებთ ზ. ჭიჭინაძის სიტყვებით. ტაძრის შესახებ იგი წერდა: „ეს ეკლესია თვალთა მთელი ბათუმისა და თვალთა მთელ იმ მაჰმადიანი ქართველებისაც კი, რომელნიც ამ ქალაქს ახვევიან გარს“ [ჭიჭინაძე, 1903:8]. მეისტორიე ასევე მიუთითებდა ტაძრის როლს ეროვნული ცნობიერების საქმეში: „...თავის გარეგან შეხედულებით დიდათ იზიდავს არა მარტო ქრისტიანთ ყურადღებას, არამედ ქართველ მაჰმადიანებსაც კი..., რომელნიც ამ ტაძარს მუდამ დღე გავლა-გამოვლის დროს დიდის სიამოვნებითაც ათვალიერებენ... ხსენებულის ეკლესიის მღვდელს ყოველის ხატის და სურათის ცნობებს დიდის ცნობის მოყვარეობით ჰკითხავდნენ და ყოველ მიგებულ სიტყვას და მცნებასაც დიდის პატივისცემით ისმენდნენ... იგი ასე ანათებს და ასხივებს თვით ქართველთ მაჰმადიანთ ფანატიკ გონებაშიაც“ [ჭიჭინაძე, 1903:9].



**კონსტანტინოპოლის (სტამბოლი) ქართული
კათოლიკური საგანე**

„ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის...
ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის
მიერ საქართველოს დაპყრობის წინააღმდეგ“.

დალეჯიო დ'ალესიო

სტამბოლის ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის ქართული კათოლიკური ეკლესია (ინგლ. The Church of Our Lady of Lourdes; ფრ. Notre Dame de Lourdes თურქ. Gürcü Katolik Kilisesi; ქართ. ლურდის ღვთისმშობლის სახელობის ქართულ-კათოლიკური ტაძარი. ჩვენ ვიყენებთ ლიტერატურაში დამკვიდრებულ ფორმას – სტამბოლის ქართველთა საგანე – ავტ.) გამოჩენილი რელიგიური და სამეცნიერო-კულტურული კერა იყო საქართველოს ფარგლებ გარეთ არსებულ ქართულ მონასტრებს შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე, ქართველების გარუსების და გასომხების ფონზე, სტამბოლის ქართველთა საგანე იყო ერთადერთი რელიგიური დაწესებულება, რომლის ბერები პრაქტიკული ქმედებებით – ჯვრით, კალმით თუ იარაღით ხელში იბრძოდნენ საქართველოს სუვერენიტეტისათვის, რაც მათვის საბედისწეროც აღმოჩნდა.



იტალიელი დიპლომატი ე. დალეჯიო დ'ალესიო (1888-1983) სტამბოლის ქართული კათოლიკური ეკლესიის შესახებ წერდა: „...საგანე არის არა მარტო სასულიერო დაწესებულება, არამედ მასთანვე ერთად არის პოლიტიკურიც... ამ საგანის კათოლიკე მღვდლები... დასაწყისიდან დღემდის არ დაერიდნენ თავიანთი საზოგადოების არსებობის განსაცდელში ჩაგდებას და გამსჭვალული დიდებულ მომავლის რწმენით, საქართველოს თავისუფლებისათვის პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა...“ [დალეჯიო დ'ალესიო, 1921:33].

სტამბოლის ქართველთა საგანეს ტრაგიკული ხვედრი ერგო. XIX-XX სს. მიჯნაზე რელიგიური განსხვავების გამო ქართველი ორთოდოქსი მრევლი მას არ წყალობდა. იგივე ბედი ჰქონდა მონასტერს 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები გაკვირვებულები დარჩნენ საგანის ბერების მხრიდან ქართული სახელმწიფოსთვის გაწეული საქმიანობის გაცნობით. საბჭოთა პერიოდში საგანე კონტრტერორისტულ დაწესებულებად მიიჩნეოდა და ყველაფერი გაკეთდა მისი დაკნინების

და სახელის მიჩქმალვისთვის. ერთ-ერთი პირველი მკვლევარი რომელმაც საბჭოთა პერიოდში წამოწია სავანის ისტორიის საკითხები იყო პროფ. შ. ლომსაძე (1925-2003). „ახალციხურ ქრონიკებში“ მან შეისწავლა და საზოგადოებას მიაწოდა სავანის ისტორია. სამწუხაროდ, საბჭოთა ცენზურის გამო მეცნიერმა სავანის ისტორიის მხოლოდ XIX ს-ის მონაკვეთი წარმოაჩინა. ხელისუფლების მხრიდან ასეთი დამოკიდებულების შედეგი იყო, რომ XX ს-ის 90 წლებამდე ქართულმა საზოგადოებამ სავანის ისტორიის შესახებ ნაკლებად ინფორმირებული იყო.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან, საქართველოს გამოსვლამ სსრკ შემადგენლობიდან (1991), თურქეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებამ (1992) და საკითხების ფართო სპექტრზე ე.წ. „საბჭოთა შეზღუდვების“ მოხსნამ, ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცათ შეესწავლათ ტაბუდადებული თემები. ამჯერად, სავანის ისტორიის შესწავლა ფართოდ მოექცა მეცნიერების კვლევის ობიექტში. პროფ. შ. ფუტყარაძე (დ. 1942) პირველი მკვლევარია, რომელმაც სტამბოლის ქართული კერა მონოგრაფიულად შეისწავლა [ფუტყარაძე, 2012]. მისი ძალისხმევით ბსუ-ში შეიქმნა სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის კვლევის ცენტრი (2013), მონასტრის მზრუნველი და მეცენატი სიმონ ზაზაძე (1933-2016) აირჩიეს უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად (15.07.1998). ასევე მეცნიერის ხელმძღვანელობით აღიწერა სავანის ბიბლიოთეკის წიგნადი (შიშლის უბანი, ქაზიმ ორბაის ქ. №27B) ფონდი (83 000 ერთეული) და 10 000-ზე მეტი ერთეულის სხვადასხვა საარქივო (მემუარები, ეპისტოლეები...) მასალა [ფუტყარაძე..., I, 2017; მალაყმაძე..., II, 2020], რითაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოვიდა სავანის ისტორიის ამსახველი მასალების მთელი სპექტრი.



ლოურდის ღვთის-მშობელი (სავანე)

სიმონ და პოლ ზაზაძეების არჩევამ საქართველოს სხვადასხვა ქალაქების საპატიო მოქალაქეებად და უნივერსიტეტების პროფესორებად, გაზარდა მონასტრის მიმართ საზოგადოების დაინტერესება. შესაბამისად, აუდიტორიას მიეწოდა სავანის ისტორიის შესახებ სხვადასხვა პუბლიკაციები [ფუტყარაძე, 2007; 2015; ნიკოლაიშვილი, 2007; მაჩიტაძე, 2018; ნაცვლიშვილი, 2019; ვარდოსანიძე, Maçitidze, 2010 და სხვ.]. საზოგადოების მხრიდან სავანის მიმართ დიდი ინტერესის მიუხედავად, მასალების სიმწირის გამო, მაინც რთულია

მისი ისტორიის სრული სურათის წარმოჩენა. წინამდებარე პუბლიკაცია ისტორიოგრაფიაში სავანის გარშემო არსებული მასალების ერთ სივრცეში თავმოყრის ერთ-ერთი ცდაა. დარწმუნებული ვართ, რომ სავანის შესახებ დამალული წარსული თუ თანადროული ისტორიის ამსახველი მასალა ჯერ კიდევ მის მკვლევარს ელის, რომლის წყალობით საზოგადოებისთვის არაერთი საინტერესო ფაქტი გახდება ნათელი.

სტამბოლის ქართველთა სავანეს არსებობა ორი პირის დამსახურება. პირველი გახლდათ სავანის დამაარსებელი და სამონასტრო პოლიტიკის წარმართველი აბატი პეტრე (პეტრა, ლუკა) ხარისჭირაშვილი (იგივე ხარიჩარიანთი, ხარისჯარანთი, 1818-1892). რაც შეეხება მეორე პიროვნებას, იგი იყო მეწარმე და ქველმოქმედი პავლე ზაზაძე (1900-1989). მისი ძალისხმევით, XX ს-ის 60-



პოლ და სიმონ ზაზაძეები

ლიერო პირების რიცხვის კრიტიკულად შემცირებით სავანის არსებობას საფრთხე დაემუქრა, პ. ზაზაძე იყო ის პიროვნება, რომელმაც ითავა მონასტრის მზრუნველობა. არსებითად, ქველმოქმედის და მისი ოჯახის ძალისხმევით სავანე მაშინ გადარჩა, იგი დღესაც ფუნქციონირებს და მის წიგნსაცავში არსებული არქივი ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გახდა.

ხარისჭირაშვილის და ზაზაძის დვაწლი სავანის წინაშე დიდია და არ ხერხდება განცალკევება, იმდენად გადაკვეთილია მათი საქმეები. საინტერესო სურათი დგება – საუბრობ ხარისჭირაშვილის და ზაზაძის საქმიანობაზე და იმავდროულად წარმოაჩენ სავანის ისტორიას, ანდა პირუკუ. სამწუხაროა, მაგრამ ამ დიდებული მამულიშვილების დამსახურებების წარმოჩენის წინაშე ქართული ისტორიოგრაფია ვალშია. ცალკეულ სტატიებს თუ არ მივიღებთ მხედველობაში მონოგრაფიულად პ. ხარისჭირაშვილის ბიოგრაფია 1895 წელს გამოცემულ ნაშრომში წარმოაჩინა მხოლოდ ზ. ჭიჭინაძემ (1853-1931). პავლე ზაზაძის შესახებ მხოლოდ ფრაგმენტული მასალაა გამოქვეყნებული. ეს გვაძლევს საფუძველს განვაცხადოთ, რომ ფართო აუდიტორიისთვის „ამაგდარი მამულიშვილების“ წვლილი საქართველოს წინაშე სრულად არ არის ცნობილი. საბჭოთა ეპოქაში ხარისჭირაშვილის სახელს ნაკლები „დიდება“ ჰქონდა. კონფესიური კუთხით და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის

ბრძოლაში შეტანილი წვლილის გამო, სტამბოლის ქართველთა კათოლიკური სავანე აკრძალულ დაწესებულებათა ნუსხაში იყო. არადა, აბატის საქმიანობას თვალს თუ გადავაკლებთ თამამად შეიძლება მას ვუწოდოთ XIX ს-ის „გრიგოლ ხანძთელი“. იგივე სურათი გვაქვს პ. ზაზაძის მიმართ. სამწუხაროდ, მეცენატის ცხოვრება-მოღვაწეობა, სამეწარმეო საქმიანობა, კათოლიკეთა საზოგადოების ფონდის თავჯდომარის როლში მისი და ზოგადად სავანის მიმართ ამაგის თაობაზე სრულყოფილი პუბლიკაცია არ მოგვეპოვება. არადა, ქველმოქმედი ამას ნამდვილად იმსახურებს.

გერმანელი მეცნიერი ჰეგელი (1770-1831) შენიშნავდა, რომ პიროვნების შეფასებისთვის საჭიროა „ისტორიული სიშორე“. იგი წერდა, რომ დიადი პიროვნებების საქმეებია – მათი სამყაროს განვითარების აუცილებელი უახლესი საფეხურის აღქმა, მისი მიზნად გადაქცევა და მის განხორციელებისთვის საკუთარი ენერჯის მასში ჩადება [Гринин, 2011:254-255]. ვფიქრობთ, რომ ამ ჭრილში უნდა წარმოვაჩინოთ ხარისჭირაშვილის ამაგი. ზ. ჭიჭინაძის შეფასებით პ. ხარისჭირაშვილი „...ისეთი მოღვაწე პირია, რომელსაც ქართველ კათოლიკეებში ცალი არ ჰყავს. ეს მაღლა იდგა თავის დროზე, თანამედროვე სამღვდელთაზე... საქართველოს გამო ერთ თავად გლოვა, წუხილი... მხოლოდ საქართველო უდგა თვალწინ“ [ჭიჭინაძე, 1895:22-23].



პეტრე ხარისჭირაშვილი

ხარისჭირაშვილი კომპოზიტორი გვარია. მას საფუძვლად ხელობის აღმნიშვნელი მეტსახელი (ხარისჭირა-ხარისმჭერა-ხარისმჭერი) დაედო. მათი წინარე გვარი უცნობია. წყაროებში ხარისჭირაშვილის სამ ვარიანტად დაფიქსირება მიუთითებს, რომ მისი გვარად ჩამოყალიბების პროცესი თურქული გარემოს გავლენით ნელა ვითარდებოდა. აბატის წინაპრები მართლმადიდებლები იყვნენ, რომლებიც XVIII ს-ში დამკვიდრებულან ახალციხეში და მიუღიათ კათოლიკური მრწამსი [ლომსაძე, 1995:31; ბერიძე, 2007:104].

აბატის ცხოვრება და მოღვაწეობა ნიმუშია იმისა თუ, როგორ არის შესაძლებელი პიროვნების ტრანსფორმირება სომხურ-კათოლიკური მრწამსიდან ქართული სულისკვეთებით ლათინურ წესზე. ყველგან, სადაც აბატი მოღვაწეობდა, ეს იქნებოდა ახალციხე, სტამბოლი თუ რომი, იგი მხოლოდ საქართველოს ხედავდა და ბრძოლას უცხადებდა ქართველი კათოლიკეების გასომხების პროცესს. აღნიშნულ საკითხში ხარისჭირაშვილის პოზიცია მკვეთრად

დაფიქსირდა ჯერ კიდევ ახალციხეში სომხური სემინარიის გახსნის საკითხთან დაკავშირებით, რასაც მოჰყვა მისი დაპირისპირება და შემდგომი რეპრესიები არქიმანდრიტ პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილი, 1769-1855) მხრიდან [ჭიჭინაძე, 1895:43-44; ფავლენიშვილი, 2019:159-160].

50-იან წლების მიწურულს ხარისჭირაშვილმა ევროპაში, ვენეციასთან წმ. ლაზარეს (San Lazzaro degli Armeni) კუნძულზე არსებულ მხითარისტების სომხურ-კათოლიკური სამონასტრო ორდენის ეკლესიაშია ანდა რომშია. არსებითად, ამ დროიდან იგი იწყებს თავისი გეგმის აღსრულებას. საქართველოში დაბრუნების შემდეგ, 1857 წლის 24 მარტს, ხარისჭირაშვილი ალფონს ხითარიშვილთან (1840-1909, შემდგომში სავანის წინამძღოლი (1898-1905) ერთად



წმ. ლაზარეს ტაძარი

ბათუმის გავლით სტამბოლში ჩავიდა [„იმერეთი“, 1914:2; ყრუაშვილი, 2014:56]. იქ მან ჩანაფიქრი გააცნო სომეხთა პატრიარქ ჰახუნიანს, რომელმაც მისი გეგმები არ მოიწონა. ამის მიუხედავად, ხარისჭირაშვილმა მაინც გააგრძელა ჩანაფიქრის აღსრულება. 1858-1859 წლებში მან პალესტინასა და ვენეციაში ყოფნის შემდეგ იგი 1859 წლის 7 მაისს კვლავ

ბრუნდება სტამბოლში [ფუტყარაძე..., I, 2017:266], სადაც უკვე აქცენტი აიღო ლათინ ღვთისმსახურებთან კავშირზე, რომელთა მეშვეობით იგი დაუახლოვდა სტამბოლში პაპი პიო IX (1846-1878) წარმომადგენელ მთავარეპისკოპოს ბრუნინის, რომლის კეთილგანწყობის მოპოვება შესძლო. ირკვევა, რომ ეპისკოპოსმა არათუ მოიწონა ხარისჭირაშვილის აზრი, არამედ მას და მის მოწაფეებს (ალფონს ხითარიშვილი, იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე და სტეფანე გიორგიძე) დროებითი თავშესაფარი მისცა მოწყალების დათა მონასტერში [„იმერეთი“, 1914:3].

ეპისკოპოსს ბრუნინის ძალისხმევით, 1860 წლის 16 მოემბერს, რომში გაიგზავნა წერილი, რომელშიც გაცხადებული იყო ქართველების მოთხოვნა – ქართული ენით და ტიპიკონით სტამბოლში ქართველი კათოლიკეების კონგრეგაციის დაარსების შესახებ. პასუხმაც არ დააყოვნა. 1861 წლის 15 იანვარს კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს პრეფექტმა ალესანდრო ბარნაბომ (1856-1874) დადებითი პასუხი მოსწერა ეპისკოპოსს [ფუტყარაძე..., I, 2017:266].

ირკვევა, რომ კონგრეგაციის დაფუძნებისთვის საჭირო იყო კერძო შენობის და მიწის ნაკვეთის არსებობა. ბედად, გამოჩენილა უცნობი ქველმოქმედი, რომლისგანაც სამმოს მიუღია მიწის ნაკვეთი. არადა, იმ მომენტისთვის გრანდიოზული საქმის წამოწყებისთვის მათ მხოლოდ 300 ფრანკი ჰქონდათ [„იმერეთი“, 1914:3; მალაყმაძე..., II, 2020:514-515], რაც საძირკვლის გათხრისთვის საკმარისი არ იყო. სამმოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ კერძო შემომწირველის დახმარებით მათ შესძლეს შეეძინათ 1230 არშინის (1=71,12 სმ., 1230X71,12=87 477,6) ნაკვეთი [ფუტკარაძე..., I, 2017:266], რომელსაც დაუმატეს პირადი სახსრებით ნაყიდი დამატებითი ტერიტორია, რაც საკმარისი ყოფილა და ბრუნონისაც მშენებლობის ვიზირება გაუცია [Maçitidze, 2010:2; მალაყმაძე..., II, 2020:515]. მართლაც, 1859 წელს, ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით ქართველ კათოლიკეთა სამმომ ფერიქოს უბანში (ქართ. „ფერიების სოფელი“. 1960 წლამდე ქუჩა იწოდებოდა „გურჯუ სოქაქი“-ს სახელით [ფუტკარაძე, 2012:29]), ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახვის სახელზე, საძირკველის გაჭრით, წამოიწყო ერთსართულიანი მონასტრის მშენებლობა [„იმერეთი“, 1914:3].



ალექსანდრო ბარნაბო

1861 წლის 10 თებერვალს ეპისკოპოსმა ბრუნონიმ ხარისჭირაშვილის მიერ შექმნილ ქართველ კათოლიკეთა სამმოს მიანიჭა იურიდიული პირის სტატუსი [პაპაშვილი, 1995:316]. ვიდრე მონასტერი შენდებოდა სამმო დროებით, მახლობლად მდებარე ლათინთა მონასტერში ადავლენდა წირვას [პაპაშვილი, 1995:316]. მონასტრის მშენებლობა დასრულდა 1861 წელს. მის შესასვლელ თაღზე ამოტვიფრული ყოფილა წარწერა – „წმინდაო მარიამ დაიცავი ივერიელნი“ [ლომსაძე, 1979:72-73; პაპაშვილი, 1995:317]. ქართველ კათოლიკეებისთვის მონასტრის გახსნა, სადაც წირვა ქართულ ენაზე აღესრულება, უპრეცედენტო შემთხვევა იყო ოსმალეთის იმპერიაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ XIX-XX სს. მიჯნაზე საზღვარგარეთ არსებული ქართული ეკლესია-მონასტრებიდან სავანე ჩამოყალიბდა ყველაზე მძლავრ რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო კერად.

ეკლესიის მშენებლობის ადგილად ქ. სტამბოლი შემთხვევით არ შეირჩა. ქალაქი უაღრესად სტრატეგიულ ადგილზე მდებარეობდა. საზღვაო და სახმელეთო გზების წყალობით იგი იყო არა მარტო მსხვილი სატრანსპორტო და სავაჭრო ჰაბი, არამედ სხვადასხვა რელიგიების სულიერი ცენტრი. ქალაქში

იყო აღმოსავლეთის კათოლიკური ეკლესიების ცენტრი. იქ ძლიერი პოზიციები ჰქონდათ საფრანგეთის მეორე იმპერიის (1852-1870) წარმომადგენლობას, რომლებიც მფარველობას უწევდნენ ქალაქში მცხოვრებ ლათინური წესის კათოლიკეებს. მხედველობაში ისიც არის მისაღები, რომ ისტორიულად ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-ოსმალური ურთიერთობები კონცენტრირდებოდა კონსტანტინოპოლ-სტამბოლში. ქალაქი, რომელიც ყოველთვის იზიდავდა ქართველ პოლიტიკოსებს, სასულიერო პირებს, მეცნიერებს, ვაჭრებს და ა.შ. დღეს ძნელია სტამბოლში ქართველების სხვადასხვა დასახლებების სურათის აღდგენა. მაგ., გალათას რაიონში დაფიქსირებული სახელი – „გურჯუ ქაფუ“-თი შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი საქართველოდან მიგრირებულების ტერიტორია იყო [ფუტკარაძე, 2007:12]. „ინი ჯამეს“ უბანში ქართველებს ჰქონიათ ქარვასლების და სავაჭრო სახლების სახით, ე.წ. ოდები.




ძველი სტამბოლი

1859 წლისთვის ასეთი „ოდები“-ს რიცხვი 21 აღწევდა [კოპლატაძე, 2007:25]. ახალციხელი ვაჭრების წყალობით სტამბოლში არსებობდა ქართველ კათოლიკეთა თემი, რომელიც საჭიროებდა ლათინური წესის ქართული მონასტრის არსებობას [ლომსაძე, 1979:71] და ა.შ.


რაც შეეხება ეკლესიის მშენებლობისთვის ფერიქოის ადგილის შერჩევას, უნდა ითქვას, რომ XIX ს-ის 50-იანი წლებისთვის იგი სტამბოლის ევროპული ნაწილის მიმდებარე ნაკლებად დასახლებული ტერიტორია იყო [Şenyurt, 2018:267]. შესაბამისად, იქ მონასტრისთვის ნაკვეთის შეძენა უფრო ხელმისაწვდომი იყო. მიიჩნევენ, რომ რაიონის სახელი მომდინარეობს ოსმალური სიტყვაა „fer’î“-სგან. XIX ს-ის ოსმალურ სტატისტიკურ ტაბულებში მას „Feriköy Mahallesi“ სახელით ვხვდებით. 1877 და 1890 წლების საბუთებში ოლქი მოხსენიებულია „Feri Karyesi“-თ, ხოლო 90-იანი წლებიდან რაიონის სახელია – „Feriköy“. ბოლო პერიოდში დომინირებული გახდა აზრი, რომ სახელწოდება მომდინარეობს ლევანტელი („აღმოსავლეთი“) ფრანგი ვაჭარ ვინმე პიერ ფერისგან, რომელმაც XIX საუკუნის დასაწყისში აღნიშნულ რაიონში ფრანგების პირველი დასახლება შექმნა [Şenyurt, 2018:266]. მიგრანტების წყალობით, სულ რაღაც 20 წელიწადში, ფერიქოი სტამბოლში უკვე გამოირჩეოდა ეთნიკური და რელიგიური მრავალფეროვნებით, სადაც ევროპელებთან ერთად ცხოვრო-

ბდნენ ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი სხვადასხვა ეროვნების (ბერძნები, სომხები...) ქრისტიანები. იმპერიაში მიღებული კლასიფიკაციით მათ უწოდებდნენ „უცხოელ ქვეშევრდომებს“ [Şenyurt, 2018:267].

შენიშნულია, რომ ეკლესიის მშენებლობის საქმეში ხარისხიანად მხარდაჭერა გაუწია მეწარმემ და ქველმოქმედმა იაკობ ზუბალაშვილმა (1792-1864). სამწუხაროდ, მასალების არქონის გამო ძნელია ეკლესიის მშენებლობის საქმეში ზუბალაშვილის დამსახურების აღნიშვნა. მიგვაჩნია, რომ ქველმოქმედის მხრიდან მსგავსი ფაქტის რეალობის შემთხვევაში მას აუცილებლად დააფიქსირებდა ზ. ჭიჭინაძე ქართველ კათოლიკე მეწარმეებზე მიძღვნილ ნაშრომში. ფერიქოის ეკლესიის მშენებლობის თანხასთან დაკავშირებით ჭიჭინაძე ზოგადად იფარგლება: „ხარისჭირაშვილმა თავის მეცადინეობით და შრომით ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოთ შორის შეკრიბა საკმარისად დიდი ფული“ [ჭიჭინაძე, 1895:51]. იგივე შეგვიძლია ვთქვათ შ. ვარდიძეზე, რომელმაც მონასტრის ისტორიაზე მიძღვნილ საგაზეთო პუბლიკაციაში [„იმერეთი“, 1914:3], ანდა საეკლესიო ქონების თაობაზე რაფიელ ივანიცკისადმი პოლემიკურ წერილში, ქველმოქმედის სახელს არ აფიქსირებს. უდავოა, რომ ასეთ დიდ საქმეს აბატი მარტო მრევლის შემოწირულობებით ვერ გააკეთებდა და მას სხვა სახსრებიც ექნებოდა.



შიშლის უბანი



*ფერიქოის უბანი
(პერვიტიჩის საკადასტრო რუკა – 1936)*

ვლის შემოწირულობებით ვერ გააკეთებდა და მას სხვა სახსრებიც ექნებოდა. ირკვევა, რომ ხარისჭირაშვილი და მისი სამმო უკიდურეს ნაბიჯზეც მიდიოდნენ, რასაც ნათელს ფენს პიო ბალიძის ნაამბობი: „მამა პეტრე იმთავითვე თავმდაბალი იყო, რო არ თავილობდა მათხოვრობას“. ერთხელ, პატრის მისთვის უთქვამს, რომ „დილით სათხოვრად გავდიოდი, სადამოთი მუშებს გავესწორებოდიო“ [ყრუაშვილი, 2014:56]. ანალოგიურად, ფინანსებს ეძიებდა სამოს სხვა წევრები.

თავდაპირველად, ხარისჭირაშვილის მიერ დაფუძნებულ კონგრეგაციაში პარალელურ ხმარებაში იყო ლათინური და სომხური რიტები. ამის მიუხედავად, კონგრეგაციამ განსხვავება შეიტანა – ისინი ლოცვებს, სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებს და გალობას ქართულად, ხოლო მესას კი ლათინურ ენაზე აღასრულებდნენ [თინიკაშვილი, 2017/2018:71]. სამმოს მხრიდან ბრძოლამ ბერძნულ-კათოლიკური რიტის ე.წ. „ქართულ ვარიანტზე“ თავისი შედეგი გამოიღო. 1864 წელს პაპის უმაღლესმა საკანონმდებლო და აღმასრულებელმა ორგანომ – კარდინალების კოლეგიამ (კონკლავი) გამონაკლისის სახით, მხოლოდ სავანისთვის ცნო ქართულენოვანი ტიპიკონი [ლომსაძე, 1979:72; 1984:166; ნაცვლიშვილი, 2019:351]. მართალია, ლიტურგიული თვალსაზრისით იგი ბერძნულ-კათოლიკურ (ბიზანტიური) რიტზე იყო, მაგრამ ფერიქოს ქართული კონგრეგაციამ მისი ე.წ. „ქართული ვარიანტი“ – მღვდლების ქართულ წესზე ურთხევის პრაქტიკა დაწერა. სამწუხაროდ, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო, 1874 წელს, პაპმა ქართველებს დროებით ამის უფლება ჩამოართვა [თინიკაშვილი, 2017/2018:71].



ფასადზე არსებული წარწერა

ფიდეს გადაწყვეტილება სტამბოლის ქართული კონგრეგაციის უდიდესი გამარჯვება იყო. თუ პარალელს გავავლებთ რუსეთის იმპერიის წიაღში ტვილისის და ქუთაისის გუბერნიაში შექმნილ ვითარებაზე, სადაც XX ს-მდე კათოლიკეებს ეკრძალებოდათ ბიზანტიურ-კათოლიკურ რიტზე ლიტურგიის ჩატარება და მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სომხურ წესს მისდევდა, მაშინ კიდევ უფრო გაიზრდება სტამბოლის ქართული კონგრეგაციის მიერ მოპოვებული გამარჯვების ფასი [ნაცვლიშვილი, 2019:351]. სულ მალე, ხარისჭირაშვილის მზრუნველობით, მამათა სავანის ახლოს დაარსდა დედათა მონასტერი. იგი საეკლესიოდ აღიარებული იქნა 1871 წლის 9 ივლისს. დედათა მონასტერი, სავანის მსგავსად, საფრანგეთის საელჩოს პატრონაჟის ქვეშ იყო. ამის გამო ისინიც ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ [ყრუაშვილი, 2014:56].

ხარისჭირაშვილთან ერთად სტამბოლის ქართული კონგრეგაციის პირველ ბირთვს შეადგენდნენ აბატის მოწაფეები – ა. ხითარიშვილი, ნებიერიძე, ი. გვარამაძე და ს. გიორგიძე. მონასტრის მშენებლობის დასრულების შემდეგ მათ შეემატათ: ე. ეხსანიშვილი, ი. მამუკაშვილი, მ. ხითარიშვილი და ბეთანოვი [„იმერეთი“, 1914:3]. თუმცა, ი. გვარამაძე სამმოს მალევე გამოაკლდა [ყრუაშვილი, 2014:56]. პრაქტიკულად თუ შევაფასებთ ხარისჭირაშვილის მიერ

წამოყვებულ გრანდიოზულ ჩანაფიქრს, შევნიშნავთ, რომ XIX-XX სს. ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში ქართული ტიპიკონისტვის ბრძოლას მხოლოდ მესხი კათოლიკეები წარმართავდნენ [ყრუაშვილი, 2018:169]. ამ ბრძოლის სათაო ორგანიზაცია იყო სტამბოლის ქართული კონგრეგაცია, ხოლო ანალოგიურ მისიას სამცხე-ჯავახეთში თანამოაზრეებთან ერთად აწარმოებდა ხარისჭირაშვილის იდეების გამგრძელებელი ი. გვარამაძე.

თავდაპირველად, ფერიქოის ეკლესია ღვთისმშობლის უბიწოდ (უმანკო) ჩასახვის სახელობის ყოფილა. ცხადია, ეკლესიისთვის ღვთისმშობლის სახელის შერჩევას ქართული ტრადიციიდან ალტერნატივა არ ჰქონდა. რაც შეეხება „უბიწოდ ჩასახვის“ სახელის მიკუთვნებას, იგი მომდინარეობდა ქალწული მარიამის შესახებ 1854 წლის პაპი პიუს IX (1846-1878) მიერ გამოცხადებული დოგმატიდან [<http://www.orthodoxy.ge/apologetika/katolitsizmi7.htm>]. ეკლესიის ფასადზე ამოტვიფრული ფრანგულ ენაზე შესრულებული წარწერა – N. D. DE LOURDES EGLISE GEORGIENNE F. 1861 R. 1901, მიუთითებს, რომ ფერიქოის ეკლესია თავდაპირველად ააშენეს 1861 წელს, ხოლო განახლეს 1901 წელს [ნაცვლიშვილი, 2019:354].



ტერიტორია XIX ს. 90-იან წლებში

რაც შეეხება ეკლესიის სახელწოდების ცვლილებას, შევნიშნავთ, რომ ლურდის წმ. მარიამისადმი თავყვანისცემა ლათინურმა ეკლესიამ ოფიციალურად დაამკვიდრა 1862 წელს. [ნაცვლიშვილი, 2019:355; <http://www.kovensky.ru/calendar/dml.html>]. მაშასადამე, ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ეკლესიის სახელწოდებაში ცვლილება უნდა მომხდარიყო 1862 წლის შემდგომ პერიოდში, უფრო ზუსტად კი ახალი შენობის მშენებლობის პროცესში. შესაბამისად, 1901 წელს, ახლად აშენებული ტაძარი უკვე „ლურდის ღვთისმშობლი“-ს სახელწოდებისაა. პრინციპში, სახელწოდებები „ლურდის ღვთისმშობელი“ და „ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვა“ ერთი არისა [ნაცვლიშვილი, 2019:355].

ლიტერატურაში არის ფერიქოის ქართული ეკლესიის პირველადი სახით აღდგენის ცდა, რასაც ყურადღება მიაქცია ნ. ნაცვლიშვილმა. მისი მხრიდან წარმოდგენილი ფოტოსურათებით ფიქსირდება ეკლესია და მის გარშემო არსებული სივრცე. სურათებით ირკვევა, რომ ეკლესია თავდაპირველად იყო

მცირე მოცულობის ერთსართულიანი უსახური ნაგებობა. ოთხსართულიანი შენობის გვერდით, რომელიც სავანის სამშობ 1894 წელს ააგო სკოლისთვის და ჰქონდა სასტუმროს დატვირთვაც, მიდგმულია სხვადასხვა სიმაღლის ოთხი ნაგებობა. ბოლო ნაგებობის წინ, უშუალოდ ქუჩის პირზე, დგას ორფერდა კრამიტით გადახურული დარბაზული ტიპის მცირე ზომის ერთსართულიანი ეკლესია. ეს უნდა ყოფილიყო ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ეკლესია. რაც შეეხება 1901 წლის შემდგომ სავანის ტერიტორიას, ამჯერად ფოტოზე



ტერიტორია 1901 წლის შემდგომ

უკვე ჩანს ახალი ნეო-გოთიკური სტილის დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელსაც უკავია ძველი ტაძრის და მიმდებარე ერთი ორსართულიანი ნაგებობის ადგილი [ნაცვლიშვილი, 2019:355-356; Natsvlishvili, 2015:79-80]. მათადაც, ეკლესიის თანამედროვე იერსახე არის XIX-XX ს-ბის მიჯნაზე სავანის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მიმდინარე ფართო რეკონსტრუქცია-მშენებლობის შედეგი, რაც სავსებით პასუხობდა ეპოქის არქიტექტორულ ტენდენციებს.

* * *

ნიშანდობლივია, რომ ხარისჭირაშვილი „ქართველობის საკითხს“ სხვებისგან, მათ შორის სამშობს წევრებისგან, განსხვავებულ ჭრილში უყურებდა. ამ შემთხვევაში აბატი გლობალური ხედვით გვევლინება. მან კარგად იცოდა, რომ მონასტრის არსებობა-ფუნქციონირებისთვის საჭირო იყო შესაბამისი კადრების მომზადება, რომლებიც მოემსახურებოდნენ სავანეს ანდა ანალოგიურ მისიას შეასრულებდნენ საქართველოში, სადაც სომხურის ნაცვლად ღვთისმეტყველებას ჩაატარებდნენ ბერძნულ რიტზე. ასევე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სავანის მეშვეობით ვატიკანისთვის და მთელი დასავლეთის სამყაროსთვის ქართველი კათოლიკეების არსებობის დადასტურებას [მაჭარაშვილი, 2018:164]. ამისათვის ხარისჭირაშვილმა მიზნად დაისახა სავანის ბაზაზე სამონასტრო სკოლის შექმნა. უნდა შევნიშნოთ, რომ XIX ს-ის მიწურულს ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში, ანდა საზღვარგარეთ,

სწორედ სავანის სკოლის აღზრდილებმა დაიწყეს ეროვნული იდენტობის დაცვა [ნაცვლიშვილი, 2019:353].

ოფიციალური სასკოლო სტატუსის მოპოვებისთვის ხარისჭირაშვილმა მოამზადა სკოლის შესაბამისი წესდება, რომელიც კონკლავმა 1864 წელს დამტკიცა [Maçitidze, 2010:2]. 1865 წელს სავანის ბაზაზე გაიხსნა ვაჟთა სასწავლებელი. XIX ს-ში ეს იყო უპრეცედენტო ფაქტი, რომლის ანალოგი არცერთ ქართულ ეკლესია-მონასტერს არ გაუკეთებია. 1755 წელს თბილისში გახსნილი საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სასწავლებლის – სემინარიის შემდეგ, იგი იყო ეროვნული ნიშნით შექმნილი პირველი სასწავლებელი. ფერიქოის სკოლის მნიშვნელობა იზრდება ქართველების გარუსება, გასომხების და გათათრების ფონზე, როდესაც თვით საქართველოში მოქმედ ტფილისის სასულიერო სემინარიაში (1817-1919), ქართულ ენაზე სწავლება არ მიმდინარეობდა. სავანის ბაზაზე გახსნილი სასწავლებელი მიიჩნევა ყველაზე ნათელ წერტილად. ყოველივე კი ხარისჭირაშვილის ჩანაფიქრის მნიშვნელობას უფრო ზრდის. აბატის გეგმით სავანეს შეეძლო საქართველოს „მომარაგება“ ქართულ ენაზე მოსაუბრე სასულიერო პირებით, რომელთა უმთავრესი დანიშნულება იქნებოდა მრევლში ეროვნული სულისკვეთების გავლივა.



პ. ტატალაშვილი და შ. ვარდიძე ქართველ სტუდენტებთან ერთად

სკოლის პირველ მოსწავლეებად შეირჩა სტამბოლში მყოფი ქართველები, მათ შორის მუსლიმი ყმაწვილები. დაუზუსტებელი ცნობით სკოლის კონტინგენტი 100 მოსწავლით განისაზღვრა [ჭიჭინაძე, 1895: 54-55]. სკოლის განსაკუთრებულობა ის იყო, რომ სარწმუნოების ნიშნით იქ არ ხდებოდა კონტინგენტის დახარისხება, ამიტომაც იყო, რომ მასში გვერდიგვერდ სწავლობდნენ კათოლიკე, არაკათოლიკე და მაჰმადიანი მოსწავლეები [ლომსაძე, 1979:80]. თავდაპირველად სწავლის ხანგრძლივობა ორი წელი იყო, რომელიც XIX ს-ის 70-იან წლებში სამ წლამდე გაიზარდა. შემდგომში, საფუძველი ჩაეყარა სემინარიასაც, რისთვისაც 1894 წელს, სავანის საძმომ წამოიწყო ოთხსართულიანი შენობის მშენებლობა [ლომსაძე, 1979:79; Maçitidze, 2010:2].

ფერიქოის სკოლა ფართო განათლებას იძლეოდა. მოსწავლეების ასაკი იყო თხუთმეტი წელი და ზევით. თუ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში

ყველა საგნის სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა, სავანის ბაზაზე შექმნილი სკოლა ეროვნულ პოზიციაზე იდგა. დაწყებითი კლასში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე. რაც შეეხება მაღალ საფეხურზე სწავლებას, იქ საღვთისმეტყველო საგნების გარდა ყურადღება ექცეოდა სხვადასხვა ენების (ლათინური, ფრანგული, ოსმალური და ბერძნული) შესწავლის საკითხს. ასწავლიდნენ საქართველოს ისტორიას, ქართველ კათოლიკეთა ისტორიას, სასულიერო და საერო მწერლობას და სხვ. [ჭიჭინაძე, 1895:55; Maçitidze, 2010:2-3]. მოსწავლეებში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა შოთა რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“. სხვათა შორის, 1874 წელს მოსწავლეებისთვის სავანის სტამბაში დაბეჭდეს გენიალური მწერლის სურათი [ლომსაძე, 1979:80].

ჩანს, სავანეში სკოლის გახსნამ თავისი შედეგი გამოიღო. 1876 წლისთვის მის ბაზაზე უკვე ფუნქციონირებდა ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები [ფუტკარაძე, 2007:15], სადაც ქართველებთან ერთად სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც სწავლობდნენ. რაც შეეხება უმაღლესი სასულიერო განათლების დაუფლებას, სკოლის კურს დამთავრებულებს სავანე საკუთარი ხარჯებით ვიზირებას უკეთებდა მონტობანის (საფრანგეთი) სასწავლებელში [ჭიჭინაძე, 1895:60]. იყო სხვა სასწავლებელში გაგზავნის პრაქტიკაც. მაგ., ესპანეთში სწავლის გასაგრძელებლად კონკურსში გამარჯვებულ მიხეილ თამარაშვილს



მერაბ (იოსებ) მერაბიშვილი

(1858-1911) თან გაჰყოლია სკოლის მასწავლებელი, რომელიც პირადად დასწრებია სემინარიაში მის გამოცდებს [ლომსაძე, 1964:9; თინიკაშვილი, 2017/2018:65]. და ეს ცალკეული შემთხვევა არ იყო. ზოგადად, ყველა წარჩინებული მოსწავლისთვის პირობად იყო – სწავლის გაგრძელება და კვალიფიკაციის ამაღლება რომის უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, ხოლო მისი დასრულების შემდეგ მღვდლის სტატუსით დაბრუნება საქართველოში.

პედაგოგთა კოლექტივი სკოლაში ძირითადად სავანის სამძოდან იყო შერჩეული (მაგ. მ. მერაბიშვილი ასწავლიდა ფრანგულ ენას და ა.შ.). იყო შემთხვევაც, როდესაც სკოლაში მოუწვევიათ მუსლიმი პედაგოგებიც. მაგ., სკოლის დირექტორმა ა. წინამძღვრიშვილმა მასწავლებლად მიიწვია ადგილობრივი მუსულმანი ქართველი – სელალ ეფენდი მემარნე (მემარნიშვილი) [Maçitidze, 2010:4].

დაწყებითი განათლება ერთწლიანი იყო, რაც ზემდგომი საფეხურისთვის მოსამზადებელ ფუნქციას ისახავდა. სკოლაში ერთგვარი ნოუ-ჰაუ იყო პატრი შალვა ვარდიძის მიერ მომზადებული ოთხწლიანი პროგრამა, რომლითაც მნიშვნელობა მიენიჭა მოსწავლეებში სამეცნიერო-კვლევითი უნარების სწავლებას. ასევე სიახლე იყო ხმოვანი გაკვეთილების ჩატარების პრაქტიკა. სიახლეები ინერგებოდა ფრანგული განყოფილების პროგრამაშიც. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, ამ შემთხვევაში სკოლა სარგებლობდა სავანეს სტამბაში დაბეჭდილ სხვადასხვა წიგნებით [Maçitidze, 2010:4].

სასწავლო პროცესის გარდა სკოლაში მიღებული იყო კლასგარეშე აქტივობა, რაც მოსწავლეებში სხვადასხვა უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობდა ხელს. ისინი ასტიმულირებდნენ მოსწავლეებს შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, ასწავლიდა გუნდურად ცხოვრება-მუშაობას და ა.შ. სკოლის მოსწავლეები ქართულ, ოსმალურ და ფრანგულ ენებზე სხვადასხვა თემატიკაზე აწობდნენ სადამოებს. ყოველწლიურად 14 იანვარს იმართებოდა წმ. ნინოს სახელზე მიძღვნილი დღესასწაული [ფუტკარაძე, 2007:22], რომელშიც მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობენ სასულიერო პირებიც. იყო სხვა ფაქტიც. მაგ., 1898 წლის 8 მაისს სკოლის მოსწავლეებს ქართულ, ოსმალურ და ფრანგულ ენებზე ჩაუტარებიათ წარმოდგენა [ლომსაძე, 1979:84]. ანდა, 1908 წლის 26 აპრილს სკოლაში



ანდრია
წინამძღვრიშვილი

აღნიშნეს აკაკი წერეთლის (1840-1915) შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სადამო. 1894 წელს გამართულ სადამოზე 40 ოქროზე მეტი შემოსავალიც შემოსულა, რომელიც სამმოს გამოუყენებია მონასტრის მიმდებარე ოთხსართულიანი შენობის მშენებლობისთვის [ფუტკარაძე, 2007:22; 2012:27]. არის ინფორმაცია, რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას ღებულობდნენ ოსმალეთის იმპერიაში მიღებულ რელიგიურ და სახელმწიფო ღონისძიებებში და სხვ. [ლომსაძე, 1964:87; 1984:188; ფუტკარაძე, 2007:21-22; Maçitidze, 2010:5].

უნდა ითქვას, რომ სავანის მღვდელთმსახურებმა, საფრანგეთის საელჩოს პატრონაჟით, სტამბულში შესძლეს სასკოლო ქსელის გაფართოება. XIX ს-ის 70-80 იან წლებში ქართველების სამმოს სტამბოლში სხვადასხვა რაიონში ოთხი სკოლა ჰქონდათ – პერაში, წმ. იოსების, უსკუდარის, ფერიქოსის და დარდანელის სკოლები [პაპაშვილი, 1995:319]. მათგან მთავარი, საბაზისო, მაინც

სავანის სკოლა იყო. სკოლებში განათლების მიღება შესაძლებელი იყო ქართულ-ფრანგულ, ოსმალურ-ფრანგულ და ბერძნულ-ფრანგულ ენებზე. რადგან ფერიქოში იყო დედათა მონასტერი, ამიტომაც მის ბაზაზე ფუნქციონირებდა ქალთა სასწავლებელიც. სამონასტრო მშენებლობისთვის და სასკოლო ქსელის გამართულად მუშაობისთვის 1885 წელს საფრანგეთის საელჩომ ქართულ კათოლიკურ თემს 300 ოქროს მონეტა გადასცა.

1896-1897 წლებში ფერიქოის ქართული სკოლაში მოსწავლეებს ღვთისმეტყველებას და ფილოსოფიას ასწავლიდა მიხეილ თამარაშვილი [ლომსაძე,



1964:89]. ღვთისმეტყველების დოქტორის და პრესტიჟული სასწავლებლის კურსდამთავრებულის მხრიდან სკოლაში მუშაობის დაწყება სავანისთვის სახელი იყო. მეცნიერმა შესძლო სასწავლო პროგრამის გამრავალფეროვნება.

თვითონაც შენიშნავდა, რომ „მაღალი სწავლება ჩვენს სკოლაში სრულებით არ იყო, ისიც შემოვიტანე“ [ლომსაძე, 1964:90]. სამწუხაროდ, სკოლაში მ. თამარაშვილის მოღვაწეობა დიდხანს არ გაგრძელდა. მართალია იგი სავანის აღზრდილი იყო, მაგრამ ამჯერად მის კრედიტში არ ჩაჯდა წინამძღოლის ს. გიორგიძის მხრიდან სკოლის მართვის სტილი. მას მიაჩნდა, რომ სავანის წინამძღოლი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა სასკოლო განათლებას. ამ და სხვა გარემოებების გამოც, მან სკოლაში მუშაობას თავი დაანება [ლომსაძე, 1964:21].

ფერიქოის ქართული სკოლის შესახებ ქართველი საზოგადოება მეტ-ნაკლებად ინფორმირებული იყო. მაგ., 1897 წლის 3 ივლისს, იასე რაჭველი (იოსებ მეხუზლა, 1860-1919), დასწრებია სავანის ბაზაზე არსებულ ქართულ-ფრანგულ სკოლაში მიმდინარე გამოცდას და შთაბეჭდილებას გაზ. „ივერიის“ მეშვეობით იგი უზიარებდა მკითხველს: „...ამ წელს სწავლობდა სულ ათი ყმაწვილი მესხ კათოლიკები. ყმაწვილებმა ზედმიწევნით კარგად იცოდნენ ქართული კითხვა, ცოტა წერა, გრამატიკა და ხალხური სიმღერები, ფრანგულ ლათინურად გვარიანად იცოდნენ... კმაყოფილი დავრჩით... დავარიგეთ საყმაწვილო წიგნები, რომელიც შემოსწირეს ჩვენს სკოლას ბ-ნთ იოსებ ლეჟავამ და მაქსიმე შარაძემ თექვსმეტი ცალი პატარ-პატარა წიგნაკები... ეს წიგნაკები დიდის სიხარულითა და პატივით მიიღეს პაწაწინა მესხებმა, რომლების მომავალისაც ჩვენ დიდი იმედი გვაქვს“ [„ივერია“, 1897, №185:4; ლომსაძე, 1979:80-81].

XX ს-ში ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ბატალიებმა ქართული სკოლების არსებობას დაღი დაასვა. ისინი ერთიმეორეს მიყოლებით დაიხურა.

ყველაზე დიდხანს მაინც სავანის სკოლამ იარსება, რომელიც 1914 წელს დაიხურა [Maçitidze, 2010:5]. კურსდამთავრებულებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი სახეები, როგორებიც იყვნენ – შ. ვარდიძე, მ. თამარაშვილი, მ. თარხნიშვილი და სხვ., რომლებმაც ქართული კულტურა და ისტორია გააცნეს მსოფლიოს.

* * *

ხარისჭირაშვილის და ზოგადად სტამბოლის ქართული კათოლიკური თემის მიღწევა იყო 1870 წელს სავანის ბაზაზე სტამბის შექმნა და საგამომცემლო საქმიანობის წამოწყება. აბატმა კარგად იცოდა „გაქართველების პროცესში“ საგამომცემლო საქმიანობის ძალა, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე საეკლესიო და საერო წიგნების თარგმნა-გამოცემით შესაძლებელი იყო მთავარი მიზნის მიღწევა. არსებითად, საგამომცემლო საქმიანობის წამოწყებით ხარისჭირაშვილი სასულიერო პირის გარდა წარმოჩნდა, როგორც მაღალი მატერიისთვის მებრძოლი საერო მოღვაწე.

სასტამბო საქმიანობას ხარისჭირაშვილი დაეუფლა წმ. ლაზარეს კუნძულზე არსებულ მხითარისტების სომხურ მონასტერში, სადაც თავის დროზე, მოღვაწეობისას, მას რამდენიმე წიგნი დაუბეჭდია [ჭიჭინაძე, 1906:64; ლომსაძე, 1979:70; ნიკოლეიშვილი, 2007:44]. შემდგომში, აბატმა საჭირო ქართული შრიფტები მისთვის ნაცნობ სომხურ ეკლესიაში შეიძინა [ჭიჭინაძე, 1895:48; 65] და 1870 წელს (ზ. ჭიჭინაძე ახსენებს 1872 წელს [ჭიჭინაძე, 1916:164]) სავანეში წამოიწყო საგამომცემლო საქმიანობა. „სტამბახანა“-ს ხელმძღვანელად დაინიშნა ანტონ გოზალიშვილი (იგივე ანტუან გვიზელიანი) [ლომსაძე, 1979:73; 1964:69]. სტამბაში ძირითადად დასაქმებული იყვნენ ადგილობრივი კადრები – სავანის ბერები და იქ აღზდილი მოწაფეები. ანალოგიურად სასტამბო საქმე ხარისჭირაშვილმა წამოიწყო სამხრეთ საფრანგეთში, მონტობანის მონასტერში [ჭიჭინაძე, 1895:65].

შემოწირულობის გარდა გამომცემლობის შემოსავალი იყო წიგნების რეალიზაციიდან შემოსული თანხა. ეს გარემოება მათ აიძულებდათ შეეფასებინათ თითოეული წიგნი. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა გამართული ქართული ენით შესრულებულ ნაშრომებს. ამ მხრივ ხარისჭირაშვილისთვის სანიმუშო ყოფილა გაზ. „დროების“ ენის სტილი. გამომცემლობაში დედნის წარდგენა სამ ეგზამპლარად ხდებოდა. მათგან ერთი ინახებოდა მონასტრის ბიბლიოთეკაში, მეორე ეგზემპლარი დედათა სავანეში, ხოლო მესამე ცალი მიდიოდა უშუალოდ სტამბაში [ლომსაძე, 1964:69; 1979:73-74]. წიგნები იბეჭდებოდა ქართულ და ფრანგულ ენებზე. ისინი იყო ორიგინალური ნაშრო-

მეზი ანდა თარგმნილი სომხური, ლათინური და ფრანგული ენებიდან. სამწუხაროდ, ხარისჭირაშვილის ხელმძღვანელობით გამოცემული წიგნების მხოლოდ ნაწილის დასახელება შეგვიძლია. მათგან უნდა გამოვყოთ ფრანგულ ენაზე გამოცემული „წმ. ნინოს სურათი“ (1879), ძველი და ახლი აღთქმა, წმინდანების ცხოვრება, „იგავნი ეზოპეს ფილოსოფოსისა“, „გეოგრაფია“, ი. გვარამაძის „გვირგვინი წამებულთა“, „ყვავილის კონა ყმათა“ (1875), „მოკლე რეტორიკა“ (1877), „მოკლე ფრანგულ-ქართული ღრამატიკა“ (1881), „ისტორია საზოგადო“ (1877), „საქართველოს რუკა“ (1877) და სხვ. [ჭიჭინაძე, 1895:66-71]. მარტო ჩამონათვალი მიუთითებს საგამომცემლო კოლექტივის მუშაობის მრავალფეროვნებას.

ერთი პერიოდი ფერიქოის სამმოს მოუხერხებია სავანის და მონტობანის სტამბებში დაბეჭდილი წიგნების მიწოდება ქართველი ადრესატისთვის. მაგ., 1880 წლის გაზ. „დროება“ ასახელებდა ოთხ ქალაქს (თბილისი, ქუთაისი, გორი და ახალციხე) და კონკრეტულ მაღაზიებს, სადაც შესაძლებელი იყო „სახელმძღვანელო და სასარგებლო წიგნები“-ს შეძენა. მარკეტინგული თვალსაზრისით გაზეთი აქვეყნებს მათ სიასაც:

- | | |
|-------------------------------|-------------------------------|
| 1. „წინამძღვარი ზეცისა“; | 6. „მოკლე გეოგრაფია“; |
| 2. „გზა ცხოვრებისა“; | 7. „ყვავილების კონა“; |
| 3. „სიბრძნე კაცობრივი“; | 8. „წმიდათა ცხოვრება“; |
| 4. „ბრძენი კაცი“; | 9. „ეზოპის ფილოსოფოსი იგავნი“ |
| 5. „მოკლე ქართული ღრამატიკა“; | 10. „პორტრეტი წმ. ნინა“. |

დასახელებული წიგნები რელიგიურ-ფილოსოფიური ანდა სასწავლო დანიშნულებისა იყო. როგორც საგაზეთო ანოტაციიდან ჩანს ისინი განკუთვნილი იყო სასულიერო და საერო პირებისთვის. კათოლიკეებისთვის გაზეთი ასევე ასახელებს სახელგამში არსებულ კიდევ ოთხი („თან-სატარებელი ლოცვის წიგნი“, „წალკოტი ლოცვათა“, „საქრისტიანო მოძღვრება“ და „პატარა საქრისტიანო მოძღვრება“) და მომავალში მისაღები წიგნების სათაურებს [„დროება“, 1880:4], თუმცა არ კონკრეტდება მათი გამომცემლობა. სავარაუდოდ, ისინიც სტამბოლის და მონტობანის სტამბაში უნდა ყოფილიყო დაბეჭდილი. ჩვენს ვარაუდს ის გარემოება ამაგრებს, რომ კათოლიკეებისთვის ქართულ ენაზე წიგნების ლოჯისტიკა მხოლოდ ფერიქოის ქართველთა კონგრეგაციის მენეჯმენტით იყო შესაძლებელი.



თემატიკის მრავალფეროვნების მიუხედავად, სტამბოლში და მონტობანში დაბეჭდილი წიგნები ისე სწრაფად არ ვრცელდებოდა, როგორც მის ავტორებს სურდათ. ი. გვარამაძის მიერ ხარისჭირაშვილისადმი მიწერილი წერილის

საფუძველზე, ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მიზეზი იყოს სავანის ბერების მხრიდან ახალი სალიტერატურო ქართულ ენაზე წერის სირთულე, რის გამოც მკითხველს უჭირდა წაკითხული შინაარსის სრული აღქმა [ვადაჭკორია, 2015:10]. შესაძლო ეს ასეც იყო. ფაქტია, რომ სტამბოლელი ქართველები თავდაპირველად საუბრობდნენ იმ ქართული ენით რაც მიღებული იყო XIX ს-ის 50-60-იანი წლების საქართველოში. ილია ჭავჭავაძის (1837-1907) ძალისხმევით ენის ახალი სტილის დანერგვას დრო სჭირდებოდა. ენობრივ ხარვეზს ხარისჭირაშვილიც ხვდებოდა, ამიტომაც აბატი ივანე გვარამაძეს და სხვებსაც სთხოვდა, რომ წიგნები „სუფთა და ცოცხალ ქართულზედ დამიმზადებთ“ [ყრუაშვილი, 2014:59]. თუ გადავხედავთ XX ს-ის I ნახევარში სავანის სტამბაში დაბეჭდილ პუბლიკაციებს, დავინახავთ, რომ მათი ენის სტილი უკვე დროის რეალობას მიყვებოდა. მიგვაჩნია, რომ წიგნების გაყიდვის ტემპის კლების მიზეზი უფრო ობიექტურ გარემოებაში (კონფესიური სხვაობა, რუსიფიკატორული პოლიტიკა, სომეხი კათოლიკეების მხრიდან წინააღმდეგობა...) უნდა ვეძებოთ. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ხარისჭირაშვილის მიერ განსაზღვრული წიგნების თემატიკას თავის დროზე არ იზიარებდა სამძოს ნაწილი, რომლებიც აბატს ურჩევდნენ ე.წ. „სახალხო წიგნების“ ბეჭდვას. მაგ., პ. კალაიჯიშვილი აბატს უსაბუთებდა, რომ „ხალხი მიეჩვევა ამ წიგნების კითხვას, მერე შეიძლება მიაყოლოს ის სერიოზონი წიგნებიცა. სხვაფრივ კი უნაყოფოდ დარჩება და ხალხი უფრო დაფრთხებაო“ [ლომსაძე, 1964:71]. ჩვენთვის უცნობია კალაიჯიშვილისადმი აბატის პასუხი, ფაქტია, რომ ხარისჭირაშვილი შენიშვნა-კრიტიკის მიუხედავად, მას აღებული ჰქონდა გეზი, რომელსაც იგი ბოლომდე მიყვებოდა.



სამწუხაროდ, ვერ ხერხდება სავანეს სტამბაში დაბეჭდილი წიგნების სრული ნუსხის დადგენა, მაგრამ ნაბეჭდი პუბლიკაციის სახელწოდებებს თვალს თუ გადავავლებთ დავინახავთ, რომ თემატიკას განაპირობებდა საქართველოში შექმნილი გარემო. თუ, XIX ს-ში, გამოცემული წიგნების უმეტესობა იყო საეკლესიო შინაარსის, ანდა ე.წ. „სახალხო წიგნები“-ს კლასტერს განეკუთვნებოდა, XX ს-ის დასაწყისში დომინირებული გახდა პოლიტიკური და სამეცნიერო ჟანრის თემატიკა. აშკარა იყო, რომ თემატიკის ტრანსფორმაცია საქართველოში

თველოს ბაზრიდან გამომდინარე დროის მოთხოვნით იყო განპირობებული. არსებითად, პოლიტიკური ჟანრის პუბლიკაციებს, რომლების დაბეჭდვა ცენზურის გამო რთული იყო საქართველოში, სავანის სტამბაში ადგილობრივი ბერების მხარდაჭერით ვიზირება ეძლეოდათ. სწორედ სავანის სტამბაში დაიბეჭდა პ. სურგულაძის (1917; 1918), ნ. ჟორდანიას (1923), ვ. ალიხანაშვილის (1923), პ. მოსულიშვილის (1924) და სხვების ნაშრომები. ასევე ქართული ემიგრანტული პოლიტიკური ჟურ. „თავისუფალი საქართველოს“ (1921) პირველი ნომრები. სამწუხაროდ, 1921 წელს, რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური დაახლოებების შემდეგ, გაზეთის გამოცემა შეწყდა [Vardidze, wikipedia]. საისტორიო ჟანრის პუბლიკაციებიდან გამოვყოთ პ. ინგოროყვას (1918), მ. წერეთელს (1924), ა. მანველიშვილს (1933) და სხვ. [ნიკოლაიშვილი, 2007:48].



უცხოური ენებიდან თარგმნილ წიგნებზე მიღებული იყო მკითხველისთვის განმარტებითი ბარათის წამდვარების პრაქტიკა. მაგ., შ. ვარდიძე მის მიერ თარგმნილ რ. ჟანენის წიგნის შესავალში წერდა: „ქართველი მკვლევარები დღემდის ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ სხვა და სხვა უცხო ქვეყნებში ყოფილ სავანეებს, სადაც საუკუნეთა განმავლობაში ქართველმა ერმა ღირსეულად გამოამჟღავნა თავისი შემოქმედებითი ნიჭი და კულტურული ძლიერება. დასავლეთის მწერალთა ყურადღება კი უფრო ამან მიიზიდა და... აღძრა მათში ის თანაგრძნობა და პატივისცემა... ჩვენი დიდებული წარსულის დაკარგვა უფრო მეტად აწუხებს ზოგიერთ შეგნებულ უცხოელებს, ვიდრე ჩვენ. და თუ ეს წიგნი „ქართველები იერუსალიმში“ ვსთარგმნეთ და დღეს ქართველ საზოგადოებას ვაწვდით, სხვათა შორის, გვსურს უჩვენოთ ყველას, რამდენად აფასებს და პატივისცემს უცხოელი ჩვენს წარსულ შემოქმედებას და დიდებას“

[ჟანენი, 1921:6].

სავანის გარდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამმომ საგამომცემლო საქმიანობა 1874 წელს (გრიგალაშვილი 1875 წლით ათარიღებს) წამოიწყო მათ მიერ საფრანგეთში ქ. მონტობანში მოქმედ მონასტერში, რისთვისაც სამმოს პარიზში 500 ფრანკად შეუძენიათ სასტამბო დაზოგა [ლომსაძე, 1964:75; გრიგალაშვილი, 2018:165]. ეს იყო ფერიქოის სამმოს დიდი მიღწევა. მონტობანის

სტამბაში წარმატებით მოღვაწეობდა მღვდელი ი. წალდაძე (წალდაძე) [ფავ-
ლენიშვილი, 2019:169]. ირკვევა, რომ ე.წ. სტამბოლის და მონტობანის სტა-
მბებში ქართველთა სამოს წიგნების ბეჭდვა განაწილებული ყოფილა თემა-
ტიკის მიხედვით. მონტობანის სტამბაში ძირითადად იბეჭდებოდა ლექსიკო-
ნები და ე.წ. „სასოფლო სკოლებისთვის“ განკუთვნილი სახელმძღვანელოები.
საყურადღებოა, რომ „სასოფლო სკოლებისთვის“ განკუთვნილი წიგნები „ადვი-
ლად სასწავლებელ მეთოდზე“ იყო აგებული [ლომსაძე, 1964:77]. 1877-1881
წლებში ორივე გამომცემლობაში დაბეჭდილია 25 სხვადასხვა დასახელების წი-
გნები, რომელთა ნაწილი გაუვრცელებიათ საქართველოში [ლომსაძე, 1964: 79;
1979:76]. სამწუხაროდ, 80-იან წლებში მონტობანის ქართული სავანე დაიხურა,
რასაც მოჰყვა იქ არსებული საგამომცემლო საქმიანობის შეწყვეტა, რაც ჭიჭი-
ნაძის მიხედვით 1890 წელს მოხდა [ჭიჭინაძე, 1916:164]. რაც შეეხება იქ არსე-
ბულ საბეჭდ მოწყობილებას, ისინი გადმოტანილი იქნა ფერიქოის მონასტე-
რში, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულა სავანეში წიგნების ბეჭდვის სა-
ქმე [ლომსაძე, 1964:75; ნიკოლეიშვილი, 2007:45].

არსებითად, სავანის ბაზაზე სტამბის გახსნით, საგამომცემლო საქმიანო-
ბის წამოწყებით და შესაბამისი წიგნადი ფონდის შექმნით, დიდი და საშვი-
ლიშვილო საქმე გაკეთდა. ხარისჭირაშვილის ხედვით, სავანეს ლოჯისტიკის
კუთხით, ქართულ ენაზე არსებული წიგნებით, საქართველოში უნდა მოემა-
რაგებინათ „სოფლის გლახაკი საზოგადოება...“, რათა განღებოდათ სწავლის
კარი თავის შვილებს და უწინდელივით აღარ აზრდილიყვნენ ყოვლითურთ
უსწავლელათ და უმეცრად“. აბატის მხრიდან ეს იყო გრანდიოზული წამოწ-
ყება. არადა, ეს ის პერიოდია, როცა თერგდალეულებმა წინა პლანზე წამოსწიეს
ეროვნული ენის მნიშვნელობის საკითხი. ამ შემთხვევაში სავანის კოლექტივი
გრანდიოზული ჩანაფიქრით გვევლინება. თითქოს თანმხვედრი პროცესები
იყო, მაგრამ აღნიშნული წამოწყება ჩაიშალა. თვით აბატი განმარტავდა სა-
ვანეში წამოწყებული საგამომცემლო საქმის მნიშვნელობას. იგი წერდა: „რა-
დგან დიდად მიგვაჩნია საქართველო და გვექონდა ნატვრა მისდამი სამსახურის
ჩვენისა, ყოველ ნაირი მძიმე შრომა და ნაწარმოების მსხვერპლი თავზედ
ავიღეთ, რათა მისცემოდა საქართველოს საზოგადოებას შემწეობა და წარმა-
ტება სწავლაში და მისის მომავალ ახალ თაობასაც საშუალება მეცნიერებაში და
სხვანი“ [ჭიჭინაძე, 1895:72-73].

სავანის სამო ზრუნავდა სტამბის მოდერნიზაციაზეც. ჩანს, დროთა გა-
ნმავლობაში სავანეში არსებული და მონტობანიდან ჩამოტანილი წიგნის სა-

ბეჭდი დაზგები მოძველდა, ამიტომაც, 1913 წელს, მათ თბილისიდან 100 მანეთის ღირებულების ახალი ქართული შრიფტები შეიძინეს [ჭიჭინაძე, 1916:319; ნიკოლაიშვილი, 2007:45]. 1914-1915 წლებში ასოთამწყობად სავანის სტამბაში მუშაობდა თბილისიდან დევნილი პროფესიონალი რეგოლუციონერი და მესტამბე, არალეგალური გაზეთ „დილას“ პასუხისმგებელი რედაქტორი სოლომონ ვადაჭკორია (1880-1928).

1908 წელს სავანის საეკლესიო ბიბლიოთეკას აკაკი წერეთლის სახელი მიეკუთვნა [ფუტკარაძე, 2007:15]. ნიშანდობლივია, რომ ბიბლიოთეკის კურატორებმა იმთავითვე კავშირები დაამყარეს ქართულ საზოგადოებასთან. მაგ., მათ სთხოვეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას სავანის ბიბლიოთეკა მოემარაგებინათ წიგნებით, პრესით, საზოგადო მოღვაწეების და მწერლების სურათებით [მაღაყმაძე..., II, 2020:422]. დღეისთვის, სავანის წიგნად ფონდში ინახება ქართულ, ფრანგულ, იტალიურ, ბერძნულ, ლათინურ, სლავურ, თურქულ და სხვა ენებზე (სულ 17 ენაზე) ასობით წიგნი თუ ხელნაწერი. წიგნების ასაკი იწყება 1523 წლიდან. იქვეა იტალიელი მისიონერის და მეცნიერის ფრანცისკო-მარია მაჯოს (1612-1686) მიერ 1670 წელს რომში გამოცემული წიგნი „ქართული ენის გრამატიკა“, სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „სიტყვის კონა“ და სხვა კლასიკოსების ნაწარმოებები. შემონახულია 1857-1982 წლების კერძო თუ ოფიციალური ეპისტოლეები. აქვე ინახება 1885-1919 წლებში ათონის მონასტრიდან სტამბოლში ჩატანილი ქართულ-ბერძნულ ენებზე შესრულებული საქმიანი ქაღალდები და საისტორიო წყაროები [ფუტკარაძე, 2007:25]. არის XIX-XX სს. საფრანგეთსა და საქართველოში გამომავალი სხვადასხვა ქართული ჟურნალ-გაზეთები და სავანის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები და ა.შ.

ლეგალური თუ არალეგალური გზებით, სხვადასხვა დაბრკოლებების მიუხედავად, მონასტრის სამმო ახერხებდა სასტამბო პროდუქციის ქართველი საზოგადოებისთვის მიწოდება-გავრცელებას. მათი ნაბიჯი ხშირად პოზიტიურად იყო აღნიშნული. მაგ., 1880 წელს გაზ. „დროება“ (26.08, №180) ეხმაურებოდა სავანის სტამბაში დაბეჭდილ სახელმძღვანელოს – „ქართველ-ფრანგების პატრებისგან გამოცემული „მოკლე რიტორიკა გინა მჭერმეტყველება, სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილკაცთა“. ეს პატარა წიგნი შნოიანად არის გამოცემული, კარგის, ადვილად საკითხავის ასოებით“. კათოლიკე ბერების მხრიდან გაწეული ჟესტის მიმართ გაზეთი აღფრთოვანებას არ მალავდა: „სტამბოლის და მონთოზანის ფრანგის პატრები დიდი მადლობისა და თანაგრძნო-

ბის ღირსნი არიან ჩვენის საზოგადოების მხრით და, როგორც არაერთხელ გამოგვიცხადებია, ურიგო არ იქნება, რომ ჩვენმა სასულიერო მამებმა ამ მხრით წაბადოთ იმათა“ [„დროება“, №180:2].

იყო შემთხვევებიც, როცა სავანის ბერებმა თავიანთი გამოცემებით პასუხი გაუციათ ანტიქართული პუბლიკაციებისთვის. მაგ., როდესაც 1882 წელს სომხურმა გაზ. „მშაკ“-მა ერთი ხელის მოსმით ხაზი გადაუსვა საქართველოს ისტორიას, საპასუხოდ, სავანის სტამბაში მომზადდა მცირე ფორმატის წიგნი, რომელშიც შესაფერისი პასუხი გასცეს სომეხ ისტორიკოსებს. ეს ფაქტი პრესის მეშვეობით შეუმჩნეველი არ დარჩა ქართულ საზოგადოებაში. მაგ., 1885 წელს გაზ. „დროება“ წერდა: „სტამბოლის ქართველ კათოლიკე მღვდლებს ერთი ახალი პატარა ქართული წიგნი გამოუციათ... მთელს ამ წერილებს ისტორიულის ცნობებით არღვევს დამწერი და ამტკიცებს, რომ ქართველები თავიანთის წარსულის ცხოვრებით, შესანიშნავ გმირთა ქველმოქმედებით, მწერლობით და ისტორიით სულაც არ ჩამოუვარდებიან სომხებს და ქართული „ვეფხისტყაოსანი“ მთელს მათ მწერლობასა სჯობიანო“ [„დროება“, №182:1; ნიკოლეიშვილი, 2007:49].

სუბიექტური და ობიექტური მიზეზებით ხარისჭირაშვილის გრანდიოზული გეგმა – ქართველი ერის მომარაგება წიგნებით ბოლომდე განხორციელება სავანის სამომ ვერ შესძლო. მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ სავანეში გამოცემული წიგნების გავრცელება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიებში მაინც აკრძალული იყო [ნიკოლაიშვილი, 2007:47]. არალეგალურად მათი შემოტანა დიდ ძალისხმევასთან ერთად ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ივანე გვარამაძის სიტყვები „დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის“ [ჭიჭინაძე, 1895:71], გვაფიქრებინებს, რომ თვით ქართველებსაც ბოლომდე არ ჰქონდათ გააზრებული აბატის მხრიდან წამოწყებული საქმის მნიშვნელობა.

* * *

XIX ს-ის 60-70-იანი წლები სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამმოს არეალის გაფართოების პერიოდია. მაგ., უსქუდარის რაიონში, საფრანგეთის საელჩომ, ქართველთა კონგრეგაციას მიწის ნაკვეთი და შემოსავლიანი სახლები გადასცა. სამმომ იქ მონასტერი ააგო და 1881 წელს ქართულ-ბერძნული სკოლა გახსნა [ქუთათელაძე, 2019:670].

ხარისჭირაშვილის ინიციატივით, საფრანგეთში, 1863 წელს მუსუაკში და-
არსდა „უბიწოდ ჩასახვის დათა“ სახელით დედათა, ხოლო 1874 წელს მო-
ნტობანში, ქართველ კათოლიკეთა მამათა კონგრეგაცია [ნიკოლეიშვილი, 2015;
ნაცვლიშვილი, 2019:365; ქუთათელაძე, 2019:672-681, 682]. მონტობანში წინამ-
ძღოლად დაინიშნა ანდრია წინამძღვრიშვილი [პაპაშვილი, 1995:318; გრიგალა-
შვილი, 2018:165]. ირკვევა, რომ მონტობანის მონასტრის გახსნის შესახებ თან-
ხმობა ქართველებს უშუალოდ ვატიკანიდან მიუღიათ [ქუთათელაძე, 2019:
674]. ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაცია განთავსებული ყოფილა ორსართუ-
ლიან შენობაში, რომლის პირველი სართულზე იყო სამზარეულო და სტამბა,
ხოლო მეორეზე კი ბერების საცხოვრებელი და სამლოცველო [ნაცვლიშვილი,
2019:365].

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ მონტობანში ქართული კონგრეგაციის
შექმნა ნაკარნახევი იყო საქართველოში სწავლა-განათლების შემდგომი განვი-
თარების ხელშეწყობის გარემოებით [გრიგალაშვილი, 2018:164-165]. ირკვევა,
რომ მონტობანის ეპისკოპოსს ჰქონია ფრანგულ სემინარიებში ქართველი ყმაწ-
ვილებისთვის სწავლის გაგრძელების საქმეში ხელშეწყობის სურვილი [ნიკო-
ლეიშვილი, 2015]. ამკარა იყო, რომ ფერიქოის სამომ და პირადად ხარისჭი-
რაშვილმა, 70-იან წლებში, აქცენტი გადაიტანა ევროპულ საგანმანათლებლო
სივრცეში გაზრდილ სასულიერო პირების მომზადებაზე. სავანის მსგავსად
მონტობანის მონასტერთან გახსნილი იყო მცირე სასულიერო სასწავლებელი
[გრიგალაშვილი, 2018:165]. სამწუხაროდ, წინამძღვარმა ა. წინამძღვრიშვილმა
ვერ გაუწია მოისაკში მდებარე ქართველ კათოლიკე დედათა მონასტერს
პატრონაჟი. მართალია, მან დიდი მონდომება გამოიჩინო სასტამბო საქმეში,
მაგრამ პიროვნული ნაკლოვანებების გამო ვერ შესძლო კოლექტივის შეკრა, რის
გამოც მონასტერში არაჯანსაღი გარემო შეიქმნა [ფავლენიშვილი, 2019:138-140].
ამის გარდა, საფრანგეთში მიმდინარე ანტიკლერიკალური მოძრაობის გამო,
მონტობანის ქართველმა მამებმა მთავრობაში ვერ წარადგინეს კონგრეგაციის
კანონიერად არსებობის დადასტურების საჭირო დოკუმენტაცია, რის გამოც,
1880 წლის 5 ნოემბერს, იქ არსებული ქართული სავანე დაიხურა [ნიკოლეიშ-
ვილი, 2015; ქუთათელაძე, 2019: 676]. ირკვევა, რომ მონტობანის ქართული სავა-
ნის ისტორია ამით არ დამთავრებულა. 1885 წლის 8 მაისს ხარისჭირაშვილმა
წერილით მიმართა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს მარკიზ დე ნოაის
და სთხოვა ქართული კონგრეგაციის აღდგენის ნება, მაგრამ უარი მიიღო
[პაპაშვილი, 1995:319]. 1896-1897 წლებში ქართველებს მაინც ჰქონიათ მცირე
ხნით მონტობანში რელიგიური ცხოვრების განახლების მცდელობები, მაგრამ

1904 წელს (ტაბალუა მას 1903-1906 წლებს შორის ათარიღებდა) იგი სამუდამოდ გაუქმდა [ნიკოლეიშვილი, 2015; ნაცვლიშვილი, 2019:365]. მონტობანის ქართული სავანის დახურვას ფერიქოის ქართული სამმოს დანაკლისი იყო.

80-იანი წლების მიწურულს ხარისჭირაშვილი დასნეულდა და ლოგინად ჩავარდა. აბატის ავადმყოფობის პერიოდში სავანის დროებითი წინამძღოლობა ნ. მანველიშვილს მიენდო. სამწუხაროდ, მას არ აღმოაჩნდა ლიდერის თვისებები, რის გამოც რიგმა კურსდამთავრებულებმა, მათ შორის მ. თამარაშვილმა, არ ისურვეს სავანეში დარჩენა [ლომსაძე, 1964:10]. ეს უკვე სავანეში კრიზისის დაწყების მანიშნებელი იყო. ასეთ ვითარებაში, 1890 წლის 10 ოქტომბერს, პ. ხარისჭირაშვილი მიიცვალა. მისი სიკვდილის წინა სცენა ჭიჭინაძეს სენსიტიურად აქვს აღწერილი. მემატთანეს ცნობით, სავანის სამმოსთვის აბატს ანდერძად დაუბარებია – „საქართველოს სიყვარული, ქართული ენის და მწიგნობრობის პატრონობა. ერთმანეთის სიყვარულის მეოხებით ქართველი კათოლიკების გვარტომობის მფარველობა და პატრონობა“ [ჭიჭინაძე, 1895:84]. სავანის სამმომ აბატი დაკრძალეს ეკლესიის შიგნით. მის საფლავის ქვას აწერია: „საფლავსა ამისა მღებარეა პეტრე ხარიჩარიანთი დამფუძნელი ქართველთა კათოლიკე სავან მონათა და მხევალთა უმანკო ჩასახებისათა“ [ტაბალუა, 1978:161; ფავლენიშვილი, 2019:168]. ხარისჭირაშვილის გარდაცვალება დიდი დანაკლისი იყო არამარტო სავანისთვის, არამედ ზაგადად ოსმალეთის და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველებისთვისაც. აბატის გარდაცვალების შემდეგ, სავანის დროებითი წინამძღოლი ნ. მანველიშვილი საეკლესიო სამმომ პატრი ს. გიორგიძეთი ჩაანაცვლა.



ხარისჭირაშვილის საფლავის ქვა

1890 წელს, სავანის ბერებს, მ. თამარაშვილის გამო, ურთიერთობა დაეძაბათ სტამბოლში რომის პაპის წარმომადგენელ ეპისკოპოსთან (სახელი უცნობია – ავტ.). საქმე იმაშია, რომ თამარაშვილმა ეპისკოპოსის მხრიდან ვიზირების გარეშე სწავლა განაგრძო რომის უმაღლეს სასულიერო აკადემიაში. მოქმედი წესის მიხედვით თამარაშვილი ვალდებული იყო ეპისკოპოსისგან რომში წასვლის ნებართვა აეღო. შესაბამისად, თამარაშვილის ქმედება ეპისკოპოსისადმი სუბორდინაციის დარღვევად ჩაითვალა, რის გამოც უკანასკნელს განმარტება მოუთხოვია სავანის სამმოსთვის. ამის გარდა, განა-

წყენებულმა ეპისკოპოსმა „საძმოს და ყველა ქართველ ბერ-მონაზონს აუკრძალა მასთან რაიმე კავშირის დამყარება“. ირკვევა, რომ ეპისკოპოსის პოზიციამ მხარდაჭერა ჰპოვა საძმოს წევრებში. მაგ., ვინმე ი. ხიშტიძე გმობდა თამარაშვილის საქციელს და მას „უნებართვოდ გაქცეულს“ და „ურჩს“ უწოდებდა [ლომსაძე, 1964:14-15]. საბედნიეროდ, სტამბოლში პაპის მხრიდან ახალი წარმომადგენლის დანიშვნის შემდეგ დაძაბულობა დარეგულირდა. მაგ., 1893 წელს სავანის წინამძღვარი ს. გიორგიძე თამარაშვილს ანუგეშებდა, რომ ახალი ეპისკოპოსი მას დევნას არ დაუწყებდა და მოუწოდებდა ჩამოსულიყო სტამბოლის დედათა მონასტერში. ჩანს, საძმომ თავისი გაიტანა. 1894 წელს თამარაშვილმა წარმატებებით დაასრულა პრესტიჟული სასწავლებელი და ღვთისმეტყველებაში დოქტორის წოდებით ჩავიდა სტამბოლში, სადაც იგი დაინიშნა ფერიქიოს სკოლის მასწავლებლად. სამწუხაროდ, მეცნიერი სტამბოლში დიდხარს არ დარჩა. ს. გიორგიძის მხრიდან სავანეში შექმნილი არაჯანსაღი გარემოს გამო [ფავლენიშვილი, 2019:141-142], 1897 წელს მან დატოვა მონასტერი და ვატიკანში წავიდა.

90-იანი წლების მიწურულს სავანის მენეჯმენტში სირთულეები შეიქმნა. მასალის სიმწირის გამო ძნელია სრული სურათის წარმოჩენა. ფაქტია, რომ ხარისჭირაშვილის შემდგომ სავანის წინამძღოლებს არ აღმოაჩნდათ სირთულეების წინაშე ბრძოლის უნარები. საძმოს ნაწილი, რომელიც ვერ წვდებოდა აბატის ჩანაფიქრის ჰორიზონტს და იდგნენ კონსერვატულ პოზიციებზე, ხარისჭირაშვილს ადანაშაულებდნენ არასწორი პრიორიტეტებისთვის. მათ მიაჩნდათ, რომ უმთავრესი იყო „ღვთის სამსახური“ და არა საერო საქმიანობა. მაგ., მ. თამარაშვილისადმი გაგზავნილ წერილში (20.05.1901) ს. გიორგიძემ თვით ხარისჭირაშვილი დაადანაშაულა სტუდენტების რაოდენობის გაზრდის და მათთვის კარგი განათლების მიცემაზე ზრუნვაში, ვიდრე საძმოს წევრების მოვალეობის კურირებაზე [Natsvlishvili, 2015:82].

იყო შემთხვევები, როდესაც სავანის წევრებმა გიორგიძე გააკრიტიკეს საძმოსადმი დამოკიდებულების [ფავლენიშვილი, 2019:141-142], სამონასტრო საამშენებლო საქმიანობისთვის და მიწის ნაკვეთების შესყიდვის სავარაუდო გეგმების გამო [Natsvlishvili, 2015:83]. მსგავსი ფაქტების მომრავლება სავანეში შექმნილ კრიზისის მაჩვენებელი იყო, რაც ლახავდა მონასტრის რეპუტაციას. ვითარების დარეგულირება სცადა ეპისკოპოსმა, რომელმაც ქართველი სასულიერო პირების მხრიდან ერთმანეთის წინააღმდეგ დაწყებული ბრალდებებით შეწუხებულმა, მონასტრის დახურვით დაიმუქრა. პრობლემების სიღრმედან გამომდინარე, 1900 წლისთვის, საძმოს ნაწილმა მოითხოვა თამარაშვილის

კვლავ სამონასტრო საქმიანობაში ჩართვა. მაგ., წინამძღოლი ა. ხითარიშვილი მას სთავაზობდა – „ჩემი ერთად ერთი იმედი და სასოება შენ ხარ; შენ უნდა შემეწიო და შენთან ერთად უნდა ვმართო ეს მონასტერი და ავღადგინოთ“ [ლომსაძე, 1964:30]. წინამძღოლის მხრიდან ნახმარი სიტყვა – „ავღადგინოთ“, გვაფიქრებინებს, რომ სავანეში მწვავედ იდგა სხვადასხვა გადაუჭრელი მნიშვნელოვანი საკითხების პრობლემა. სამწუხაროდ, შემდგომში ერთმანეთს ვეღარ გაუგეს ხითარიშვილმა და თამარაშვილმა და უკანასკნელმა კვლავ დატოვა სამძო. თამარაშვილისადმი დაფინანსების შეწყვეტა და მისი გარიცხვა საძმოს წევრობიდან ფერიქოის ქართული სათვისტომოსთვის დიდი დანაკლისი იყო.

ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია ეწეოდა სამონასტრო ბიზნესსაც, რასაც სავანის ბაზაზე სავაჭრო ამხანაგობის ქარვასლას შექმნით საფუძველი ჩაუყარა პ. ხარისჭირაშვილმა [ლომსაძე, 1979:78; მაჩიტაძე, 1918:20; Maçitidze, 2012:194]. ბიზნესიდან შემოსული თანხა ხმარდებოდა მონასტერს და მის ბაზაზე არსებულ სასწავლებელს. მუშახელად იყვნენ საძმოს წევრები, კურსდამთავრებულები და იყენებდნენ დაქირავებულ შრომას. აბატის ჩანაფიქრი იყო კურსდამთავრებულების მხრიდან საერო და სამოქალაქო ფუნქციის შესრულება [ლომსაძე, 1979:78]. 1900 წლისთვის ამხანაგობის განკარგულებაში ყოფილა 5 დუქანი და სხვადასხვა დანიშნულების სავაჭრო წერტილები, სათესი მიწები და მეძროხეობის ფერმა, საიდანაც წლიური შემოსავალი აღემატებოდა 4 ათასს მანეთს. რაც შეეხება საბანკო ანგარიშს, იქ მათ 45 ათასი მანეთი ჰქონიათ დაბანდებული [ლომსაძე, 1979:78; Maçitidze, 2012:193-194]. ბიზნესიდან შემოსული თანხა ხმარდებოდა ქართველი ახალგაზრდების განათლებას, საგამომცემლო საქმიანობას და ქველმოქმედებას.



მონასტრის მშენებლობის პროცესი

იყო შემთხვევები, როდესაც სავანე ღებულობდა შემოწირულობებსაც. მაგ., 1916 წელს ახალციხეში გარდაცვლილმა მღვდელმა ვინმე პ. ყალაიჯიშვილმა „პადრის და მოლოზანის აღზრდისთვის“ მონასტერს 10 ათასი მანეთი უანდერძა [მაჩიტაძე, 1918:20; Maçitidze, 2012:194]. უეჭველად იქნებოდა სხვა ქველმოქმედებიც. სამწუხაროდ, მასალის სიმწირის გამო ისტორიისთვის მათი სახელები მიჩქმალულია.

90-იანი წლების მიწურულს სავანის სამძმოს ძალისხმევა დასჭირდა სტამბოლის სხვადასხვა უბნებში არსებული საეკლესიო ქონების შენარჩუნებისთვის. მათ მფლობელობაში ფერიქოის უბანში იყო: ბერების მონასტერი და ეკლესია, მონაზვნების სკოლა და მონასტერი და ქართული სკოლა – „Immaculée-Conception“. რაც შეეხება შიშლის უბანს, იქ ჰქონდათ წმ. იოსების მამათა მონასტერი, ხოლო პერაში – წმ. იოსების სახელობის ქართული სკოლა [Marmara, 2006:140-141; 144]. ასევე მათ მფლობელობაში იყო 1894 წელს დასრულებული მონასტრის მიმდებარე ოთხსართულიანი ნაგებობაც, რომლის მეოთხე სართულზე სტამბოლში ჩასულ ხელმოკლე ქართველებისთვის ფუნქციონირებდა სასტუმრო [ფუტკარაძე, 2007:17]. 90-იანი წლების მიწურულს, ფერიქოის ეკლესიის მიმდებარე მიწის ნაკვეთს, რომელსაც სამძმო იყენებდა ბაღის სახით, დაკარგვის საშიშროება შეიქმნა. საეკლესიო ქონების დაცვის საკითხმა და სტამბოლის ადმინისტრაციის მხრიდან გადაწყვეტილებამ ქართული ეკლესიის მიმდებარე ბაღის ნაკვეთის გადაცემა ბულგარელი თემისთვის სკოლის მშენებლობისთვის, გამოიწვია დაპირისპირება მართლმადიდებელ ბულგარელებსა და კათოლიკე ქართველებს შორის [Şenyurt, 2018:264].



სავანის მშენებლობისთვის გამოშვებული ლატარიის ბილეთი

ბულგარულ თემთან დაპირისპირებას წინ უძღოდა ქალაქის ადმინისტრაციის მხრიდან ქართველების მთავარი ეკლესიის მშენებლობა-გაფართოების საქმის შეჩერება. 1895

წელს გაირკვა, რომ ეკლესიის ახალი შენობა სამძმოს მხრიდან ქალაქის ადმინისტრაციაში მითითებულ ზომებს (20X14X15 მ) აღემატებოდა. შემოწმების შემდეგ დაზუსტდა მისი პარამეტრები (38,78X17,30X28 მ). აქტში აღინიშნა, რომ იგი დარბაზული კონფიგურაციის იყო, რომელიც შესდგებოდა რამდენიმე ოთახისგან და სტამბოლში არსებული სხვა საეკლესიო ნაგებობებიდან გამოირჩევა „მაღალი სამონასტრო სტილით“ [Şenyurt, 2018:273]. შექმნილ ვითარებაში სავანის წინამძღოლმა ს. გიორგიძემ სთხოვა ქალაქის მე-ექვსე ადმინისტრაციას ლიცენზირების ნებართვით გამოეჩინათ კეთილგანწყობა ეკლესიის მშენებლობის დასრულების საქმეში. როგორც ჩანს, ადმინისტრაცია დაჰყვა წინამძღოლის თხოვნას და ტაძრის ზომებში ცვლილებების შეტანის შემდეგ მათ დაამტკიცეს ეკლესიის მშენებლობის ახალი პროექტი [Şenyurt, 2018: 274].

საეკლესიო ნაგებობის გარდა ფერიქოის ქართულ კონგრეგაციას პრობლემები შეექმნა მონასტრის მიმდებარე ტერიტორიასთან დაკავშირებით. ჩანს,

სავანის სამმომ იმთავითვე ვერ გაიაზრა საკუთრებაში არსებული დაურეგისტრირებული ტერიტორიების გამოყენებით მოსალოდნელი გართულებები. თითქოს ამის აუცილებლობაც არ ჩანდა, რადგანაც ტერიტორიული საკითხების მოგვარებას სტამბულის ადმინისტრაციამ მხოლოდ 1894 წლიდან მიაქცია ყურადღება. ამჯერად გაირკვევა, რომ ტერიტორია, რომელსაც მონასტრის მიმდებარედ დასასვენებელი ბაღის დატვირთვა ჰქონდა, ქალაქის ადმინისტრაციამ 62 ათასს ყურუშად სკოლის ასაშენებლად მიჰყიდა ბულგარულ საეგზარქოსოს. თავის მხრივ, 1894 წლის ოქტომბერში, სკოლისთვის საფუძვლის გაჭრის ცერემონიაზე მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, ფინანსთა სამინისტროსგან ბულგარელებმა მოითხოვეს მუნიციპალური ჩინოვნიკების დასწრება. ირკვევა, რომ მშენებარე სკოლისთვის საფუძვლის გაჭრის დროს, ბაწარი რომლითაც შემოსაზღვრული ყოფილა ტერიტორია, გოგონათა სკოლის მასწავლებლის ვინმე სესილის მხრიდან რამდენიმე ადგილზე გადაჭრილი იყო [Şenyurt, 2018:278]. მშენებლები შეეცადნენ გაეგრძელებინათ სამუშაო, ხოლო ადმინისტრაციამ მიზანშეწონილადც მიიჩნია ადგილზე საპოლიციო უბანის შექმნა, მაგრამ ქართველების (წყაროში ნახსენებია - „ქართველ-ფრანგი ბერები“ - ავტ.) მხრიდან პროტესტების გამო, ბულგარელებმა დროებითი სამუშაოები შეაჩერეს.




მონასტერი XIX ს-ის
90-იან წლებში

შექმნილ ვითარებაში ქართველებმა საკმაოდ ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს. თავდაპირველად დახმარება სთხოვეს საფრანგეთის საელჩოს, ხოლო შემდეგ წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილზე მისულ ჟანდარმერიის წარმომადგენლებს. თურქმა ძალოვანებმა ოფიციალურად საფრანგეთის საელჩოს მოსთხოვა საქმეში ჩარევა და ვითარების განმუხტვა. სადავო საკითხის დარეგულირება არ მოხერხდა, რადგანაც 1895 წლის იანვარში სამმომ მოითხოვა სკოლის და მონასტრის მიმდებარე ბაღის მათ მფლობელობაში დატოვება [Şenyurt, 2018:279]. პოზიციის გასამაგრებლად, სამმომ, ქალაქის ადმინისტრაციაში წარადგინეს მათი საკუთრების დამადასტურებელი ნახაზები, რაც ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა და მოითხოვა ბულგარელებისთვის 1600 აკრი (1=4,047 კმ²) მიწის გადაცემა. ასეთ ვითარებაში, 1895 წლის ოქტომბერში, ქართველები უკიდურეს ნაბიჯზე წავიდნენ. მათ შეაგროვეს ფერიქოის მცხოვრებლებიდან მშენებლობის შესახებ უარის თაობაზე

პეტიციები, რასაც დაურთეს შესაბამისი საბუთები, განმარტებითი ბარათი, რომლებიც გადააგზავნეს იმპერიის დიდი ვეზირის მექმედ ქამილ-ფაშას (1833-1913) სახელზე. პეტიციაში აღნიშნული იყო, რომ რაიონში ფუნქციონირებს სამი საავადმყოფო და ლურდის ღვთისმშობლის ორი მონასტერი. მათი შენიშვნით დამატებითი სკოლის აშენება გაზრდიდა რაიონის მოსახლეობას. ასევე მათ მორალურ ჩარჩოში არ ჯდებოდა სკოლაში ქალთა განყოფილების გახსნა [Şenyurt, 2018:280].

თავდაპირველად ვეზირის მხრიდან იგნორირებული იყო ქართველების თხოვნა. მშენებლობის გაგრძელების გამო სამომ ვეზირის სახელზე ახალი პეტიცია წარადგინეს, სადაც მშენებლობაზე მათ თანხმობა განაცხადეს, ოღონდ,



ი. პერვიტიჩის საკადასტრო რუკაზე აღნიშნული ფერიქიის ქართული მონასტერი, დამხმარე ნაგებობები და ბაღი [Şenyurt, 2018:281]

როგორც სულთნის ლოიალურ ქვეშევრდომებს, სანაცვლოდ მოითხოვეს ახალი მიწის ნაკვეთის გადმოცემა. სადავო საქმეში ქართველებმა ჩართეს სომეხ კათოლიკეთა პატრიარქი, რომელმაც ბულგარულ თემს აცნობა, რომ ახალი ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში მიწის შესყიდვის თანხას ქართველი ბერები მათვის გადაიხდიდნენ [Şenyurt, 2018:285].

1896 წელს მოდავე მხარეებს შორის გაიმართა სასამართლო პროცესი, რასაც ქართული მხარე არ დასწრებია. ქართველების პოზიცია ამჯერადაც იყო ცალსახა. პროცესი გაიწეა და 1897 წელს დასრულდა ბულგარელების სასარგებლოდ. სასამართლო გადაწყვეტილების მიუხედავად, ირკვევა, რომ ქართველებმა ბულგარელებთან კულუარული შეთანხმება მაინც გააფორმეს. თავის მხრივ, ბულგარელებმა აღარ გაამწვავეს ქართველებთან ურთიერთობა და ახალი მიწის ნაკვეთის შეძენის თაობაზე მათ შორის მოხდა გარიგება. ქართველებმა ბულგარელებს მისცეს 150 ლირა, სანაცვლოდ მიიღეს ვექსილი, რომელშიც უკანასკნელებმა სადავო მიწაზე მოხსნეს პრეტენზიები. მართლაც, შიშლის უბანში, ბულგარელებმა მოიძიეს თავიანთი სკოლის მშენებლობისთვის ტერიტორია. საბოლოოდ, რომ შევაჯამოთ ვნახავთ, რომ ქართველი კათო-

ლიკეების მხრიდან მიმდინარე სამწლიანი ბრძოლა ფერიქოიში მდებარე საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ქონებისადმი დასრულდა მათი სასარგებლოდ [Şenyurt, 2018:285-286].

XX ს-ის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში მიმდინარე ბატალიებმა და სხვადასხვა გარემოებებმა დალი დაასვეს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციას. 1910 წელს დაიხურა უსქუდარის უბანში მდებარე ქართველთა კათოლიკური ეკლესია, რომელიც ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდა და საფრანგეთის საელჩოს პატრონაჟის ქვეშ იყო. კონსტანტინოპოლის სამოციქულო ვიკარის და პალესტინის კეისრის არქიეპისკოპოსის ვიჩენცო სარდის მითითებით ეკლესიის მრევლი იტალიელებს მიაკუთვნეს. უფრო მეტიც, ეპისკოპოსს უკან გამოუწვევია სავანიდან რომში გაგზავნილი მოსწავლეები, რომლებიც მან სტამბოლში აკურთხა ლათინური წესით [ფუტკარაძე..., I, 2017:-337]. უსქუდარის ეკლესიის იტალიელი მრევლისთვის მიკუთვნება ნიშნავდა, რომ ქართველებმა დაჰკარგეს ბოსფორის სრუტესთან მდებარე ხუთი სოფლის მრევლი [იქვე, 337]. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული ფაქტი დააფიქსირა ქართულმა პრესამ და სტამბოლში კათოლიკე ბერებთან დაახლოებულმა მემედ აბაშიძემ (1873-1937) და მიხაკო წერეთელმა, რომლებმაც სავანის წინამძღვარი ბენედიქტე ვარდიძე უმოქმედობაში დაადანაშაულეს [ნაცვლიშვილი, 2019:-364; ფუტკარაძე..., I, 2017:339-340; მალაყმაძე..., II, 2020:420, 446, 476-480]. აღნიშნულ ფაქტზე ქართული კონგრეგაციის მხრიდანაც გამოითქვა პროტესტი, რასაც მოჰყოლია ეპისკოპოსის რომში დაბარება.



ბენედიქტე ვარდიძე

სხვათა შორის მ. თამარაშვილმა დაუწუნა სავანის ბერებს ბრძოლის ტაქტიკა. ერთ-ერთ ეპისტოლეში იგი წერდა: „თუ ეპისკოპოსის წინააღმდეგ რამე სამდურავი ან საჩივარი რამე გქონდათ, ეს უეჭველად აქ (იგულისხმება კონგრეგაცია ფიდე – ავტ.) უნდა მიგეწერათ და არ უნდა მიგემართათ ფარმაზონი ფრანცუზებისა და თათრებისათვის“ [ფუტკარაძე..., I, 2017:632]. სამწუხაროდ, სამოქალაქო სასამართლო დავა გაგრძელდა და იგი სავანეს სამმოსთვის წარუმატებლად დასრულდა [ფუტკარაძე, 1907:14]. ბ. ვარდიძის უუნარობით სავანის სამომ დაკარგა მფლობელობაში მყოფი სტამბოლის პრესტიჟულ ადგილზე მდებარე შენობა – „ვეზირ-ხანი“ [მალაყმაძე..., II, 2020:450].

უსქუდარში ქართული მონასტრის დაკარგვა სავანისთვის და ზოგადად სტამბოლის ქართველი კათოლიკე მრევლისთვის დიდი დარტყმა იყო. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ არქიუპისკოპოსის გადაწყვეტილებით ფერიქოის მონასტერს მიენიჭა სამრევლო ეკლესიის სტატუსი [დალეჯიო დალესიო, 1921:32]. სტატუსის ამალეზა ნიშნავდა, რომ რელიგიურ დღესასწაულებში სტამბოლელ ქართველ და არაქართველ მრევლში მას წამყვანი დაწესებულების ფუნქცია მიენიჭა. შესაბამისად, სავანეში საღვთო ლიტურგია აღარ ჩატარდებოდა ქართულ ენაზე [ლომსაძე, 1984:183]. მართლაც, 1911 წლის 14 იანვარი ნინოობის დღესასწაული უკანასკნელი დღე იყო, როცა პატრი ა. წინამძღვრიშვილმა (?-1911) წირვა ქართულ ენაზე აღავლინა [მაჩიტაძე, 1918: 21; Maçitidze, 2012:195]. ნინოობის დღესასწაულის აღნიშვნის ფაქტთან დაკავშირებით თანადროულ პრესაში დაფიქსირდა აღფრთოვანება: „ამ დღეს ეკლესიის ტრაპეზის თავზე აღმართული იყო წმ. ნინოს დიდი ხატი... ქართული სიმღერები საოცრად იგალობა საეკლესიო გუნდმა, რომელსაც ლოტბარობდა... კონსტანტინე საფარაშვილი. გუნდი მღეროდა „ოთხ ხმაზე“... ქართველები კონსტანტინოპოლში თავიანთ მშობლიურ ენაზე სწირავდნენ და სიხარულით ტიროდნენ“ [კოპლატაძე, 2007:27].

განსაკუთრებული მნიშვნელობა სავანეში აკაკი წერეთლის დღის აღნიშვნას მიენიჭა. იგი 1908 წლის 26 აპრილს ზეიმით აღინიშნა. ამ ფაქტმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა სტამბოლელ ქართველებს შორის. თვითმხილველის ცნობით, მონასტრის დარბაზში გამოფენილ აკაკის სურათს ჰქონდა წარწერა – „აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი“. მგოსნის სახელზე პარაკლისი გადაიხადა მონასტრის უფროსის მოადგილემ პატრი სტეფანე გიორგიძემ. მგოსნის ბიოგრაფია დამსწრეებს გააცნო ისე რაჭველმა. სტამბოლის ქართველთა სათვისტომოს თავმჯდომარემ ვლადიმერ წერეთელმა ფერიქოის მონასტერს აკაკის იუბილეს გადახდისთვის და ბიბლიოთეკის გახსნისთვის გადასცა ფულადი თანხა – 1490,5 ყურუში. ასევე ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მხრიდან გამოგზავნილი წიგნები [ფუტკარაძე..., I, 2017:327]. თბილისიდან ჩასულმა პატრი დომინიკე მულაშოვმა განაცხადა: „...არ გამქრალა ქართული ენა და ქართული საქმე. იგი დაიცვა აკაკიმ და დღევანდლამდე ემსახურება ჩვენ ქართველთა გვაროვნობას“ [იქვე, 326].

1908 წელს ოსმალეთის იმპერიაში განხორციელებულმა „ახალგაზრდა თურქების რევოლუციამ“ დაამხო სულთან აბდულ ჰამიდ II-ის (1876-1909) დე-

სპოტური რეჟიმი. ხელისუფლების ცვლილებას მოჰყვა 1909 წლის კონსტიტუცია, რომელიც საპარლამენტო რესპუბლიკისკენ გადადგმული ნაბიჯი იყო. მართალია, ოსმალეთის იმპერიაში მაშინ დემოკრატია ვერ დაამკვიდრა, მაგრამ საფუძველი ჩაეყარა თურქული საზოგადოებაში პროგრესისთვის ბრძოლის შემდგომ განვითარებას [Сулейманов, 2017:21]. მართალია, ოსმალეთის იმპერიაში ლიბერალური ცვლილებები ზედაპირული ხასიათის იყო, მაგრამ ის საკმარისი დარჩა ქვეყანაში სხვადასხვა ნაციონალური ჯგუფების გააქტიურებისათვის. ამ პროცესში ჩაერთო სავანის ბერების ნაწილი და სტამბოლში მყოფი ქართული დიასპორაც. პატრი მერაბი (იოსებ მერაბიშვილი) მიემხრო „კავკასიის ერთობის“ საქველმოქმედო საზოგადოების დაარსების იდეას, რომელშიც ქართველებთან ერთად უნდა გაერთიანებულიყვნენ ყველა კავკასიელი. სამწუხაროდ, ჩერქეზების კლუბის წევრებთან შეთანხმება არ მოხერხდა [ფუტკარაძე..., I, 2017:353-354]. ამ ფაქტთან დაკავშირებით მიხაკო წერეთელი შენიშნავდა, რომ კლუბის წევრებში „ნათლად გამოჩნდა შეუძლებლობა კავკასიელთა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება“ [იქვე, 354].

ასეთ ვითარებაში, სავანეში მოღვაწე ბერების პროგრესულმა ჯგუფმა ყურადღება გადაიტანეს სტამბოლში მცხოვრები ქართველებისთვის წერა-კითხვის მშობლიურ ენაზე შესწავლის თაობაზე [Maçitidze, 2012:195], ამიტომაც, 1911 წელს, მონასტრის სასულიერო პირების და ოსმალეთში მყოფი ქართველების – მემედ აბაშიძის (1873-1937) და სხვების ძალისხმევით, სტამბოლში, შალვა ვარდიძის ბინაში, შეიქმნა ქართული კლუბი, რომლის წესდებაც ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცა. კლუბში გაერთიანებული იყო სხვადასხვა სარწმუნოების და იერარქიის საფეხურზე მყოფი დაახ. 150 ქართველი [კოპლატაძე, 2007:26-27]. მათ შემუშავებული ჰქონდათ ქართველებს შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების პროგრამა. კლუბის ერთ-ერთი მიზანი იყო სტამბოლში ქართული სკოლის გახსნა. მაგ., შ. ვარდიძემ 1914 წელს ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები ქართველებისთვის გამოსცა სპეციალური წიგნი „პატარა ქართული ანბანი“, რომლის გარეკანზე ეწერა – „შედგენილი და გამოქვეყნებული ოსმალთს ქართველთათვის“. ავტორის ჩანაფიქრით წიგნს მუსულმანი და ქრისტიანი ქართველებისთვის „დედა ენის“ ფუნქცია უნდა შეესრულებინა. სამწუხაროდ, I მსოფლიო ომის დაწყებამ აღნიშნული გეგმების განხორციელებას შეუშალა ხელი [იქვე, გვ. 19].



პიო ბალიძე

1912 წელს სავანის სამომ მონასტრის წინამძღოლად აირჩია მამა ჰიო ბალიძე (1912-1921; 1942-1951). წინამორბედი წინამძღვრის ბენედიქტე ვარდიძის მხრიდან მონასტრის მენეჯმენტში შექმნილმა პრობლემებმა სტამბოლის ქართული კონგრეგაცია დააზარალა. ბენედიქტე ვარდიძეს დაბრალდა ხარისჭირაშვილის პრინციპების და სამონასტრო „მშობის იდეის“ იგნორირება [მაღაყმაძე..., II, 2020:420]. აშკარა იყო, რომ ბალიძე სავანეში მოღვაწე ბერების ე.წ. „ახალგაზრდა თაობის“ წარმომადგენელი იყო, რომელსაც მონასტრისთვის რთულ პერიოდში წინამძღოლის ტვირთი უნდა გაეწია. ბალიძის არჩევას მიესალმა ოსმალეთში მყოფი ქართველი კათოლიკეები, რადგანაც მისგან მოელოდნენ სამონასტრო საქმეების მოწესრიგებას. ამასთან დაკავშირებით „სახალხო გაზეთში“ (№547, 1912) პუბლიცისტმა სოლომონ ბავრელმა (ასლანიშვილი, 1851-1924) გააქურა კათოლიკეების სურვილები: 1. დაკარგული მამულების და ძველი მრევლის დაბრუნება; 2. უსქუდარში არსებული მონასტრის და ეკლესიების დაბრუნება; 3. ქართველებისთვის სამრევლო ეკლესიის გახსნა; 4. წირვის ქართულ ენაზე შემოღება; 5. გარე პირების მხრიდან ქართულ-ფრანგული სკოლის დაცვა და მონასტერში ქართულ ენაზე სწავლების შემოღება და 6. საგამომცემლო საქმიანობას განახლება. დასასრულ, პუბლიცისტი დასძენდა, რომ „...სასურველია, რომ მონასტერი დადგეს იმ კვალზე, როგორც იყო... მამა პეტრე ხარისჭიროვის დროს“ [მაღაყმაძე..., II, 2020:419].

სავანეში შექმნილ ვითარებას 1912 წელს გამოეხმაურა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე მიხაკო წერეთელი (1878-1965). იგი წერდა: „...სტამბოლში არსებობს ქართველ კათოლიკეთა ჯგუფი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უგრძნია დღევანდელი მომენტის სიმწვავე და ვერ გაუთვალისწინებია ის აზრი, რომ სტამბოლის კათოლიკეთა საზოგადოებამ უნდა დაუსახოს განსახორციელებლად არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული მიზანი. დაგრწმუნდით, რომ ახალგაზრდა სამღვდელოება სწორედ ამ თვალთ უცქერის თავის მოღვაწეობას და ცდილობს მთელ თავის საქმიანობას ეროვნული ხასიათი მისცეს“. დასასრულს, წერეთელი დასძენდა, რომ „სტამბოლის ქართველთა განზრახვა ჩინებულია, და ჩვენც წინდაწინ ვუძღვნით სალამს... მომავალ საკულტო დაწესებულებას“ [ფუტკარაძე..., I, 2017:171].

მენეჯმენტში ცვლილება დადებითად აისახა სავანის სამონასტრო ცხოვრებაზე. ბერების ახალგაზრდა თაობა მონასტრის დამაარსებლის – ხარისჭირაშვილის კურსის გამგრძელებლად მოგვევლინა. ცვლილების მანიშნებელი იყო 1912 და 1913 წლების 10 ოქტომბერს ბალიძეს მხრიდან სავანეში ხარისჭი-

რაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდის პომპეზურად გადახდა [ფუტკარაძე..., I, 2017:304]. ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტია, მაგრამ მონასტრის დამაარსებლის სახელის უკვდავება ყველასთვის მინიშნება იყო სავანეში დავიწყებული ძველი ტრადიციების აღორძინების შესახებ. საეკლესიო კუთხით ბალიძემ შესძლო პაპი პიუს X-ისგან (1903-1914) სავანეში ნინოობის დღესასწაულის ქართული ტიპიკონით კვლავ გადახდის ნებართვის მიღება, რაც უდაოდ სტამბოლის ქართული კონგრეგაციის გამარჯვება იყო. ამ ფაქტის თვითმხილველი წერდა, რომ სავანის სამმომ „ეს სასიხარულო ამბავი, საკუთარ სტამბაში დაბეჭდილი ბარათებით შეატყობინეს სტამბოლის ქართველებს... ეკლესიური წესრიგი უნაკლოდ იყო დაცული; გალობა ბიზანტიურ მოტივზე აშენებული... მოწაფენი ქართული წესით ზიარებულან“ [ფუტკარაძე..., I, 2017:302].

უნდა ითქვას, რომ სავანის მენეჯმენტში მიმდინარე დადებითი ცვლილებები შეუნიშნავი არ დარჩენია ქართულ საზოგადოებას. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზ. „იმერეთი“ (28, 1913) წერდა: „რაც უფროსობა დაიწყო აბატმა პიო ბალიძემ და მონასტერს დიდი წარმატება დაეტყო, როგორც მატერიალურათ, აგრეთვე გონებრივით. სემინარია გააფართოვა და სულ ეროვნული ელფერი მისცა... გადაწყვეტილია – მთელის სწავლის კურსი ქართულათ მოეწყოს... დარწმუნებული ვარ, ახლო მომავლში სტამბაც გაიხსნება“ [მალაყმაძე..., II, 2020:437]. ამის გარდა, 1913 წელს, სავანის ბერები პ.


ბალიძე, შ. ვარდიძე და მამა ა. ბათმანიშვილი სამი თვის მანძილზე იმყოფებოდნენ ახალციხის მაზრაში. ბათმანიშვილიც სავანის აღზრდილი და საქართველოში იგი ხარისჭირაშვილის პრინციპების გამავრცელებელი იყო. სავანის ბერების მხრიდან ახალციხის მაზრაში ყოფნის მიზანი იყო იქ არსებულ კათოლიკე მრევლში ქართული ტიპიკონის აღდგენის საკითხისადმი დამოკიდებულების გარკვევა [ყრუაშვილი, 2018:185]. ცხადია, ეს უმნიშვნელოვანესი საკითხი იყო, მაგრამ ბერების ყოფნას ახალციხის მაზრაში სხვა მიზანიც ჰქონდა – სავანე მუდამ განიცდიდა ახალი კადრების საჭიროებას. დაუზუსტებელი ცნობით, თითქოს ბერებმა მაშინ შესძლეს დაახ. 100-მდე ყმაწვილის მობილიზება და წაყვანა სტამბოლში სწავლისა თუ სამონასტრო ცხოვრებისთვის.



პაპი პიუს X

10-იან წლებში სავანის ბაზაზე შეიქმნა „საქველმოქმედო დამხმარე საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო სარწმუნოების განურჩევლად ყველა ქართველისთვის დახმარება. საზოგადოების შექმნა ბერი მერაბის (ი. მერაბიშვილი) ინიციატივა იყო, რომელსაც აღნიშნულ საქმეში ფინანსურ მხარდაჭერას უწევდა მისი ძმა პ. მერაბიშვილი („დოქტორ მერაბი“, 1876-1930), რომელიც 1908 წლიდან იყო ეთიოპიის იმპ. მენელიკ II-ის (1889-1913) პირადი ექიმი [ჟვანია, 2000:282]. საზოგადოებას ფინანსურად ასევე ეხმარებოდნენ სტამბოლში მოღვაწე მუსულმანი ქართველებიც. მათგან გამოვყოფთ მამუდ ფაშა თავდგირიძეს, რომელსაც 1914-1919 წლებში გახსნილი ჰქონდა საქართველოდან ლტოლვილთა თავშესაფარი [მალაყმაძე..., II, 2020:550]. სავანეში ფუნქციონირებდა ასევე სტამბოლის წითელი ჯვრის ქართული განყოფილება [ფუტკარაძე, 2007:17], რომელსაც 1894 წელს აშენებული შენობის მეოთხე სართულზე ჰქონდა ლტოლვილების თავშესაფარი [ქუთათელაძე, 2019:660].

სამწუხაროდ, I მსოფლიო ომის (1914-1918) დაწყებამ ძირფესვიანად შეცვალა ფერიქოის ქართველთა კონგრეგაციის გეგმები. დასამარდა ქართული



მიხაკო წერეთელი

კლუბის შექმნის იდეა, მოსწავლეების რიცხვის კატასტროფულად შემცირების შედეგად დაიხურა სავანის დედათა და მამათა მონასტრებთან არსებული სკოლები. სამმოს მხრიდან პრაქტიკულად გვერდზე გადაიდო ყველა საქმე და წინა პლანზე წამოიწია მხოლოდ ერთი მთავარი გეგმა – ფერიქოის ქართულმა კონგრეგაციამ პრაქტიკული მონაწილეობა უნდა მიიღოს საქართველოს განთავისუფლების საქმეში, რაც შემდგომში მათ ძვირად დაუჯდათ. მართლაც, რუსეთის იმპერიიდან საქართველოს განთავისუფლებისთვის ბრძოლის საქმეში დიდია სავანის სამმოს წვლილი. ჩვენ არ გვაქვს სხვა პრეცედენტი, როდესაც


სასულიერო პირებს ასე მკვეთრად დაეფიქსირებინათ თავიანთი ეროვნული პოზიცია. სწორედ სავანის ტერიტორიაზე მოქმედებდა 1914 წელს ქენევაში დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (იგივე „დამკომი“ – ავტ.), რომლის მიზანი იყო გერმანიის პროტექტორატით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

„დამკომის“ ურთიერთობა ფერიქოის ქართულ მონასტერთან და ქართული ლეგიონის მოღვაწეობის ისტორიის შესწავლა ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ

მნიშვნელოვან ამოცანად რჩება. საარქივო მასალის სიმცირის გამო ამ ურთიერთობების შესახებ არ შეგვიძლია სრული სურათის წარმოჩენა. არსებული საარქივო მასალით და მემუარული ლიტერატურით ირკვევა, რომ „დამკომი“ იყო უაღრესად ეროვნული ორგანიზაცია და მის მიერ ჩამოყალიბებული საჯარისო შენაერთის წევრები საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლო პატრიოტები.

XX ს-ის დასაწყისში ქართველი საზოგადოების ნაწილში ფეხი მოიკიდა და პოპულარული გახდა ცარიზმის ბატონობისგან საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების იდეამ. მასში იგულისხმებოდა საეკლესიო და ქვეყნის ტერიტორიული დამოუკიდებლობა. საზოგადოების ნაწილი მას რუსეთის წიაღში ფიქრობდა და იქ ეძიებდა გზას, ხოლო სხვები მოკავშირეს ევროპაში პოულობდა. ლეო კერესელიძის (1883-1943) შენიშვნით, 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნა-დამარცხების შემდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი პრაქტიკულად აღარ დასმულა [სურგულაძე,... 1994:6]. შესაბამისად, I მსოფლიო ომის მოახლოებამ, ევროპაში მოღვაწე პატრიოტებს ჩაუსახა იმედი, რომ სამთა კავშირის ხელით შესაძლებელი იყო რუსეთის დამარცხება. ასეთ ვითარებაში პეტრე სურგულაძის (1873-1931) მეთაურობით 1914 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში შეიქმნა „დამკომი“ [სურგულაძე,..., 1994:7; სიორიძე, 2002:86], რომელიც „ამიერიდან უცხოეთში ითვლებოდა რევოლუციურ მთავრობად“ [სურგულაძე,... 1994:6].

1914 წლის 2 სექტემბერს კომიტეტის წევრებმა მიხ. წერეთელმა და გ. მაჩაბელმა, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარუდგინეს გეგმა – „რუსეთისაგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და მისი შემდგომი პოლიტიკური მოწყობის შესახებ“ [იქვე]. უნდა ითქვას, რომ ქართველების წინადადება მისაღები დარჩა გერმანიის სამხედრო წრეებისათვის, რადგანაც საქართველოს ტერიტორიაზე ანტირუსული აჯანყების ორგანიზების იდეა ხელსაყრელი ჩანდა ომში გამარჯვების და კავკასიაში მათი სამხედრო თუ ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციის თვალსაზრისით. ამასთან, ეს პროცესი დააჩქარებდა ომში ოსმალეთის ჩაბმასაც [სურგულაძე,..., 1994:7; სიორიძე, 2002:87]. ამიტომაც საგარეო საქმეთა სამინისტრომ “დამკომთან” გააფორმა შესაბამისი შეთანხმება. „დამკომთან“ ურთიერთთანამშრომლობისკენ სამინისტროს უბიძგებდა ელჩ ჰანს ფონ ვანგენჰაიმის (1859-1915) ინფორმაცია



პეტრე სურგულაძე

სტამბოლში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ბირთვის შესახებ. ასეთ ვითარებაში, სამინისტროს მითითებით „დამკომის“ წევრებმა დისლოცირება დაიწყეს სტამბოლში.

ირკვევა, რომ გერმანიის პროტექტორატით ქართულ სახელმწიფოს შექმნა მისაღები იყო სავანის ბერებისთვისაც, ამიტომაც მათ პირველი ნაბიჯები გადადგეს ელჩ ვანგენჰაიმთან. ელჩის მხრიდან იმპერიის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი დეპეშით (03.09.1914) ირკვევა, რომ 1914 წელს „ორმა ქართველმა კათოლიკე სასულიერო პირმა მიმართა ავსტრია-უნგრეთის და აქაურ საელჩოს, რათა ხაზი გაესვათ ქართველთა მზაობისთვის მოაწყონ შეიარაღებული აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს მათ თქვეს, რომ ქართველები არასდროს შევლენ თურქეთის ბატონობის ქვეშ და აქედან გამომდინარე, იბრძოლებენ მხოლოდ საკუთარი მომავალი ავტონომიისთვის. ისინი (ბერები – ავტ.) გვთხოვენ, რათა გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა მათ ამის გარანტიები მისცენ. შემდგომ, ისინი ითხოვენ იარაღის გადმოცემას“ [მამულია, ასტამაძე, 2019:74].



გიორგი მაჩაბული

მართალია, ელჩი ბერების სახელებს არ აკონკრეტებს, მაგრამ მის მხრიდან ნახსენებ სასულიერო პირებში უნდა ვიგულისხმოთ სტამბოლის ქართველთა სავანის წინამძღვარი პიო ბალიძე (?-1956), რომელიც 1912-1921 წლებში სავანის წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა და პატრი შალვა ვარდიძე. დალეჯიო დ'ალესიო პ. ბალიძეს შესახებ წერდა, რომ მას მამულისადმი განსაკუთრებული სიყვარული განარჩევდა. რაც შეეხება სავანის სამმოს კოლექტივს, იტალიელი მეცნიერი მათ ერთი ფრაზით ახასიათებდა: „ეს საზოგადოება დასაბამიდან დღემდის თავისი არსებით უცხოეთში, ცოცხალი პროტესტის ნიშანი იყო რუსეთის მიერ საქართველოს

დაპყრობის წინააღმდეგ“ [დ'ალესიოს, 1921:29]. შ. ვარდიძეს შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი იყო ტიპიური მებრძოლი სასულიერო პირი ვინც პრაქტიკული ქმედებებით – ჯვრით, კალმით თუ იარაღით იბრძოდა საქართველოს სუვერენიტეტისათვის. იგი იყო „დამკომის“ ხელმძღვანელი ბირთვის წევრი [ბაქრაძე, 2009:46]. მართლაც, სწორედ ვარდიძე და ბალიძე (1.08.1917) იყვნენ

სავანიდან ის ღვთისმსახურები, რომლებიც „დამკომმა“ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში გაწეული წვლილისთვის „მეფე თამარის“ ორდენით დააჯილდოვა¹⁵ [ფუტკარაძე, 2007:60].

ვანგენჰაიმი ერთ-ერთი მათგანი უნდა ყოფილიყო ვინც დააკავშირა „დამკომის“ წევრები სავანის ღვთისმსახურებთან. საქმე იმაშია, რომ ლეო კერესელიძესთან საუბრის შემდეგ, 1914 წელს, ვანგერჰაიმმა ორგანიზება გაუწია ევროპიდან „დამკომის“ ხელმძღვანელების – პ. სურგულაძის, ნ. მაღალაშვილის (1882-1937) და სხვების სტამბულში ჩასვლას [მამულია, ასტამაძე, 2019:76]. იმპერიის საგარეო საქმეში გაგზავნილ დეპეშაში ელჩი რეალობად მიიჩნევდა კერესელიძის ინიციატივას ქართული სახელმწიფოს შექმნას შესახებ [მამულია, ასტამაძე, 2019: 77]. ცხადია, ამ მიზნის განხორციელება ითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ყველა ძალის გაერთიანებას, ამიტომაც ვანგერჰაიმმა „დამკომის“ წევრები დააკავშირა სავანის ღვთისმსახურებთან.

სამწუხაროდ, მასალის სიმწირის გამო ჩვენ არ შეგვიძლია კონკრეტულად ვისაუბროთ „დამკომში“ ბალიძის და ვარდიძის მისიის შესახებ. სავარაუდოთ, პიო ბალიძის სფერო მანც სავანის კურირება იყო. რაც შეეხება შალვა ვარდიძეს, „დამ-



წყალქვეშა ნავი – „UB-42“

კომის“ მუშაობაში იგი პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობდა. საფიქრებელია, რომ სამხრეთ სა-ქართველოში მცხოვრებ კათოლიკე მოსახლეობაში, თავიანთი პროგრამის პროპაგანდისთვის „დამკომისთვის“ ვარდიძე საუკეთესო კანდიდატურა იყო. ამ მიზნით იგეგმებოდა არალეგალური გზით მისი საქართველოში შემოგზავნა. 1917 წლისთვის გერმანული წყალქვეშა ნავით გასახორციელებელი ექსპედიციის წევრებში პ. სურგულაძემ ვარდიძე ჩართო [მამულია, ასტამაძე, 2019:507]. 10 ნოემბერს გერმანული წყალქვეშა ნავით „UB-42“ საქართველოს მიმართულებით გამოემგზავრნენ პ. სურგულაძე, შ. ვარდიძე, ს.

¹⁵ შ. ფუტკარაძის მეშვეობის ლიტერატურაში დომინირებს აზრი, რომ "თამარ მეფის ორდენი"-ს შექმნის იდეა 1915 წელს ჩაისახა სავანეში და მისი ესკიზის ავტორია იაკობ ნიკოლაძე (1876-1951) [ფუტკარაძე, 2007:60]. თუმცა, უახლესი გამოკვლევებით ორდენის ავტორად მიჩნეულია ლეგიონის ვაფენმაისტერი (მეიარაღე) ოტო შლიფაკი. ორდენი იყო გერმანული რკინის ჯვრის ან ოსმალური ნახევარმთვარის ქართული ანალოგი [მამულია, 2018-2019:81-90].

ირემაძე, სიამაშვილი და კიდევ ერთი ქართველი (სახელი უცნობია). მათ მიჰქონდათ 470 მაუზერი, ტყვია-წამალი, 100 ხელყუმბარა და 730 ათასი მანეთი თანხა. 16 ნოემბერს, წყალქვეშა ნავი საქართველოს ნაპირს მიადგა ზღვისა და მდ. ჭურის შესართავთან. თავდაპირველად, აკვატორიის დასათვალიერებლად, ნაპირზე გაიგზავნა ორი გერმანელი და ორი ქართველი, რომლებიც ჟანდარმერიამ დააპატიმრა. ამის შემდეგ, 18 ნოემბერს, წყალქვეშა ნავი კვლავ მიადგა სანაპიროს, მაგრამ ვინაიდან ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა მისის შესახებ, ამიტომაც არალეგალების ნაპირზე გადმოსვლის საკითხმა აზრი დაკარგა. წარუმატებელი დესანტირების შემდეგ, პ. სურგულაძე და შ. ვარდიძე უკან დაბრუნდნენ. 24 ნოემბერს ისინი ქ. სამსუნში იყვნენ [ბაქრაძე, 2009:230; <http://german-georgian.archive.ge/ka/blog/32>].

1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით „დამკომმა“ თავისი მისია ამოწურულად მიიჩნია და იგი დაიშალა. ბოლო შესტი რაც „დამკომმა“ განახორციელა იყო ის, რომ კომიტეტის გამგეობამ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის ყველა პირი დააჯილდოვა მეფე თამარის სახელობის ლეგიონის ორდენით. რაც შეეხება „დამკომის“ ბაზაზე არსებული საჯარისო შენაერთს, რომელიც 1914 წლის სექტემბერში შეიქმნა [სიორიძე, 2002:88] და რომლის მოქმედების არეალი ოსმალეთის იმპერიის აღმოსავლეთი ფრონტი იყო, 1917 წლისთვის დაიშალა. დღეს, სავანის წიგნთსაცავში ინახება 1914-1917 წლებში მოქმედი ქართული ლეგიონის არქივი [კობლატაძე, 2007:26], რომელიც მის მკვლევარს ელოდება.



*მეფე თამარის
ორდენი*

1917-1921 წლებში სტამბოლის ქართველთა კონგრეგაციამ დიდი ძალისხმევა ჩადო საქართველოში ქართული კათოლიკური ეპარქიის აღდგენის საქმეში. რუსეთში თვითმპყრობელობის დამხობა, კავკასიაში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებები და რელიგიური ფაქტორები – ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, კათოლიკური ეპარქიის აღდგენის საქმეში შესანიშნავი წინაპირობა იყო. დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის რესტავრაციის პროცესი, რაშიც აქტიურად ჩაებნენ სავანის ღვთისმსახურებიც. მათ სწორად განსაზღვრეს, რომ უმთავრესი იყო ქართული ტიპიკონის დანერგვა. ამ საქმეში ერთ-ერთი პირველები იყვნენ შ. ვარდიძე და ოსმალეთის იმპერიის ქართველ კათოლიკეთა წარმომადგენელი პროფ. ს. გოზალიშვილი [ყრუაშვილი, 2018:180]. 1917 წელს ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში, რომელიც იმ მომენტისთვის

რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ დანიშნული სამხარეო ხელისუფლების ორგანოს (მარტი-ნოემბერი, 1917) – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის შემადგენლობაში იყო. ვარდიძე და გოზალიშვილი აქტიურად ჩაებნენ საქართველოში ქართული ტიპიკონის გავრცელების და ეპარქიის აღდგენის საქმეში. მასალის სიმწირის გამო ძნელია საუბარი ვარდიძის და გოზალიშვილის კონკრეტულ საქმიანობაზე. საფიქრებელია, რომ ისინი არ ესწრებოდნენ 1917 წლის მარტში ბათუმში და 27 აპრილს თბილისში გამართულ კათოლიკეთა კრებას, სადაც განიხილებოდა საეპისკოპოსო კათედრის გახსნის საკითხი. ბათუმში გამართულ კრებაზე მწვავედ დადგა დაპირისპირება ქართულ, ლათინურ და სომხურ ტიპიკონზე მყოფ სამღვდელოებას შორის [ყრუაშვილი, 2018:181]. სავარაუდოდ, ამ ფაქტის შემდეგ, 1917 წლის მეორე ნახევარში უნდა ჩამოსულიყვნენ საქართველოში ვარდიძე-გოზალიშვილის ტანდემი. საქართველოში მათი ყოფნის აუცილებლობა ნათლად გამოჩნდა სამცხე-ჯავახეთის სოფლების (არალი, უდე...) მაგალითზეც, როდესაც, 1918 წელს, ადგილობრივი ქართველი კათოლიკე მოსახლეობა სავანის ღვთისმსახურებისგან ითხოვდა შუამდგომლობა-მხარდაჭერას რომის პაპთან ქართული რიტის და მამა შ. ბათმანიშვილის დამტკიცების შესახებ [ყრუაშვილი, 2018:182-183].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებას სავანის სამმო დიდი სიხარულით შეხვდა. საქართველოს დამოუკიდებლობა მათი იმედების აღსრულებას ნიშნავდა. ეს უნდა ყოფილიყო ლათინური წესის კათოლიკური რელიგიის ოღონდ ქართულ წესის პროპაგანდა, გასომხების პროცესის შეჩერება და სასკოლო ქსელის განვითარება. სამმოს მხრიდან აქტივობას აძლიერებდა იმდროინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მაღალი პოლიტიკური კულტურა და ევროპაში ცნობადობა. აღნიშნულ გეგმების განხორციელებაში მათ ეიმედებოდათ საკანონმდებლო ორგანოს – დამფუძნებელი კრების ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრების – ს. კედიას (1884-1948) და პ. სურგულაძის მხარდაჭერა, რომლებთანაც ერთად ჰქოდათ გავლილი საბრძოლო გზა. ბერების განწყობას აძლიერებდა 1920 წლის 7 აპრილს თბილისში ჩატარებული ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია, სადაც დაისვა წმ. საყდრის ტახტის წინაშე შუამდგომლობის საკითხი, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველი კათოლიკე მოსახლეობა გადაყვანილი ყოფილიყვნენ ლათინურ ტიპიკონზე, სადაც ლოცვა და სხვა საეკლესიო წესის აღსრულება იქნებოდა ქართულ ენაზე [ყრუაშვილი, 2018:185].

კონფერენციის რეზოლუცია ქართველ კათოლიკეების რეალურ გამარჯვებას ნიშნავდა. აღნიშნული ფაქტი ფერიქოის ქართველთა კონგრეგაციამ დადებითად მიიღო. სავანის მამათა და დედათა მონასტრების წარმომადგენლებმა შეადგინეს საგანმანათლებლო სისტემის განვითარების გეგმა, რომლის რეალიზაციისთვის, 1920 წლის მაისში, საქართველოში ჩამოვიდა დედათა მონასტრის წინამძღოლი ელისაბედ (ანნა) ბეჟანიშვილი¹⁶ (1879-?).

უნდა შევნიშნოთ, რომ ე. ბეჟანიშვილი განსაკუთრებული ფიგურა იყო. გახლდათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული დედათა მონასტრის მონაზონი, წინამძღოლი და გოგონათა ქართულ-ფრანგულენოვანი სკოლის ხელმძღვანელი. ცხადია, ბეჟანიშვილის იდეა – ახალციხეში გოგონათა დაწყებითი ქართულ-ფრანგული სასწავლებლის გახსნა იყო სავანის სამოდან წამოსული იდეის ნაწილი. არსებითად, მისი განხორციელების შემთხვევაში საქართველოში მივიღებდით ფერიქოიში არსებული ქართულ-ფრანგული სკოლების მსგავს სასწავლებელს, რაც უდაოდ პროგრესული მოვლეა იქნებოდა. თვით ბეჟანიშვილი წერდა, „რათა შევსძლოთ ჩვენს სამშობლოში



ელისაბედ ბეჟანიშვილი

შემოვიტანოთ ევროპული სწავლა-განათლება“ [მაღაყმაძე..., II, 2020:540]. სამწუხაროდ, ფერიქოიდან წამოსულ იდეებს აღსრულება არ ეწერა. რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსია-ოკუპაციით ეს დიდებული გეგმები დასამარდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, 1921-1924 წლებში, სავანე დიდი გამოცდის წინაშე დადგა. საქმე იმაშია, რომ ბერების მთელი ძალისხმევა უკვე მიმართული იყო საქართველოდან მიგრანტების მიღება-პატრონობაზე და პარალელურად, სავანის კედლებში იკვეთებოდა ქვეყნის საბჭოთა რუსეთის ბატონობისგან გამოხსნის გეგმები. სირთულეების მიუხედავად, ფერიქოის სამომ შეიკედლა საფრანგეთისკენ მიმავალი საქართველოს დემოკრა-

¹⁶ ლიტერატურაში ე. ბეჟანიშვილი ბეჟანიძის გვარით არის დაფიქსირებული. არადა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრ ნოე რამიშვილისადმი (1881-1930) გაგზავნილ განცხადებაში საკუთარ პერსონას იგი აფიქსირებს ბეჟანიშვილის გვარით [მაღაყმაძე..., II, 2020: 540], რაც ცხადია, სხვადასხვაა. მისი გვარი ასევე ფიქსირდება ბეჟანოვის ფორმითაც [იქვე, გვ. 543].

ტიული რესპუბლიკის მთავრობის წევრები. ისინი შეძლებისდაგვარად პატრონობას უწევდნენ სხვა ლტოლვივ ქართველებსაც. ასეთ ფონზე, რაოდენ გულსაწყენია ნოე ჟორდანიას (1868-1953) სიტყვები – „რა დაგვიჯდებოდა, ამ მონასტრისთვის ღირსეული სამსახური, რომ გავგეწიაო“ [ფუტკარაძე, 2007:18]. ამას ამბობდა ქვეყნის მეთაური, რომელსაც შეეძლო ფერიქოის სავანისთვის ხელშეწყობით იმავდროულად გაეკეთებინა მონასტრისთვის და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმე. ცინიზმის ნიმუშია ბალიძისადმი 1921 წელს გამოგზავნილი ჟორდანიას ეპისტოლე, რომელშიც იგი მისი სახელით მაღლობას ეუბნება სავანის ბერებს და სანაცვლოდ, სამონასტრო სამმოს საჭიროებისთვის 200 თურქულ ლირას უგზავნიდა [ფუტკარაძე..., I, 2017:959].

სავანე მზად არ იყო ემიგრანტების დიდი მასის მისაღებად, რადგან ფერიქოის სამმოს ფინანსური შესაძლებლობები შეზღუდული იყო. 1922 წლის მაისში ფერიქოის ეკლესიის ტერიტორიაზე მოვლენების თვითმხილველი პოეტი ნ. მიწიშვილი (1896-1937) წერდა: „თითოეულ ოთახში სამი, ოთხი კაცი ცხოვრობდა, მაგრამ მონასტერში ყოფნა მაინც კომფორტი იყო, ვინაიდან ქართველი ლტოლვილები დღითი დღე ღარიბდებოდნენ“ [კობლატაძე, 2007:28]. დაუზუსტებელი ცნობით ემიგრანტების რიცხვი 600 აღწევდა. ემიგრანტებს შორის იყო ქართველი გეოგრაფი, მწერალი და სამხედრო მოღვაწე გიორგი ყაზბეგი (1839-1921). ღრმად მოხუცებული ყაზბეგი, რომელმაც სტამბოლში გაატარა სიცოცხლის ბოლო წელი, იმ ემიგრანტთა შორის იყო, რომლებიც მონასტრის მხრიდან საკვებ დახმარებას იღებდნენ [ფუტკარაძე, 2007:17; კობლატაძე, 2007:28]. და მსგავსი ფაქტები ერთეული შემთხვევა არ იყო.



გიორგი ყაზბეგი

სამოქალაქო და სამხედრო პირების მონასტრის ტერიტორიაზე ცხოვრებამ ბერების მხრიდან მოითხოვა ლტოლვილების დისციპლინის ჩარჩოში მოქცევა. ჩანს, დისციპლინის დამრღვევად ყოფილი სამხედროები გამოირჩეოდნენ, ამიტომაც გენ. გიორგი კვინიტაძემ (1874-1970) მონასტრის წინამძღოლს ბალიძეს ბოდიშის წერილი მისწერა. ეპისტოლეში (5.05.1921) გენერალი წერდა: „სრულებით არ მსურს, რომ ორიოდ გათახსირებული ქართველისთვის... წაიბილწოს ის ადგილი სავანე“, რომელიც „...იყო საქართველოს თავისუფალი იდეის მატარებელი მაშინაც კი, როდესაც დათვურ რუსეთით დაპყრობილ საქართველოში ამის გახსენებაც არ

შეიძლება“. კვინიტაძემ მოითხოვა ურჩებისგან მონასტრის დაცვა [ფუტკარაძე..., I, 2017:955]. ირკვევა, რომ გენერლის ბრძანება დემორალიზებულმა ჯარისკაცებმა არ გაითვალისწინეს, ამიტომაც სავანის გამგეობამ (21.08.1921) სპეციალური ბრძნება გამოსცა, რომლითაც შეეცადნენ სასტუმროში მცხოვრები დევნილები გარკვეულ ჩარჩოებში მოექციათ – აიკრძალა მოწევა, დანაგვიანება, კარტის თამაში და ა.შ. [იქვე, 957].

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სავანის ტერიტორიაზე დროებით შეხიზნული იყვნენ 1924 წლის აჯანყების მონაწილეებიც. ამ ფაქტთან დაკავშირებით პირდაპირი მინიშნება ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ ვინაიდან სავანე იყო შუალედური რგოლი საფრანგეთში მყოფი ემიგრაციასა და საქართველოს შორის, ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ დევნილ აჯანყებულებს დროებითი თავშესაფარი იქ ეპოვათ. ჩვენს პოზიციას ისიც ამაგრებს, რომ სამმოს წევრი შ. ვარდიძე კ. სალიას (1900-1986) მეშვეობით თანამშრომლობდა პარიზში დაარსებულ ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. თუმცა კონკრეტული გვარების დასახელებისგან მაინც თავს შევიკავებთ. მონასტრის ბიბლიოთეკაში შენახულია „შთაბეჭდილების წიგნი“, რომლის ფურცლებზე იკითხება ის თანაგრძნობა და სიყვარული რაც სავანის სამმომ გასწია საქართველოდან გადმოხვეწილების მიმართ. ეს სიტყვებია: „ზნეობრივი სისპეტაკე და სამშობლოს სიყვარული უხვად შლის თავის სხივებს ამ მონასტერში“, „ქართული კულტურის სამოთხე უცხოეთში“, „კონსტანტინოპოლში ქართველთა სულიერი და კულტურული თავშესაფარი“, „საქართველოს ლამპარი უცხოეთში“, „სიმბოლო ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა“ და ა.შ. [ფუტკარაძე, 2007:26; 2012:54].

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის შემდეგ სავანის ბერები წითელი ჯვრის წარმომადგენლის ფუნქციას ასრულებდნენ ოკუპირებულ ქვეყანაში. ლიტერატურაში მინიშნებაა, რომ ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის თითქოს ბოლშევიკებმა ერთ-ერთი ბერი – შ. ვარდიძე დააპატიმრეს და ქვეყნიდან გააძევეს [მამულია, ასტამაძე, 2019:653-654], მაგრამ ეს ინფორმაცია რეალობას არ შეესაბამება. საქმე იმაშია, რომ მსგავსი ფაქტის არსებობის შემთხვევაში იგი აუცილებლად ნახსენები იქნებოდა მოგვიანებით, სავანის შესახებ 1928 წლის საგაზეთო პასკვილში.

XX ს-ის 20-ინი წლების მეორე ნახევარში სავანის სამმომში კრიზისმა იჩინა თავი, რაც სხვადასხვა გარემოებებით იყო განპირობებული. ქართული წარმომადგენლობის შენახვის მხრიდან გამოწვეული ფინანსური დიდძალი დანახარჯების გარდა, 1924 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, სავანის სამმომში

გაჩნდა უიმედობის გრძნობა. საეკლესიო ღვთისმსახურების გარდა, სავანეში ჩაკვდა ყოველგვარი აქტივობები. უპირველესად ეს დაეტყო საგამომცემლო საქმიანობას. თუ 1917-1924 წლებში სავანის საგამომცემლო საქმიანობა პოლიტიკური ლიტერატურის ბეჭდვის ხარჯზე ერთგვარ „მეორე აღორძინება“-ს განიცდიდა, 1925-1933 წლების მონაკვეთი სტამბის ისტორიაში ვაკუუმის პერიოდია, რომლის დროსაც წიგნი არ დაუბეჭდავთ. მიზეზად ყველაფრის მოტანა შეიძლება. ჩვენ ვთლით, რომ უმთავრესი იყო მაინც საქართველოს მხრიდან საგამომცემლო პროდუქტზე მოთხოვნილების შეწყვეტამ. უკანასკნელი წიგნი, რომელიც 1933 წელს სავანის სტამბაში დაიბეჭდა იყო ა. მანველიშვილის (1904-1997) „ვეფხისტყაოსანი და რუსთველის ზნეობრივი იდეოლოგია“. მანველიშვილი იყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი ლიდერი და პუბლიცისტი. 1932 წელს მას პარიზში მოხსენების სახით წაუკითხია ნაშრომი. სავანის წევრებიდან მანველიშვილის წიგნის მნიშვნელობა ზოგად ქართული კულტურის ჭრილში გაიაზრა შ. ვარდიემ, რომელსაც თავზე აუღია მისი დაფინანსების და ბეჭდვის საქმე [დემირი, 2017:48]. არსებითად, მანველიშვილის წიგნის გამოცემით დასრულდა ფერიქოის ქართული კათოლიკური ეკლესიის ბაზაზე არსებული სტამბის 1870-1933 წლების საგამომცემლო საქმიანობის მთელი ისტორია.



*მიხეილ
თარხნიშვილი*

20-იან წლებში სავანეში უფრო მწვავედ დადგა საკადრო საკითხი, ანუ საქმე ეხებოდა ღვთისმსახურებების რიცხვის კიდევ შემცირებას. საკადო პრობლემამ მონასტრის შემდგომი არსებობის საკითხი დააყენა. ფერიქოის სავანის სიცოცხლე მაინც დამოკიდებული იყო საქართველოდან წაყვანილი ყმაწვილებზე. ერთ-ერთი ასეთი ცდა იყო 1913 წელს, როდესაც სავანის ბერები პირადად ჩამოვიდნენ და სამხრეთ საქართველოდან ფერიქოის მონასტრის სკოლისთვის სასწავლებლად ყმაწვილები წაიყვანეს [პაპაშვილი, 1995:332]. მათ რიცხვში იყო შემდგომში ქართულ ეკლესიის ისტორიის მკვლევარი და თეოლოგი მიხეილ თარხნიშვილი (1897 -1958). სავანეში საკადრო პრობლემის მოგვარების მიზნით მონასტრის სამძო უკიდურეს ნაბიჯზე წავიდა. 1927 წლის 13 ივლისს, პატრი შ. ბათმანიშვილმა, რომელიც 1912-1937 წლებში სავანის წინამძღოლის მოვალეობას ასრულებდა, ოფიციალური წერილით მიმართა საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობას, რათა მისთვის ნება დაერთოთ

სტამბოლში სასწავლებლად წაყვანა კათოლიკე ახალგაზრდები. წერილში წინამძღოლი წერდა: „...ჩვენი თავიც და ჩვენი სიმდიდრეც მიგვაჩნია საქართველოს საკუთრება“ [„კომუნისტი“, 1928, №212:3]. სამწუხაროდ, სავანის არსებობისთვის ბათმანიშვილის მხრიდან გადადგმული ეს ნაბიჯი წარუმატებლად დასრულდა.

საფიქრებელია, რომ 1927 წლის 21-24 ივნისს მიმდინარე ქართველი სამღვდელოების მეოთხე ყრილობაზე, რომელსაც ბათმანიშვილი ესწრებოდა ვატიკანის წარმომადგენლის სტატუსით, მან გააჟღერა კათოლიკე ახალგაზრდების სტამბოლში სასწავლებლად წაყვანის მოთხოვნა. სავარაუდოთ, აბატის იდეას მომხრეები გაუჩნდა, ამიტომაც ხელისუფლების მხრიდან პრესის მეშვეობით დაიწყო სავანის მონასტრის სახელის დისკრედიტაციის კამპანია. მაგ., 1928 წლის 12 სექტემბერს გაზ. „კომუნისტი“ დაიბეჭდა სავანის სამძმოს და ფერიქოის ქართული მონასტრის დისკრედიტაციის შესახებ პასკვილი – „უმანკო ჩასახება“ სტამბოლში, ვატიკანი და მენშევიკური კონტრ-რევოლუცია“ (№212). პასკვილის ავტორად მითითებული იყო ვინმე „კვესი“. ქართულ პუბლიცისტიკაში „კვესი“ იყო ი. ყაჭეიშვილის ფსევდონიმი [შენგელაია, 2003: 11]. მის შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1915 წელს ყაჭეიშვილი აირჩიეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხაშურის განყოფილების ნამდვილ წევრად. მას გაზ. „ხმა კახეთისა“-ში გამოქვეყნებული ჰქონია რამდენიმე ყოფითი შინაარსის ფელეტონი [ლათიფაშვილი, 2011:84-87], ასევე სოც-დემოკრატიული პარტიის ჟურნალში („პირველი ნაბიჯი“. 1917, №12: 185-186) რევოლუციონერების შესახებ მოკლე ბიოგრაფიული ცნობები. გამორიცხული არც ის არის, რომ ფსევდონიმი „კვესი“ რედაქციის მიერ მოგონილი სახელიც იყოს. პრინციპში, პასკვილის ავტორობის საკითხი მეორეხარისხოვანია.

ჩვენ მხოლოდ პასკვილის რამდენიმე პასაჟზე გავამახვილებთ ყურადღებას. წერილის ავტორი წერს, რომ რუსეთში კათოლიციზმის დევნის პერიოდში ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებული ეკლესიის მისია იყო „...გადაქცეულიყო ვატიკანისა და ქართველ კათოლიკეთა დამაკავშირებელ ხიდად. ამასთან, სტამბოლის მონასტერი თავიდანვე მონათლულ იქნა, როგორც ქართული კულტურის კერა უცხოეთში. მეფის რეჟიმის დროს, როცა ყოველივე ქართული კანონს გარეშე იყო გამოცხადებული, ასეთი მისია დიდ პოპულარობას უხვეჭდა მონასტერს“. ამ შესავლის შემდეგ ავტორი მკვეთრ შემოზღუდვას აკეთებს და სავანის შესახებ წერს: „...შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ პოლიტიკამ ამ „ღვთის ტაძარში“ დაჩრდილა ჯვარი და სახარება“ [„კომუნისტი“, 1928, №212:3].

ასეთი შესავლის შემდეგ წერილში წამოყენებულია ბრალდებების მთელი კასკადი: „სტამბოლის „უმანკო ჩასახების“ მონასტერი ნამდვილ შეთქმულთა ბანაკის სახეს ღებულობს: „იმპერიალისტური ომის დროს... მონასტერი გერმანიის გენერალური შტაბის ნამდვილ იარაღად გადაიქცა“. ამის გარდა, რესპოდენტის ცნობით თითქოს „600 ლტოლვილმა ქართველ კონტრრევოლუციონერმა იპოვა მონასტერში თავშესაფარი. აქ იყო ქართული ემიგრაცია დაწყებული მინისტრებით და გათავებული გვარდიის უკანასკნელ მეჯინიებით“. პასკვილის მიხედვით სავანე გადაქცეული იყო პარიზიდან მენშევიკური მთავრობის მიერ აჯანყებისათვის გამოგზავნილი ემისრების ცენტრად. „...აქ ხდება თათბირი ავანტიურის მომზადების შესახებ... აქ იძებნება გზები და ხვრელები ავანტიურის სულის ჩამდგმელთა საქართველოში შემოსაპარებლად“. ავტორი უფრო შორსაც მიდის და წერს: „წიგნი და ხმალი, ჯვარი და თოფი, სახარება და სახრჩობელა ახალი ამბავი არ არის სამღვდელოების ცხოვრებაში. და რა გასაკვირია, თუ სტამბოლის ქართულ კათოლიკეთა მონასტერიც 1924 წლის ავანტიურის უახლოეს მამოძრავებელ პუნქტს წარმოადგენდა საზღვარგარეთიდან“.

პასკვილის მიხედვით, თითქოს 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ, სავანის სამმომ კავშირი გაწყვიტა ქართულ ემიგრაციასთან და „უფრო ინტიმური და მეგობრული შეიქმნა. გვერდზე გადაიდო „ხმალი და თოფი. წინ წამოიჭიმა სახარება და წიგნი“. გაზეთის მიხედვით სავანის სამმომ მოქმედების ტაქტიკა შეცვალა და „უმანკო ჩასახება“ მოგვევლინა „კულტურისა და განათლების ჩირაღდნით საქართველოში“. იმავდროულად ხაზი არის გასმული სამმოს მხრიდან განათლების მისაღებად მონასტერში ქართველი ყმაწვილების წყვანის მცდელობაზე, რაშით მათ სტამბოლში სსრკ გენერალური საკონსულოსთვის შუამდგომლობა უთხოვიათ.

კორესპონდენციის მიხედვით, თითქოს, სავანის სამმო „სტამბოლელ მამებმა და მათ პოლიტიკურმა მრჩეველებმა ჟორდანია-რამიშვილის სამწყსოდან გადაწყვიტეს, რომ დადგა მოხერხებული დრო, როცა კათოლიკეთა სამღვდელოებას შეუძლია საქართველოში წარმატებით აწარმოოს მუშაობა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ“, გაზეთი მათ გააქტიურების წინაპირობად მიიჩნევს საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიციის შესუსტებას და ანტირელიგიური კამპანიის ტალღის მიწვებას. თავისი მისიის შესასრულებლად გაზეთის მიხედვით საქართველოში მოდის სავანის წონადი ფიგურა – წინამძღოლი პატრი შიო ბათმანიშვილი. მასზე ნათქვამია, რომ „ის იცნობს საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას“, რომელიც „საქართველოში ჩამოსვლისთა-

ნავე შესაფერის პოზას დებულობს. ჩამოვიდა არა გამოქეცილი იეზუიტი, ვატიკანისა და მენშევიკების აგენტი, არამედ დიდათ სწავლული, ევროპაში აღზრდილი ქართველი კულტუროსანი“.

წერილში კორესპოდენტი ახსენებს ვინმე სადათიერაშვილს (სახელი ნახსენები არ არის – ავტ.) და შალვა ვარდიძეს. სადათიერაშვილის შესახებ მწირი ინფორმაცია გვაქვს. მასზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი სახელი იყო ვასილი და გახლდათ მოძრაობა „თეთრი გიორგის“ აქტიური წევრი. სადათიერაშვილის 1918 წელს გერმანიაში მოსწავლეებთან ერთად გადაღებული ფოტო საზოგადოებას მიაწოდა გ. მამულიამ. მეორე მსოფლიო ომის დროს სადათიერაშვილი ევროპაშია, სადაც მას მ. თარხნიშვილთან ერთად პაპი პიუს XII-სთვის (1939-1958) შეუდგენია ოფიციალური განაცხადი, რომელშიც ისინი შეახსენებდნენ პონტიფიკს წმ. საყდართან საქართველოს ისტორიულ კავშირებს და მადლობას გამოთქვამდნენ მის გადაწყვეტილებას რომში ქართული ეროვნული რელიგიური კერის დაარსების თაობაზე [ელბაქიძე..., 2019:131; ელბაქიძე, 2019:445].

სადათიერაშვილი სავანის სამმოს წევრი იყო. საგაზეთო პასკვილში იგი



*ვასილ
სადათიერაშვილი*

დახასიათებული არის, როგორც „საბჭოთა ყალბი ჩერვონცების მკეთებელთა შაიკის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი“, რომ იგი „მოკლებული არაა ერთგვარ ნიჭს სისხლის სამართლის საქმეების წმინდათ მოჭახრაკების საქმეში“ [„კომუნისტი“, 1928, № 212:3]. რაც შეეხება შალვა ვარდიძეს, ჩანს, გაზეთის რედაქციას არ ჰქონდათ პატრის მოღვაწეობის შესახებ უახლესი ინფორმაცია, ამიტომაც სახელის დისკრედიტაციის მიზნით წამოსწიეს მისი თანამშრომლობა გერმანიის პროტექტორატის ქვეშ შექმნილ „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან.

კორესპოდენციის მიხედვით ვარდიძეს გერმანელები „იშვიათი ნდობით ეპყრობოდნენ“, რომ იგი „ჯვარსა და ჯაშუშობას გერმანიის სასარგებლოდ ის ოსტატურად უხამებდა ერთმანეთს“. პატრის უწოდეს: „ბერი – ჯაშუში – მენშევიკი“. კორესპოდენციაში აღნიშნული იყო, რომ I მსოფლიო ომის მსვლელობისას ვარდიძის მხრიდან იყო საქართველოში ორჯერ არალეგალურად შემოსვლის მცდელობა. პატრიზე ისიც დაწერეს, რომ თითქოს იგი ქართულ გვარდიას აწვდიდა ინფორმაციებს ბათუმსა

და ახალციხეში მყოფი ინგლისელების და ოსმალების შესახებ. წერილის მიხედვით: „საერო მოღვაწეობამ იმდენად გაიტაცა ბერი ვარდიძე, რომ თავისი თავის გამოაშკარავებით მონასტერის საყვედურიც დაიმსახურა. სტამბოლში არ მოსწონდათ ვარდიძის ასე აშკარა პოლიტიკური მუშაობა და ამიტომაც ის „სასტიკად“ დასაჯეს: მას, როგორც ბერს რამდენიმე ხნით აეკრძალა ღვთის მსახურება ეკლესიაში“ [„კომუნისტი“, 1928, № 212:3].

არსებითად, რომ შევაჯამოთ ვიტყვით, რომ კორესპონდენცია საბჭოთა დემაგოგიის და დეზინფორმაციის კლასიკური ნიმუში იყო, რომელშიც ხე-ლის ერთი მოსმით ხაზი იყო გადასმული ქართული კულტურის დაცვის საქმეში სავანის საძმოს დამსახურებებზე.

XX ს-ის 30-აინი წლების დასაწყისში სავანის ქონების თაობაზე პოლემიკა წარიმართა შალვა ვარდიძესა და რომში მოღვაწე რაფიელ ინგილოს (ივანიცკი, 1886-1966) შორის. საქართველოში ინგილო ცნობადი სახე იყო. რამდენადაც იყო სასულიერო პირი და დამფუძნებელი კრების ყოფილი წევრი, მან, საინგილოს აზერბაიჯანის სსრ-სთვის გადაცემის გამო პროტესტი დააფიქსირა საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. 1922 წელს საქართველოს სსრ საგანგებო კომისიის („ჩეკა“) მხრიდან ინგილო რეპრესირებული იყო, თუმცა მალევე რეაბილიტირებული, გასახლებული პოლონეთში, ხოლო მოგვიანებით არჩეული ვატიკანში საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წევრად.

1930 წელს, პარიზში გამომავალ ჟურნალში – „დამოუკიდებელი საქართველო“ (№55), რ. ინგილომ დაბეჭდა წერილი სავანეში მიმდინარე ქონების დაყოფის საკითხის შესახებ. ავტორის ტონი ცინიკური იყო, იგი წერდა: სავანის „ყოფნა დედამიწაზე ზოგიერთებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა ქართველ ემიგრანტების გემი ოტტომანის ტახტის ქალაქს მიცურდა და გადმოხვეწილთა თვალსაჩინო ნაწილმა პირველი თავშესაფარი ლურჯქამრიან ბერების სავანეში ჰპოვა“ [ფუტკარაძე... I, 2017:264]. მარტო ამ წინადადებით ინგილომ ხელის ერთი მოსმით ხაზი გადაუსვა სავანის როლს საზღვარგარეთ ქართული ცნობიერების შენარჩუნების საქმეში. ინგილო შემდეგ აგრძელებდა: „საზღვარგარეთ ძველ დროშიაც ჰქონია მონასტერი საქართველოს. გარნა იგინი უცხო ხალხის ყურადღებას იზიდავდნენ არა შინაურელი დავიდარაბითა და სკანდალური პროცესებით... იმ დროს საზღვარგარეთელ ქართველ ბერებს საბანკროტო ობიექტად კი არ აცხადებდნენ. მათი ავტორიტეტი ისე მაღლა იდგა, რომ მათ რჩევისა და დარიგებისათვის თვით უცხოელები მიჰმართავდნენ!... ქართველი ბერების სასახელო მოღვაწეობით თვით საქართველოს ენიჭება სახელი და ავტორიტეტი!“ [ფუტკარაძე... I, 2017:265].

ინგილოს წერილის პათოსი გვაფიქრებინებს, რომ იგი იყო 1928 წელს გაზ. „კომუნისტში“ სავანის შესახებ გამოქვეყნებული პასკვილის გაგრძელება. ინგილომ, საკმაოდ განათლებულმა პიროვნებამ, მით უფრო ყოფილმა იურისტმა კარგად იცოდა, რომ საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელს ვატიკანში არ ეხებოდა და არც ჰქონდა უფლება ჩარეულიყო კათოლიკური ეკლესიის ქონებრივი დავის საკითხში. მისი წერილით შეგვიძლია პირდაპირ ვთქვათ, რომ საბჭოთა უშიშროებამ შესძლო ინგილოს გადმობირება და აგენტის როლში მას დაეკისრა სპეცდავალების შესრულება. ჩვენს პოზიციას ისიც ამაგრებს, რომ საქართველოში დეკანოზის რანგში მოღვაწეობისას, ივანიცკი, შედიოდა ე.წ. „რეფორმატორთა“ ჯგუფში, რომლებმაც საქართველოს პატრიარქის და საკათალიკოზო საბჭოს გვერდის ავლით 1926 წლის 24 დეკემბერს ქუთაისში მოიწვიეს საეკლესიო ყრილობა, სადაც დააყენეს დროებითი საეკლესიო მმართველობის და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საკათალიკოზო საბჭოს მოქმედი შემადგენლობის გადაყენების საკითხი [ვარდოსანიძე, 2001]. ფაქტია, რომ



რაფიელ ინგილო

ივანიცკის მიმართ ლოიალური იყო საბჭოთა ხელისუფლება და ამიტომაც მოხდა მისი დანიშვნა რომის პაპის კარზე საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო საბჭოს წარმომადგენლად. მამასადამე, უშიშროებამ შესძლო მოეძია პირი და უფრო მეტი დამაჯერებლობისთვის, კათოლიკურ სამყაროში მოქმედი ყველაზე დიდი ორგანოდან, შეეცადა სავანის ავტორიტეტის დისკრედიტაციას. თვით ინგილოც შეფარვით დასძენდა: „მე მხოლოდ ვიბრძვი ჩემი შეთოკილი სამშობლოს ხსნისა და წარმატებისთვის“ [ფუტკარაძე..., I, 2017:265].

ნიშანდობლივია, რომ ინგილოს წერილმა კიდევ უფრო გაამწვავა სავანის ქონებრივი დავის საკითხი. საჭირო იყო მკვეთრი პასუხის გაცემა, რაც იტვირთა შ. ვარდიძემ. 1931 წელს მან იგივე ჟურნალში გამოაქვეყნა პოლემიკური ნაშრომი – „სტამბოლის მონასტერი და რაფიელ ინგილო“ (გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, №63-64). თავისი პოზიცია ვარდიძემ ასევე დააფიქსირა ემიგრანტ ქართველებისადმი გაგზავნილ ეპისტოლეებშიც. ერთ-ერთ მათგანთან პატრი წერდა: „არც სასულიერო, არც სამოქალაქო სამართალი, კანონები და სინდისი არავის ნებას აძლევს, რომ ჩვენ სავანეს გამოედაოს მცირე მამულებზე“. იგი გაკვირვებული იყო ინგილოს ქმედებით, რადგან უკანასკნელი არ იყო ნამყოფი სავანეში და მისთვის უცნობი იყო იქ მიმდინარე პროცესები. ვარდიძე

შენიშნავდა, რომ ინგილოს „დადებითი მხარე კი არ აინტერესებს, არამედ უარყოფითი“ [მაღაყმაძე..., II, 2020:511].

ჩვენ არ შევუდგებით ვარდიძის მხრიდან გაცემული პასუხის დეტალურ ანალიზს, შევნიშნავთ, იგი იყო ლაკონური, არგუმენტირებული და იჯდა კორექტულობის ჩარჩოში. ვარდიძე წერდა, რომ „ყველა მამული ჩვენ ქართველ კათოლიკე ეკლესიის სახელობაზეა დამტკიცებული“ [ფუტკარაძე..., I, 2017:268]. პატრი განმარტებას აკეთებს, რომ ხარისჭირაშვილის ძალისხმევით 1871 წელს მამათა მონასტრის ტერიტორიაზე მონაზონების სავანეს ჩამოყალიბების თაობაზე. იგი შენიშნავდა, რომ აბატის ანდერძით ბერებმა ივალდებულეს 10-15 წლის მანძილზე მონაზონებისთვის გაეწიათ პატრონაჟი. ვარდიძის შენიშნით, პატრონაჟი 20-23 წელი გაგრძელდა, რის შემდეგ უკანასკნელებს არ მოუსურვებიათ მამების მონაწილეობა მათ ხელმძღვანელობაში [ფუტკარაძე..., I, 2017:-267]. პატრის განმარტებით, აბატმა გაითვალისწინა მოსალოდნელი გართულებები, ამიტომაც 1863 და 1869 წლების ანდერძები მან შეამოწმებინა პაპის წარმომადგენელ ეპისკოპოსს, ხოლო უკანასკნელი საბუთი 1870 წლის 10 აგვი-სტოს გაატარა იმპერიის „სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში“ [ფუტკარაძე..., I, 2017:267]. ნიშანდობლივია, რომ პოზიციის გასამაგრებლად ვარდიძე იშველიებს პასაჟს აბატის ანდერძიდან, სადაც ხარისჭირაშვილი წერდა, რომ „არც ჩემ ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექნება უფლება უქმნას დავა ზემოთხსენებულ საკუთრებებზე ხსენებულ ბერებსა, ანუ წარიტაცოს ერთი რომელიმე ნაწილი მათი“ [ფუტკარაძე..., I, 2017:268].

ვარდიძის ძალისხმევით ჩანს, პოლემიკას სავანის სამონასტრო ქონების თაობაზე წერტილი დაესვა. თვით ვარდიძის შენიშვნით ივანიცკის ქმედებამ უკმაყოფილება გამოიწვია სტამბოლის კათოლიკეებში, მათ შორის მოლოზნებში, რადგანაც მისმა „წერილებმა მათ ვნება მოუტანა“ [მაღაყმაძე..., II, 2020:-516].

II მსოფლიო ომის (1939-1945) და შემდეგ პერიოდში, ქართველი ღვთისმსახურების რიცხვის შემცირების შედეგად, სავანის მდგომარეობა კიდევ გაართულდა. საქმე იმაშია, რომ სავანემ რეპრესიებიც გადაიტანა თურქეთის რესპუბლიკის ძალოვანი სტრუქტურების მხრიდან. მასალის სიმწირის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტი სურათის წარმოდგენა, უბრალოდ ვიცით, რომ რეპრესირებულთა რიცხვში აღმოჩნდა საძმოს თვალსაჩინო წევრი შ. ვარდიძე, რომელიც გაურკვეველი მიზეზებით, 1942 წელს, ქვეყნიდან გაასახლეს [მამულია, ასტამაძე, 2019:654]. უფრო მეტიც, მას აეკრძალა სავანეს საძმოსთან ყოველ-

გვარი ურთიერთობა. ცხადია, ვარდიძის მოკვეთა სავანისთვის დიდი დანაკლისი იყო. რაც შეეხება ხელისუფლების მხრიდან ჟესტს, იგი, ქართველთა სამოსთვის მომავალში ფრთხილი და მოზომილი ქმედებების მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. ვითარებიდან გამომდინარე, ამ და სხვა გარემოებების გამო, ჩვენ არასწორი მიგვაჩნია ცნობა თითქოს ომის მსვლელობის პერიოდში ტყვე ქართველებმა სწორედ სავანეს შეაფარეს თავი [ქუთათელაძე, 2019:662].

მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში სტამბოლის ქართველთა კონგრეგაციისთვის თავსატეხად კვლავ საკადრო საკითხი იქცა. პრობლემა, რომელმაც თავი იჩინა ომის წინა პერიოდში, კიდევ უფრო მწვავედ დადგა. საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის სასაზღვრო ზონის დაკეტვამ ჯერ კიდევ 30-იან წლებში, სავანე მოწყვიტა საქართველოდან ახალგაზრდა კადრების მიგრირებიდან. იგივე სურათი შეიქმნა ომის შემდგომ პერიოდში. აღარ ხერხდებოდა სავანის საჭირო კადრებით მომარაგება. შექმნილმა ვითარებამ სავანის გადარჩენის და მისი შემდგომი ფუნქციონირების საკითხი დააყენა. ამასთან დაკავშირებით, შ. ფუტკარაძემ, მიმოქცევაში შემოიტანა ინფორმაცია პატრი პიო ბალიძეს სტამბოლში სავანეში სტუმრად მყოფ საბჭოთა მთავრობის ჩინოსან ვინმე ალექსანდრე (სანდრო) სააკაშვილთან შეხვედრის თაობაზე. უკანასკნელი მონასტრის მესვეურებს თითქოს დახმარებას დაჰპირებია და მისი რჩევით, 1949 წლის 28 აპრილს, პატრის ოფიციალური წერილი-თხოვნით მიუმართია საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობისადმი. წერილში ბალიძე წერდა: „იმედს გამოვთქვამთ, რომ თბილისი ჩვენს მდგომარეობაში შევა: ვართ უცხო ქვეყანაში უპატრონოდ დარჩენილი. ჩვენ ვართ განწირული ერისათვის და სამშობლოსათვის... სტამბოლის ქართული მონასტერი იყო არის და იქნება ქართული სულის მატარებელი საყდარი, ...იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება, ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს, უცხოეთში დაფუძნებული პატარა საქართველო, ღირსეულად იქნეს შენახული და დაცული“. წერილის დასასრულს ბალიძე შენიშნავდა: „...ნიკოლოზმა სახლის კარი გადაგვირჩა“; საქართველოს მენშევიკურმა ხელისუფლებამ „ბაზმით ყურები დაიცვა“; ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს?“ [ფუტკარაძე, 2007:16; ფუტკარაძე, 2007:53; ფუტკარაძე..., I, 2017:954].

ბალიძე-საკაშვილის შეხვედრის თაობაზე ლიტერატურაში გულუბრყვილო შეფასება აქვს მიცემული. თითქოს სავანეში მისულ სააკაშვილს პატრიოტული მოტივები ამოდრავებდა, რაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ დაბლოკა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩვენ სხვა ხედვა გვაქვს. საქმე იმაშია, რომ

მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა მთავრობის მხრიდან ტერიტორიული მოთხოვნის პრეტენზიის შედეგად თურქეთის რესპუბლიკასა და სსრ კავშირის შორის დაპირისპირებამ აპოგეას მიაღწია. უფრო მეტიც, 1948 წლის თურქულ პრესაში საბჭოთა რუსეთი გამოცხადებული იყო რეაქციულ და თურქეთის ეროვნული ინტერესების განვითარების შემაფერხებელ ძალად [Бахревский,... 2019:151]. ასეთი ისტერიის ფონზე, ისიც 1949 წელს, მიგვაჩნია, რომ ვერავინ გაბედავდა სავანეში პატრიოტული იდეებით მისვლას. სააკაშვილის ქცევაში ჩვენ უფრო საბჭოთა უშიშროების მხრიდან გადადგმული ქმედებას ვხედავთ. მიგვაჩნია, რომ უშიშროების მხრიდან სააკაშვილი სავანეში შეგნებულად იყო მიგზავნილი, რათა გაერკვიათ იქ არსებული ვითარება და ზოგადად ამით დაეხსტებინათ თურქეთის რესპუბლიკაში ქართული ელემენტების როლი. მით უფრო, რომ 1928 წლის ანტისავანური ცილისმწამებლური კამპანია სწორედ საბჭოთა უშიშროების ორგანოების მხრიდან იყო ორგანიზებული და იგი დავიწყებული არ იყო.


საკადრო პრობლემიდან გამომდინარე 50-60-იან წლებში სავანის მღვთმარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. 1955 წლის 6-7 სექტემბრის სტამბოლის მასობრივი დარბევა მართალია ბერძენი მოსახლეობის წინააღმდეგ იყო მიმართული, მაშინ ქალაქში დაზიანდა 80 მონასტერი, 40 სკოლა და შებიღწული იყო ქრისტიანების სასაფლაოები, მაგრამ ამ ფაქტმა კათოლიკეებსა და ორთოდოქსებში რეზონანსი გამოიწვია, რაც 50-იანი წლების მეორე ნახევარში სტამბოლიდან მათი იმიგრაციის მიზეზი გახდა. ყოველივეს ისიც დაემატა, რომ ღვთისმსახურების შევსება შეწყდა თურქეთში მცხოვრები ქართველებიდან, ხოლო ე.წ. „რკინის ფარდის“ წყალობით საერთოდ გამოირიცხა საქართველოდან ყმაწვილების წაყვანა. ასეთ ვითარებაში, ასაკის გამო, ზეციურ სამყაროში ერთიმეორეს მიყოლებით მიდიოდნენ სავანის მღვდელმსახურები. ისეთი კრიტიკული ვითარება შეიქმნა, რომ 60-იანი წლების დასაწყისში სავანეში ცოცხალი იყო მხოლოდ წინამძღოლი პეტრე ტატალაშვილი (?-1964) და ეკლესიის მსახური პავლე აკობაშვილი (ადგულაძე, ?-1981). თანდათან, სტამბოლის უბნებში (გალათა, სოსტენე, ვეზირხანა, უსქუდარი, პერა და ფასკვერი) წაიშალა ქართული კულტურის კვალი [ფუტკარაძე, 2007:14]. სხვადასხვა მიზეზებით ქართველთა სამომ დაკარგა საეკლესიო ქონება (მიწები, ქარვასლები...)

✠	
GÜRCÜ KATOLİK KİLİSESİ BAŞRAHİPLERİ	
1861 — 1961	
* * * * *	
მ.კ.პ. პაბია ნაგისკასი	1890.1892
მ.ბ.ზ.ზ. ზიორიძე	1892.1898
მ.ალფონსი ხითაგაშვილი	1898.1905
მ.ბენუიტო ვარდიე	1905.1912.1937.1942
მ.პი.ბალიძე	1912.1921.1942.1956
მ.პი.ბათიანაშვილი	1912.1937
მ.პი.ბათიანაშვილი	1956.1961
L.VENERABLE PERE FONDATEUR ET LES SUPERIEURS	
T.R.P.PIERRE CARISCIARANTI	1890.1892
R.P.ETIENNE GHIDRIGIZE	1892.1898
R.P.ALPHONSE KHITRACHVILI	1898.1905
R.P.BENOIT YARDIZE	1905.1912.1937.1942
R.P.PIE BALIYZE	1912.1921.1942.1956
R.P.GIHO BATMANACHVILI	1912.1937
R.P.PIERRE TATALACHVILI	1956.1961
* * * * *	
წაშლა: 1966 ახს	
საქვე სასაქო მოსახლეობა.	
საქვე აკობაშვილი ბაბი.საქვე	

სავანის წინამძღოლები

და დარჩენილი იყო მხოლოდ ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. არადა, სავანეში პრაქტიკულად არავინ დარჩა ვინც შესძლებდა ბრძოლას მისი დაცვა-შენარჩუნებისთვის.

ასეთ ვითარებაში აკობაშვილმა დახმარებისთვის მიმართა ევროპასა და ამერიკაში მცხოვრებ ქართველებს მიმართა. 1960 წლის 3 თებერვალს იგი ემიგრანტ ქართველებს წერდა: „დავრჩი სულ მარტოდმარტო; ვიბრძვი და ვშაობ, რომ იგივე ბედი არ ეწვიოს ამ ჩვენს ეკლესიას, როგორც წილად ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში, ათონის მთაზე, სინას მთაზე და



სხვაგან... სანამ ცოცხალი ვარ, არ ვზოგავ ძალღონეს, რომ ეს განძი, საუნჯე შერჩეს ჩვენს ერს... ღმერთმა იცის, ყველაფერი ჩვენს საყვარელ სამშობლოსა და მის შვილებზეა დამოკიდებული...“ [ფუტკარაძე, 2007:18; 2007:54; ქუთათელაძე, 2019:660]. აკობაშვილის მოთხოვნა იყო „ქართველი მღვდელის შოვნა“, რომელიც ეროვნულ ენაზე შესძლებდა წირვა-ლოცვის ჩატარებას [ფუტკარაძე..., I, 2017-

:1007]. სამწუხაროდ, ემიგრანტ ქართველებიდან რეალური თანადგომა არ ჩანდა. აკობაშვილის გარდაცვალების შემდეგ ფერიქოის ქართული ეკლესია დაიხურა. ყველაზე ცუდი ის იყო, რომ უცხოეთში არსებული სხვა ქართული კერების მსგავსად სავანეს გაუქმება ემუქრებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ



პავლე ჯაზაძე

სტამბოლის ქართული კათოლიკური თემის მცირერიცხოვნობის გამო, ვერ მოიძებნა ქართულად რიტუალის შემსრულებლის თურქეთის მოქალაქე მღვდელთმსახური. ყოველივეს ისიც დაერთო, რომ მრევლის მნიშვნელოვან ნაწილს ბომონტი-შიშლის უბანში მცხოვრები სომხური წარმოშობის კათოლიკეები შეადგენენ, რაც ქმნიდა ფერიქოის მონასტრის მათ ხელში გადასვლის საშიშროებას. ეს კი მთლიანად ეწინააღმდეგებოდა ხარისჭირაშვილის მიერ განსაზღვრულ ეკლესიის მისიას. ასეთ ვითარებაში, 1966 წელს, სტამბოლის ქართულ სავანეს ძლიერი

მფარველი გამოუჩნდა პავლე ჯაზაძის (1900-1989) და მისი ოჯახის სახით. 1966 წელს პ. ჯაზაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ეკლესიასთან არსებული კათოლიკური საზოგადოების ფონდი, რომელმაც ითავა ფერიქოის მონასტრის და მისი ქონების პატრონობა [ფუტკარაძე, 2007:55].

3. ზაზაძე საინტერესო ფიგურა გახლავთ. ბიზნესმენი და მეცენატი მთელი 30 წლის მანძილზე უწყევდა ფერიქოის ქართველთა ეკლესიას მფარველობას. თუ, ხარისჭირაშვილი იყო მონასტრის დამაარსებელი და სამონასტრო პოლიტიკის წარმართველი, მეცენატის დამსახურებაა სავანისთვის „მეორე სიცოცხლის“ მიცემა. პავლე, 1913 წ. ოქტომბერში, 13 წლის ასაკში სავანის წინამძღოლმა ბენედიქტე ვარდიძემ უდედან სტამბოლში სხვა ყმაწვილებთან ერთად წაიყვანა ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ ვაჟთა სასწავლებელში განათლების მისაღებად. მისი სტამბოლში წაყვანა ნათესაობის ფაქტორმა გადაწყვიტა. საქმე იმაშია, რომ პავლეს დედა – ელიზავეტა, სავანეში მოღვაწე შალვა ვარდიძის ბიძაშვილი იყო [ფუტკარაძე, 2007:59]. შემდგომში შ. ვარდიძე მეცენატის სულიერი მამა იყო.

I მსოფლიო ომმა და ოსმალეთში მიმდინარე მოვლენებმა პავლეს გეგმები არია. მას ჰქონდა შანსი წასულიყო აშშ-ში, მაგრამ საქართველოში ჩასვლის იმედად, შალვა ვარდიძის რჩევით, იგი სტამბოლში დარჩა. პავლეზე მტკივნეულად იმოქმედა სტამბოლში მყოფი ძმების – ლევანის და ალიოზის დაღუპვამ (სხვა ვერსიით თითქოს ისინი საზღვარზე დააკავეს და დახვრიტეს) [ქუჩუქი, 2007:34]. ამ და სხვა ობიექტური მიზეზების გამო პ. ზაზაძე სტამბოლში დარჩა, სადაც კომერციულ საქმიანობას მიჰყვო ხელი.




პ. ზაზაძის ოჯახი

პ. ზაზაძე სავანის ვაჟთა სასწავლებლის კურსდამთავრებული იყო, მაგრამ იგი სამონასტრო ცხოვრებას არ გაჰყვა და თავი ბიზნესს მიუძღვნა. ირკვევა, რომ სწავლის პერიოდში მას სტამბოლის ისტორიულ ნაწილის – ფატიჰის თაჰთაკალეს („Tahte'l kal'a“ – ციხის ქვეშ) რაიონში ქართველ მოვაჭრეებთან დაუწყია მუშაობა. ზოგადად, თაჰთაკალე, როგორც შიდა ნავსადგურის და მიმდებარე ტერიტორია ბიზანტიისა და ოსმალეთის პერიოდიდან იყო კონსტანტინეპოლის (სტამბოლი) კომერციული საქმიანობის უბანი. ზაზაძეს ბიზნესმენის ალლო აღმოაჩნდა, რადგანაც მალევე შესძლო ადგილს დაკავება თაჰთაკალეს ვაჭართა შორის. 1925 წელს სტამბულის სავაჭრო პალატამ დაარეგისტრირა მისი კომპანია – „Pol Zazadze Mahdumu Simon Aleksandır Zazadze“. პირველი მაღაზია რომელიც ზაზაძემ გახსნა თაჰთაკალეში იყო „Haliz İngiliz Çelik Mamulatı

Satış Mağazası“ (ნამდვილი ბრიტანული ფოლადის პროდუქციის მაღაზია). მაღაზიაში ბიზნესმენს შემოჰქონდა სხვადასხვა სახის იმპორტული პროდუქცია (საპარსი, ჯიბის დანა, დალაქის აქსესუარები, მაკრატელი, ზეთის ნათურები...). პირველმა წარმატებებმა ზაზაძე მოკლე დროში ცნობილი ბიზნესმენი გახადა [https://www.razorus.com/zaza-footprint-in-shaving-history], რამაც მას საფუძველი მისცა ბომონტისა და თაჰთაქალეს საწარმოებში პარფიუმერიული ნაწარმის ბიზნესი წამოეწყო [ქუჩუქი, 2007:34].

1931 წელს (სხვა ვერსიით 1930 წელს) პ. ზაზაძემ სტამბულში დააარსა თურქეთის რესპუბლიკაში პირველი და მსოფლიოში სიდიდით მესამე საპარსის ქარხანა. იგი მომგებიანი ბიზნესი დარჩა. საპარსის წარმოების გარდა, ზაზაძე წარმატებით აწარმოებდა სხვადასხვა კოსმეტიკურ პროდუქტებს (პუდრის კოსმეტიკურ ინგრედიენტი – ტალკი, საპონი, თმის კრემები...). პროდუქციის მრავალფეროვნებამ ზაზაძე თურქეთში პარფიუმერულ სფეროში მოდის კანონმდებლად აქცია. თანდათან, ზაზაძეს ბრენდის მიხედვით, „ZAZA“-ს სტანდარტებით თურქეთში და მის ფარგლებს გარეთ 60-ზე მეტი ქვებრენდის წარმოება დაიწყო [https://www.razorus.com/zaza-footprint-in-shaving-history]. შესაბამისად, თურქეთში „ZAZA“ იქცა, როგორც ე.წ. „მოვლილი ჯენტლმენების“ საყვარელი ბრენდი. 1957 წლისთვის „ZAZA“-ს კომპანიების ჯგუფში უკვე 10-მდე ქარხანა მოქმედებდა.

ზაზაძეების საქმიანობა საოჯახო ბიზნესის სფეროს განეკუთვნებოდა. პ. ზაზაძეს წამოწყებულ საქმიანობას წარმატებით აგრძელებდნენ მისი ვაჟი –



ქ. „ბედი ქართლისა“

სიმონი და დღეს შვილიშვილი პოლი. უნდა ითქვას, რომ ეპოქის შესაბამისად ზაზაძეების საქმიანობა მრავალფეროვნებას განიცდიდა. ბიზნესის გარდა ისინი ეწეოდნენ სხვადასხვა კულტურულ და საქველმოქმედო საქმიანობასაც. მაგ., შიშლის უბანში 1968 წლიდან ფუნქციონირებს ს. ზაზაძის ინიციატივით დაარსებული ინგლისურ-თურქული „Özel Bilgi Koleji“. ასევე, 1962-1982 წლებში პავლე და სიმონ ზაზაძეები აფინანსებდნენ საზღვარგარეთ გამოცემულ ჟურნალებს. მათგან გვინდა დავასახელოთ ფრანგულ ენაზე გამომავალი ჟურნ. „ბედი ქართლისა“ („Bedi Kartlisa. Revue de Kartvélogie“). 1948 წელს ნინო და კალისტრატე

სალიების ხელმძღვანელობით პარიზში გამომავალი ჟურნალი იყო ევროპაში ერთადერთი ქართველოლოგიური სამეცნიერო პუბლიკაცია, რომელშიც სტატიები იბეჭდებოდა ქართულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე.

„ბედი ქართლისა“-ს მიმართ ზაზაძეების მხრიდან დაინტერესებას ასევე განაპირობებდა კ. სალიასთან სავანის სამმოს წევრების სიახლოვე-ნაცნობობა. 1964 წლის ერთ-ერთ ეპისტოლეში ნინო სალია წერდა: „ამ დახმარებას სტამბოლის ქართული მონასტრიდან... მოველით, რისთვისაც ქართველი ერი მადლობას გეტყვით“ [ფუტკარაძე..., I, 2017:548]. მეცენატები ფინანსურად ასევე ეხმარებოდნენ ევროპასა („კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუმაგი“, „საქართველოს გუმაგი“, „თავისუფალი საქართველო“, „საქართველო“), და თურქეთში გამომავალ სხვა ჟურნალებსაც („ფიროსმანი“ და „ჩვენებური“).

ლიტერატურაში პავლე ზაზაძის არჩევას სტამბოლის ქართული სავანის მზრუნველად და სიმონ ზაზაძის მხრიდან ჟ. „ბედი ქართლისას“ დაფინანსებას ერთიან სიბრტყეში ხედავენ. თუ ამ აზრს მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გამოდის, რომ XX საუკუნის 60-იან წლებიდან ქართულ ემიგრაციაში ზაზაძეების სახით იქმნება ახალი ცენტრი, რომლებიც სტამბოლის ქართული მონასტრის იდეალებიდან გამომდინარე, იწყებენ მოღვაწეობას ქართული კულტურის გადარჩენის საქმეში [ფუტკარაძე, 2007:55].

1960 წელს კ. ზაზაძეს ვატიკანმა პრესტიჟული – „Commandateur de L'ordre de St. Sylvestre“ წოდება მიანიჭა [ქუჩუქი, 2007:35]. ეს ორდენი 1841 წელს დაარსდა პაპმა გრიგოლ XVI-მ (1831-1846) პაპი სილვესტერ I-ის (314-335) პატივისცემად. იგი ეძლევათ სქესის განურჩევლად პირებს, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ეკლესიის ცხოვრებაში, უთვისტომო ადამიანების მიმართ გაწეული დახმარებაში და ა.შ. ორდენის ორნამენტი იყო რვაქიმიანი ოქროს ჯვარი, რომლის ემალირებულ ცენტრში გამოსახული იყო წმინდა სილვესტერის ფიგურა. ორდენის დაჯილდოება ხდება ეპარქიის ეპისკოპოსების ან სამოციქულო ნუნციოს რეკომენდაციით. პაპის რაინდებსა და ქალებს არ აქვთ რაიმე კონკრეტული ვალდებულება. თუმცა, ჩვეულებრივად ხდება მათი მოწვევა თავიანთი ეპარქიის მთავარ ღონისძიებებში (ეპისკოპოსთა კურთხევა, მღვდლების ხელდასხმა...). ოფიციალურ შემთხვევებში ორდენოსნები ორდენის უნიფორმას ატარებენ. ჩანს, ზაზაძის შემთხვევაში ვატიკანმა მხედველობაში მიიღო მეცენატის მცდელობა ფერიქოის ეკლესიის და უპოვართა დაცვის საქმეში.



წმ. სილვესტერის ორდენი

XX საუკუნის 60-80-იან წლებში ზაზაძეების კლასტერის მიზანი იყო სტამბოლის ფერიქოის სამონასტრო ქონების (მიწები,...) დაცვა. სამწუხაროდ, ამ კუ-

თხით მწირი მასალები გამო არ შეგვიძლია ვრცლად ვისაუბროთ. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ს. ზაზაძე მოგონებებში დაფიქსირებულ მხოლოდ ერთ ფაქტს. მეცენატის ცნობით, ბერების გარეშე დარჩენილი ეკლესიის დაუფლების პრეტენზია განუცხადებიათ „ფრანგებს“ და „კათოლიკე რომაელებს“. და იმ დროს სავანის გადარჩენის საქმეში მაშინ მას მხარში დაუდგა აჰმედ შენი (აბულაძე) [ფუტკარაძე, 2007:57].

ცხადია, ფერიქოის ეკლესიის გარშემო შექმნილი ვითარება საჭიროებდა ოპტიმალური გამოსავლის ძიებას, ამიტომაც მონასტრის ბაზაზე შექმნილ კათოლიკური საზოგადოების ფონდს, რომლის ხელმძღვანელი იყო პ. ზაზაძე და სტამბოლის ლათინური კათოლიკური ვიკარიატს შორის, 1966 წელს, გაფორმდა შეთანხმება. ორ სუბიექტს შორის დადებულმა შეთანხმებამ განსაზღვრა ნოტრდამ დე ლურდის ფერიქოის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში ღვთისმსახურების გაგრძელება. ზაზაძის და კათოლიკური საზოგადოების ფონდის გამარჯვება იყო ვიკარიატის მხრიდან ეკლესიის ქართული იდენტობის დაცვის პირობის მიღება. ასევე მონასტერში განისაზღვრა ყოველწლიურად 14 იანვარს წმინდა ნინოს დღესასწაულის (ნინოობა) აღნიშვნა.

დასასრულ. გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ ჩაგვივარდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მიმართვის ორიგინალი ქრისტიანული ერთიანობის სამდივნოს მდივანს მამა პიერ დიუპრესადმი, რომელშიც გაცხადებულია მზაობა ფერიქოის ქართული მონასტრის წინამძღოლად არქიმანდრიტი კალისტრატე (მარგალიტაშვილი, 1938-2019) დანიშვნის თაობაზე. წერილში ილია II სთხოვდა მდივანს, რომ მამა კალისტრატეს გაუწიოს ვიზირება რომის პაპ იოანე პავლე II-სადმი. პატრიარქი იღებდა ვალდებულებას, რომ საჭირო შემთხვევაში არქიმანდრიტი მიიღებდა კათოლიკობას და მას მიეცემოდა თურქეთის მოქალაქეობაც. არ ვიცით ეს სსრკ ყოფილი უშიშროების კიდევ ერთი ქმედება იყო მონასტრის ხელში ჩაგდების შესახებ, თუ პატრიოტული პოზიციებიდან გამომდინარე ქართული ეკლესიის მხრიდან მცდელობა ეროვნულ რეალობას დაებრუნებინათ ფერიქოის ქართული მონასტერი, მაგრამ ფაქტია, ეს ლამაზი იდეა მარცხით და წარუმატებლობით დასრულდა.



**კათოლიკობა საბჭოთა საქართველოში
(რეპლიკატივიზმი პოლიტიკა, რეპრესიები, ტერორი)**

საქართველოში ტოტალიტარული რეპრესიები ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი და გააზრებული. არ მომხდარა საბჭოთა პერიოდის საფუძვლიანი შესწავლა არც კათოლიკური ეკლესიის შემთხვევაში. არადა ის, სხვა რელიგიური თემების მსგავსად, არანაკლებ დაზარალდა და მიუხედავად პოსტ-საბჭოთა საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა, მას დღესაც არ მოუშუშებია წითელი ტერორის შედეგად მიყენებული ტრავმები.

წითელი არმიის შემოსვლამდე კათოლიკური თემის ცხოვრება საქართველოში განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდიდა. ამ დროისათვის აქაურ კათოლიკეთა რაოდენობის დადგენა რთულია, რადგან სხვადასხვა წყაროს მონაცემები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ქრისტოფერ ცუგერის ცნობით საქართველოში 24 ათასი ლათინური წესის კათოლიკე ცხოვრობდა, რეგიონში კი მათი რიცხვი 30 ათასს აჭარბებდა. 1920-იან წლებში საქართველოში 50 ათასი მორწმუნე საუბრობს 2008 წელს გამოცემული სტატია კათოლიკეებზე კრებულში „რელიგიები საქართველოში“ [კიკნაძე, 2008; Zuger, 2001; ბარდაველიძე, 2017].

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე საქართველოში 20-მდე ეკლესია აშენდა [ნაცვლიშვილი, 2015:8]. 1917 წლის კავკასიის კალენდრის მიხედვით თბილისში იყო ორი კათოლიკური ტაძარი: პეტრე-პავლეს ეკლესია (ვიზიტატორი და წინამძღვარი მიხეილ ანტონოვი (ანტონაშვილი) და წინამძღვარი ანტონ როზლიაშინსკი) და ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი ლაზარე გოზალაოვის (გოზალიშვილის) წინამძღოლობით. სამრევლოები მოქმედებდნენ გოშრი (ანსელმ მღებროვი (მღებრიშვილი), ახალქალაქში (რაფი ნებიერიძე), ქუთაისში (დამიანე სააკოვი (სააკაშვილი) და ბათუმში (გაბრიელ ასლანოვი (ასლანიშვილი). ამიერკავკასიის მხარისთვის კაპელანურ მსახურებას ეწეოდა ბართოლომეო მიკოლაიუსი მანგლისის ეკლესიაში (Кавказский календарь, 1916:772).

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ოსმალეთის იმპერიიდან დევნილმა ათასობით ასირიელმა ქრისტიანმა ლტოლვილმა საქართველოს შეაფარა თავი. მათ თბილისის სიახლოვეს რამდენიმე სოფელი დაუფუძნებიათ. მათი სათვისტომო დღემდე შემორჩა საქართველოში და აქტიურად ცდილობს საკუთარი იდენტობის შენარჩუნებას: მსახურებას დღემდე არამეულ ენაზე ადავლენენ. მათი რიტისთვის უმაღლეს სასულიერო იერარქად ერაცის პატრიარქია მიჩნეული, თუმცა ასირიულ-ქალდეურ კათოლიკეთა მსოფლიო ცენტრად რომის პაპს მოიაზრებენ. ამის დასტურია ისიც, რომ საქართველოში 2016 წლის ოფი-

ციალური ვიზიტის დროს, რომის პაპმა ფრანცისკემ ასირიულ-ქალდევეური ტამარიც მოინახულა, სადაც ერაყიდან სპეციალურად ჩამოსულ ქალდეველთა პატრიარქს შეხვდა [subaran.com].


1917 წლის თებერვლის რევოლუციამ რუსეთის იმპერიაში მცხოვრები კათოლიკეები და ყველა რელიგიური ჯგუფი პოზიტიურად განაწყო, რადგანაც მათ სახელმწიფოსგან ავტონომიის იმედი ჩაუსახა. არქიეპისკოპოსის პოსტი, რომელიც 1914 წლიდან ვაკანტური იყო, აღადგინეს ედუარდ ფონ როპი [Книга Памяти, 2020]. 1917 წლის 2 აპრილს მოხერხდა კათოლიკეთა ყრილობის ჩატარება ბათუმში და 1844 წელს ცარიზმის მიერ ჩამორთმეული დამოუკიდებლობის აღდგენა. კრებას 49 დელეგატი ესწრებოდა და მას მართლმადიდებელი იერარქიის უმაღლესი სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ: მიტროპოლიტი ლეონიდე, ეპისკოპოსები – ანტონი და პიროსი და მაღალი სამღვდელოების სხვა წარმომადგენლები. კრებაზე დაისვა თბილისის საეპისკოპოსო კათედრის და ქართული ლიტურგიის აღდგენის საკითხი. დაიწყო საქართველოს კათოლიკური ადმინისტრაციის იურიდიულად გაფორმების პროცესი [პაპუაშვილი, 2013:26]. კრებას, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მომდევნო წლებისთვისაც, სხვადასხვა აღმოსავლური ტრადიციის კათოლიკეებიც ესწრებოდნენ. როდესაც საბჭოთა პერიოდის დევნა დაიწყო, სხვადასხვა ტრადიციის მრავალეთნიკური კათოლიკური მრევლი ერთად, განურჩევლად რიტისა, იბრძოდა ეკლესიის გადარჩენისთვის [ბარდაველიძე, 2019:48].

1918 წელს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით, კვლავ განახლდა საქართველო-რომის ურთიერთობა: პონტიფიკმა ბენედიქტე XV-მ (1914-1922) პატრიარქ კირიონ მეორეს (1917-1918) გულითადად მიულოცა ქართული ავტოკეფალიის აღდგენა და კათალიკოსად კურთხევა. კირიონი II საპასუხო წერილში აღუთქვამდა პაპს საქართველოში კათოლიკე მორწმუნეების მიმართ კეთილგანწყობის შენარჩუნების სურვილს.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში კათოლიკურმა ეკლესიამ ვაკასიაში განიცადა რეორგანიზაცია. 1920 წლის 20 ოქტომბერს მოხერხდა თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს აღდგენა, მის მმართველად კი დაინიშნა ნატალე გაბრიელ მორიონდო [კათოლიციზმი საქართველოში, 2021; Zuggger, 2001:129]. მისი თაოსნობით წმ. საყდარმა თბილისში ჩამოაყალიბა ორი ცენტრი: ერთი სომხური რიტისთვის და მეორე ლათინურისთვის [Zuggger, 2001:117]. ამის გარდა, რომში, იეზუიტთა ორდენის მდივანმა – მამა პიეტრი ტაჩი ვენტურიმ საქართველოში გამოსაგზავნი მღვდლებიც შეარჩია. მამებს სპეციალურ აუდიენციაზე გზა პონტიფიკმა დაულოცა [ბარდაველიძე, 2019:48]. სამწუ-

ხაროდ, მათ ჩამოსვლა არ დასცალდათ. 1921 წელს საქართველოსკენ გამომგზავრებულეებმა შეიტყვეს წითელი არმიის მიერ ქვეყნის ანექსია-ოკუპაციის ამბავი და უკან გაბრუნება მოუწიათ [ფეიქრიშვილი, 2008:16]. თუმცა, ორივე ცენტრმა დროებით მაინც გაუძლო ბოლშევიკურ ანექსიას, ვიდრე წითელი ტერორის რეპრესიებმა საბოლოოდ არ მოშალეს კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურა და ცხოვრების ჩვეული წესი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წლებში ქართველი კათოლიკეები აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში: 1918-1919 წლებში ისინი იცავდნენ ქვეყნის სამხრეთ ტერიტორიებს პროოსმალურად განწყობილი ბეგ-აღალარების გამოსვლებისას; დიდი წვლილი შეჰქონდათ ქართული მეცნიერების, განათლების, ეკონომიკის დარგში და ა.შ. ამ პერიოდის თვალსაჩინო ფიგურანტები იყვნენ: პეტრე მელიქიშვილი (1850-1927, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი), იოსებ ოცხელი (1865-1919, ქუთაისის ქართული გიმნაზიისა და ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტის დამაარსებელი), ზაქარია ფალიაშვილი (1871-1933, ქართული საკომპოზიტორო სკოლის ფუძემდებელი), პეტრე ოცხელი (1907-1937, ქართული სცენოგრაფიული სკოლის დამაარსებელი) და სხვების მოღვაწეობა სწორედ ამ პერიოდზე მოდის [ზარდაველიძე, 2018].



პეტრე მელიქიშვილი



ზაქარია ფალიაშვილი

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის პერიოდისათვის აქ სხვადასხვა კათოლიკური ტრადიციის მორწმუნეები ცხოვრობდნენ. ლათინური და სომხური წესის კათოლიკეების გარდა იყვნენ ბერძნული და ასირიულ-ქალდეური ტრადიციის მორწმუნეებიც. 1920 წელს თურქეთიდან საქართველოში დაბრუნდნენ ბერძნული რიტის მღვდლები. მათი სათვისტომო და ასევე სამონაზვნო თემი 1861 წელს დაარსებული იყო პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ. 1922 წლისთვის მათი რიცხვი აღწევდა დაახლ. 8000. მღვდელი შიო ბათმანიშვილი ემსახურებოდა ბერძნული რიტის ადმინისტრაციას დაპატიმრებამდე (1928 წ.) [Zugger, 2001:130].

ვიდრე საქართველო ცდილობდა დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, ბოლშევიკები ძალას იკრებდნენ და სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდნენ

ქვეყნის საზღვრებს. რუსეთის იმპერიაში მცხოვრებმა კათოლიკეებმა, ისევე, როგორც მოსახლეობის უმრავლესობას ბოლომდე გაცნობიერებული არ ჰქონდათ ამ ახალი ძალისგან მოლოდინები. ისინი ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის დეკრეტს პოზიტიურ მოვლენად აღიქვამდნენ. 1920 წლის იანვრის გაზეთ „ქრონიკებში“ კათოლიკე მღვდლები წერდნენ, რომ მხოლოდ ის, რაც სახელმწიფოსთან არის შერწყმული, შეიძლება იყოს მისგან გამოყოფილი. და ამაში ისინი გულისხმობდნენ რა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას.

ცარისტული რუსეთის კათოლიკეები, ისევე როგორც სხვა უმცირესობები, იმედოვნებდნენ, რომ მათ აღარ ჩააყენებდნენ მეორეხარისხოვანი რელიგიის პოზიციაში და მოხდებოდა ყველა რელიგიური ჯგუფის უფლებრივი გათანაბრება. კათოლიკური ეკლესიის პოზიტიური განწყობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ მათ არ დაგმეს 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავი, როგორც ეს გააკეთა რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ. უნდა შევნიშნოთ, რომ არც კომუნისტების მაღალ ეშელონებში იყო იმთავითვე მტრული განწყობა კათოლიკეთა მიმართ. მაგ., ჩეკას პირველი უფროსის ფელიქს მერჟინსკის (1877-1926, პოლონელი კომუნისტი და ყოფილი კათოლიკე) მეუღლემ – ჰელენა იგნატიევას ასეულმა, თავის თავზე აიღო საბჭოთა კავშირში კათოლიკურ ეკლესიაზე ზრუნვა და მეთვალყურეობა [Zugger, 2001:105].

საბჭოთა რეჟიმის კონფლიქტი წმ. საყდართან მხოლოდ დროის საკითხი იყო. იგი გარდაუვალი იყო, როგორც იდეური განსხვავებების, ასევე კათოლიკური ეკლესიის მოწყობის პრინციპის გამო. ჯერ კიდევ 1864 წელს, პაპმა პიუს მეცხრემ ეკლესიის ცდომილებების ე.წ. „სილაბუსში“ დაგმო ის იდეა, რომ სახელმწიფო შეიძლება გახდეს ადამიანის ყველა უფლების განმსაზღვრელი, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა სახელმწიფოს და კათოლიკეების დაპირისპირება ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა. საბჭოთა მთავრობა მართალია აღიარებდა რელიგიის თავისუფლებას, თუმცა, თვითონვე გამოდიოდა ამ თავისუფლების განმსაზღვრელის როლში. ათეისტური იდეოლოგიის წყალობით, სახელმწიფოს უფლება ეძლეოდა შეეღწია ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში და ჭეშმარიტების დამდგენის ფუნქციაც შეეთავსებინა. წმ. საყდარსა და საბჭოთა ხელისუფლებას შორის უთანხმოების გარდაუვალობა გამომდინარეობდა კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურის და ბოლშევიკური ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის შეუთავსებლობიდანაც. კათოლიკური ეკლესიის წყობა იერარქიულია და მისი ცენტრი საბჭოთა კავშირის იურისდიქციის მიღმა მდებარეობდა. 1918 წლის ინსტრუქციებით, მთავრობა აღიარებდა მხოლოდ ეკლესიების ადგილობრივ ცალკეულ თემს და

არა მთლიანობაში აღებულ საეკლესიო სტრუქტურას, თავისი რელიგიური ცენტრითა და იერარქიით. ეს ნიშნავდა იმას, რომ საბჭოთა მთავრობა ამერიკიდან ესაუბრებოდა არა წმ. საყდარს, როგორც კათოლიკეთა სულიერ და ადმინისტრაციულ ცენტრს, არამედ ასეულობით ადგილობრივ თემს, რომელსაც ჯერ კიდევ მოსაპოვებელი ჰქონდა სახელმწიფოს მხრივ აღიარება რეგისტრაციის გზით [Zugger, 2001:9, 16].

თავის მხრივ, ვატიკანი, ცდილობდა გარკვეულიყო მეფის რუსეთის ნაცვლად აღმოცენებულ ახალ პოლიტიკურ ძალასთან ურთიერთობების წარმოებაში. 1918 წლის მისში რომის პაპმა ვატიკანის დიპლომატად ვარშავაში დანიშნა აჩილე რატი (1857-1838, მომავალი პაპი პიუს XI). მას ორი ფუნქცია დაეკისრა: ეწარმოებინა ელჩის საქმიანობა ახალ წარმოქმნილ პოლონეთის რესპუბლიკაში და ასევე შუამავლის როლი შეესრულებინა რუსეთის იმპერიის ყოფილ სახელმწიფოებსა და ვატიკანს შორის. უნდა ითქვას, რომ პაპის დიპლომატი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ შეუშვეს. მიუხედავად სურვილისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობები ახალმოსულ ბოლშევიკურ ძალასთან მოწესრიგებულიყო, საბჭოთა კავშირის მღვდლების ყოველგვარი კომუნიკაცია დიპლომატთან განიხილებოდა, როგორც ჯაშუშობა, მხოლოდ იმის გამო, რომ რატის მისია განლაგებული იყო პოლონეთში.

ვატიკანსა და ბოლშევიკებს შორის ურთიერთობაში გარდატეხა დიდი შიმშილობის წლებში მოხდა. 1921-1922 წლებში, სამოქალაქო ომის, გვალვისა და ხორბლის ექსპროპრიაციის ლენინისეული პოლიტიკის გამო მოსახლეობის 20 % შიმშილმა იმსხვერპლა. მოსახლეობის დასახმარებლად, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ, მოხდა არაერთი ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზება. მოშიმშილეთა დასახმარებლად სპეციალური მისია შექმნა პაპმაც. 1922 წლის მარტში ბოლშევიკებმა ხელი მოაწერეს ვატიკანთან შეთანხმებას მოშიმშილეთა დასახმარებლად და პაპის კურიაში გააუქმა იმპერიული რუსეთის დიპლომატიური მისიის წარმომადგენლობა ვატიკანში. ამ ფაქტს ანტიბოლშევიკური ემიგრაცია აღშფოთებით შეხვდა. თუმცა, ვატიკანი იმედოვნებდა, რომ მოშიმშილეთა დახმარების გარდა, ისინი მოახერხებდნენ დიპლომატიური ურთიერთობების მოწესრიგებას და შესაბამისად, ქვეყნის შიგნით დარჩენილი უამრავი კათოლიკეების დახმარებას.

დიდმა შიმშილობამ ერთგვარად „დაათბო“ ურთიერთობა ვატიკანსა და მოსკოვს შორის. 1922 წლის 13 ივლისს ვატიკანმა შესძლო თავისი ოფიციალური წარმომადგენლის გაგზავნა ყირიმში მოშიმშილეთა დახმარების მისიის დასაარსებლად [Zugger, 2001:149]. თუმცა, პაპის ამ ინიციატივამ დიდი გავლენა

ვერ იქონია კათოლიკეთა ბედზე. 1923 წელს ბოლშევიკებმა „კონტრევოლუციური საქმიანობის“ ბრალდებით დააპატიმრეს საბჭოთა რუსეთში კათოლიკური ეკლესიის მაღალი იერარქები: მოგილევის მიტროპოლიტი ფონ როპი, ეპისკოპოსები ცეპლიაკი და მალევსკი [Католическая Церковь, 2021].

ანტირელიგიური განწყობის მიუხედავად, რაც იყო საბჭოთა იმპერიის მშენებლობის ქვაკუთხედი, ახალ ძალას ამავე დროს სჭირდებოდა საერთაშორისო აღიარება. ბოლშევიკები კარგად აცნობიერებდნენ, რომ ვატიკანის მხრიდან მათი ხელისუფლების ლეგიტიმაცია, სხვა ქვეყნების მხრიდან სსრკ-ს აღიარების ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევდა. თუმცა, ამისთვის კომპრომისის პოვნა იყო საჭირო: მას საბჭოთა სივრცეზე კათოლიკური ეკლესიის რაღაც დოზით და ფორმით არსებობა უნდა დაეშვა. მართლაც, კომპრომისი შედგა 1926 წლის 10 მარტს, როდესაც პაპმა პიუს XI-მ გამოსცა რესკრიპტი საბჭოთა კავშირის



პაპი პიუს XI

კათოლიკური ეკლესიის აღიარების შესახებ. ბოლშევიკებმა კი, მიუხედავად ანტირელიგიური პოლიტიკისა, დაუშვეს საეპისკოპოსოს არსებობა მოსკოვში. ეპისკოპოსად უკრაინის ტერიტორიაზე მომსახურე სამღვდელო პირი – ნევე შეირჩა. 1936 წლამდე ის იყო კათოლიკეთა მეთაური საბჭოთა კავშირში. ამ დიპლომატიურმა კომბინაციებმა შექმნეს ის რეალობა, რომელიც შენარჩუნდა მთელი საბჭოთა პერიოდის მანძილზე: კათოლიკურ ეკლესიას მიეცა არსებობის

საშუალება, თუმცა მინიმუმამდე დაყვანილ ზომებსა და ფორმატში. საქართველოს კათოლიკეთა ბედი ამ პოლიტიკური რეალობის პირდაპირი ასახვა იყო.

მიუხედავად ვატიკანის მცდელობებისა მფარველობა გაეწია საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დარჩენილი მრევლისთვის, ანტირელიგიურ ქარტეხილში მოხვედრილი ქართველი კათოლიკეები მაინც განწირული იყვნენ დევნისა და შევიწროებისთვის. საქართველოს შემთხვევაში ეს იმთავითვე გამოჩნდა, როდესაც საბჭოთა რუსეთმა მოახდინა ქვეყნის ანექსია და ოკუპაცია. 1921 წლისთვის საქართველოს კათოლიკეებს უკვე ჩამოყალიბებული ჰქონდათ ანტისაბჭოთა დამოკიდებულება და ისინი არ ერიდებოდნენ მის გამოხატვას. კათოლიკეები აქტიურად ეხმარებოდნენ როგორც ემიგრაციაში წასულ მთავრობას, ასევე ქვეყნის შიგნით დარჩენილებთან ერთად მთელი ძალღონით იბრძოდნენ საქართველოს ოკუპაციის წინააღმდეგ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, ქვეყნის დატოვების შემდეგ, დიდი დელეგაციით ჯერ სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერს შეაფარა თავი. 1927

წელს დაპატიმრებული მონასტრის ყოფილი წინამძღვრის – შიო ბათმანიშვილის (1885-1937) საბრალდებო დასკვნაში ვკითხულობთ: „ბოლშევიკურ რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის ომის დროს 1921 წელს, მონასტერში შეიფარეს კონსტანტინეპოლში ჩამოსული ქართველი ემიგრანტები – 600 კაცი. თავიდან რამდენიმე დღით აქ გაჩერდნენ ყოფილი მთავრობის წევრები, სანამ მიიღებდნენ გასამგზავრებელ ნებართვას პარიზში. ჯუღელი და ჩხიკვიშვილი აქ გაცილებით დიდხანს დარჩნენ, ასევე აქ ცხოვრობდნენ არძენაძე და ნოე ხომერიკი. სანამ ცალკე ბინას იქირავებდნენ, აქ იყვნენ მენშევიკური საგანგებო რაზმის ხელმძღვანელი კედია და მენშევიკური სახლის სამართლის მილიციის ხელმძღვანელი ფაჩულია“ [ნემსაძე, 2019:192-193]. საფრანგეთში ჩასული მთავრობა განაგრძობდა ვატიკანთან მჭიდრო კომუნიკაციას იმ იმედით, რომ მალე დაიბრუნებდნენ ხელისუფლებას და დასავლეთის, მათ შორის წმ. საყდრის მხარდაჭერა ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა.

საქართველოში დარჩენილი კათოლიკე მღვდლებიც ანტიბოლშევიკურ განწყობებს ავლენდნენ. ამ ფაქტის ნათელი მაგალითია, საქართველოს ანექსიიდან რამდენიმე თვეში, 1921 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეზე, პატრი კონსტანტინე საფარიშვილის (1887-1973) მხრიდან დემონსტრაციულად ქართული დროშით ხელში, თავის მოსწავლეებთან ერთად ქ. გორის ცენტრში ანტიბოლშევიკურ მანიფესტაციაში მონაწილეობა [ბარდაველიძე, 2019:51].

* * *

საქართველოში შემოსული ბოლშევიკების მიერ რელიგიის და მათ შორის კათოლიკეთა დევნა პირობითად სხვადასხვა ფორმაში გამოიხატებოდა. ეს იყო შემზღვედავი კანონმდებლობა, ანტირელიგიური პროპაგანდა და სხვადასხვა რეპრესიულ ღონისძიებებში (საეკლესიო ქონების ჩამორთმევა-კონფისკაცია, დაპატიმრება, გადასახლება და სიკვდილით დასჯა). უნდა ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრებმა სხვადასხვა ეროვნების კათოლიკეებმა თავის თავზე უკანასკნელი ბრძოლის მეთოდი მთელი სიმძაფრით განიცადეს. საბჭოთა ხელისუფლებამ მოახერხა და 40-იანი წლებისთვის მათი საეკლესიო ცხოვრება უკიდურეს მინიმუმამდე დაყვანა: 20-30-იანი წლების რეპრესიების შედეგად საქართველოში დარჩა ერთადერთი მოქმედი ტაძარი და ორად ორი მღვდელი.

საბჭოთა სახელმწიფოს რელიგიური პოლიტიკა თავიდანვე ეყრდნობოდა ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის პრინციპს. 1918 წლის 20 იანვარს ერთ-ერთ პირველ დეკრეტად ლენინმა გამოსცა – „სინდისის, ეკლესიის და რელიგიური საზოგადოებების თავისუფლების შესახებ“. ის იწყებოდა ფრაზით:

„რელიგია ყველა მოქალაქის პირადი საქმეა“. დეკრეტით გამოიყო ეკლესია სახელმწიფოსგან და სკოლას ეკლესიისგან [Пупол, Корнова, 1957, I:371]. ლენინი წერდა: „სახელმწიფოს არაფერი უნდა ჰქონდეს საერთო რელიგიასთან, ხოლო რელიგიურ საზოგადოებებს არაფერი აქვთ საერთო სახელმწიფოსთან... სრული გამოყოფა – არის სოციალისტური პროლეტარიატის, თანამედროვე სახელმწიფოს და ეკლესიის მოთხოვნა“ [Szubtarski, 2013:67]. შესაბამისად, ეკლესიებს ჩამოერთვათ იურიდიული სტატუსი, ხოლო სამღვდელოებას – საარჩევნო ხმის უფლება. ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფის დეკრეტს მოჰყვა ინსტრუქცია მისი ცხოვრებაში გატარების შესახებ, რომლის მიხედვით სახელმწიფო ურთიერთობდა ეკლესიებთან ე.წ. „ოცეულების“ მეშვეობით. იგი გულისხმობდა, რომ ეკლესიის დასარეგისტრირებლად ან სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მისი წარმომადგენელი იყო არა სასულიერო პირი, არამედ მრევლისგან შემდგარი „ოცეულები“. მხოლოდ მათი მოთხოვნის საფუძველზე ხდებოდა ისევ მრევლისგან ჩამორთმეული და ნაციონალიზებული საეკლესიო ქონების ქირავნობა.

უნდა ითქვას, რომ იმთავითვე კათოლიკურმა ეკლესიამ „ოცეულები“ აღიქვა, როგორც ანტიეკლესიური და საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიის



რელიგია – საწამლავია, გაუფრთხილდი ბავშვებს (საბჭოთა პლაკატი)

საქმეებში ჩარევის საშუალებად. თუმცა, ძალიან მალე, სწორედ „ოცეულები“ გახდნენ რელიგიური თემების საყრდენი ძალად, რადგან ისინი წარმართავდნენ საქმეებს, როდესაც რეპრესიების შედეგად სამრევლო წინამძღვრების გარეშე რჩებოდა. „ოცეულები“ ზრუნავდნენ პატიმრობაში მყოფ მღვდლებზე და ა.შ. [Осипова, 1999:30].

საბჭოთა ხელისუფლების მიერ მიღებულ იქნა კანონები ეკლესიის ქონებრივი და სოციალური იურისდიქციის შესახებ, რითაც მოხდა ეკლესიის და მისი მესვეურების უკიდურესი მარგინალიზება. 1917 წლის, 8 ნოემბრის „დეკრეტით მიწის შესახებ“, რელიგიურ დაწესებულებებს ჩამოერთვათ მიწები, მათზე არსებული ნაგებობები და ქონება, გამოსყიდვის უფლების გარეშე და ისინი გადაეცა სახელმწიფოს. 1917 წლის 31 დეკემბერის დეკრეტით კანონგარეშე გამოცხადდა საეკლესიო ქორწინება [Книга Памяти, 2020:23].

საბჭოთა ხელისუფლების რელიგიასთან ბრძოლის ძლიერი იარაღი იყო ანტირელიგიური პროპაგანდა, ათეისტური განათლებისა თუ ანტირელიგი-

ური აქტივიზმის ხელშეწყობის გზით. რელიგიური ინსტიტუტების დასუსტებისკენ იყო მიმართული რელიგიური განათლების ცენტრების აკრძალვა.

1917 წელს, ლენინის და ლუნაჩარსკის ინიციატივით, ეკლესია მთლიანად ჩამოაცილეს განათლების სფეროს. იმავე წლის დეკემბერში ყველა სასწავლო დაწესებულება გადავიდა განათლების კომისარიატის გამგეობაში. მომდევნო ინსტრუქციებით სკოლები, განათლების ყველა კერა და მასთან ასოცირებული ქონება დაუქვემდებარეს ახალ ორგანოს – განათლების სახალხო კომისარიატს. 1918 იანვრის და აგვისტოს დეკრეტებმა კი ამ რეალობაში მანევრირების მიწინააღმდეგე მანსიცი კი ნულზე დაიყვანეს. განათლების გარეშე ეკლესიის დატოვება გრძელვადიან პერსპექტივაში მის სიკვდილს ნიშნავდა, რადგან მოისპო ახალი სამღვდლოების გაზრდისთვის საშუალება. რაც შეეხება ალტერნატიული გზას – საზღვარგარეთიდან მღვდლების გამოგზავნას, ასეთი პრაქტიკა შეუძლებელი იყო, რადგან საბჭოთა ხელისუფლება კათოლიკური ეკლესიის წარმომადგენლების დისკრედიტაციას ახდენდა სწორედ იმ ბრალდებით, რომ ისინი თითქოს უცხოური ქვეყნების აგენტები იყვნენ და, შესაბამისად, სამშობლოს მტრებად მოიაზრებოდნენ [Рашкова, 2007].

უკანონო ქმედებად გამოცხადდა არასრულწლოვნების ინდოქტრინაცია, როგორც ეკლესიებში, ასევე სკოლებში. სემინარიების არარსებობა და საზღვრების ჩაკეტილობა შეუძლებელს ხდიდა სასულიერო პირების რიგების შევსებას. ასევე, აუარესებდა არსებული სამღვდლოების განათლების ხარისხს. დაიკეტა სასულიერო აკადემია და სემინარია სანკტ-პეტერბურგში, ხოლო სარატოვში სემინარია. იკეტებოდა ყველა კათოლიკური სკოლა [Книга Памяти, 2020:24].

ზოგ ქალაქში საგანმანათლებლო კერები ფუნქციონირებდნენ ფარულად. ტირასპოლის სემინარია, რომელიც ამზადებდა მღვდლებს, 1918 წელს იატაკ-ქვეშეთში გადავიდა. მის რექტორს პრელატ იოსებ კრუმინსკის (1860-1940), რომელიც ასევე პასუხისმგებელი იყო შავი ზღვის რეგიონის ადმინისტრაციაზე, ბევრი წინააღმდეგობის გადალახვა მოუწია. სემინარიამ 1924 წლამდე შეძლო არსებობა. 1922 წელს დაარსდა საიდუმლო სემინარია პეტროგრადში და იარსება 1930 წლამდე. მისი რექტორი პატრი მელეცკი იყო. 1926 წელს საიდუმლო სემინარია გაიხსნა აწ უკვე ლენინგრადში ისევ მელეცკის მიერ და მალევე დაიკეტა (1927 წელს), მისი სტუდენტები კი სოლოვეცკის ბანაკში გაგზავნეს. საიდუმლო სემინარიები ფუნქციონირებდნენ მოსკოვში, ოდესაში და სელჰშიც [Zugger, 2001:217-218].

საბჭოთა რუსეთის მხრიდან საქართველოს ანექსიამდე და არც მის შემდეგ ჩვეთან კათოლიკური სამღვდლოებისთვის თეოლოგიური უმაღლესი განათ-

ლების კერა არ არსებობდა. საქართველოში მოღვაწე მღვდლებს განათლება სტამბოლში ან რომში ჰქონდათ მიღებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს საშუალებაც მოისპო. სემინარიების გაქრობა კათოლიკური თემების ნელ სიკვდილს ნიშნავდა. ნეპის პერიოდში პაპის წარგზავნილი ჰარბინგი უპატაკებდა ვატიკანს საბჭოთა კავშირში განათლების მხრივ შექმნილი სავალალო მდგომარეობის შესახებ. იგი აღნიშნავდა რომ, განათლების კერების არსებობის გარეშე, კათოლიკურ თემებს ადრე თუ გვიან ბოლო მოეღება მღვდელმსახურთა ნაკლებობის ან არარსებობის გამო [Zugger, 2001:228].

რელიგიის სწავლება განიღვენა სკოლებიდანაც, დაიხურა სამრევლო განათლების კერებიც. გასაბჭოებამდე კათოლიკური სამრევლო დაწყებითი განათლების სკოლები არსებობდა საქართველოს ქალაქებში: თბილისში, გორში, ქუთაისში. როგორც ჩანს, განათლების დონით განსაკუთრებით გამორჩეული იყო ახალციხის სკოლა [ფავლენიშვილი, 2019]. ზ. ჭიჭინაძე აღნიშნავდა, რომ „თუკი ახალციხეში ვინმე პატრი გამოზრდილა, სულ ამ სკოლის მოწაფენი იყვნენ. თბილისისა და გორის სასწავლებლებიდან თითებზე ჩამოსათვლელ პირებს უსწავლიათ რომში, ხოლო ახალციხიდან სისტემატურად იგზავნებოდნენ და ბევრი დიდი მოღვაწეც გამოსულა. მაგ., შაჰყულიანი, პ. ხარისჭირაშვილი, ივ. გვარამაძე, ანტონ ხუციშვილი და სხვ. ახლა ეს სკოლა სავალალო მდგომარეობაშია და მისი აღდგენისათვის დიდად იღვწის ივ. გვარამაძე და იქნებ კიდევ დააყენოს სკოლა ფეხზეო“ [ჭიჭინაძე, 1904].

კათოლიკე მღვდლები საქართველოს გიმზანიებშიც უძღვებოდნენ რელიგიის გაკვეთილებს: მაგ., დამიანე სააკაშვილი (1865-1943) ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ასწავლიდა თეოლოგიას, ფილოსოფიასა და უცხო ენებს [პაპაშვილი, 1995:334]. თუმცა, სკოლის ეკლესიისგან გამოყოფის შემდეგ რელიგიის გაკვეთილები სრულიად აიკრძალა. 1937 წლამდე ფუნქციონირება შესძლო თბილისში წმ. მარიამის ზეცად აყვანების ტაძართან არსებულმა საკვირაო სკოლამ, სადაც კათოლიკე მოზარდებთან ერთად საღვთო რჯულს ეუფლებოდნენ მართლმადიდებელი ახალგაზრდებიც. ეს განპირობებული იყო იმით, რომ ამ დროისთვის სხვა საგანმანათლებლო კერები აღარ არსებობდა და, ამავე დროს, აქ მუსიკასა და გალობას ცნობილი კომპოზიტორი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, აღმსარებლობით კათოლიკე ზაქარია ფალიაშვილი ასწავლიდა [ბარდაველიძე, 2019:55].

თავიდან საბჭოთა კავშირის შემოქმედნი თითქოს მხოლოდ რელიგიის სახელმწიფოსგან გამოყოფისთვის იღწვოდნენ, გარეგნულად ლენინი (1870-

1924) ხშირად მოუწოდებდა მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფისგან თავის შეკავებისკენ, თუმცა, ეს რიტორიკა მალე შეიცვალა და ხელისუფლება სახელმწიფოს ეკლესიისგან გამიჯვნის პოლიტიკიდან, მასზე ფიზიკური აგრესიის ფორმებზე გადავიდა. 1922 წელს ვ. ლენინი წერდა მოლოტოვს: „მე მივდივარ უპირობო დასკვნამდე, რომ სწორედ ახლა უნდა გადავიდეთ ყველაზე გადამწყვეტ და დაუნდობელ ბრძოლაზე... სასულიერო პირების მიმართ და დავთრგუნოთ მათი წინააღმდეგობა ისეთი სისასტიკით, რომ მათ ეს ათწლეულები არ დაავიწყდეთ. რაც უფრო მეტი რეაქციული სამღვდელოების და ბურჟუაზიის წარმომადგენლის დახვრეტას მოვახერხებთ, მით უკეთესი“ [Lenin, 1922].

საზოგადოების ნეგატიური განწყობაც რელიგიური და სხვა არასასურველი ჯგუფების მიმართ სწრაფად იზრდებოდა. დაუფარავი აგრესია ხშირად მიმართული იყო საკულტო ნაგებობების და მასში მსახური სასულიერო პირების მიმართ. საეკლესიო ქონების ჩამორთმევა ან განადგურების პროცესმა ორგანიზებული ხასიათი 1922 წელს მიიღო, როდესაც 2 იანვარს გამოიცა ბრძანება „საეკლესიო ქონების ლიკვიდაციის შესახებ“ [Пупол, Корнива, 1957]. საბაზად გამოყენებული იყო დიდი შიმშილობა ვოლგისპირეთში და სხვა რეგიონებში.

ნიშანდობლივია, რომ მოშიმშილეთა საშველად საეკლესიო ღვთისმსახურები გამოვიდნენ ეკლესიის ძვირფასეულობის გაყიდვის და მოგებული თანხით დაზარალებულთა დახმარების მოწოდებით. საეკლესიო წრეებიდან ეს იყო უაღრესად კეთილშობილური ჟესტი, სამწუხაროდ, ეს გარემოება საბჭოთა ხელისუფლებისთვის წამგებიანი იყო, რადგან ეკლესიის ავტორიტეტის აწევა მართველ კლასს ხალხის თვალში წარმოაჩენდა ნაკლებ მზრუნველ აქტორად. ამიტომ მთავრობამ დაასწრო ეკლესიას და 1922 წლის 23 თებერვალს გამოსცა ახალი დეკრეტი – „მოშიმშილეთა დასახმარებლად გასაყიდი საეკლესიო ფასეულობების კონფისკაციის შესახებ“. ამ ბრძანებით ადგილობრივ საბჭოებს ებრძანა ამოეღოთ ყველა რელიგიური ჯგუფის საეკლესიო ქონება. ინვენტარიზაციის და აღწერის გზით ოქროს, ვერცხლისა და ძვირფასი ქვებისგან დამზადებული ყველა ნივთი, რომელთა ამოღება არ იქონიებდა არსებით გავლენას თავად კულტის ინტერესებზე, გადაეცათ სახალხო კომისარიატის ფინანსურ ორგანოს მოშიმშილეთა დასახმარებლად.

დაიწყო ეკლესიების ქონების ჩამორთმევა და დემონსტრირება იმისა, თუ რამდენად გაზულუქებულია ეკლესია ქვეყანაში მიმდინარე შიმშილობის ფონზე. 1923 წლისთვის საზღვარგარეთ გაყიდული საეკლესიო ქონების ფასმა 700 000 რუბლი შეადგინა. კათოლიკური ტაძრები დაიკეტა მასობრივად, ქონება კი გაიდარცვა. საეკლესიო შენობების კონფისკაციით და ნაციონალიზაცი-

ით კათოლიკურმა ეკლესიამ დიდი დანაკარგი განიცადა. საეკლესიო ფინანსური რეზერვების კონფისკაციის გამო უსახსროდ დარჩა პენსიაზე მყოფი სამღვდლოებაც [Zugger, 2001:109, 145].

რელიგიური შენობების ჩამორთმევის პროცესი რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა: ლენინის დროის ექსპროპრიაციების სერიის შემდეგ, მომდევნო ტალღა უკვე ი. სტალინის (1878-1953) ეკონომიკურ პოლიტიკას უკავშირდება. „დიდი გარდაქმნების“ პერიოდში, 1929 წლიდან ინდუსტრიალიზაციაზე და კოლექტივიზაციაზე აღებულმა გეზმა, ასევე, კანონმა რელიგიური გაერთიანებების შესახებ, გაამკაცრა კონტროლი რელიგიაზე. კოლექტივიზაციის თანმდევი პროცესი გახდა ეკლესიების ჩამორთმევა. ამ დროიდან აქტიურად დაიწყეს ზარების ჩამოხსნა სამრეკლოებიდან. აიკრძალა დარჩენილი ზარების რეკვა, ანაფორის ტარება საჯარო ადგილებში და ა.შ. ჩამორთმევის და ნგრევის მესამე ტალღა 30-იან წლებზე მოდის. 1932 წელს სტალინმა გამოაცხადა რომ 5 წელიწადში რელიგიას სრულიად გააქრობდა [Курляндский, 2011]. რაც, მართალია სისრულეში ვერ მოიყვანა, თუმცა რელიგიური ცხოვრება როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ასევე საქართველოშიც კრიტიკულად დაბალ ნიშნულამდე დაიყვანა. ნაციონალიზაციას სსრკ-ში გადაურჩა მხოლოდ ორი ტაძარი. მაგ., 1938-1992 წლებში ლენინგრადში (სანქტ-პეტერბურგი) იყო ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ეკლესია „ლურდის ღვთისმშობლის ტაძარი“ (1903-1909), ხოლო მოსკოვში კი „წმინდა ლუი დე ფრანგის“ ტაძარი (1827-1830, Église Saint-Louis-des-Français), ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ საფრანგეთის მთავრობის ქონებას წარმოადგენდა. მსგავსი გზით სხვა ტაძრების უფლებრივი სტატუსის შენარჩუნება, სამწუხაროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა [Zugger, 2001].

საეკლესიო ქონების ექსპროპრიაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობდა საქართველოშიც: სულ რაღაც ორ წელიწადში (1922-1923) დაახლ. 1500 მართლმადიდებლური შენობა განადგურდა [ანჩაბაძე, 2005:25]. ექსპროპრიაცია ყველა რელიგიურ თემს შეეხო, რომელიც რაიმე ქონებას ფლობდა. თუმცა, კათოლიკური ეკლესია საქართველოში ამ მხრივ ძლიერ დაზარალდა, რადგან სწორედ ამ დრომდე კათოლიკური თემი განსაკუთრებულ აღმშენებლობას განიცდიდა და ჩამორთმეული შენობების უმეტესობა XIX-XX ს-ბის მიჯნაზე იყო აგებული. 1860-1910 წლებში ყოფილი ტფილისის და ქუთაისი გუბერნიებში აშენდა ოცზე მეტი კათოლიკური ეკლესია. საკუთრივ ეკლესიის შენობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კათოლიკე მრევლისთვის. თითოეული ტაძრის აშენების პროცესში მორწმუნეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, როგორც ფინანსურად, ასევე მოხალისეობრივი საქმიანობით. შესაბა-

მისად, ეკლესიის შენობის დაკარგვა პირადად და მტკივნეულად აღიქმებოდა მორწმუნეების მიერ [ნაცვლიშვილი, 2019].

1920-იანი წლებისთვის საქართველოში ძირითადი ტაძრები იყო:

- ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, თბილისი (1884 და 1902-03 წლები, 3302 მრევლი);
- წმიდა პეტრეს და პავლეს (1897 წ., 7000 მრევლი). მასთან არსებობდა ასოცირებული კიდევ ორი საკრებულო;
- გორის წმ. ოჯახის ეკლესია (ქვის ეკლესია და მცირე სამრევლო სოფელში მსახურებისთვის, მრევლის რაოდენობა – 495);
- ქუთაისის ღმრთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია (ქვის ეკლესია, მრევლის რაოდენობა – 2000);
- ბათუმის ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია (1898-1903 წწ., მრევლის რაოდენობა – 1300);
- მანგლისის ეკლესია სამხედრო (კაპელანური) მსახურების დანიშნულებით (ქვით ნაშენი ეკლესია, მრევლის რაოდენობა – 13,600);
- ახალციხეში რაბათის წმ. იოანე ნათლისმცემლის და „ღვთისმშობლის“ ე.წ. პატრების ეკლესიები (მრევლის რაოდენობა – 173) [Zugger, 2001:56; ნაცვლიშვილი, 2019:182].

კათოლიკური ეკლესია იყო არალში – წმ. იოსების ეკლესია (1860); ასევე: ღვთისმშობლის დაბადების ეკლესია ვალეში (1862); წმ. პეტრესა და პავლეს ეკლესია თბილისში (1870-77), წმ. ჯვრის ეკლესია ახალციხეში (1881); მაცხოვრის ეკლესია წყალთბილაში (1883); ღვთისმშობლის ეკლესია სხვილისში (1895); იესოს წმ. გულის ეკლესია ხიზაბავრაში (1898-1900); ამალეების ეკლესია კარტიკამში (1900-08); ღვთისმშობლის ეკლესია უდეში (1902-09); წმ. სტეფანეს ეკლესია, ხულგუმოში (1903) და სხვა.

პირველივე წლების რეპრესიებს შეეწირა კათოლიკური ეკლესიის შენობა გორში. იგი 1810-1819 წლებში აუგიათ კაპუცინებს და დიდწილად დღემდე არის შემონახული. მის ასაშენებლად შემომწირველებს შორის ტფილისის მისიონი, გორელი კათოლიკეები და ქართველი თავადები სახელდება. აშენების შემდეგაც ტაძარს ფინანსურად მფარველობდა ზუბალაშვილების ოჯახი [ნაცვლიშვილი, 2019:82].

გორში არსებული კათოლიკური ტაძრის ჩამორთმევის ისტორიაზე მეტად საყურადღებო საარქივო ცნობებს გვაწვდის გ. სოსიაშვილი: როგორც მის მიერ მოძიებული საარქივო მასალა მოწმობს, გორის ეკლესია ჯერ კიდევ 1923 წლის 10 აგვისტოს დაიხურა. ამ დროს მასში 150-მდე 18 წელს გადაცილებული

მორწმუნე ირიცხებოდა. გორის მაზრაში მცხოვრებ კათოლიკებს მღვდელი კონსტანტინე გაბრიელის ძე საფარიშვილი ემსახურებოდა, რომელიც იმ დროისათვის თბილისში, აკიმოვის ქ. 16 ნომერში ცხოვრობდა [სოსიაშვილი, 2014:69-70].

გორის კათოლიკური ეკლესიის დახურვის აუცილებლობას ხელისუფლება სამი მიზეზით ასაბუთებდა: მრევლის სიმცირე, მღვდლის კონტრრევოლუციური განწყობები და ეკლესიის შენობაში არსებული ანტისანიტარია. ეს უკანასკნელი მიზეზი ნაკლებ სავარაუდო იყო. საქმე იმაშია, რომ 1920 წლის მიწისძვრამ ეკლესიის შენობა საგრძნობლად დააზიანა და იგი აღდგენის პროცესში იყო. რაც შეეხება მორწმუნეებს, ისინი კი ამ დროს კერძო სახლში იკრიბებოდნენ. ტაძრის ეზოში განლაგებულ საეკლესიო სახლში, მაშინ პარტიული სკოლა იყო განთავსებული. ჩამორთმევას დაექვემდებარა არა მარტო შენობები,



გორი. წმ. ოჯახის
კათოლიკური
ეკლესია. 1890-იანი წლები

არამედ საეკლესიო ინვენტარი და მღვდლის პირადი მოხმარების ნივთებიც. სახალხო კომისრის მიმართ წერილში (19.09.1923) მღვდელი საფარაშვილი წერდა: „ამ სამი თვის წინათ, გორის ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მილიციონერების დახმარებით, აღწერეს ჩემი ოთახის ავეჯი და მოწყობილობა, იძულებითი ჩამორთმევის მიზნით. რამდენიმე დღის შემდეგ ჩამომართვეს კიდევაც ნაწილი ამ ავეჯისა, როგორც ხალიჩა, ეტაჟერკა, მაგიდა, სკამები, კუშეტკა და სხვა. დამრჩა რამდენიმე სხვა საგნებთან ერთად სამწერლო მაგიდაც, რომლის ჩამორთმევისათვის მაწუხებენ უაღრეს წერტილამდე... ამასთან ერთად, გავიხსენებ რა გორის

კათოლიკე ეკლესიის იძულებით დაკეტვას, წინააღმდეგ ადგილობრივი კათოლიკე მრევლის სურვილისა (სასურველ იქმნებოდა, ამის შესახებ სასტიკი გამოძიება), გთხოვთ გორის კათოლიკე ეკლესიის გაღებას და საეკლესიო ნივთების დაბრუნებას (ჩამორთმეულ ნივთების სია დღემდის არ მოუციათ ჩვენთვის)“ [სოსიაშვილი, 2014:67-68; 2017:28].

ნიშანდობლივია, რომ ეკლესიის ჩამორთმევის ფაქტს არ შერიგებია არც მრევლი და სამღვდლოება. საბჭოთა მთავრობას ეკლესიის დაბრუნებას სთხოვდა ვატიკანის დელაგატი ადრიანუს სმეტსიც. შინაგან საქმეთა კომისარს საშა გეგეჭკორს (1887-1928) იგი წერდა: „მოგმართე თქვენ უკვე ორ გზის. შესახებ

გორის კათოლიკეთა ეკლესიისა, რომელიც დახურულ იქმნა კათოლიკე მრევლის სურვილის წინააღმდეგ, რის შესახებ თვით მრევლმაც შემოგჩივლათ ეკლესიის დახურვისთანავე საერთო განცხადებით“ (1923 წლის 10 და 16 სექტემბერი) [სოსიაშვილი, 2017:27].

1923 წლის 22 სექტემბერს, საბჭოთა საქართველოს მთავრობამ, გამოსცა ცირკულარი რელიგიური საზოგადოებების რეგისტრაციის შესახებ. გორის კათოლიკე მრევლმა 11 დეკემბერს მიმართა თხოვნით დაერეგისტრირებინათ გორის კათოლიკეთა საზოგადოება, ასევე, დაებრუნებინა ჩამორთმეული ქონება. განცხადებას თან ერთვოდა მრევლიდან 67 წევრის ხელმოწერა, ასევე, სხდომის ოქმი და საბჭოთა კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ახლად შედგენილი წესდება [ისტორიანი, 2017:30]. განცხადების განხილვის პროცესი გაჭიანურდა. დამაბრკოლებელი გარემოება იყო საეკლესიო შენობაში გახსნილი პარტიული სკოლა. გრძელმა და დამღლელმა ბიუროკრატიულმა მიმოწერამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. კათოლიკე მრევლს ტაძარი არ დაუბრუნეს, თუმცა, გადასცეს სხვა ქვიტვირის შენობა და ჩამორთმეული საეკლესიო ნივთები. გორის წმიდა ოჯახის კათოლიკური ტაძარი არ დაუბრუნდა მრევლს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც. რესტიტუციის პროცესში შენობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა.



დამიანე სააკაშვილი

ქუთაისის კათოლიკეებს 1826 წლამდე ქალაქში, სხვადასხვა დროს, სამი ეკლესია ჰქონდა. საბჭოთა პერიოდს შეეწირა 1826-1862 წლებში მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე აშენებული ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესია (ფ. ვარლამიშვილის ქ. №7). 1921 წლის მონაცემებით ეკლესიასთან არსებული რელიგიური საზოგადოება „მშობა“ ფლობდა მონასტრის ტერიტორიაზე განთავსებულ შენობას, სასაფლაოსა და ხუთ სახლს. გალავნით შემოზღუდულ 3240 კვ. მ. მიწის ნაკვეთზე, იდგა ეკლესია, მონასტერი, ყოფილი სამრევლო სკოლა და ღარიბთა თავშესაფარი. გასაბჭოებისთანავე საზოგადოებას მთელი ქონება ჩამოერთვა. 1923 წლის დეკრეტით რეგისტრაციის შესახებ ეკლესიის წინამძღვარმა – პატრი დამიანე სააკაშვილმა (1865-1943) მოახერხა ხელშეკრულების გაფორმება ქალაქის საბჭოსთან ეკლესიის უკან დაბრუნების თაობაზე, თუმცა ეს არ ეხებოდა არასაკულტო და ნიშნულების საეკლესიო ქონებას. 1924 წლიდან სკოლის შენობა და მისი ეზო

დაეთმო რუსულ სკოლასთან არსებულ საბავშვო ბაღს, ხოლო მონასტერში და ღარიბთა თავშესაფარში რამდენიმე ადამიანი შეასახლეს.

ეკლესიის შენობის სარგებლობისთვის დაკისრებული იყო გადასახადი 621 მანეთის ოდენობით, რომელსაც გაჭირვებული მრევლი ვერ იხდიდა. ამის გამო, 1939 წელს, ქალაქის საბჭომ ქუთაისის რელიგიურ საზოგადოებას გაუუქმა ხელშეკრულება. ამავე წლის 1 აპრილიდან ეკლესიაში შეწყდა ღვთისმსახურება. იგეგმებოდა ეკლესიის შენობის მუზეუმისთვის გადაცემა, თუმცა შემდგომში იგი საწყობად აქციეს. ამ წლებში ძლიერ დაზიანდა ეკლესიის შიდა ინტერიერი, კედლების ცისფრად გადაღებვის გამო. მხოლოდ დასავლეთ მკლავში შემორჩენილი გაფორმება იძლევა მისი თავდაპირველი სახის წარმოდგენის საშუალებას. 1971 წელს, ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად, შენობაში საკონცერტო დარბაზი მოაწყვეს. 1989 წლიდან



ქუთაისის ღვთისმშობლის ეკლესია

კი ეკლესიის შენობა მართლმადიდებელ ეპარქიას გადასცეს.

ქუთაისში კათოლიკეთა ორი სასაფლაო არსებობდა. ერთ-ერთი საფიჩხიაზე (თბილისის, სოლომონ პირველისა და დიმიტრი ყიფიანის ქუჩებს შორის) მდებარეობდა. 1847 წელს მასზე ქვის მცირე სამლოცველოც აუშენებია დონ ანტონ გლაზაშვილს, ქუთაისის მოქალაქე მეღვინე სოლოლოვის ფინანსური დახმარებით. მისი კონფისკაცია მოხდა 1921 წელს, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის სხვა ქონებასთან ერთად. მოგვიანებით ამ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კვარტალი აშენდა, ეკლესიის და სასაფლაოს კვალი კი სრულიად გამქრალია [ნაცვლიშვილი, 2019:114, 121].

არანაკლებ ტრაგიკული ბედი გაიზიარა კათოლიკეთა ქუჩაზე 1898-1902 წლებში აშენებულმა ღვთისმშობლის უბიწოდ ჩასახვის ეკლესიამ ბათუმში. 1924 წლის №95 დადგენილებით, იგი, რელიგიური კულტის შენობათა გამოყენების უფლება განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს გადაეცა. თუმცა, საქართველოს ცენტრალური აღმასკომის თავმჯდომარე მიხა ცხაკაიამ ეს დადგენილება ბათუმის კათოლიკური ეკლესიის მიმართ საკუთარი ინტერპრეტაციით აამოქმედა. ეკლესია დაიხურა, მისი ქონება კი უმოწყალოდ გაიძარცვა. ფერადი ვიტრაჟების ნაწილი ანტირელიგიური ჯგუფის წევრებმა ქვებით ჩაამტვრიეს. გამორჩეული არქი-

ტექტურის მქონე შენობაში მსოფლიოში სახელგანთქმული ფრანგი (ტულუზელი) ოსტატის, არისტიდ კავიე-კოლის ფირმის ორდანი იდგა, რომლის ანალოგი საბჭოთა კავშირში მხოლოდ მოსკოვში მოიძებნებოდა. მისი მიღები ადგილობრივმა მოსახლეობამ გადაადნო სათევზაო ბადის ბურთულეების, სანადირო თოფის საფანტის და ყავის მოსადუღებელი ჭურჭლის დასამზადებლად, უჟანგავი მსხვილი რეგისტრის მიღები კი ოჯახებში საკანალიზაციო მილებად წაიღეს. 1938 წლის 14 დეკემბერს, ბათუმის ეკლესიის შენობაში აჭარის ცენტრალური არქივი განათავსეს. 1958 წელს ორდანის ის ნაწილები, რომლებიც

ჯერ კიდევ იყო შემორჩენილი ეკლესიის შენობაში, მოსკოვის კონსერვატორიის დარბაზში არსებული ორდანის სარესტავრაციოდ გაიტანეს. 1965 წლიდან ეკლესიაში მაღალი ძაბვის ლაბორატორია განათავსეს, რომლის დროსაც ეკლესიის კედლები დაზიანდა [გოგოლაძე, 2017:24–30]. 1988 წელს შენობაში კულტურის ცენტრი გაიხსნა, ხოლო 1989 წელს იგი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. ძველი ეკლესიის სანაცვლოდ ბათუმის მერიამ ადგილობრივ კათოლიკეებს მიწა გადასცეს, რომელზეც 2000 წელს ახალი ეკლესია აშენდა და სულიწმინდის სახელობაზე ეკურთხა. ამ ეკლესიაში გადაიტანეს საბჭოთა პერიოდის მრევლის მიერ გადარჩენილი რამდენიმე თაბაშირის ქანდაკება: ანგელოზები, ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ფიგურები, საშობაო ბაგა და პანოები, რომლებზეც ჯვრის გზის სცენებია გამოსახული [ნაცვლიშვილი, 2019: 146-147].



*ბათუმის
სულიწმინდის
სახელობის ეკლესია*



*თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური
ეკლესიის საკუროთხეველი 1900-იანი წლები*

განსხვავებულად განვითარდა თბილისში კათოლიკური ტაძრების ბედი. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია დაიკეტა. მსგავსი საშიშროების წინაშე დადგა წმ. პეტრასა და პავლეს კათოლიკური ეკლესიაც. მისი ქონება სახელმწიფო საკუთრება გახდა. 1928 წელს ეკლესიით სარგებლობის უფლება მრევლს მაღალი ქირის გადახდის სანაცვლოდ შეუნარჩუნდა


[ნაცვლიშვილი, 2019:50]. არსებობს ცნობა, რომლის მიხედვით ქირის გადასახდელად გერმანული მრეცლის წევრებმა საკუთარი პირუტყვიც კი გაყიდეს [ბარდაველიძე, 2019:54].

სრულ განადგურებას გადაურჩა ივლიტას ეკლესია. ბევრი ქარტეხილების შედეგად ის ჯერ საწყობად გადააკეთეს. 1962 წელს ეკლესია დაიწვა, თუმცა, ადგილობრივი კათოლიკური მრეცლის ძალისხმევით იგი აღადგინეს [ნაცვლიშვილი, 2019:209].



მანგლისის კათოლიკური ეკლესია XIX ს-ში

მანგლისში პოლონელი სამხედროების მიერ აშენებული კათოლიკური ეკლესია ჯერ ელექტროსადგურად, შემდეგ კი რძის ქარ-ხნად გადააკეთეს. ვანდალური და არადანიშნულებისამებრ გამოყენების გამო შენობის იერსახე ძლიერ დაზიანდა: მას მოუნგრისეს სამრეკლო, შეუცვალეს სახურავი, საკურ-



ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესია XIX ს-ში და მისი დღევანდელი იერსახე

თხვევლსა და ძირითად სივრცეს შორის კედელი ამოაშენეს, შიდა კედლებზე კი ალაგ-ალაგ კაფელიც ააკრეს [ნაცვლიშვილი, 2019:69-70].

ელექტროსადგურად გადაკეთდა (დღევანდელი) დავით აღმაშენებლის ჩიხში მდებარე ლაგოდეხის კათოლიკური ეკლესია. დღესაც მასში „ენერგო-

პრო ჯორჯია“-ს მომსახურების ცენტრია განლაგებული. მიშენებებისა და გადაკეთების გამო მისი პირვანდელი იერსახიდან თითქმის არაფერია დარჩენილი [ნაცვლიშვილი, 2019:69-92].

1930 წელს ჯერ დახურეს, შემდეგ კი კოლექტიური მეურნეობის საწყობად აქციეს ეკლესია უდემი. 1987 წელს შენობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას გადაეცა. ის შეაკეთეს და გადააკეთეს, ეზოში სამრეკლო და სენაკები მიაშენეს. 2012 წლიდან მასში დედათა მონასტერი ფუნქციონირებს [ნაცვლიშვილი, 2019:276].

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთ კათოლიკურ ეკლესიას საერთოდ არ მოუღწევია ჩვენამდე. ერთ-ერთი მათგანია ღვთისმშობლის ამაღლების თეთრიწყაროს ეკლესია, რომელიც ამჟამინდელ № 1 საშუალო სკოლის ადგილას (თამარ მეფის ქ. №3) იდგა, იგი 1934 წელს დაანგრიეს. 1900-იან წლებში ხის უგუმბათო კათოლიკური ეკლესია აუგიათ ოზურგეთშიც, რომლის ირგვლივ გაშენებული ყოფილა დეკორატიული ბაღი. მისი ექსპროპრიაციზაციის შემდეგ შენობა ფოლკლორულ გუნდს გადასცეს, ხოლო მომდევნო წლებში იგი სრულად განადგურდა. 1944 წლის ადგილობრივ გაზეთში ეწერა, რომ ბაღს არავინ პატრონობდა, არ ჰყავდა მცველი, იყო შეუღობავი და ძლიერ დაზიანებული [ნაცვლიშვილი, 2019:158]. უცნობია ახალციხეში წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის დანგრევის თარიღი. უკვე 30-იან წლებში ის ავარიული ყოფილა. დღეს კი ნაეკლესიარის მინდორზე დარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ჩუქურთმიანი ქვა და საფლავის ქვების ნამტვრევები.



უდეს ღმრთისმშობლის მიძინების კათოლიკური ეკლესია

ნაგებობის მხოლოდ ძველი ნაწილი, ისიც ნანგრევების სახით შემორჩა ახალციხეში მეორე კათოლიკური ეკლესიისგან: რაბათის ღვთისმშობლის ე.წ. „პატრების“ [ნაცვლიშვილი, 2019:182-183]. 30-იან წლებში დაანგრიეს თბილისში კუკიის სასაფლაოზე არსებული, ნეობაროკულ სტილში აგებული სამლოცველო. რელიგიური შენობების ნგრევის გარდა მოუვლელიობით 1990-იან წლებში განადგურდა და სახე იცვლა სასაფლაომაც. დღემდე სულ რამდენიმე ათეული საფლავის ქვა არის შემორჩენილი [ნაცვლიშვილი, 2019:65].

ამრიგად, საბჭოთა ხელისუფლების პირველივე წლებში ეკლესიის ქონება დრამატულად შემცირდა. მორწმუნეთა განკარგულებაში დარჩა მხოლოდ

სასაფლაოები, მღვდლების სახლები და ეკლესიის შენობები. ნაციონალიზაციის პოლიტიკის პირობებში მღვდლებს და მრევლს უხდებოდა მაღალი ქირის გადახდა იმ შენობაში შეკრებისთვის, რომელიც საკუთარი ან მათი წინაპრების ხელით იყო აშენებული. რელიგიასთან ბრძოლას შეწირული საკულტო ნაგებობების განადგურებით, ან დანიშნულების შეცვლით საქართველოში ნელ-ნელა იშლებოდა კათოლიკური მემკვიდრეობის კვალი. 1990-იანი წლებისთვის შემორჩენილი შენობების იერსახე თუ რაოდენობა არ ასახავდა კათოლიკური თემის გავლენის იმ რეალურ მასშტაბს, რომელსაც მან XX ს-ის 20-იან წლებამდე მიაღწია. მიაღწია. სამწუხაროდ, ვერც პოსტ-საბჭოთა დემოკრატიული მთავრობის მიერ საკულტო შენობების რესტიტუციის პოლიტიკამ მოახერხა ისტორიული სამართლიანობის აღდგენა და არაერთი კათოლიკური ტაძარი კათოლიკური თემისთვის დავის და გულისტკენის მიზეზად დატოვა.

* * *

ქონების განადგურებაზე და ექსპროპრიაციაზე უფრო ტრაგიკული იყო რეპრესიები, რომლებიც საბჭოთა წყობისთვის მიუღებელი პირების ფიზიკურ განადგურებას ემსახურებოდა. დევნის ობიექტი გახდნენ პირველ რიგში სასულიერო პირები, თუმცა, არ ასცდენია ეს ხვედრი კათოლიკური აღმსარებლობის მრევლსაც. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში რეპრესიების უშუალო მიზეზი არ ყოფილა ცალკეული პირების კათოლიკური ეკლესიისადმი კუთვნილება, არამედ ზოგადად – მორწმუნეობა [Джавахишвили, 2021]. საბაბად ხშირად გამოყენებული იყო ჯაშუშობის კონტრეველუციური, ანტისაბჭოთა საქმიანობა ან მოწოდებების ბრალდება, დასჯის ფორმად კი – ქონების და სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევა, პატიმრობა, გასახლება, გადასახლება ან დახვრეტა. იდეოლოგიური წნეხის ქვეშ რჩებოდნენ რეპრესიებს გადარჩენილები: მუშებს მესაზე დასწრების გამო საჯაროდ კიცხავდნენ, მორწმუნეთა ბავშვებზე კი კომკავშირი ახდენდა ზეგავლენას. 1930 წელს რომის პაპმა პიუს XI-მ მსგავს წნეხს მორალური შანტაჟი უწოდა [Zugger, 2001:214].

ვატიკანის მიერ საბჭოთა კავშირის აღიარებამდე კათოლიკური სამღვდლოება, ეკლესიის იერარქიული სტრუქტურიდან გამომდინარე, უცხოეთის აგენტად იყო აღქმული. ეს დამატებით საბაბს აძლევდა საბჭოთა ხელისუფლებას დაეწყო ეკლესიის იერარქების მასობრივი დაპატიმრებები. საბჭოთა წყობის დამყარებიდან მეორე მსოფლიო ომამდე კათოლიკურ ეკლესიას რეპრესიების რამდენიმე ტალღამ გადაუარა, რის გამოც სსრკ-ში არ დარჩა არცერთი კათოლიკე ეპისკოპოსი, რამაც ეკლესიური სტრუქტურა ჩამოშლის პირას დააყენა.

რომის პაპი ცდილობდა დიპლომატიური არხებით მოეგვარებინა საკითხი, რისთვისაც ვატიკანის ეპისკოპოსი მ. დ'ერბინი რამდენიმეჯერ ჩავიდა რუსეთში. 1926 წელს მან დანიშნა სამოციქულო ადმინისტრატორები და რამდენიმე ახალი ეპისკოპოსიც აკურთხა.

ამ დროისთვის საბჭოთა კავშირში კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა 5 ეპარქია (მინსკის, ჟიტომირის, კამენეც-პოდოლსკის, ტირასპოლის, ვლადივასტოკის), ერთი მოგილევის არქიეპარქია, ბერძენ-კათოლიკეთა ეგზარქატი, სომხური რიტის კათოლიკეთა ადმინისტრაცია და 2 ვიკარიატი – ციმბირის და ყირიმ-კავკასიის. საქართველო ამ უკანასკნელში შედიოდა. დაწყებული დევნის პირობებში მოხდა არსებული სისტემის გადახედვა და ფარული რეორგანიზება. ის გულისხმობდა იმ ეპისკოპოსების თანამდებობებიდან ჩამოშორებას, ვინც სსრკ-ს საზღვრები დევნის გამო დატოვა და მათ ადგილას ახლების დანიშვნას. ეს აარიდებდა ეკლესიას ბრალდებებს, რომ ის უცხოეთიდან იმართება. შეიქმნა ახალი ადმინისტრაციები. იტალიელი თუ სხვა ქვეყნის ქვეშევრდომი მღვდელმსახურების განდევნის გამო ახალი ადმინისტრატორი ამიერკავკასიის სამართავადაც დაინიშნა. ეს გახლდათ მღვდელი ბაქოდან სტეფანე დემუროვი [Книга Памяти, 2020; Zuger, 2001:223]. ჩეკისტებმა მალე გაშიფრეს ფარული სტრუქტურა და რეპრესიების ახალი ტალღა დაატეხეს ეკლესიას. დაიწყო ახლდანიშნული მმართველების დაპატიმრებები და გადასახლებები. 1924 წლის ზაფხულისთვის ცოცხალი და დაუპატიმრებელი დარჩა მხოლოდ 111 კათოლიკე მღვდელი მთელს საბჭოთა სახელმწიფოში [Zuger, 2001:151].

სამღვდელოების მდგომარეობა მძიმდებოდა ქვეყნის შიგნით ანტირელიგიური თუ ეკონომიკური პოლიტიკის გამოც. სამღვდელოება განსაკუთრებით დაზარალდა 1929 წლის 8 აპრილის კანონით რელიგიური გაერთიანებების შესახებ და კოლექტივიზაციის პროცესით. ამ წლებში მასობრივად ხდებოდა ქონების ჩამორთმევა. თავისი უშუალო საქმიანობისგან ძალით ჩამოშორებულ და, შესაბამისად, საარსებო წყარო ჩამორთმეულ სამღვდელოებას ანაფორის გახდის სანაცვლოდ მიწის ნაკვეთის შენარჩუნებას სთავაზობდნენ, რაც მძიმე მორალური არჩევანის წინაშე აყენებდა მათ [კვესელავა, 1979:77]. მალე ანაფორის ტარება საჯარო ადგილებში საერთოდ აიკრძალა [Zuger, 2001:242].

XX ს-ის 20-იან წლებში სიკვდილს გადარჩენილი სამღვდელოება 30-იანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა. 1932 წელს ათეისტურმა ორგანიზაციებმა აიღეს კურსი რელიგიის სრულ გაქრობაზე. ლოზუნგად გაჟღერდა „ღმერთის სახელის ხსენების დავიწყება“, რაც 1937 წლის 1 მაისამდე უნდა მომხდარიყო.

საბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ პერიოდს „უღმერთო ხუთწლედად“ მოიხსენიებენ. დასახული გეგმის მიხედვით 1935-1936 წლებში საბოლოოდ უნდა გამქრალიყო უკანასკნელი რელიგიური შენობები და რელიგიის მსახურნი [Безно-
 жная Пятилетка, 2009].

მორწმუნეების წინააღმდეგ რეპრესიების პიკი 1937-1938 წლების ე.წ. „დიდ ტერორზე“ მოდის. 1937 წელს გამოიცა შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის საიდუმლო ოპერატიული ბრძანება, რომლის მიხედვითაც „ეკლესიები და სექტანტი აქტივისტები“ გამოცხადდნენ „ანტისაბჭოთა ელემენტებად“ [Курляндский, 2011]. 1939 წლისთვის საბჭოთა კავშირში აღარ დარჩა არცერთი კათოლიკე მღვდელი, რომელიც დაპატიმრებული არ ყოფილიყო [Осипова, 1999:32]. 1995 რეაბილიტირებულთა სიებიდან დგინდება რომ სსრ კავშირის მასშტაბით სულ 500 000 საეკლესიო პირი იყო დაპატიმრებული ან რეპრესირებული. ამათგან 1000 – კათოლიკე მღვდელი იყო [Zugger, 2001:247].



კონსტანტინე
 საფარიშვილი (1971)

კათოლიკური სამღვდელოების დევნა საქართველოში საბჭოთა რუსეთი მხრიდან ანექსიის დღიდანვე დაიწყო. სამწუხაროდ, ჯერჯერობის გამოძეურებული არ არის დაპატიმრებულთა, გადასახლებულთა ან დახვრეტილ კათოლიკე სასულიერო პირთა სრული სია. თუმცა, ის ცნობები, რომელიც რამდენიმე სიკვდილს გადარჩენილი მღვდლის შესახებ შემოგვრჩა, მთელი სიმძაფრით აღწერს წითელი ტერორის წლების უკუღმართობას. ერთ-ერთი ასეთი სასულიერო პირი, რომელზეც საყურადღებო ცნობებია შემორჩენილი, არის მღვდელი კონსტანტინე საფარიშვილი (1887-1973).

მისი ცხოვრების შესახებ ვიგებთ მისი თანამედროვეების, კათოლიკე მღვდლების ან მრევლის დღიურებსა თუ მოგონებებში, მოკლე ბიოგრაფიული თუ ავტობიოგრაფიული ჩანაწერებიდან. ჟურნალ „საბა“-შიც პერიოდულად შუქდებოდა მისი ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი. პატრი კონსტანტინეს ცხოვრებისეული გზის აღწერით, გვსურს წარმოვაჩინოთ საერთო სურათი იმისა, თუ რას ნიშნავდა საბჭოთა პერიოდში (განსაკუთრებით 20-30-იან წლებში) სამღვდელო საქმიანობისადმი ერთგულება.

სასულიერო საქმიანობა იმდენად შეუთავსებადი იყო დამყარებულ წყობასა თუ იდეოლოგიასთან, რომ საქართველოში ცოცხლად მხოლოდ რა-

მდენიმე კათოლიკე მღვდელი გადარჩა, რომელთაგან ერთ-ერთი პატრი კონსტანტინე იყო. როგორც ის თვითონვე აღწერს, თავის ავტობიოგრაფიულ წერილში, იგი დაიბადა თბილისში, კათოლიკურ ოჯახში. განათლება თურქეთში, ფერიქოის კათოლიკურ სავანეში და რომში მიიღო. 1911 წელს მოხდა მისი მღვდლად კურთხევა. თავისი პირველი წირვა მან სტამბოლის ქართულ სავანეში ჩაატარა. თურქეთიდან საქართველოში დაბრუნებული, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, ჯაშუშობის ბრალდებით დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს. შემდეგი მიეცა სამღვდლო დანიშნულება და 1916 წელს, მდ. ვოლგაზე გერმანულ დასახლება სეივალდში. რევოლუციის შემდეგ 1918 წელს სარატოვის ეპისკოპოსის მიერ გორში მიავლინეს სამრევლოს წინამძღვრად.

1921 წელს პატრი მეორედ დააპატიმრეს, ხოლო გორის ეკლესია კი დაკეტეს. უნდა შევნიშნოთ, რომ გათავისუფლებული საფარიშვილი გამალებით იბრძოდა ეკლესიის ხელახლა გახსნისთვის, რის გამოც ისევ დააპატიმრეს, სცემეს და ორი კვირაში ისევ გამოუმევეს. ეკლესიის გარეშე დარჩენილი პატრი კონსტანტინე ეპისკოპოსმა ჯერ კახეთის სოფ. სანავარდოში, შემდეგ კი ხიზაში მიავლინა, სადაც იგი უკვე მეოთხედ დააპატიმრეს ჯაშუშობის და მავნებლობის ბრალდებით. ლაგოდეხიდან 40 კილომეტრი ფეხით ატარეს და სიღნაღის ციხეში მას დახვრეტის ინსცენირება მოუწყვეს. რამდენიმე თვიანი პატიმრობის შემდეგ, რომლის დროსაც მან რამდენიმე საპატიმრო გამოიცვალა, საფარიშვილი 1925 წელს ისევ მსახურებას დააბრუნეს ამჯერად უდეს ეკლესიაში. იქ ორი წლის მანძილზე იგი აქტიურ მსახურებას ეწეოდა განსაკუთრებით ბავშვებსა და ახალგაზრდებში.

პატრიმ შესძლო 14-15 წლის ახალგაზრდების შერჩევა დიაკვნებად და მათ, პირობითად, „12 მოციქულის“ სახელით მოიხსენიებდა. საფარიშვილი მათ ქართულ და ლათინურ ენებზე ასწავლიდა ლოცვას და ესაუბრებოდა საღვთისმეტყველო საკითხებზე. როგორც ერთ-ერთი დიაკვანთაგანი – იოსებ პეტაშვილი მოგონებებში იხსენებს: პატრი „დიდ ხუთშაბათს წმიდა წირვაზე მლოცველების თანდასწრებით დიაკვნებს სიმბოლურად ფეხებს ბანდა და ფეხზე ეამბორებოდა“ [პეტაშვილი, 2003:10-12].

პატრი კონსტანტინეს დროს უდეში საეკლესიო ცხოვრება ბევრი სხვა მიმართულებითაც გამოცოცხლდა და ახალი ტრადიციებიც დამკვიდრდა. მაგალითად: უდეს ეკლესიაში მლოცველები წირვის დროს ფეხზე იდგნენ და ლოცვის დროს მუხლებზე დგებოდნენ. პატრი კონსტანტინეს ინიციატივით, საყდრის შიგნით მთელ სიგრძეზე, ორ რიგად გრძელი დასაჯდომი მერხები

განულაგებით – მარცხნივ ქალებისთვის და მარჯვნივ – კაცებისთვის და ამიერიდან დღემდე მრევლი ძირითადად დამჯდარი უსმენდა ქადაგებას. ასევე, ეკლესიაში მოეწყო სცენა მგალობელი გოგონებისთვის და იქვე დაიდგა საფარიშვილის მიერ ნაყიდი ფორტეპიანო. გალობაში გოგონების გაწვრთნაში უდელი ქალბატონი ანიკო თუმანიშვილი ეხმარებოდა, რომელსაც საღვთისმეტყველო და მუსიკალური განათლება სტამბოლის სავანეში ჰქონდა მიღებული [იქვე].

სწორედ ასეთი აქტიური საქმიანობა ახალგაზრდებს შორის გახდა მიზეზი 1927 წელს საფარიშვილის უკვე მეხუთეჯერ დაპატიმრებისა. როგორც პატრის ჩანაწერებიდან ირკვევა, უდემი მრევლი აქტიური და მრავალრიცხოვანი იყო და პატრიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ამიტომ, ადგილზე მრევლის პროტესტის თავიდან აცილების მიზნით მთავრობამ მღვდელი მოტყუებით გამოიხმო: როგორც ის თავის ბიოგრაფიაში იხსენებს – მას დაავალეს გორში ამანათის მიტანა და სასამართლოში მოწმის სტატუსით გამოცხადება. იქ მისული, მღვდლის სამოსელშივე, დააპატიმრეს და ჯერ თბილისის ჩეკაში (6 თვით), შემდეგ კი მეტეხის ციხეში მოუწყვეს დაკითხვები. სცემდნენ და აიძულებდნენ უარი ეთქვა ახალგაზრდებთან და ბავშვებთან მუშაობაზე, რაზეც პატრი მტკიცე უარს აცხადებდა. რადგან პოზიციას არ იცვლიდა, 1928 წელს მას გადასახლება მიუსაჯეს და ეტაპირების წესით სოლოვეცკის ბანაკში გაგზავნეს.

სოლოვეცკის ბანაკები (1920-1939), მდებარეობდა თეთრ ზღვაში გაფანტულ კუნძულთა არქიპელაგზე – დიდი სოლოვეცკი, ანზერი, დიდი და მცირე მუკსალმა, დიდი ზაიატსკი. იძულებითი შრომის ბანაკი სსრკ-ში სოლოვეცკის კუნძულების ტერიტორიაზე შეიქმნა განსაკუთრებით საშიში პოლიტიკური და კრიმინალური დამნაშავეების იზოლაციის, შრომითი გამოყენებისა და გამოსწორებისთვის. იმ დროისთვის, როდესაც იქ კონსტანტინე საფარიშვილი განაწესეს, ბანაკში მოხვედრილთა რიცხვმა თავის მაქსიმუმს – 8000 პატიმარს აღწევდა. ამიტომ, 1925-1929 წლები ყველაზე აქტიურად არის ასახული პატიმართა მემუარისტულში. იმავე წლებში, როდესაც მამა კონსტანტინე იყო დაპატიმრებული, სოლოვეცკის ბანაკში უამრავი სასულიერო და საერო პირი იყო შეკრებილი. თუმცა, სასულიერო პირების რაოდენობის საკითხი ბოლომდე გაურკვეველია, სხვადასხვა წყაროში მოყვანილი მაჩვენებლები ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისგან [История СЛОН, 2021]. ერთ-ერთ ასეთ მემუარულ ნაწარმოებში, რომელიც მოგილიოვის მეტროპოლიის ადმინისტრატორს, კათოლიკე ეპისკოპოს ბოლესლავ სლოსკანს (1893-1981) ეკუთვნოდა, დეტალურად არის აღწერილი სოლოვეცკის ბანაკებში ცხოვრება და მოხსენიებულია მასში

მოხვედრილი არაერთი კათოლიკე მღვდელი საქართველოდან. მათ შორის კონსტანტინე საფარიშვილი და შიო ბათმანიშვილი (1885-1937). უკანასკნელს პატრი კონსტანტინეც ახსენებს თავის ბიოგრაფიაში. იგი წერდა: რომ, გზად ლენინგრადის ციხეში ჩაიყვანეს, სადაც შეხვდა კონსტანტინეპოლში ქართული სავანის წინამძღვარს, რომელსაც 10 წელი ჰქონდა მისჯილი.

მოგვიანებით პატრი კონსტანტინე კემში გადაიყვანეს, სადაც მამა შიოსთან და ბოლისლავე სლოსკანთან ერთად აღმოჩნდა. სლოსკანი ასე აღწერს სიტუაციას, რომელიც დახვდათ ბანაკში პოპოვის კუნძულზე: „გამანაწილებელ პუნქტში მესაზღვრეები აგრესიული ლანძღვა-გინებით დაგვხვდნენ. ეზოში მწკრივში უნდა ჩავმდგარიყავით. გინებით გვასწავლიდნენ, როგორ უნდა გვეპასუხა მათ მისალმებაზე. მათი უხეში ხუმრობები ჩვენზე სამ საათს გაგრძელდა. მერე ცალ-ცალკე, ერთმანეთის მიყოლებით, ყაზარმაში, ჩვენთვის დანიშნულ ადგილზე გაგვიყვანეს. დასაწოლი ადგილები იმდენად ვიწრო იყო, რომ მხოლოდ გვერდზე წოლით უნდა დაგვეძინა. ყაზარმები უზარმაზარ ხის ბელლებს წააგავდა. შიო ორი რკინის ღუმელი და ორ რიგად ფიცრული საწოლები იდგა. სიბინძურემ და აუტანელმა უჰაერობამ შეძრა ყველა შემოსული. რწყილები, ტილები და სხვა მწერები იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ ვერავინ იძინებდა ზემო სათავსოზე. დღისით კი აქვე ვმუშაობდით.... მეორე დღესვე დაიწყო მუშაობა: ყინულის ჭრა, თოვლის გადაზიდვა, ხის დაჭრა“. 1928 წლის აპრილში 13 მღვდლისგან შემდგარი ჯგუფი უხტაში გადაიყვანეს დიდი გზის მშენებლობაზე. სლოსკანის სიტყვებით მამა კონსტანტინეს დამსახურება იყო, რომ აქაც ის მასთან ერთად აღმოჩენდა და რომ გაუსაძლის სამუშაო პირობებში პატრი საფარიშვილი მისი მორალური დასაყრდენი გახდა [Из Истории..., 2021].



ბოლესლავე სლოსკანი

მიუხედავად მძიმე პირობებისა და მკაცრი კონტროლისა კაზაკი ზედა-მხედველების მხრიდან, მამა კონსტანტინეს, ისევე როგორც სხვა მღვდლებს,

არასოდეს უთქვამთ უარი თავიანთ უშუალო მოწოდებაზე. როგორც პატრი საფარიშვილი წერს, ის მუშაობდა კანტორაში, გზატკეცილზე, მეკუჭნავედ და ყველაზე დიდხანს ფოსტალიონად. ეს აძლევდა საშუალებას შეესრულებინა მისი რელიგიური მოვალეობები. ტყის სიღრმეში ატარებდა წირვას, წერილების დატარებისას კი იბარებდა აღსარებას, რის შემდეგ ფარულად თეთრ ქალაქში გახვეულ „ოსტიას“ აწვდიდა და ასე აზიარებდა მორწმუნე კათოლიკეებს, რომლებიც კუნძულის სხვადასხვა მხარეს იყვნენ მიმოფანტულნი.

ბოლო მკაცრი დანიშნულების ე.წ. სოლოვეცკის „მონასტერში“ მასთან ერთად 25 კათოლიკე მღვდელი და 2 ეპისკოპოსი იმყოფებოდა. ყველანი რწმენის გამო გადასახლებულები. წელიწადში ორჯერ ახერხებდნენ ღამით ფარულად შეკრებას და წირვის ჩატარებას. პატრი წერდა: „ყველგან სადაც ვი-



იოსებ ბოროძულია

მყოფებოდი, ვახერხებდი წირვის ჩატარებას და საჭიროებისამებრ ადამიანების ზიარებას“ (ავტობიოგრაფია). სლოსკანი მამა კონსტანტინესთან დაკავშირებით იხსენებს: „ერთ დღეს ამანათი მივიღე. მასში შედიოდა ყველაფერი, რაც წმინდა მესასთვის იყო საჭირო. მამა საფარიშვილს მოკლე წერილი გავუგზავნე და ღამით, დაცვის შინ წასვლის შემდეგ, მამა მოვიდა ჩემთან. ორივემ ერთმანეთს აღსარება ჩავაბარეთ და შევძელით მესის ჩატარება ჩვენს „საქათმეში“ შებოლილ სუფრაზე. გავიხარეთ, ჩავეხუტეთ ერთმანეთს და ჩვენი სულიერი დღესასწაულის პატივსაცემად მივირთვით უგემრიელესი ცხიმიანი კერძები და ვერმიშელი, რომელიც ასევე

ამანათში იყო“ [Из Истории..., 2021].

გარდა სლოსკანისა, მამა საფარიშვილი ბანაკში დაუმეგობრდა ღირშესანიშნავ პოლონელ კათოლიკე მღვდელს იოსებ ბოროძულიას (1893-1983) ვიტებსკიდან [Мартиролог – Бородзюля, 2021]. მამა იოსებს მრავალი წელი გაუტარებია პატიმრობასა და გადასახლებებში გულაგსა და ციმბირში. ცხოვრების მანძილზე გამოვლილი ჰქონდა 28 ციხე, 15 ბანაკი და 8 გადასახლების ადგილი. როგორც პატრი კონსტანტინეს შთამომავლები იხსენებენ, წლების შემდეგ მამა იოსებმა იპოვა კ. საფარიშვილი და საქართველოში ესტუმრა. მათი შეხვედრა ემოციური იყო – გასაჭირში გაცნობილ მეგობრებს ერთმანეთს ვერ აშორებდნენ. საფარიშვილმა მკაცრ გადასახლებაში ორნახევარი წელი გაატარა კემში, საი-

დანაც, შემდეგ, თავისუფალ გადასახლებაში ჩრდილოეთ პენეგაში გადაიყვანეს. იქ იგი 1931 წლამდე იმყოფებოდა. პენეგაში პატრი იძულებით სამუშაოებს ასრულებდა ხარკოვის მრევლის წინამძღვარ ილგინთან და უნიატ ეპისკოპოს ლეონიდთან ერთად. პატიმრობიდან გათავისუფლებულ საფარიშვილს არ ჰქონდა მღვდელმსახურების და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება უფლება. 1936 წელს, მოსკოვის ნებართვით, მან თბილისში მოიპოვა დროებითი დასახლების და მსახურების უფლება, თუმცა მთავრობასთან მჭიდრო თანამშრომლობაზე უარის გამო ეს უფლება 6 თვეში ისევ ჩამოართვეს. ამის შემდეგ, პატრი ბორჯომში დარეგისტრირდა, სადაც იგი 1966 წლამდე (40 წელი) ცხოვრობდა.

რეპრესირების კიდევ ერთი ეპიზოდი საფარიშვილის ცხოვრებაში იყო 1952 წელს. ამჯერად, პატრი, სტალინის კულტის მსხვერპლი გახდა, რისთვისაც მას ბორჯომის დატოვება უბრძანეს. სტალინის მოსალოდნელი ვიზიტის გამო ბორჯომი უნდა გაწმენდილიყო გადასახლებულებისა და პატიმრებისგან. თუმცა, მალევე, 1953 წელს, სტალინი გარდაიცვალა და მამა კონსტანტინეს მიეცა შესაძლებლობა გაეგრძელებინა ბორჯომში ცხოვრება. მას მღვდელმსახურება აკრძალული ჰქონდა და, რადგანაც სსრკ-ში უმუშევრობა კანონით ისჯებოდა, ამიტომაც პატრი ფოტოგრაფობით დაკავდა. ბორჯომში მას პატარა ოთახი ჰქონდა, სადაც ფოტოგრაფობის დროსაც ახერხებდა სამღვდლო ვალი მოეხადა: იგი ფარულად წერდა ჯვარს, აზიარებდა, იბარებდა აღსარებას, ნათლავდა და აღავლენდა წირვას. საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მასთან მოსულ მრევლს ასაჩუქრებდა ხატების ფოტორეპროდუქციით, რომელთაც მის მიერვე შედგენილი და საკუთარი ხელით მიწერილი მცირე ლოცვები ახლდა თან.

ბორჯომში მოღვაწეობის პერიოდში მამა კონსტანტინემ დიდი ამაგი დასდო ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის გადარჩენის საქმეს. დონ დამიანე სააკაშვილის გარდაცვალების შემდეგ, კათოლიკური ეკლესია ქუთაისში დაიხურა და მრევლი ბინაზე, ტელმანის ქ. 38-ში განაგრძობდა შეკრებას. პატრი ჯერ ფარულად საკუთარ ქადაგებებს უგზავნიდა, რომელთაც მორწმუნეები რეპრესიების შიშით არ ბეჭდავდნენ, არამედ ხელით გადაწერდნენ და ისე გადასცემდნენ ერთმანეთს. მოგვიანებით კი, მამა კონსტანტინემ ბორჯომიდან ყოველ კვირა დღეს დაიწყო ქუთაისში ჩასვლა და ბინაზე მსახურების ფარულად წირვის ჩატარება. რეპრესიების მერე ეს იყო პირველი საეკლესიო წირვა. მსგავსი თანადგომით პატრიმ კათოლიკურ ეკლესიას ქუთაისში შეუნარჩუნა არსებობის უწყვეტი ტრადიცია [საფარიშვილი, 2000:12].

1966 წელს, თბილისის პეტრე-პავლეს კათოლიკური ეკლესიის წინამძღვრის მამა ემანუელ ვარდიძის (1886-1966) გარდაცვალების შემდეგ, საფარიშვილმა მიიღო თბილისში დაბრუნების და მღვდელმსახურების ნებართვა. მისი მსახურება და რწმენისთვის გადახდილი ფასი სათანადოდ დააფასა წმ. საყდარმა. 1971 წელს, სასულიერო მოღვაწეობის 60 წელი, ქართულ ენაზე, გულთბილად მიულოცა რომის პაპმა პავლე VI-მ (1963-1978). გარდა მისალოცი ბარათისა, მას პონტიფიკისგან ამანათიც მიუღია, რომელშიც საჩუქრად



Римский Папа Павел VI.

ჩვენს საყვარელ შვილს კონსტანტინე საფარიშვილს, თბილისის კათოლიკე მრევლის მოძღვარს, რა ზის ძირწმუნე ქართულ სამწყსოს - რომელდათვის უფასოსკვთხოვო ხეცერმადლის ლხვ წყალობას - და კუსიარებად სიყვარულით ჩვენს სამოციქულო კურთხევას, ნაშნად გულისთაღის, მუდმივი, გამსწეუბისა, დ. ყოველდღიური ლოცვისა და რომის, თებერვლის 14, 1967 წ.

Папа Римский Павел VI
 (შეიღია მამა ემანუელ ვარდიძე VI)
 На папстве 56 лет
 1911 - 1967
 Папа Римский Павел VI


რომის პაპის პავლე VI-მ მისალოცი ბარათი

მღვდლის საზეიმო სამოსი იყო. პატრის შთამომავლების მოგონებებით, საბჭოთა ხელისუფლების მიმართ უნდობლობის და რეპრესიების შიში პატრის ბოლომდე არ ტოვებდა. ამანათის მიღების შესახებ ცნობა მას დიდ ნერვიულობად დაუჯდა, რადგან იგი მუდმივ მოლოდინში იყო, რომ ამის გამო კვლავ დააპატიმრებდნენ.

საფარიშვილი 1973 წლის 11 დეკემბრამდე, გარდაცვალებამდე, აღასრულებდა ეკლესიის წინამძღვრის მოვალეობას. ბოლო გზაზე გასაცილებლად და პატივის მისაგებად ეკლესიაში შეიკრიბნენ სხვადასხვა კონფესიის ეკლესიის წინამძღვრები, მათ შორის მართლმადიდებელი და სომხური სამოციქულო ეკლესიიდან. დაკრძალულია პეტრე-პავლეს ეკლესიის გალავანში [საფარიშვილი, 2000:12].

შეიძლება ითქვას, რომ მამა კონსტანტინე საფარიშვილმა მართლაც ღირსეულად აღასრულა მის მიერვე ცხოვრების დევიზად შერჩეული სიტყვები 109-ე ფსალმუნიდან „შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე“. მისი გარდაცვალებიდან 17 წელიწადში, 1990 წლის 13 აგვისტოს მოხდა მამა კონსტანტინეს რეაბილიტაცია. მამა კონსტანტინე ფლობდა 10 უცხო ენას, რომელთა არდავიწყების მი-


ზნით ყოველდღე სხვადასხვა ენაზე ადავლენდა ლოცვას. გამოირჩეოდა მუსიკალური ნიჭით. მის მიერ არანჟირებული საგალობლები დიდი ხნის მანძილზე სრულდებოდა თბილისის პეტრე-პავლეს კათოლიკურ ეკლესიაში.



3. საფარიშვილის რეაბილიტაციის ცნობა

საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან კიდევ ერთი დევნილი კათოლიკე მღვდელი, რომელიც გადაურჩა სიკვდილს იყო მამა ემანუილ ვარდიძე (1886-1966). იგი ახალციხეში, მრავალშვილიან კათოლიკურ ოჯახში დაიბადა. განათლება სხვა საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მღვდლების მსგავსად სტამბოლში, ფერიქოის ქართველთა მონასტერში და რომში მიიღო. იგი 1909 წელს ეკურთხა მღვდლად, ხოლო საქართველოში დაბრუნდა 1914 წელს. თავდაპირველად ვარდიძე მსახურობდა ჯერ ახალციხეში, შემდეგ კი თბილისში. მთავარეპისკოპოსი ვიზიტატორი სმეტსის თბილისში სტუმრობის დროს მამა ემანუილ ვარდიძე მის ვიკარიუსად გამოცხადდა. 1927 წელს ვარშავაში სამოციქულო ნუნციასთან წერილში იგი თავს კავკასიის მთავარ ვიკარიუსად წარადგენს. სწორედ ამ წერილის გამო, რომელშიც პატრი ფინანსურ დახმარების აღმოჩენას ითხოვდა, იგი 1928 წელს დააპატიმრეს. იტალიელი დიპლომატების

შუამდგომლობით ვარდიძე მალევე გაათავისუფლეს, თუმცა საზღვრის უკანონო კვეთის მცდელობის ბრალდებით კვლავ დააპატიმრეს. როგორც ეპისკოპოს პიუ-ეჟენ ნევეს მოახსენეს „ის თურქეთის საზღვრისკენ მიემართებოდა ახალციხის რაიონში. უცნობია, აპირებდა თუ არა ის საზღვრის კვეთას, თუ რაიმეს გადაცემას აპირებდა თურქი ჯარისკაცების დახმარებით“ [Венгер, 2021]. მას ყარაგანდას შრომით-გამოსასწორებელ კოლონიაში 5 წელი მიუსაჯეს. 1940 წელს იგი გაათავისუფლეს და გადაასახლეს ტაიშეტლაგში. 1951 წელს, გადასახლებაში მყოფთ ვარდიძესთან, სამედიცინო პუნქტში შეხვედრას ახსნებეს დომინიკელი და ლუცია დავიდიუკი, რომელიც იქვე მედიკოსად მუშაობდა. გადასახლებიდან დაბრუნებულმა მამა ემანუილმა მსახურება გააგრძელა თბილისის პეტრე-პავლეს საკათედრო ტაძარში [Книга Памяти, 2021:272].



ემანუილ ვარდიძე

ასაკის გამო დაპატიმრებას გადაურჩა ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი მამა დამიანე სააკაშვილი, დაბადებული ქუთაისში, 1865 წელს. განათლება მიიღო რომში, მღვდლად ეკურთხა სარატოვში, ტირასპოლის ეპარქიაში. მოღვაწეობდა პერეკოპსა და ოდესაში. 1905 წელს იგი დაბრუნდა ქუთაისში. 1930-იან წლებში მამა დამიანეს მსახურება აუკრძალეს და იგი სამრევლოს ჩამოაშორეს. ეკლესიის დახურვის შემდეგ, პატრიმ ეკლესიის დარაჯად გააგრძელა მუშაობა. 1943 წელს იგი უკიდურეს სიღარიბესა და მარტოობაში გარდაიცვალა. დაკრძალეს ეკლესიის ეზოში. სამწუხაროდ, მის საფლავის ქვაზე არ იყო ამოტვიფრული სახელი და მღვდლობის აღმნიშვნელი ნიშანი [მანტოვანი, 2001:15].

დამიანე სააკაშვილის, ემანუილ ვარდიძის და კონსტანტინე საფარიშვილისგან განსხვავებით, საბჭოთა რეპრესიებს ცოცხალი ვერ გადაურჩა საქართველოში მოღვაწე სხვა კათოლიკე მღვდლები. აქა-იქ მიმოფანტულ მწირ ცნობებს რეპრესირებულ კათოლიკე საერო თუ სასულიერო პირების შესახებ, ძირითადადში ორი წყაროდან ვიღებთ. ეს არის 2013 წელს შექმნილი ელექტრონული მონაცემთა ბაზა – „სტალინური სიები საქართველოდან“ და ოსიპოვას მიერ „სსრკ კათოლიკური ეკლესიის მარტიროლოგიაში“ თავმოყრილი მასალებიდან [https://lib.memo.ru/book/3031]. ამასთან, ჯერ კიდევ ცოცხალია რეპრესირებულ წინაპართა ისტორიები მრევლის და შთამომავალთა მეხსიერებაში. ამ ინფორმა-

ციის ჩვენამდე მოტანა კათოლიკური ჟურნალის – „საბას“ მეშვეობით ხერხდება. აღნიშნული წყაროებიდან შეგვიძლია აღვადგინოთ დახვრეტილ კათოლიკე მოღვაწეთა სახელები, ეგზეკუციის თარიღი, ადგილი და, ზოგ შემთხვევაში, მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ერთ-ერთი პირველი ვინც საბჭოთა რეჟიმს ემსხვერპლა იყო მღვდელი მიხეილ ანტონაშვილი (მიქელ ანტონოვი) (1855-1921). 1893 წელს იგი დაინიშნა ვიკარიუსად თბილისის მიძინების ეკლესიაში. ასწავლიდა ქრისტიანულ მოძღვრებას გიმნაზიებში. 1907 წელს დაინიშნა თბილისის წმ. პეტრე-პავლეს ეკლესიის მთავარ მოძღვრად და ასევე იყო კათოლიკური ეკლესიების პირველი ქართველი ვიზიტატორი კავკასიაში. რომში აღზრდილმა იცოდა ევროპული და აღმოსავლური ენები. 1907-1912 წლებში იგი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი იყო. საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში იყო იმ მღვდლებს შორის, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ სომხური რიტის ნაცვლად, ლათინური წესით ქართული ენაზე ლიტურგიის და ქართული საეპისკოპოსოს აღსადგენად. დაიღუპა 1921 წლის 25 თებერვალს წითელი არმიის მიერ თბილისის აღებისას. დაკრძალულია წმ. პეტრე-პავლეს ტაძრის ეზოში [Sabamedia, 2021].



ბათუმის კათოლიკური ტაძრის დახვრევას ემსხვერპლა მისი წინამძღვარი, საზოგადო მოღვაწე მამა გაბრიელ ასლანიშვილი (1860-1931). დაიბადა ქუთაისში. დაწყებითი განათლება მიიღო შინ, შემდეგ კი სასულიერო განათლებას ეუფლებოდა კონსტანტინეპოლსა და მონტობანში. მსახურობდა რუსეთში, ქუთაისში, გორსა და ბათუმში. მას დიდი წვლილი მიუძღვის ქუთაისის სამრევლო სკოლის პროგრამის სრულყოფაში. მისი საქმიანობის შედეგად აქაური მოწაფეები პირდაპირ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ახერხებდნენ მოხვედრას. აქ კი რამდენიმე სტიპენდია დააწესა ქუთაისის მრევლის მიერ შეგროვილი თანხით. გორში მსახურების დროს ზრუნავდა ჯავახეთიდან უმამულო გლეხებზე, რომლებიც საეკლესიო მიწებზე დაასახლა. პატრი რამდენიმე ენას ფლობდა. იგი ფრანგულიდან თარგმნიდა



საერო ჟანრის ნაწარმოებებს; „ცნობის ფურცელში“ აქვეყნებდა სტატიებს ქართველი კათოლიკეების შესახებ, მანცე შეადგინა „ახალი ქართული ლოცვის წიგნი“ და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ასლანიშვილი არაერთხელ დაასმინეს, რის გამოც იძულებული იყო დროებით გადახვეწილიყო. სიცოცხლის ბოლო წლებში იგი მსახურობდა ბათუმში. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული ცნობით, ის თბილისში დაუპატიმრებიათ 1930 წლის 12 თებერვალს. ბრალად მას დასდეს ჯაშუშობის ხელშეწყობა, კავშირი ემიგრაციასთან, შპიონაჟი უცხო სახელმწიფოების სასარგებლოდ, საზღვარგარეთ ხალხის არალეგალურად გაგზავნა, საომარი საშუალებების შენახვა და მევახშეობა. მოგვიანებით ეს ბრალი მოუხსნეს, მაგრამ ახალი წაუყენეს – 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობა, რაც დადასტურდა ეკლესიაში შენახული იარაღით. 1930 წლის 15 ივლისს ასლანიშვილს მიუსაჯეს დახვრეტა [ნემსაძე, 2019:198]. მრევლში გავრცელებული ნარატივის მიხედვით, მას სპეცსამსახურის წევრებმა წირვის აღსრულების დროს მოაკითხეს, უბრძანეს წირვის შეწყვეტა, რაზეც უარი მიიღეს. ამის შემდეგ, ის გარეთ ძალით გაიყვანეს და ეზოში დახვრიტეს, მრევლი კი ამ დროს შენობაში ჰყავდათ ჩაკეტილი [მანტოვანი, 2001:14].

XX ს-ის 20-იან წლებში საქართველოში ემიგრაციაში მყოფი მენშევიკურ მთავრობასთან ნებისმიერი კავშირი საკმარისი მიზეზი იყო რეპრესირებისთვის. კათოლიკური ეკლესიის მესვეურები, განსაკუთრებით კი სტამბოლის ქართული საგანის მოღვაწეები აქტიურად ეხმარებოდნენ იძულებით ემიგრაციაში წასულ ნოე ჟორდანიას მთავრობას. ამ მიზეზს ემსხვერპლა ბიზანტიური წესის კათოლიკური სათვისტომოს მეთაური საქართველოში, მამა შიო ბათმანიშვილი. იგი 1927 წლის 16 ოქტომბერს დააპატიმრეს თბილისში. დაპატიმრებისას მასთან ერთად მყოფი 4 მღვდელი ადგილზე დახვრიტეს. 1927 წლის 11 ოქტომბრის საბრალდებო დასკვნაში ეწერა, რომ ქალაქ კონსტანტინოპოლში (სტამბოლი) ქართულ კათოლიკურ მამათა მონასტერში წინამძღვარმა დაუშვა აღნიშნული მონასტრის ტერიტორიაზე 1921 წლის გასაბჭოების დროს საქართველოდან განდევნილი ქართული კონტრრევოლუციური ემიგრაციის კონცენტრაცია, ემიგრანტები მონასტერში დარჩნენ 1923 წლის ჩათვლით. საცხოვრებლად გადაცემული შენობების გარდა, მონასტრის ადმინისტრაციამ რამდენიმე წლით მონასტრის სტამბა სრულად გადასცა ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს, რომელშიც იბეჭდებოდა ანტისაბჭოთა ბროშურები, გაზეთები და სხვა მასალები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების დისკრედიტაცია

და დამხობა საქართველოში. კითხვაზე, აღიარებს თუ არა მოქალაქე ბათმანიშვილი ემიგრანტებისთვის სტამბის მიწოდებას პოლიტიკურ შეცდომად, ამ უკანასკნელმა უპასუხა, რომ თავის ქმედებას იგი „პოლიტიკურ შეცდომად“ არ თვლის [Книга Памяти, 2021].

ამ ბრალდების საფუძველზე მამა შიოს 1928 წლის 16 იანვარს მიუსაჯეს 10 წელი „ამნისტიის გარეშე“ და გაგზავნეს სოლოვეცკის სპეციალური დანიშნულების ბანაკში. 1930 წელს აბტი გადაიყვანეს ანზერის კუნძულზე, სადაც 1932 წლის 5 ივლისს ბრალი დასდეს კათოლიკე სასულიერო პირების წინააღმდეგ აღძრულ საქმეში მონაწილეობისთვის. ჯგუფს ბრალად ედებოდა ანტისაბჭოთა აგიტაცია, რელიგიურ რიტუალების ფარულად შესრულება. უკანონო კომუნიკაცია საზღვარგარეთ, ჯაშუშური ხასიათის ინფორმაციის გადაცემის მიზნით. ამჯერად იგი სიკვდილს გადაურჩა, თუმცა 1937 წელს ისევ დააპატიმრეს და გადაიყვანეს ციხის რეჟიმში. მას ბრალი ედებოდა მღვდლებისგან შემდგარი კონტრრევოლუციური ჯგუფის აქტიური წევრობა. ბრალდებაში ეწერა, რომ ის „ავლენდა ანტისაბჭოთა განწყობებს, არაერთხელ აწყობდა მსახურებას ყაზარმებში, სისტემატურად აწარმოებდა კონტრრევოლუციურ გამოსვლებს მღვდლებისთვის“. 1937 წლის 14 ოქტომბერი მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, დახვრიტეს 1 ნოემბერს.

ნიშანდობლივია, რომ ბათმანიშვილთან ერთად კუნძ. ანზერზე იმყოფებოდნენ სხვა მღვდლები საქართველოდან. კერძოდ, სომხური წესის კათოლიკე პატრები: აკოფ ბაკარატანი და სტეფანე ეროიანი. მამა სტეფანე, რომელიც თბილისში დაიბადა და იქვე მსახურობდა 1929 წელს დააპატიმრეს და სოლოვეცკის ბანაკში იძულებითი შრომის 10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. გათავისუფლებამდე 2 წლით ადრე, ბათმანიშვილის მსაგვსად იგივე საქმეზე იგი აღმოჩნდა ბრალდებული. მისი განაჩენი სისრულეში მოიყვანეს 3 ნოემბერს სონდორმოხში, იქვე სადაც მამა შიო დახვრიტეს 2 დღით ადრე.

წარმოშობით ბათუმელი იყო თბილისში მცხოვრები სსრკ-ს სომხური რიტის კათოლიკე მრევლის ადმინისტრატორი აკოფ ბაკარატანი. 1927 წელს იგი ემზადებოდა ეპისკოპოსად კურთხევისთვის მოსკოვში, ეპისკოპოს ნევეს ხელდასხმით. თუმცა, მას ჯერ თბილისიდან გასვლა აუკრძალეს. ნევეს, რომის პაპის მიერ სსრკ-ში წარგზავნილ საიდუმლო წარმომადგენლის დერზინის მითითებით, მამა აკოფი უნდა ეკურთხებინა ლათინური წესის კათოლიკეთა ეპისკოპოსად სომხეთისთვის, რაც საშუალებას მისცემდა მომავალში ხელი დაესხა როგორც სომხური, ასევე ლათინური წესის მღვდლებისთვის. თუმცა, ეს ვერ განხორციელდა. 1930 წელს, დისკრედიტაციის მიზნით, მას მოუწყვეს

ინსცენირებული სომეხ-კათოლიკეთა კრება, რომელზეც მას ბრალი დასდეს წლების მანძილზე ვატიკანში ცრუ ინფორმაციის მიწოდებაში იმის შესახებ, რომ თითქოს საბჭოთა კავშირში რელიგია იდევნებოდა. ბრალმდებლების სიტყვებით, ამით ზიანი მიადგა კათოლიკურ ეკლესიას და ვატიკანის სსრკ-სთან ურთიერთობებს. მამა აკოვს ბრალი დასდეს, ასევე, კონტრრევოლუციური პროპაგანდის ორგანიზებაში და ამ საქმისთვის კათოლიკე მისიონერების მოსყიდვაში. 1930 წელს იგი დააპატიმრეს და სხვა მღვდლების მსგავსად, 10 წლით სოლოვეცკის ბანაკში იძულებითი შრომა მიუსაჯეს. ის მამა შიოსთან ერთად კუნძულ ანზერზე იმყოფებოდა და იგივე „კათოლიკე მღვდლების წინააღმდეგ“ საქმეში იყო ბრალდებული. დახვრეტას გადაურჩა. თუმცა, 1936 წელს სოლოვეცკიდან გადაიყვანეს კუზემა-კიროვის რკინიგზაზე, სადაც მალევე გარდაიცვალა [Книга Памяти].



ვინც ოციანი წლების დაპატიმრებებს გადაურჩა, ან 30-იანი წლების ბო-

ლოს პატიმრობიდან დაბრუნდა, 1937-1938 წლების „დიდი ტერორი“-ს მსხვე-რპლი გახდა. მათ რიგებში იყო თბილისის მარიამის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი მამა ლაზარე გოზალიშვილი (1870-1937). პატრი ცნობილი იყო აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობით. იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. ჩვენთვის უცნობია მისი დაპატიმრების ზუსტი თარიღი. ფაქტია, რომ იგი ბრალდებული იყო შპიონაჟში. მრავალჯერ დაკითხვების და წამების მიუხედავად, მან სულის დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და

ხელი არაფერს მოაწერა. პატიმრობიდან გათავისუფლებული პატრი ეკლესიის მახლობლად პატარა სახლში ცხოვრობდა. 1937 წელს იგი დააპატიმრეს და დახვრიტეს [მანტოვანი, 2001:14].

1937 წელს დააპატიმრეს და 1938 წელს დახვრიტეს სტეფანე დემუროვი (1871-1938). იგი თბილისელი იყო. 1902 წლიდან დემუროვი იყო ქუთაისის სამრევლოს ვიკარიუსი, 1904 წლიდან კი – წმიდა მარიამის უბიწო ჩასახვის ტაძრის წინამძღვარი ქ. ბაქოში. 1926 წელს, სსრკ-ში კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურის რეორგანიზების პროცესში, პაპის მიერ წარგზავნილი, ეპისკოპოს დერბინის მიერ დაინიშნა ამიერკავკასიის სამოციქულო ადმინისტრატორად და მთავარ ვიკარიუსად თბილისსა და საქართველოში. 1937 წელს 13-

14 ნოემბრის ღამეს დააპატიმრეს ბაქოში, შპიონაჟის ბრალდებით. 1938 წლის 23-24 თებერვლის ღამით კი დახვრიტეს [Zugger, 2001:239; Книга Памяти, 62].

ამრიგად, მასობრივმა და მიზანმიმართულმა რეპრესიებმა 1920-1930-იან წლებში როგორც საქართველოში, ასევე, საბჭოთა კავშირში მთლიანად მოშალა კათოლიკური ეკლესიის სტრუქტურა. სასულიერო განათლების მიღების შეუძლებლობამ, დაპატიმრებებმა, გადასახლებამ და დახვრეტებმა გააჩინა უმღვდელო სამრევლოები. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის საქართველოში აღარ იყო დარჩენილი არცერთი კათოლიკე მღვდელი. განადგურდა, სრულიად დაინგრა ან სახე იცვალა არაერთმა კათოლიკურმა ეკლესიამ. მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ტაძარი 1951 წლამდე წინამძღვრის გარეშე იყო დარჩენილი. წითელი ტერორის შედეგად საქართველოში გაწყდა ქართველი კათოლიკე წინამძღვრების მრავალწლოვანი ტრადიცია. ათეულობით ათასი ქართველი, სომეხი, პოლონელი, გერმანელი, უკრაინელი და ასირიელი კათოლიკე მორწმუნე, ვინც რეპრესიებს გადაურჩა, რელიგიური ერთგულებით პასუხობდა უპრეცედენტო წნეხს. იქ, სადაც უტაძროდ იყვნენ დარჩენილნი, ფარულად იკრიბებოდნენ საწყობებად გადაქცეულ საეკლესიო შენობებსა თუ კერძო სახლებში და ასე ცდილობდნენ რწმენის შენარჩუნებას წითელი ტერორის პირობებში.

საქართველოში ტაძრების ჩამორთმევამ, ნგრევამ და გადაკეთებამ, სამღვდელოების მეთოდურმა განადგურებამ, კათოლიკური მემკვიდრეობა ჩვენამდე დაკნინებული ფორმით მოიტანა. საბჭოთა რიტორიკა იმის შესახებ, რომ კათოლიკური ეკლესიის მესვეურები უცხოეთის აგენტები არიან, მიზნად ისახავდა მოსახლეობისგან კათოლიკური თემის გაუცხოებას, რასაც მათ ნაწილობრივ კიდევ მიაღწიეს. რეპრესირებული სამღვდელოების მოღვაწეობის, საბრალდებო დასკვნების შესწავლა ცხადჰყოფს, რომ ისინი რწმენის შენარჩუნებასთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის დაულალავად იბრძოდნენ. წითელი ტერორის მიუხედავად, კათოლიკური თემი საქართველოში მაინც გადარჩა. დიდი ხნის მანძილზე საქართველოში ერთადერთი მოქმედი კათოლიკური ეკლესია იყო თბილისის წმ. პეტრე და წმ. პავლე მოციქულთა ეკლესია, სადაც ქადაგება მიმდინარეობდა, ძირითადად, რუსულად, თუმცა კვირის მანძილზე მრევლს მიმართავდნენ პოლონურ, გერმანულ, სომხურ, ასირიულ და ქართულ ენებზეც. რელიგიური კულტების საქმეთა საბჭოს რწმუნებულის 1984 წლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ საკვირაო ქადაგება იმართებოდა ახალციხის რაიონის სოფ. სხვილისის კათოლიკურ ეკლესიაშიც. ანალოგიური სიტუაცია იყო სოფ. აბათხევში, ნაოხსებში, წინუბანში, წყალთიბაში,


ივლიტაში, სადაც მორწმუნე კათოლიკეებმა თვითნებურად დაიკავეს თავისუფალი ეკლესიის შენობები [სუიცა, ფ. 1880, ან. 1, ს. 512, გვ. 17-19].

90-იანი წლებიდან საქართველოს კათოლიკობა და კათოლიკეები თავიდან ცდილობენ დაიმკვიდრონ კუთვნილი ადგილი ახალ ქართულ რეალობაში. როგორც ბერის, ასევე ერის მხრიდან საბჭოთა პერიოდის მიერ მიყენებული ზარალის სწორი გააზრება სახელმწიფოებრიობის და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისთვის აუცილებელი პირობაა.



**რომის კათოლიკური ეკლესიის და საქართველოს
ურთიერთობა XX-XXI ს-ის მიჯნაზე
(პონტიფიკების ვიზიტი საქართველოში)**

წმ. საყდარი (კათოლიკური ეკლესიის ეპარქია რომში – ავტ.) ერთ-ერთი პირველი სუბიექტი იყო რომელმაც 1992 წელს (23.05) საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარა. მომდევნო წელს, საქართველოში გაიხსნა წმინდა საყდრის საელჩო. რომის კათოლიკური ეკლესიის და საქართველოს ურთიერთობის უახლესი ისტორიის საკითხები ლიტერატურაში მონოგრაფიულად ნაკლებად არის შესწავლილი (ბარდაველიძე), ამიტომაც, წინამდებარე თავში, მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ წმ. საყდართან ქართული სამოციქულო ეკლესიის და ზოგადად საქართველოს ურთიერთობის ისტორიის რამდენიმე პასაჟზე – პაპი იოანე პავლე II და პაპი ფრანცისკეს საქართველოში ვიზიტების შესახებ, რომლებიც ვფიქრობთ, რომ განსაზღვრეს XX-XXI ს-ბის მიჯნაზე ორ კონფესიას შორის თანაარსებობის პოლიტიკა.




Ecclesia Catholica

XX ს-ში წმ. საყდართან საქართველოს ურთიერთობამ რამდენიმე ეტაპი გაიარა. ამ ურთიერთობებზე კვალი დატოვა საბჭოთა იმპერიაში მიმდინარე რელიგიის დისკრიმინაციის პოლიტიკამ. იდეოლოგიიდან გამომდინარე, კონფესიათა შორის არსებული თავდაპირველი გაუცხოება, იმპერიის მსხვრევასთან დაკავშირებით ცვლილებები განიცადა. ურთიერთდაახლოების პროცესი არ იყო მარტივი. ცხადია, ამ საკითხში მხარეებს თავიანთი ინტერესები ჰქონდათ. რომის კათოლიკური ეკლესია მიიღტვოდა თავისი გავლების აღდგენა-გაფართოებისკენ ჯერ სსრკ შემადგენლობაში მყოფ რესპუბლიკებში და შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, ხოლო ქართული ეკლესიის მიზანი გახლდათ მსოფლიო პროცესებში ჩართვით მიედწიათ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის იურიდიული აღიარებისა და ამით მოეხდინათ „ქრისტიანულ სამყაროში“ სრული ინტეგრირება.

წმ. საყდართან ურთიერთობის აღდგენის პირველი ნაბიჯები გადაიდგა XX ს-ის 70-იან წლებში. რასაკვირველია საქართველო, როგორც საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი სუბიექტი, გამორიცხული იყო მისგან დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოება ვატიკანთან, ამიტომაც, კათოლიკურ სამყაროსთან კონფესიური კუთხით კონტაქტირება მხოლოდ ერთადერთი გზა იყო. ამ პროცესში ჩაერთო ქართული მართლმადიდებელი ეკლესია.

ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე წმ. საყდრის და ქართული სამოციქულო ეკლესიის დაახლოების პირობები შექმნა ორივე კონფესიის ჩართვამ მსოფლიოში მიმდინარე ეკუმენისტურ მოძრაობაში. XX ს-ის 50-70-იან წლებში იგი ტრენდული მოვლენად მიიჩნეოდა. „ეკუმენიზმი“ (ბერძ. οἰκο-σμᾶν, დასახლებული მსოფლიო, სამყარო) არის საერთო ქრისტიანთა ერთობის იდეოლოგია, რომელმაც, როგორც ქრისტიანული ურთიერთობების ერთ-ერთი მექანიზმი, მოძრაობის სახე მიიღო. ზოგადად, იგი იყო კონფესიათა შორის მოძრაობა, რომელშიც უპირატესი როლი პროტესტანტულ ორგანიზაციებს ეკავათ. ტერმინ „ეკუმენიზმის“ თანამედროვე გაგება განისაზღვრა 1937 წელს პრინსტონის უნივერსიტეტის თეოლოგების მიერ [Смирнов, 2005:168]. 1948 წელს შეიქმნა მსოფლიო ეკლესიათა საბჭო რომელშიც პროტესტანტულ ეკლესიების გარდა შედიოდა რიგი მართლმადიდებლური ეკლესიები (1962-1997 წლებში საქართველოს სამოციქულო ეკლესია, ხოლო რუსული მართლმადიდებლური ეკლესია გაწევრიანდა 1961 წელს,). რაც შეეხება რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, იგი მასში მეთვალყურის სტატუსით დებულობს მონაწილეობას [Смирнов, 2005:169].




*ეკუმენიზმის
 სიმბოლო წმ. ანას
 ეკლესიაში,
 აუგსბურგი,
 გერმანია*

ეკუმენისტურმა მოძრაობამ მოიცვა ქრისტიანული ეკლესიების ცხოვრება, განათლების სფერო, სოციალური მსახურება და პოლიტიკური ქმედებაც. ეკუმენიზმზე საუბარი იმიტომ დაგვიჭირდა, რომ როგორც ლიტერატურაში შენიშნულია, ქართული სამოციქულო ეკლესიის მხრიდან ამ პროცესში ჩართვის მოტივი იყო ავტოკეფალიის აღიარების საქმეში მსოფლიოსთვის და სხვადასხვა ქრისტიანული კონფესიებისთვის თავისთავადობის შეხსენება [პავლიაშვილი, 2010 :607; დუგლადე, 2019:41]. 1979 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II (დ. 1933) არჩევამ ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტად, გააღრმავა ქართული ეკლესიის ურთიერთობები დასავლურ კონფესიებთან.

ვატიკანის II კრებაზე (1962-1965) მიღებული 16 აქტით (კონსტიტუციები, დეკრეტები, დეკლარაციები) [ვატიკანის..., 2006] რომაულ-კათოლიკურ ეკლესიაში დაიწყო ფართო მასშტაბიანი ცვლილებები, რის შედეგად წმ. საყდარი სრულად ჩაერთო ეკუმენურ მოძრაობაში. მით უფრო, რომ ეკუმენიზმის ერთ-ერთი მიმართულება ითვალისწინებდა – ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებას. ვატიკანის კრების მთავარ მიღწევად მიიჩნევა ეკლესიებში ლიტურგიის რომაული წესის მშობლიურ ენაზე ჩატარების კანონის მიღება [ვატიკანის...

2006:35-59; დუგლაძე, 2019:26], რაც რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მძლავრ იარაღად იქცა მრევლში პოზიციის განმტკიცების საქმეში. იგი ხელს უწყობდა კონტინენტის სხვადასხვა ნაწილში მოღვაწე კათოლიკური მისიების მომძლავრებას და მრევლის მატებას.

ზოგადად, რომის კათოლიკურ და მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის თეოლოგიური დიალოგის დაწყების გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა 60-იან წლებში. კონკრეტულად ვითარება შეიცვალა ვატიკანის II კრებით. არსებითად, კათოლიკური ეკლესიის მიზნები იგივე დარჩა, მაგრამ მეთოდები და ტაქტიკა მოერგო თანამედროვეობას. შესაბამისად, შეიქმნა ე.წ. ერთიანობის სამდივნო, ხაზი გაესვა მართლმადიდებლური იერარქიის რეალობის, მათ სამოციქულო მემკვიდრეობას და საიდუმლოების აღიარებას. ვატიკანის საბჭოს ოთხივე სესიაზე ხაზი გაესვა მართლმადიდებლებისადმი გულმხურვალე სიყვარულს, მათი ისტორიული დამსახურებების აღიარებას და ნაწილობრივი სისწორეს ძველი ქრისტიანული ტრადიციების შენარჩუნების საქმეში. ფაქტობრივად, პროტესტანტიზმის გავლენის შესუსტების მიზნით ვატიკანის პოლიტიკა წარიმართა მართლმადიდებლობასთან ალიანსისკენ. უფრო მეტიც, გამოცხადა 1054 წლის ანათემის ურთიერთმოხსნის შესახებ და ა.შ. [Семедов,... 2018:101].



პაპი პავლე VI



პატრიარქი ათენაგორა I

გარდამტეხი მომენტი იყო პაპი პავლე VI (1963-1978) 1964 წელს კონსტანტინოპოლში მსოფლიო პატრიარქ ათენაგორა I-თან (1949-1972) შეხვედრა, რის შემდეგ, უკანასკნელმა ქრისტიანებს გაუგზავნა მთელ მსოფლიოში შერიგების, პატივის და წარსულის მტკივნეული მეტოქეობის და ტრავმული მოგონებების დაძლევის გზავნილი [Kalaitzidis, 2014:135]. ამგვარად, კონსტანტინოპოლის პატრიარქის ინიციატივით მართლმადიდებლურ ეკლესიებს გზა გაეხსნათ ვატიკანთან მრავალწლიანი თეოლოგიურ დიალოგისთვის. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის იდეას და ვატიკანის მეორე კრების მხრიდან წამოსულ ეკუმენურ ინიციატივებს „სიყვარულის დიალოგი“ დაერქვა [Зытер, 2004:280-281]. რაც შეეხება 1980 წლიდან ორივე კონფესია შორის მიმდინარე

ოფიციალურ საღვთის-მეტყველო დისკუსიებს მას „ჭეშმარიტების დიალოგი“ უწოდეს [Kalaitzidis, 2014:135]. სასულიერო დისკუსიებით შემუშავდა დოკუმენტები, რომლებმაც განსაზღვრეს კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის მსგავსება-განსხვავებები. სამწუხაროდ, აღმოსავლეთ ევროპაში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიების გამო, 90-იანი წლების დასაწყისში, მართლმადიდებლურ-კათოლიკური დიალოგი გართულდა. კალაიტზიდის შენიშვნით დიალოგის გართულებაში არანაკლები როლი შეასრულა მართლმადიდებელი სამღვდელოების დაბალი ფენის მხრიდან გამოვლენილი უარყოფითი პოზიცია ეკუმენური მოძრაობის მიმართ [Kalaitzidis, 2014:135]. მართალია შემდგომში იყო მცდელობები დაახლოების შესახებ, რისთვისაც დაიდო ე.წ. ბალამანდის (1993) შეთანხმება, რომელმაც განსაზღვრა მხარეთა ერთობლივ შეხედულებები, მაგრამ მან, როგორც მართლმადიდებლურ, ისე კათოლიკურ წრეებში არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა [Romanides, 1993:579].

დასავლურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ათწლეულების მანძილზე ოფიციალური მართლმადიდებელი წარმომადგენლები ურთიერთობებში ორმაგი სტანდარტით მოქმედებდნენ: ერთი იყო ეკუმენური და მეორე კონსერვატიული და თავდაცვითი (მაგრამ არა პრინციპულად ანტიეკუმენური). ამ გაურკვევლობის შედეგად, მიუხედავად აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის თავდაპირველი დადებითი დამოკიდებულებისა ეკუმენისტური მოძრაობის მიმართ, ორთოდოქსი მორწმუნეები გაუცხოებულნი დარჩნენ და, ბოლოს და ბოლოს, დაექვედნენ ჭეშმარიტები ძიებაში [Kalaitzidis, 2014:136].

თანამედროვე რეალობაში წმ. საყდარი ინარჩუნებს დიპლომატიურ ურთიერთობებს 183 ქვეყანასთან, ასევე ევროკავშირთან და მალტის სუვერენულ ორდენტთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფო „წმ. საყდრის“ სახელწოდებით და არა რომის კათოლიკური ეკლესია (1 მლრ. 300 მილ. მეტი მორწმუნე), ანდა ვატიკანის ქალაქ-სახელმწიფო (იგი უზრუნველყოფს წმ. საყდრის ტერიტორიული სუვერენიტეტს) [Шералина, 2021:156]. კანონიკური სამართალის კოდექსის მიხედვით, დასახელება „წმ. საყდარი“ მოიცავს რომის პონტიფიკის ფიგურას (უზენაესი სუვერენი), სახელმწიფო სამდივნოს და რომაული კურიის ორგანოებს, რომლებიც ასრულებენ რომის კათოლიკური ეკლესიის წამყვანი რგოლის ფუნქციას [იქვე]. რაც შეეხება დიპლომატიის წარმოებას, მას ახორციელებს პაპის წარმომადგენლები – სამოციქულო ნუნციები, რომლებიც იგზავნიან მსოფლიო კრებებზე, სადაც ისინი წარმოადგენდნენ წმ. საყდრის ინტერესების გამომხატველს.

XVI-XVII ს-ებში წმ. საყდარმა დაიწყო ევროპის ნაციონალურ სახელმწიფო-ებში სამოციქულო ნუნციების გაგზავნა. პირველი წარმომადგენლობა 1500 წელს გაიხსნა ვენეციასა და პარიზში. ეს იყო მსოფლიო პრაქტიკაში ე.წ. „ახალი ტიპის დიპლომატიის“ გამოვლინება. ამიერიდან, წმ. საყდარი ჩამოყალიბდა ეპოქის საერთაშორისო მოლაპარაკებების მთავარი აქტორად. XIX-XX ს-ების მიჯნაზე, ტერიტორიის დაკარგვის მიუხედავად, წმ. საყდარმა მაინც შესძლო დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოება [Шебалина, 2021:157].

ეს ვრცელი შესავალი მოვიტანეთ იმიტომ, რომ მკითხველმა თავად განსაჯოს კათოლიკურ-მართლმადიდებლური, ასევე ვატიკანსა და საქართველოს შორის XX ს-ის II ნახევარში არსებული ურთიერთობების სირთულე. რადგან 70-იან წლებში საქართველო სსრკ შემადგენლობაში იყო, ამიტომაც რომაულ-კათოლიკური და ქართული სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლების ურთიერთობები მაინც ეკუმენიზმის ჩარჩოებში ჯდებოდა. იმ მომენტისთვის, გარე სამყაროსთან, იგულისხმება სხვადასხვა ეკლესიებთან ურთიერთობის საქმეში, ქართველი ღვთისმსახურებისთვის ეს იყო ერთადერთი გზა. მით უფრო, რომ „ცივი ომის“ (1947-1991) პერიოდში, სსრკ ტერიტორიაზე მოქმედი კონფესიების საქმიანობა კონტროლდებოდა საბჭოთა სადამსჯელო ორგანოების მხრიდან. რუსულ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ „ცივი ომის“ პერიოდში არცერთ საბჭოთა რელიგიურ მოღვაწეს საერთაშორისო ასპარეზზე თავი არ წარმოუჩენია დამოუკიდებელ ფიგურად [Пивоваров, 2017:209]. შესაძლოა ეს ასეც იყო, მაგრამ საკითხს მეორე კუთხით თუ შევხედავთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბჭოთა სადამსჯელო ორგანოები არც მისცემდნენ დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას რომელიმე კონფესიის წარმომადგენლებს. მიუხედავად იმისა, რომ მართალია ქართული სამოციქულო ეკლესია ეკუმენისტურ მოძრაობაში დამალებით იყო გაწევრიანებული, მიგვაჩნია, რომ თვით პატრიარქის ყოფნა ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს თანაპრეზიდენტის რანგში, იყო თანმიმდევრული ნაბიჯი მისი მსოფლიო აღიარებისაკენ, რაც მას გაუადვილებდა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან თანამშრომლობას.

წმ. საყდართან ქართული ეკლესიის გაწყვეტილი კონტაქტების აღდგენის ერთ-ერთი პირველი ნაბიჯები გამოჩნდა 1977 წელს (15.XI), როდესაც სიონის საპატრიარქო ტაძარში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი და უნეტარესი დავით V (1972-1977) დაკრძალვას დაესწრო წმ. საყდრის წარმომადგენელი მონსინიორ ნიკოლაი ვირვოლი [ჯვარი ვაზისა, 1983:11]. მასალის სიმწირის გამო ჩვენ არ ვიცით ქართული ეკლესიის მესვეურებთან მისი შეხვედრის სხვა დეტალები. ანალოგიური ვიზიტით, 1978 წელს, ვატი-

კანში იმყოფებოდა ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი ნიკოლოზი, სადაც 4 ოქტომბერს იგი დაესწრო პაპი იოანე პავლე I-ის დაკრძალვას. ეპისკოპოსი ასევე დაესწრო ახალი პაპის იოანე პავლე II-ის ინტრონიზაციას [ჯვარი ვაზისა, 1983 :11].

ორივე კონფესიის დაახლოების საქმეში წარმატებულად მიიჩნევა 1978 წლის 9-14 მარტს ვატიკანის კარდინალის იოანე ვილბრანდის (1909-2006) ვიზიტი საქართველოში. ვიზიტის ორგანიზატორი იყო საქართველოს საპატრიარქო [ჯვარი ვაზისა, 1979:9-10].



ვილბრანდსი და ილია II (1978)



ილია II და იოანე პავლე II (1980)

ვილბრანდსი იმავდროულად იყო პოლანდიის პრიმასი, უტრეხტის მთავარეპისკოპოსი და 1969-1989 წლებში ვატიკანის ქრისტიანული ურთიერთობის პაპის საბჭოს პრეზიდენტი. თავის სიტყვაში ვილბრანდსმა ხაზი გაუსვა თავისი ვიზიტის მიზანს – „რომისა და საქართველოს ეკლესიების დაახლოება“ [ჯვარი ვაზისა, 1979:13]. კარდინალის ვიზიტი პოზიტიურად აღიქვეს საეკლესიო წრეებში. მონსინიორ ვირვოლის და კარდინალის ვილბრანდსის ვიზიტის შეფასების შესახებ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათ არსებითად მოამზადეს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II ვიზიტი ვატიკანში.


მართლაც, 1980 წლის 5-6 მაისს, ვატიკანში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა პატრიარქი ილია II. სამწუხაროდ, ამ ვიზიტის შესახებაც სრული ინფორმაცია არ გვაქვს. არ ვიცით

კულუარული საუბრების დეტალების შესახებ. ცენზურის გამო საბჭოთა საქართველოში გამომავალ პერიოდულ პრესაში იგი სათანადოდ არ გაშუქებულა. საპატრიარქოს ჟურნ. „ჯვარი ვაზისა“ ვიზიტის შესახებ მშრალი ინფორმაციით შემოიფარგლა – „რომის პაპმა ამ შეხვედრის დროს აღნიშნა, ჩვენი პატრიარქის (ილია II – ავტ.) დიდი ღვაწლი ეკუმენურ მოძრაობაში და იგი

მვირფასი ჯვართით დააჯილდოვა... ჩვენ საშუალება გვქვია ვატიკანის უნი-
 კალურ ბიბლიოთეკაში მოვიძიოთ ქართული ხელნაწერები, გადავიღოთ მათი
 ფოტო პირები... ამ საქმეში, საქართველოდან წარგზავნილთა გარდა, თვით
 იქაური საეკლესიო პირებიც იღებენ მონაწილეობას“. დასასრულ, ნათქვამი იყო
 ზოგადი ფრაზა: „ჩვენ ასევე მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს საქართვე-
 ლოს ტერიტორიაზე არსებული რომის კათოლიკური ეკლესიის სამწყსოსთან...
 [„ჯვარი ვახისა“, 1980:11].

მსოფლიოს უმთავრესი კონფესიის მეთაურთან საქართველოს კათოლი-
 კოს-პატრიარქის შეხვედრა უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რაშიც
 უდიდესი დამსახურება მიუძღვის ილია II-ს. ამ ვიზიტით მოგებული რჩებოდა
 ორივე მხარე, განსაკუთრებით საქართველოში მცხოვრები კათოლიკე მრევლი.

იოანე პავლე II (კაროლ იოზეფ ვოიტილა, 1920-2005) განსაკუთრებული
 პიროვნებაა რომის პაპებს შორის. წმ. საყდრის ტახტი მას ეჭირა 1978-2005 წლე-
 ზში. მისი სახელი ევროპაში კომუნიზმის მსხვრე-
 ვის სინონიმია. პაპის რანგში იოანე პავლე II-მ თავი
 წარმოაჩინა ადამიანის უფლებების და თავისუ-
 ფლებების მხარდამჭერ პირად, რამაც იგი მთელ
 მსოფლიოში ავტორიტარიზმის წინააღმდეგ ბრძო-
 ლის სიმბოლოდ აქცია. მისი პონტიფიკობა დაემ-
 თხვა „ცივი ომის“ ეპოქის ფინალურ ეტაპს, რომე-
 ლიც ხასიათდებოდა სამხედრო საფრთხეებით და
 ბირთვული კონფლიქტის საშიშროებით. იგი დას-
 რულდა სოციალისტური სისტემის დაშლით და
 პოსტმოდერნული პერიოდის მულტიპოლარული სამყაროს ფორმირებით. შე-
 საბამისად, XX-XXI ს-ბის მიჯნაზე მსოფლიოში მიმდინარე ბატალიებმა ასახვა
 ჰპოვა პაპის ენციკლიკაში [Голубев, 2012:95].



პაპი იოანე პავლე II

პაპი იოანე პავლე II ბუნებით კონსერვატორი იყო. იგი მტკიცედ იცავდა
 მემკვიდრეობით მიღებულ კათოლიკური ეკლესიის დოგმატებისა და სოცი-
 ალური დოქტრინის საფუძვლებს. იყო შეურიგებელი აბორტისა და კონტრაცე-
 ფციის შესახებ. 1994 წელს წმ. საყდარმა ჩაშალა გაეროს მიერ ოჯახის დაგეგმვის
 მხარდასაჭერად აშშ-ს მიერ შემოთავაზებული რეზოლუციის მიღება. პონტი-
 ფიკი გამოხდა ჰომოსექსუალურ ქორწინებას, გამოდიოდა ევთანაზიის, ქალების
 მღვდლად ხელდასახმის წინააღმდეგ და ა.შ.

იოანე პავლე II სახელს უკავშირდება ქრისტიანული ეკლესიის სახელით
 კათოლიკეების მხრიდან საუკუნეების მანძილზე დაშვებული „ცოდების“ მო-

ნანიება. მისი ცნობილი ფრაზაა – „ვპატიობთ და ვითხოვთ პატიებას“. მაგ., დასავლეთის სახელით პაპმა მონანიება მოიტანა ჯვაროსნული ლაშქრობების და ინკვიზიციის დანაშაულებისთვის. 1992 წელს, იტალიელი მეცნიერის და ფილოსოფოსის გალილეო გალილეს (1564-1642) გარდაცვალებიდან 350 წლის თავზე, მან მოახდინა მეცნიერის რეაბილიტაცია. 1997 წელს პაპმა აღიარა ეკლესიის დანაშაული საფრანგეთში პროტესტანტების მასობრივ განადგურების (24.07.1572) საქმეში; 2000 წელს მან საჯაროდ მოინანია კათოლიკური ეკლესიის წევრების ცოდვები. მონანიების გარდა იოანე პავლე II-მ აღიარა კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ არსებული ბრალდებები. მაგ., უმადლესი სასულიერო პირების მხრიდან დუმილი II მსოფლიო ომის და ჰოლოკოსტის მოვლენების მიმართ. მანვე საჯაროდ მოინანია და შენდობა ითხოვა კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლების და წევრების ცოდვებისთვის, საეკლესიო განხეთქილებისთვის, რელიგიური ომებისთვის, იუდეველთა მიმართ მტრობისთვის, ამერიკის იძულებითი ევანგელიზაციისთვის, სოციალური და ეკონომიკური უსამართლობის გამოვლინებაზე და ა.შ.

ამავდროულად, რწმენის შესახებ ფუნდამენტური კანონების შენარჩუნების საქმეში, იოანე პავლე II-მ დაამტკიცა კათოლიკური ეკლესიის უნარი, განვითარდეს ცივილიზაციასთან ერთად, აღიარა სამოქალაქო საზოგადოების მიღწევები და სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესი და ა.შ.

განსაცვიფრებელი იყო პონტიფიკის კონფესიათაშორისი პოლიტიკა. კათოლიკური ეკლესიის ისტორიაში, ის, როგორც რომის პაპი, 1986 წელს, პირველად ეწვია სინაგოგას. 2000 წელს პაპმა იერუსალიმში მოინახულა „გოდების კედელი“. 2001 წელს იმყოფებოდა საბერძნეთში. დიდი სქიზმის შემდეგ ეს იყო რომის კათოლიკური ეკლესიის მეთაურის პირველი ვიზიტი საბერძნეთში. 2001 წელს, დამასკოში, მეჩეთში პაპმა ილოცა მშვიდობისთვის. მარტო ზემონახსენები ფაქტები მიანიშნებს, რომ იოანე პავლე II მსგავსი ჰორიზონტის პიროვნება კაცობრიობის ისტორიაში არცერთ კონფესიას არ ჰყოლია. არსებითად, იოანე პავლე II-ს ძალისხმევით, 70-90-იან წლებში, წმ. საყდრის ტახტისთვის გეოპოლიტიკური რენესანსის პერიოდი იყო. ერთ-ერთი თანამედროვეს შენიშვნით, „პაპის სიდიადე იმაშია, რომ ის დიდად არ დაიბადა, მაგრამ რაღაც ისტორიული შემთხვევის და გარემოების შედეგად, ის გახდა მართლაც დიდი მწყემსი, დიადი პიროვნება“ [Строковская, 2012:130].

მთლიანობაში რომ შევაჯამოთ იოანე პავლე II-ის და სხვა კათოლიკე ღვთისმსახურების ძალისხმევა დავინახავთ, რომ XX ს-ის უდიდეს ტრანსფორმაციად იქცა რომის კათოლიკური ეკლესიის გადაქცევა ძველი და ავტორი-

ტარული რეჟიმების მოკავშირედან, როგორც სოციალური და პოლიტიკური სამართლიანობის, ადამიანის უფლებების და დემოკრატიის წამყვან აპოლოგეტად [Харитонов, 2013:81].

სსრკ მსხვერევამ და ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენით, წმ. საყდართან, გაფართოვდა საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ურთიერთობები. ორ კონფესიას შორის თანაარსებობაში მნიშვნელოვანი აქტი იყო წმ. საყდრის მხრიდან, როგორც ზევით ავლნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ვატიკანის დესპანად მაშინ, 1993-1998 წლებში, მოვლენილი იყო არქიეპისკოპოსი ჟან-პოლ გობელი [ბარდაველიძე, 2018:71]. ვატიკანის მხრიდან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიიჩნევა ქართველი კათოლიკეებისთვის, 1994 წელს, ოფიციალურად ქართულენოვანი მსახურების წესის დამტკიცება [ბარდაველიძე, 2018:17], რაც კათოლიკური აღმსარებლობის მრევლის უდიდესი გამარჯვება იყო.

90-იანი წლების პირველ ნახევარში, სამოქალაქო ომის შედეგად, საქართველოში მძიმე ეკონომიკური ვითარება შეიქმნა. ასეთ ვითარებაში ვატიკანი იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც საქველმოქმედო ორგანიზაციების („კარიტასი“) ხელით დახმარების ხელი გამოგვიწოდა. საქართველოს მთავრობის თხოვნით, 1996 წლიდან, თბილისში სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, ამოქმედა წმინდა კამილოს ორდენის სამედიცინო პოლიამბულატორია [ბარდაველიძე, 2019:208].

1998 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდმა „მიუღებლად“ მიიჩნია ე.წ. შამბესის (1990-1993, შვეიცარია) და ბალამანდის (23.06.1993, ლიბანი) შეთანხმებები, რომლებიც მიღებული იქნა მართლმადიდებლების კათოლიკეებთან სასულიერო დიალოგის დროს. სინოდის განჩინების მექვეშე მუხლში ეწერა, რომ „მიუღებელია არამართლმადიდებელ ადამიანებთან ერთად ლოცვა და საიდუმლოების მიღება“ [pravoslavie.ru/98944]. განჩინებით ასევე მიუღებლად ჩაითვალა ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიას და არაქალკედონურ (აღმოსავლურ) ეკლესიებს შორის 1991 წელს შემუშავებული წინასწარი შეთანხმების პროექტი. წმიდა სინოდის დადგენილება იმთავითვე შეფასდა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის 1983 წლის გადაწყვეტილების კალკირებად, რომლითაც მაშინ დაიგმო ეკუმენიზმი, როგორც ერესი. თუმცა, სინოდის გადაწყვეტილება უფრო ფართო მასშტაბის იყო და ეხებოდა არამართლმადიდებლური სწავლებების ექვს განსხვავებულ გამოვლინებას, რომელიც მომდინარეობდა ზოგადად ეკუმენური მორაობიდან [იქვე].

